ყოველკვირეული
ალია
N11/739/ 14-20 მარტი 2016 წ PRESS ფასი 2 ლარი
ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## თუ თქვენ სკანდალური სექსვიდეო გადმოწერეთ და ინახავთ ან მეგობრებს უგზავნით, დაისჯებით!

11

რისთვის ამზადებს ბიძინა ივანიშვილი „სტუკაჩ“ ირაკლი ოქრუაშვილს?



29

რას აპირებს თსუ-ს რექტორი?

32



რა მიიღეს ძმებმა გაჩეჩილაძეებმა „მაესტროსთვის“ ბრძოლით?

30

მაესტრო

რატომ არ ამხელს გამოძიება ბუკა პეტრიაშვილზე თავდასხმის მოტივს?

8



ვინ არიან „ქართული ძალის“ წევრები და რის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ?

33

## ვინ იხეირა და ვინ იზარალა ფარული ჩანაწერის გამოქვეყნებით

9

ვინ იქნება შემდეგი?!!

## რა თქვა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც რამდენიმე დღის წინ გავრცელებული სკანდალური ვიდეოჩანაწერი აჩვენეს?

15

ვრცელდება კულუარული ინფორმაცია, რომ უახლოეს ხანში სოციალური ქსელების მეშვეობით საზოგადოება იხილავს მეორე, უფრო „მძაფრ“ ვიდეოს და ამას მოჰყვება რამდენიმე მინისტრის გადადგომა.




ამ და სხვა მსგავსი კადრების არ გავრცელების სანაცვლოდ, უამრავ ანტისახელმწიფოებრივ წინადადებაზე დაითანხმეს მთავრობის წევრები, მათ შორის, გაუპატიურების საქმეების გამოუძიებლობა, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და მასალების განადგურება ღარიბაშვილის მინისტრობის დროს. აი ვის პირად სიამოვნებას ეწირება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა!!!

## რატომ დანიშნა მაშინდელმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა მნიშვნელოვან თანამდებობაზე ალასანიას გუნდის წევრი, რომელზეც არსებობდა კომპრომატი, რასაც გამოიყენებდა როგორც „ნაციონალური მოძრაობა“, ასევე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები? 6

აბა, რა ვქნათ? არ ვილაპარაკოთ პოლიტიკოსების მორალზე? ეს მედასავლეთეები მხოლოდ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე რომ ღაღადებენ, მაღალი რანგის ჩინოვნიკის ოჯახური ღალატი მოსულა?

14

ვინ იყო სკანდალურ ვიდეოში გადაღებული მამაკაცი?!

## „... მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ხელისუფლება ვერ იცავს თავის მოქალაქეს“



– მე ვიცი, რომ ასეთი ათასობით კადრი ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“, მერე ზარზეიმით ვითომ გაანადგურეს, – აცხადებს ტელეკომპანია „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ნინო გოგუაძე.

– ეს კადრები ჟონავდა, ვიღაცებს ეს კადრები ჰქონდა ნანახი. ამ ხელისუფლებამ გააგრძელა თვალთვალი, ამ ხელისუფლებამაც არაერთი, ჩემთვის ნაცნობი ადამიანის პირადი ცხოვრება ჩაწერა.

იყო შანტაჟი, დამუქრება, გამოქვეყნება და ა.შ. მნიშვნელოობა არ აქვს, რომელი ხელისუფლების დროს ჩაიწერეს ეს კადრები. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ხელისუფლება ვერ იცავს თავის მოქალაქეს და არ იცავს. ამ ხელისუფლებისთვის ადამიანის პრივატული სივრცე, პირადი ცხოვრება არ არის ძვირფასი, – განაცხადა გოგუაძემ. (news.ge)

## სასწაული საქართველოში — არქეოლოგების აღმოჩენა ყვარელში



არქეოლოგებმა ყვარელში, V საუკუნის სამნავიან ბაზილიკაში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს, VI საუკუნის წყლით სავსე ქვევრი აღმოაჩინეს. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, ნოდარ ბახტაძის თქმით, ლაბორატორიული შემოწმებით დადგინდა, რომ 1 200 წლის წინანდელი წყალი აბსოლუტურად სუფთაა და სასმელად ვარგისია, რაც იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ წყალი ნაკურთხია.

– „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ ლაბორატორიაში მივიტანეთ წყლის სინჯი, გამოიკვლიეს და ნახეს, რომ ბაქტერია არ არის, სუნი და გემო შეცვლილი არ აქვს. ასევე, დაადგინეს, რომ ეს არის წყაროს წყალი და არა წვიმის. სახლში მაქვს და ვსვამ ხოლმე. მეუფემაც წაილო, საპატრიარქომაც. ამის დადგენა, ცხადია, შეუძლებელია, ნაკურთხია თუ არა, მაგრამ ამაზე ჩვენ ვართ პასუხისმგებელი. 1 200 წლის განმავლობაში წყალი რომ არ გაფუჭდება, ნაკურთხია, სხვა რა უნდა იფიქრო, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს ნოდარ ბახტაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ცოტნე გამსახურდია: ცოლის მტ...ვნელს გვერდში თუ არ დაუდექი, რაა მამული



– სულ უფრო ნაკლები სურვილი მიჩნდება რამის დაწერის „ფეისბუკზე“. ან ჩვენი რეალობა სულ უფრო აბსურდული ხდება, მე პროგრესიით მემატება საზრუნავი, ან უბრალოდ მომბეზრდა და მეჩვენება ეს ყველაფერი. ალბათ, ერთიცაა, მეორეც და მესამეც. გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევები, როცა მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს სჭირდებათ დახმარება და პასუხისმგებლობას ვერ გავურბივარ. ერთი მხრივ, კარგია, რომ დისკუსიები სულ უფრო ინტენსიური და მრავალმხრივი ხდება, მაგრამ ამავე დროს, ჩვენი უბედურებაა, რომ არ ვართ ღირებულებებზე, პრინციპებზე ჩამოყალიბებული საზოგადოება. ვისაც როგორ უნდა, ისე ჭრის და ისე კერავს: გააჩნია საქმე „მათიანს“ ეხება თუ „სხვისიანს“! აქ ვერც ლიბერალებს დაუჯერებ და ვერც კონსერვატორებს. მოკლედ, საზოგადოება კი არა, ბორდელია, რა!...

ორ სიტყვას ვიტყვი ამ ჩანაწერებზე: არავის საქმე არ არის, და არც ჩემი, ვინ ვისთან რას შვრება ან მე ვისთან რას ვშვრები. სრული ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ჩვენში ქალი უფრო მოწყვლადი და დაუცველია მსგავს შემთხვევებში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ღალატი არ პრავდება, რაც უნდა მოინდომონ ენჯეოშნიკებმა ან თანაპარტიელებმა და არსებობს გარკვეული ცნებები, რომელთა შინაარსი მხოლოდ წყვილის გადასაწყვეტი არ არის.

ვიმეორებ, ვინც რა უნდა, ქნას და ვისაც რა უნდა, ის აპატიოს! მაგრამ როდესაც პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე ქალი/კაცი ცრუობს, ორმაგი სტანდარტით ცხოვრობს, ნაცარს აყრის თვალებში უახლოეს ადამიანებს, მე რატომ, როგორ უნდა დავიჯერო მისი? ესაა ლოგიკა და ამით ხელმძღვანელობს საზოგადოება ცივილიზებულ სამყაროში....

არადა, წეღან ვიღაცამ სერიოზულად დაწერა, ქვეყანას ვანდობდი იმ ქმარს, ვინც ახლა ცოლსა და საყვარელს გვერდში დაუდგებოდაო... ცოლის მტ...ვნელს გვერდში თუ არ დაუდექი, რა არისო მამული – თუ გნებავთ...

და კიდევ: თბილისი პატარა ქალაქია და დიდი ხანია ვიცი ამ კადრების არსებობის შესახებ. თუმც, ეს არანაირად არ მიშლის ხელს, პატივს ვცემდე და ვაფასებდე ამ კადრების ფიგურანტის ოჯახის წევრებს და ყოველგვარი შესაძლო ფართო პოლიტიკური ინსინუაცია აქ, უბრალოდ, მარაზმად მიმაჩნია! - წერს სოციალურ ქსელში ცოტნე გამსახურდია. (marshalpress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მერაბ შათირიშვილი: უღირსებო ადამიანი, კაცია თუ ქალია, სამშობლოს სიკეთეს მოუტანს?

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მწერალი მერაბ შათირიშვილი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას სოციალურ ქსელში ეხმიანება და წერს:

– ერთი რამ გამკვირვებია, კი, ბატონო, პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია და პიროვნული დისკრედიტაციის უფლება არავის აქვს, თუმცა, არის სხვა შედეგობრივ-ზნეობრივი კრიტერიუმები, რომელიც სხვა ადამიანებზე შეურაცხმყოფელად მოქმედებს და ამაზეც დაფიქრება გვმართებს... ხელისუფლებაში რატომღაც იშვიათად ვაწყდებით პერსონებს – სახელმწიფო მოხელეებს, ვისზეც რაიმე კომპრომატი არ აქვს ვიღაც ჯგუფს; პირადად ჩემი კომპრომატი, მაგალითად, 37 წლის წინანდელი, 1979 წელს მომხდარი უსამართლობაა, ბრალდების ცილისწამებაა, რის გამოც 1981 წელს გამართლებული ვიქენი სულმნათი ნოდარ დუმბაძის მხარდაჭერითა და თანადგომით, რამეთუ მსგავსი უსამართლობა სიჭაბუკეში მასაც ჰქონდა გამოვლილი და თქვენ წარმოიდგინეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დღემდე განვლილი ცხოვრების უმეტესი ნაწილი პროდუქტიული მოღვაწეობით ვიარსებე, სწორედ ბიჭობაში თავსდამტყდარი, პირად უბედურებად ქცეული „ბრალდება“ დამდევს აჩრდილივით თან და ყველგან და ყოველთვის დაბრკოლებას მიქმნის.

მაგალითად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ჩემი კულტურის მინისტრის მოადგილეობაზე როცა დადგა საკითხი, იმას, ვინც ასეთ საკითხებს ერთპიროვნულად წყვეტდა, მიუტანეს ამბავი, რომ მე ყმაწვილბიჭობაში ციხის ჯოჯოხეთი მძიმე ბრალდებით გამოვიარე...

ჩემს ერთ-ერთ რომანში „პაემანი ჯალათთან“ მთავარი გმირი, ბავშვობაში მოგონილი, ღირსების შემლახავი ცილისწამებისთვის (თითქოსდა იგი ჰომოსექსუალი იყო) ადამიანს კლავს და ამისთვის შემდეგ მასვე სიკვდილით სჯიან, ასე რომ იგი ღირსების დაცვის გამო საკუთარ ს ი ც ო ც ხ ლ ე ს გასწირავს...



გეკითხებით: უღირსებო ადამიანი, კაცია თუ ქალია, სამშობლოს სიკეთეს მოუტანს? ვისაც ღირსება არ გააჩნია და მისი დაცვა არ შეუძლია, მას ქვეყანა უყვარს?.. ის ხალხის რჩეული უნდა იყოს?.. ჰოდა, იცით, რა მიკვირს, ერთი ამბავი რომ აგვიტეხავს, ადამიანის პირადი ცხოვრება დაცული უნდა იყოსო, კი, ბატონო, იყოს, მარა, ჩვენ ხომ არჩევნებზე პოლიტიკურ მოღვაწეებს დეპუტატებად მათი ღირსების, პირადი მოწესრიგებულობის გამო ვირჩევთ?.. ისინი ხომ ხალხის რჩეულები უნდა იყვნენ და გამორჩეულობა და პირველობა, ადამიანის ღირსებაზე, სამაგალითო მამობასა და დედობაზე არ გადის?.. ჩვენ, ამომრჩევლები, ასეთ შემთხვევაში შეურაცხყოფილები, გაბითურებულები არ ვრჩებით?.. ხელისუფლებაში ღირსეული დედაკაცები და მამაკაცები არ უნდა იყვნენ?..

ნამდვილად ვარ გაკვირვებული!.. (ფეისბუკი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რუსთავი 2“, ვინც „ოცნებიდანაა“ თქვენთან კოჰაბიტაციაში, ზემოდან მოუტყ... მაგათაც!“




მომღერალი გია კორკოტაშვილი ფარულ ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით „რუსთავი 2“-ის განცხადებას ეხმაურება და სოციალურ ქსელში წერს:

– რუსთავი ღორო, სუყველას, ვინც მანდ იდექით და მორალზე დაიწყეთ გოდება, მე თქვე მოგ...თ ამორალური გამზრდელები.

თქვე ახვარო ცინიკოსებო, თქვე ბოზებო, ვის დროსაა ეს ვიდეოები გადაღებული, ვის უკერავდით „სააკას“ დაკვეთით სიბინძურეებს.

თქვენი ტელევიზიის ეთერიდან არ დამიმონტაჟეთ და არ მაბრალებდით სამი ლარის მოპარვას თქვე „პროსტიტუტკებო“, ეხლა მოიწმინდეთ პროჭის პიპკები?

ტრაკი დააყენეთ, თქვენი და თქვენი იმამების მოგონილია ეს ყველაფერი. თქვენთან კიდე ვინც „ოცნებიდანაა“ კოჰაბიტაციაში, ზემოდან მოუტყ... მაგათაც თქვენი გაგულავებისთვის (ნერვები აღარ მაქვს, წესიერ საზოგადოებას უკაცრავად), – წერს კორკოტაშვილი. (tb24.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ‚ვაიბერ მიმოწერებიც წარმომიდგინა და ისიც დააყოლა, ეს ზღვაში წვეთია საერთო მტკიცებულებებთან შედარებითო“



ჟურნალისტი ეკა მიშველაძე ფარული ვიდეოკადრების გავრცელების ფაქტს ეხმაურება და აცხადებს, რომ პირად ცხოვრებაში ბინძური ჩარევის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ ხვდება ფაილები რიგითი, თუნდაც უაღრესად დაინტერესებული მოქალაქის ხელში.

ეკა მიშველაძე სესიაშვილის განცხადებასაც პასუხობს და ამბობს, რომ თვალთვალი მიმდინარეობდა არა მასზე, არამედ პოლიტიკოს ალექსი პეტრიაშვილზე. მიშველაძე მზად არის, აღნიშნულ საკითხზე გამოძიებასთან ითანამშრომლოს.

– მართალი თქვა სესიაშვილმა, იმ მომენტში მე მართლაც არ მსურდა მაგ თემაზე საუბარი, გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თვალთვალიც და მოსმენაც იყო... ოღონდ ოპოზიციონერ პოლიტიკოსზე ბუკა პეტრიაშვილზე და არა ჩემზე. ბუკამ და მე ამის შესახებ მოგვიანებით რამდენიმე წყაროდან შევიტყვეთ. უფრო გვიან კი, ჩემი და ბუკას ვაიბერ მიმოწერებიც წარმომიდგინა ერთმა პიროვნებამ და ისიც დააყოლა, ეს ზღვაში წვეთია საერთო მტკიცებულებებთან შედარებითო, – აცხადებს მიშველაძე. (ნიუპოსტი)

## სტუდენტების ბოიკოტი „რუსთავი 2“-ს: სანამ ნიკა გვარამია ბოდიშს არ მოიხდის, თქვენთან კომუნიკაციას ვწყვეტთ



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეკრებილმა სტუდენტებმა, რომლებიც რამდენიმე დღეა, აქციას მართავენ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს ბოიკოტი გამოუცხადეს. სტუდენტთა კრიტიკული ნაწილის მოსაზრება აქციის ერთ-ერთმა მონაწილე გვანცა ხონელიძემ დააფიქსირა და ტელეკომპანიას ბოიკოტი პირდაპირ ეთერში გამოუცხადა.

სტუდენტები ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიასგან მის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე საჯარო ბოდიშის მოხდას მოითხოვენ.

– ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეკომპანიის, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია აკეთებს სრულიად უპასუხისმგებლო, ირონიულ და არაადეკვატურ განცხადებას, სტუდენტებს ცილს სწამებს და აკრავს პარტიულ იარლიყებს. ასევე, ცდილობს, ეს ჯანსაღი პროტესტი გარიოს პარტიათა თამაშში, რაც არის მიუღებელი და დასაგმობი.

ჩვენ, სტუდენტები, სტუდენტთა კრიტიკული მასა ვაცხადებთ, რომ მანამ, სანამ ნიკა გვარამია არ მოიხდის საჯაროდ ბოდიშს მის ყველა განცხადებაზე, ჩვენ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს ბოიკოტს ვუცხადებთ და კომუნიკაციას ბოდიშის მოხდის შემდეგ გავაგრძელებთ, – განაცხადა გვანცა ხონელიძემ. (info9)

## ენმ-ს კორდინატორის სიმამრის სახლიდან სანადირო თოფი და, სავარაუდოდ, ხელყუმბარა ამოიღეს

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთში სამართალდამცველებმა ენმ-ს კოორდინატორის სახლის შემდეგ მისი სიმამრისა და სიმამრის ძმის სახლები გაჩხრიკეს.

არჩილ ტარუაშვილის სიმამრის, სოსო ბეჟანიშვილის საცხოვრებელი სახლიდან სამართალდამცველებმა სანადირო თოფი და, სავარაუდოდ, ხელყუმბარა ამოიღეს.

ტარუაშვილის სიმამრი, მისი ძმა და ოჯახის წევრები სამართალდამცველებმა პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის მიზნით გადაიყვანეს. საქაშეთში კომპლექსურ ჩხრეკას ტარუაშვილებისა და მათი ნათესავების პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირებენ.

ადგილობრივების თქმით, ტარუაშვილები და ბეჟანიშვილები თბილისში „გაზპრომის“ წინააღმდეგ გამართულ აქციაში მონაწილეობდნენ, რაც შესაძლოა, მათი სახლების გაჩხრეკის მიზეზი იყოს. (ნიუპოსტი)

## სალომე ზურაბიშვილი: „რუსთავი 2“-ის მთლიანი კოლექტივი ფეხზეა დამდგარი... მეტირება და მეცოდება საზოგადოება, რომელსაც ამგვარად დასცინიან!



პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებისა და ნეოფაშისტური რეჟიმის მსახური მედიასაშუალებების ფარისევლური „შეშფოთების“ შესახებ წერს სოციალურ ქსელში საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, სალომე ზურაბიშვილი:

– პირადი ცხოვრების კადრების გავრცელება ნამდვილად პირადი თავისუფლების შელახვაა და ამდენად, მიუღებელი და ყველანაირად დასაგმობი, ამაზე ყველა ვთანხმდებით...

ამას ბევრი გავრცობა და განმარტება არც სჭირდება...

მაგრამ უფრო დიდი უზნეობაა, როცა ისინი, ვინც ამ მუდმივი მოსმენისა და თვალთვალის ულირს სისტემას გუშინ ნერგავდნენ ქვეყანაში, დღეს მორალსა და ამორალიზმზე რომ გვიქადაგებენ...

ეს არის მართლაც ცინიზმის, უტიფრობისა და თავხედობის მწვერვალი...

და „რუსთავი 2“-ის მთლიანი კოლექტივი ფეხზე დამდგარი რომ წინ ალუდგება „ტერორს“, როცა ჩერგოლეიშვილი შეშფოთებული სახით მორალზე საუბრობს და საზოგადოებრივ საფრთხეზე გვაფრთხილებს, მეცინება, მეტირება და მეცოდება საზოგადოება, რომელსაც ამგვარად დასცინიან! (tb24.ge)

## ხუნდაძე: ყოფილ გუბერნატორთან აზრთა სხვადასხვაობა მქონდა



მცხეთა-მთიანეთის უკვე ყოფილ გუბერნატორთან გარკვეულ უთანხმოებაზე მცხეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა დიმიტრი ხუნდაძემ გააკეთა განცხადება. ხუნდაძის განცხადებით, მას გუბერნატორთან, გარკვეულ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა ჰქონდა, თუმცა მათ შორის კონფლიქტი არ ყოფილა.

– იყო საკითხები, როცა აზრთა სხვადასხვაობა გვქონდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შორის იყო კონფლიქტი. ის გადაწყვეტილება, რომ მან დაწერა განცხადება, მე თქვენგან ვიგებ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ არის ჩემი გადასაწყვეტი. ამ გადაწყვეტილებას იღებს პრემიერი ან თვითონ პიროვნება, რომელიც საკუთარ გადაწყვეტილებას საკუთარ თავზე იღებს აბსოლუტურად დამოუკიდებლად, – განაცხადა ხუნდაძემ. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ეკა მიშველაძე პროკურატურაში დაიბარეს, მაგრამ მან არ ისურვა გამოძიება“



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი სესიაშვილის თქმით, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, რომლებიც ცოტა ხნის წინ გავრცელდა, შექმნილია 2012 წლის არჩევნებამდე, როცა „ქართული ოცნება“ ოპოზიციაში იყო.

– ეს კადრები იქმნებოდა იმისთვის, რომ ჩვენზე მომხდარიყო ზეწოლა. და ჩვენ შევინახავდით ამ კადრებს? მით უმეტეს, რომ ალასანიაც და „თავისუფალი დემოკრატების“ ნაწილიც უმრავლესობის წევრები იყვნენ, როცა ეს კადრები გავანადგურეთ. სპეცსამსახურები გვაფრთხილებდნენ, რომ, სავარაუდოდ, არსებობს ასლები. სწორედ ამიტომ, ეს ასლები სადმე რომ არ გამოჩენილიყო, ჩვენ მაშინ დაუყოვნებლივ შევცვალეთ კანონმდებლობა და არა თუ გავრცელება, არამედ შენახვაც კი დასჯადი გავხადეთ. მაგრამ თქვენ იცით, რომ ვინც ამ კადრებს უკვეთდა, იღებდა და ინახავდა, მათი ნაწილი დღეს გაქცეულია და ფულთან და სხვა რაღაცებთან ერთად, ალბათ, კადრებიც თან წაიღო, – განაცხადა სესიაშვილმა. ასევე, მან ის გახმაურებული საქმეებიც გაიხსენა, რომელთა გამოძიება ჩიხში შევიდა იმის გამო, რომ დაზარალებულებს არ სურთ გამოძიებასთან თანამშრომლობა.

მისი თქმით, თუ რეალურად უნდათ, რომ ბოროტებას ებრძოლონ და მხოლოდ პოლიტიკური მიზნები არ აქვთ, მაშინ გამოძიებასთან უნდა ითანამშრომლონ.

– გამოძიება არ არის ცალმხრივი პროცესი, გამოძიებას სჭირდება, რომ პირებმა ითანამშრომლონ გამოძიებასთან. დავიწყებ, მაგალითად, ქ-ნი ეკა მიშველაძით, რომელიც ჩემი მეგობარია და დიდ პატივს ვცემ. მე პირადად აღმაშფოთა მისმა განცხადებამ, პირადად დავურეკე და ვუთხარი, მე დაგიდგები გვერდში ბოლომდე, თუკი ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა-მეთქი. ქ-ნი ეკა მიშველაძე დაიბარეს პროკურატურაში, მან არ ისურვა გამოძიება. ამიტომ, ბუნებრივია, გამოძიება ასე ჰაერზე ვერ დაიწყებს ფაქტების დადგენას. რაც შეეხება ბატონ გიორგი პაპუაშვილს, მე მეჩვენება, რომ ის თავად ახდენს სიტუაციის პოლიტიზებას. მას კარიერის გაგრძელების წარუმატებლობის ფონზე, ალბათ, პოლიტიკური ინტერესები გაუჩნდა. პოლიტიკური პროცესის გაგრძელებას ვხედავ იმაში, რომ ვიღაცები საუბრობენ, ჩვენ გვისმენენ, ჩვენ გვითვალთვალებენ, ოღონდ რეალურად პროკურატურაში რომ მიდიან, აღმოჩნდება, რომ არც კადრები აქვთ, რომლებიც თითქოსდა ჰქონდათ, მერე აღმოჩნდება, რომ პროკურატურასთან თანამშრომლობა არ უნდათ, მერე აღმოჩნდება, რომ ტელეფონებში ესემესები წაშლილია, მერე აღმოჩნდება, რომ ერთი ერთს იძახის და მეორე – მეორეს. საზოგადოება კი რთულ ვითარებაშია, რადგან თქვენგან ეს ყველაფერი ესმის და ის აღარ ესმის, რომ ეს ხალხი ჩვენებებს არ იძლევა. ასე საქმე არ გამოვა, – განაცხადა მან. (postalioni.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირაკლი ალასანია: ზუსტად ვიცი, რომ პრემიერ-მინისტრისა და შს მინისტრის გვერდის ავლით გასცეს დავალება

ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალები წინა ხელისუფლების დროს შეიქმნა, მაგრამ ის უკვე დღევანდელი ხელისუფლების ხელშია და შესაბამისად, ისაა პასუხისმგებელი მის გავრცელებაზე.

– ვის შეეძლო, ასეთი მასალები მოეპოვებინა, ვის ხელშია საერთოდ ასეთი მასალები? და ერთადერთი პასუხი ამაზე არის ის, რომ ეს არის ხელისუფლების ხელში. წინა ხელისუფლების დროს მოხდა ამ მასალების დაგროვება, ეს იყო უმსგავსობა, რომელსაც ვებრძოდით. 2012 წელს ამიტომ შევცვალეთ ეს ხელისუფლება, მაგრამ გვეგონა, რომ პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, გაანადგურა ეს ჩანაწერები, აღმოჩნდა, რომ განადგურებული არ არის. ამიტომ ეს არის ორმაგი გამოწვევა ჩვენი ქვეყნის მთავრობისადმი და კონკრეტულად, პრემიერ-მინისტრის გამოწვევა იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ და ზუსტად ვიცი, რომ ასევე შეიძლება მისი ცოდნის, მისი ყურადღების მიღმა არაფორმალური დავალება სპეციალური სტრუქტურებისთვის გაეცათ, მიეღოთ ეს დავალება და შეესრულებინათ ისე, რომ პრემიერ-მინისტრი არც ყოფილიყო საქმის კურსში და არც შინაგან საქმეთა მინისტრი, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ და დაამატა, რომ ხელისუფლება მოვალეა, საქმე ბოლომდე მიიყვანოს. მისი თქმით,



ამ დანაშაულის გამოძიება სრულიად შესაძლებელია.

ალასანიას თქმით, ჩანაწერის გავრცელება მისი პარტიის წინააღმდეგ მიზანმიმართული ნაბიჯი იყო, რადგან პარტიის რეიტინგის ზრდა „ვიღაცას აღელვებს“. (guardian.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მივმართავ ქალბატონ X-ს! ხომ იცი, ვინც არის „შემსრულებელი“, ათასობით ქალს გამოვიყვან შენს დასაცავად!“



ლალი მოროშკინა გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით „ფეისბუკით“ პოსტს აქვეყნებს:

– მივმართავ ქალბატონ X-ს!!! მოკალი და ჩაბარდი პოლიციას – ამ ტვირთით მაინც ვერ იცხოვრებ!!!

„ნაციონალურო მოძრაობავ“, ამასაც მოხერხება უნდოდა!!! 9 წელი ხალხი ტ...სა და შიმშილში ამყოფო, აწ ჩამოშლილი ფასადური მშენებლობებით აბოლო, ტერიტორიები დაკარგო, საჯიშე ბიჭები გაწყვიტო, საპატიმროებში ქალებს საშვილოსნოები აძრო, სისხლის სამართლის დანაშაული 12 წლის ბავშვებს „მოარგო“, შეკრებითობის კანონი ტოტალურად ყველას მოარგო და 30-40 წელი მიუსაჯო, 3-მილიონიან ქვეყანაში 320.000 ადამიანი დაიჭირო, აუპატიურო ხან სკამის ფეხით და ხან იმით, რის ასოციაციასაც თავად იწვევთ, ოფშორებში ფული და „თავები მარხო“, მთელ ქვეყანას ჭუჭრუტანიდან უყურო და მერე ასე ბინძურად აშანტაჟო და იძახო – ბიძინა ხიხიააო??????

მოკლედ, ასე! ქალაქი პატარაა – ჩანაწერი ყველამ ნახა, მორჩით სირაქლემობანას თამაშს! მივმართავ ქალბატონ X-ს!!! ხომ იცი, ვინც არის „შემსრულებელი“ – მოკალი!!! ამ ტვირთით მაინც ვერ გააგრძელებ ცხოვრებას და მერე ჩაბარდი პოლიციას! მე კი, როგორც არასამთავრობოს ხელმძღვანელი, პირობას გაძლევ, ათასობით ქალს გამოვიყვან შენს დასაცავად!!! (marshalpress.ge)

## „მილიონი ლარი იმ პირისთვის, ვინც გამოძიებას დამნაშავემდე მიიყვანს“



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების ფაქტს ეხმაურება და საგამოძიებო ორგანოებს მიმართავს, აღნიშნულ ფაქტს ებრძოლოს, როგორც ტერორიზმს.

– შეშფოთება, აღშფოთება და გამოძიების დაწყება აღარ არის ადეკვატური რეაგირება ისეთი გადაგვარებული ადამიანების წინააღმდეგ, ვინც შექმნა, ვინც დაამონტაჟა, ვისაც დასაწყობებული აქვს და ვინც საზოგადოებას მიზანმიმართულად წამლავს ამგვარი მასალების გამოქვეყნებით.

მივმართავ პროკურატურის, პოლიციისა და უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელებს, თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს და ვაღიაროთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ტექნიკური თუ სხვა საშუალებებით და გამოძიების ტრადიციული მეთოდიკით ვერ ვუმკლავდებით ამ საშინელ პრობლემას. ამიტომ, გთავაზობთ, მიმართოთ საგანგებო ზომებს და ამგვარი შემთხვევები განიხილოთ, როგორც მთელი საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული მორალური ტერორის აქტები. შესაბამისად, დანაშაულსაც ვებრძოლოთ ისე, როგორც ებრძვიან ტერორიზმს...

დააწესეთ მილიონი ლარი და კონსპირაციულობის დაცვის სრული გარანტია იმ პირებისთვის, ვინც გამოძიებას დამნაშავემდე მიიყვანს, – აღნიშნულია დავით უსუფაშვილის მიმართვაში. (pia.ge)

## სკანდალურ კადრებზე მეგის ქარდავას ადვოკატი პირველ კომენტარს აკეთებს



სოციალურ ქსელში 2013 წელს „მეცხრე არხის“ მიერ მომზადებული სიუჟეტი ვრცელდება, სადაც მეგის ქარდავას ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი ადასტურებს ინფორმაციას, რომ შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსანს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები აქვს.

სიუჟეტის თანახმად, არჩევნების შემდეგ საქართველოდან გაუჩინარებული მეგის ქარდავა ბაჩო ახალაიას განთავისუფლებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნებას აპირებს. ცნობას იმის შესახებ, რომ ძებნილ ექსსამხედრო მაღალჩინოსანს ქვეყნიდან ნამდვილად აქვს გატანილი საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები, ქარდავას ადვოკატიც ადასტურებს.

– მეგის ქარდავა ის ადამიანია, თუ ამბობს, რომ მას კადრები აქვს და გაავრცელებს, დამერწმუნეთ, მას ნამდვილად ექნება ეს კადრები და გაავრცელებს, – აღნიშნავს სიუჟეტში მეგის ქარდავას ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი.

დავუკავშირდით მეგის ქარდავას ადვოკატს, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია უარყო და განაცხადა, რომ თავის დროზე „მეცხრე არხმა“ მისი კომენტარი ცუდად მოჭრა და დაამონტაჟა.

– მე მაშინვე არ ვადასტურებდი ამ ინფორმაციას. „მეცხრე არხმა“ მაშინ დაამონტაჟა და ისე გაუშვა ჩემი კომენტარი. მე მეორე დღეს მეგის ქარდავას კომენტარიც გავავრცელე, რომ კადრებთან არანაირი შეხება არ ჰქონდა. ჟურნალისტმა დამისვა კითხვა, ამ კადრებთან შეხება აქვს თუ არაო და მე უბრალოდ გავიმეორე ის განცხადება, რომელიც მეგის ქარდავას სახელით იყო გავრცელებული. თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ აღნიშნული განცხადება, სადაც მეგის ქარდავა კადრებით შანტაჟზე საუბრობდა, მას არ ეკუთვნოდა. მე სიუჟეტში ვამბობ, რომ მეგის ქარდავამ თუ რამე თქვა, ის ამას აუცილებლად გააკეთებს-თქო. მაშინვე ვთქვი, რომ მეგის ქარდავასთან კონტაქტი არ მქონია. იქ საუბარი ეხებოდა ერთ კონკრეტულ საქმეში არსებულ კადრებს, რომელ საქმეზეც მეგის ქარდავას ბრალიც არ აქვს წაყენებული. ახლაც ყველა საქმეში მეგის ქარდავას ინტერესებს ვიცავ, თუმცა ახლაც არ ვეკონტაქტები მას. თავის დროზე თუ თქვა, რომ კადრებთან შეხება არ ჰქონია, ახლაც, ალბათ, იმავე პოზიციაზე იქნება, – აღნიშნა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

როგორც ექსპერტი მამუკა არეშიძე აცხადებს, მას აქვს ინფორმაცია, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ნაწილი მეგის ქარდავას თან აქვს წაღებული.

აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებს ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა, რომელიც ვარაუდობს, რომ მეგის ქარდავამ, შესაძლოა, ამ კადრებით შანტაჟი კვლავ გააგრძელოს და არ არის გამორიცხული, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები კიდევ გავრცელდეს. (pia.ge)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# მოსალოდნელია მედიკამენტებზე ფასის კიდევ უფრო დაწევა

**ბოლო პერიოდის კვლევების თანახმად, ფასები ყველაზე მოხმარებად მედიკამენტებზე კლებულობს. ექსპერტთა ერთი ნაწილი აღნიშნულ პროცესს იმ სახელმწიფო პოლიტიკას უკავშირებს, რაც ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენციის ზრდის წახალისებას გულისხმობს.**

Jandacva.ge – არასამთავრობო ორგანიზაციის ჯანდაცვის პლატფორმა ხელმძღვანელს ნინო ფოფხაძეს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ მედიკამენტებზე ფასები კლებულობს.

მისი თქმით, ბაზარზე მოქმედი ფარმაცევტული კომპანიები ადეკვატურად რეაგირებენ სახელმწიფოს მიერ მათთვის შეთავაზებულ ახალ რეალობაზე, რაც მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე კონკურენციის უზრუნველყოფას გულისხმობს.

– არავისთვისაა უცხო, რომ ფარმაცევტული ბაზრის ფიგურანტები თითქმის ოცი წელია, პრაქტიკულად, რეგულაციების გარეშე მუშაობენ ბაზარზე. წინა ხელისუფლება ამ პროცესს ლიბერალური ეკონომიკის პრინციპების წახალისებით ამართლებდა. ფაქტი კი იყო ის, რომ საზოგადოებაში წლიდან წლამდე მყარდებოდა განცდა, რომ საქართველოში მოქმედებდა ფარმაცევტული კარტელი, რომელიც საკუთარი ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, მედიკამენტებს მომხმარებელს შეუსაბამოდ და უსამართლოდ ძვირად სთავაზობდა. ამ მიმართულებით ბოლო წლების პოლიტიკა კარდინალურადაა შეცვლილი და სახეზე გვაქვს სახელმწიფოს ქმედება, რამაც შედეგად კონკურენციისთვის მაქსიმალურად გახსნილი ბაზარი უნდა ჩამოაყალიბოს, – აცხადებს ფოფხაძე.

მისივე თქმით, ამ პოლიტიკას შედეგი უკვე მოაქვს, რამდენადაც ჯანდაცვის პლატფორმის დაკვირვებით, ბოლო თვეებია მედიკამენტების ფასებზე დაღმავალი ტენდენციაა შენარჩუნებული.

– ჩვენი ორგანიზაცია, სხვადასხვა ფორმებით, მათ შორის საკონტროლო შესყიდვების გზით, ბოლო ექვსი თვეა, ფარმაცევტულ ბაზარზე ინტენსიურ დაკვირვებას ახორციელებს. პირველადი მოხმარების ჯგუფების მედიკამენტებზე ფასები, საშუალოდ, 35-45 პროცენტით არის შემცირებული. ვფიქრობ, მედიკამენტებზე ფასების კლების ტენდენცია ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნდება, რადგან ბაზარზე ახლად შემოსული კომპანიები პირველადი მოხმარების მედიკამენტების იმპორტს გაცილებით იაფად ახორციელებენ. შესაბამისად, მათი პრეპარატებიც უფრო ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის, ეს პროცესი იძულებულს ხდის ტრადიციულ იმპორტიორებს მარჟის შემცირებისა თუ მომწოდებლებთან მოლაპარაკებების შედეგად, თავადაც გააიაფონ პროდუქცია.

ჩვენი დაკვირვების მართებულობას ადასტურებს ასევე ფანასკერტელის ინდექსის ბოლო მონაცემებიც, რომლის თანახმადაც 200 ყველაზე მოხმარებად მედიკამენტზე ფასები თებერვალში, იანვართან მიმართებით 4,5 პროცენტით არის შემცირებული, – აცხადებს ფოფხაძე.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „საერთოდ რა აზრი აქვს ახლა ჩემს აქ ყოფნას?!“



პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას სოციალურ ქსელში ეხმაურება.

– 14 მარტს ქალთა სტატუსის კომისიის მე-60 სესია იხსნება ნიუ-იორკში, გაეროში. ჰოდა, მეც წამოვედი, ჩვენს ქვეყანაში ქალთა უფლებებზე სასაუბროდ, თუნდაც იმ მცირედ პროგრესზე, რასაც მივაღწიეთ, თუმცა... აქ ჩამოსულს წამომეწია ის სიბინძურე (ინფორმაციას ამას ვერ დავარქმევ), რამაც საზოგადოება და მეც კიდევ ერთხელ შოკში ჩაგვაგდო, ისევ კადრები, ისევ პირადი ცხოვრება, ისევ ის ხელწერა... ვფიქრობ, საერთოდ რა აზრი აქვს ახლა ჩემს აქ ყოფნას?! რა გავუზიარო აქ ჩემს კოლეგებს, რაზე ვესაუბრო?! როგორ უთვალთვალებდნენ, როგორ იწერდნენ, როგორ ებრძოდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს და როგორ გრძელდება ამ ყველაფრით შანტაჟი დღესაც?!

როგორი მოუშორებელი ჭირი გვჭირს და როგორ ვერ ვუმკლავდებით?!

ამაზრზენია, სამარცხვინოა, ფარგლები არ აქვს იმ უსახელო არსებების უზნეობას, ვინც იღებდა, ინახავდა, ავრცელებდა და ავრცელებს, იყენებდა და იყენებს პირად ცხოვრებას იარაღად!!! რაც არ უნდა არ გიყვარდეთ, არ მოგწონდეთ, არ გინდოდეთ, როგორ უნდა გაიმეტოთ პოლიტიკოსი, უბრალოდ, ადამიანი, კაცი თუ ქალი, არა აქვს მნიშვნელობა, ასეთი დარტყმისთვის! პირადი ცხოვრება არის პირადი და მორჩა!!! იარაღი აღარ არის საჭირო, ეს მკვლელობაა, ჩვეულებრივი უსისხლო მკვლელობა!!! არ იმსახურებს ამას არც ჩემი ქვეყანა, არც საზოგადოება და არც ადამიანი! – წერს კობახიძე. (frontnews.ge)

## ლაშა ამირეჯიბი: ვინ ასწავლა ტვინგაყინულ გადაგვარებულ ნაცებს ეს სიბინძურე?



ლაშა ამირეჯიბის თქმით, ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ჩაწერა-გავრცელება „ნაციონალების“ დანერგილია და ამ საქმის სულისჩამდგმელი, მამამთავარი და რეჟისორი დათა ახალაიას მოადგილე, ვაჟა ლელუაშვილია.

– ბინძურო მარაზმატიკებო! ეხლა იძახეთ, დასავლეთი გვიშველისო! ერთი კითხვა მაქვს, ნეტავი საიდან შემოვიდა და ვინ ასწავლა ტვინგაყინულ გადაგვარებულ ნაცებს ეს სიბინძურე? ეს ხომ დასავლური სპეცსამსახურების ნაკარნახევია მხოლოდ იმიტომ, რომ სააკას და მის სისხლიან ჩლიქოსნებს შიშითა და კომპრომატებით ემართათ ქვეყანა და ნებისმიერი ადამიანი. ადამიანების პირადი ცხოვრება რა თქვენი ჭუჭყიანი უკანალის საქმეა? ეს ხართ ნაცები და თქვენ დანერგეთ საქართველოში ეს და სხვა სიბინძურე და სისასტიკე...

ამ საქმის სულისჩამდგმელი, მამამთავარი, რეჟისორი და შემსრულებელი დათა ახალაიას მოადგილე ვაჟა ლელუაშვილი გახლავთ, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ცივ ნიავს არ აკარებს!!

რაც შეეხება უშიშროებას, რომელსაც პულსზე უნდა ედოს თითი და დღესა და ღამეს ასწორებდეს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, საღათას ძილით სძინავს, – წერს ლაშა ამირეჯიბი. (sazogadoeba.ge)

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სუფსის ხეობის სოფლების — დიდი ვანის, შუასურების, ზემოსურების მოსახლეობის

### ღ ი ა   წ ე რ ი ლ ი

### საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

ბატონო პრემიერო! ჩვენ მთიანი გურიიდან გეხმიანებით. იმ მთიდან, რომელიც სრულიად სამართლიანად გურიის ბეღლად იწოდებოდა. იმ მთიდან, რომელმაც უდიდესი ძალისხმევის შედეგად გამოიარა უმძიმესი წლები. უგზოობა, უშუქობა, უექიმობა უკვე ათწლეულებია ჩვენი ხეობის თანამდევი სიტყვებია. მიუხედავად სოფლებიდან დიდი მიგრაციისა, ჩვენ მაინც ვამაგრებთ სოფლებს, ბაღიცა გვაქვს, ბაღჩაც, თხილიც, ხილიც, ფუტკარიც და საქონელიც გვყავს. სტუმარიც გვიყვარს და ჩვენი განუმეორებელი იუმორიც.

გავიხარეთ რამდენიმე თვის წინ მთის კანონის შემოღებით. ჩვენი სოფლები სულ ატარებდა მაღალმთიანი სოფლების სტატუსს. გვითხრეს, სოფლების პირველ ჩამონათვალში რომ ვიყავით, მაგრამ საბოლოოდ ამოგვიღეს სიიდან და ამჟამად ჩვენს სოფელს არ მიენიჭა მაღალმთიანი სოფლის სტატუსი. ვფიქრობთ, რომ ვერ იქნა მოწოდებული სწორი ინფორმაცია სოფლის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ სუფსის ხეობის სოფლები მდინარე სუფსის ხეობის უკიდურესი მთიანი სოფლებია. მოსახლეობა განსახლებულია მდინარის ორივე მხარეს აღმართულ მთებზე, უმაღლესი დასახლებული ადგილი ზღვის დონიდან 730 მეტრზეა. მოსახლეობა ეთნიკური ქართველებია, აღმსარებლობით მართლმადიდებელი ქრისტიანები. სოფლებში განვითარებულია მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მიწათმოქმედება, მესიმინდეობა, მრავლადაა ხეხილის ბაღები. ზემოსურების ცენტრი ჩოხატაურის რაიონიდან დაშორებულია 21 კილომეტრით. სოფლებში უგზოობის, უშუქობის, უექიმობისა და უტრანსპორტობის გამო მიგრაცია დიდია. მაგალითისთვის სოფელ ზემოსურებში 1980 წელს სკოლაში ირიცხებოდა 168 მოსწავლე, 1995 წელს – 60, ამჟამად სკოლაში ირიცხება 28 მოსწავლე... დაახლოებით იგივე მდგომარეობაა დიდვანსა და შუასურებში. ამჟამად ექიმი კვირაში მხოლოდ ერთი დღით არის, სოფელში არ არის არც ერთი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. მიკროავტობუსი, რომელიც ამ სამ სოფელს ემსახურება, გადის დილით და ბრუნდება საღამოს და მხოლოდ ერთ რეისს აკეთებს. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, გამოყოთ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის სოფლის ზონის როგორც გეოგრაფიულ, ასევე საყოფაცხოვრებო და მიგრაციულ პრობლემებს და გთხოვთ, გადაისინჯოს სოფლის მაღალმთიანობის სტატუსის საკითხი.

აქვე მინდა გთხოვოთ კიდევ ერთ საკითხზე დახმარება. უგზოობა ჩვენი ხეობის უმთავრესი საკითხია მუდამ. ოდესღაც ჩვენს წინაპრებს სულ ხელით გაუყვანიათ ხეობაში გზა, რომელიც დღესა გვაქვს. მას მერე ჩვენს გზაზე დიდი არაფერი შეცვლილა. XXI საუკუნეში 17 კილომეტრის გავლას ორ საათ-ნახევარი სჭირდება...

ორი წლის წინათ სოფელში ჩატარდა სახალხო კრება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენი სოფლიდან წასული მოქალაქეების ჯგუფი. ყრილობაზე გადაწყდა, რომ ხეობელები ხელისუფლებისგან ითხოვდნენ გზასა და შუქს. ჩვენი ინტერესების დამცველმა საინიციატივო ჯგუფმა დიდი მცდელობებით ითანამშრომლა ხელისუფლებასთან და ახლა ხეობაში მიმდინარეობს აბონენტთა ინდივიდუალური გამრიცხველიანება, რომელიც იმედი გვაქვს, რომ მთლიანად დასრულდება.

ბატონო პრემიერო! მიგრაციის შესაჩერებლად აუცილებლად მიგვაჩნია საავტომობილო გზის მშენებლობა. თქვენი ხელისუფლების დროს სრულდება ჩვენი ხეობის ასწლეულების ოცნება – კეთდება გზა, რომლის პროექტი უკვე დასრულებულია. გვინდა გთხოვოთ, გამონახეთ სახსრები, დაგვიფინანსეთ ეს პროექტი და გაიყვანეთ ხეობაში გზა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ამის სახსრები არ გააჩნია.

გთხოვთ, ნუ დაგვაცლევინებთ სოფლებს, რომლებსაც ისედაც მრავლად აქვს უკვე ნასახლარები.

გთხოვთ გადაგვიჩინეთ ხეობა!

***წერილს ახლავს 273 ხელმოწერა.***



## „პუტინი საქართველოში მაშინ შევიდა, როდესაც ერაყში 100 ათასი სამხედრო გვყავდა დისლოცირებული“



„The Atlantic“-თან ინტერვიუში აშშ-ის ლიდერმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოში ჯორჯ ბუშის თვალწინ შეიჭრა.

ამის შესახებ ბარაკ ობამამ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის პოლიტიკისა და ვლადიმერ პუტინის ქმედებების შეფასებისას განაცხადა.

– არ ვფიქრობ, ვინმეს ეგონა, რომ თითქოს, ჯორჯ ბუში სამხედრო ძალის გამოყენებაში ზედმეტად რაციონალური ან ფრთხილი იყო. პუტინი საქართველოში ბუშის თვალწინ შევიდა მაშინ, როდესაც ჩვენ ერაყში 100 ათასი სამხედრო გვყავდა დისლოცირებული, – აღნიშნავს ბარაკ ობამამ.

აშშ-ის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ 2008 წელს საქართველოში ინტერვენცია განხორციელდა იმიტომ, რომ ვლადიმერ პუტინს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის რუსეთის გავლენის სფეროში შენარჩუნება სურდა.

ბარაკ ობამას აზრით, რუსეთი უკრაინაშიც იმავე მიზნით შეიჭრა.

– უკრაინაში პუტინის ქმედებები იყო პასუხი იმაზე, რომ ეს სახელმწიფო მას ხელიდან უსხლტებოდა. მან თავისი კონტროლის შესანარჩუნებლად იმპროვიზაცია განახორციელა. იგივე გააკეთა სირიაშიც და ამისთვის, დიდი საფასურიც გადაიხადა, – განაცხადა ბარაკ ობამამ. (pia.ge)

## უკრაინამ შესაძლოა, ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონოს

უკრაინის მინისტრთა კაბინეტი ერთსქესიანთა წყვილებისთვის სამოქალაქო პარტნიორობის ლეგალიზაციის შესახებ კანონპროექტის შემუშავებასა და განხილვას აპირებს.

შესაბამის გადაწყვეტილებას უკრაინის მთავრობის მიერ დამტკიცებულ ადამიანის უფლებათა საკითხში ქვეყნის ეროვნული სტრატეგია შეიცავს, რომელშიც ვკითხულობთ:

– უკრაინაში დარეგისტრირებული სამოქალაქო პარტნიორობის ლეგალიზაციის შესახებ კანონპროექტის შემუშავება და განსახილველად წარდგენა ქვეყანაში დისკრიმინაციის აღმოფხვრას ემსახურება. (pia.ge)

კინომცოდნე გოგი გვახარია სოციალურ ქსელში საინტერესო სტატუსს აქვეყნებს, სადაც გიორგი კალატოზიშვილის (ნანკას ტყუპისცალი) შესახებ წერს.

– დიდი ხნის წინ, როცა თეატრალურ უნივერსიტეტში ლექციას ვკითხულობდი, ერთი ცუდი ამბავი მოხდა. ლექციაზე ცხელოდა და ჩემს სტუდენტს, გიორგი კალატოზიშვილს, რომელიც შესასვლელთან იჯდა, კარის გაღება ვთხოვე. ლექციის დროს აუდიტორიასთან, გარეთ, რამდენიმე ბიჭი მოგროვდა და ხმაურით, ხმამაღალი რეპლიკებით შეეცადა ლექციის ჩაშლას. გიორგის ვთხოვე, ამჯერად კარი დაეკეტა.

## რომელმა ცნობილმა მსახიობმა დაჭრა ნანკა კალატოზიშვილის ძმა



მერე დღეს გაირკვა, რომ ეს ყმაწვილები გარეთ დახვდნენ და საქმე გაურჩიეს, გვახარიას ლექციაზე რატომ ზიხარო. გიორგის უკან არ დაუხევია, რაც იმით დასრულდა, რომ დაჭრეს.

გამოგვიძახა მაშინდელმა რექტორმა, გიგა ლორთქიფანიძემ მე და ნათია ამირეჯიბი (გიორგი ნათიას სახელოსნოში სწავლობდა), იმ სტუდენტების პედაგოგი მანანა ბერიკაშვილი და გვაცნობა, ყველას ვრიცხავთ უნივერსიტეტიდანო. გიორგი, რა თქმა უნდა, გადავარჩინეთ, ვუთხარით რომ ჩვენც გავყვებოდით უნივერსიტეტიდან. მაგრამ ეს არაა საინტერესო.

გიგა ლორთქიფანიძემ მკითხა, რა მოხდაო, ვუთხარი, გარედან იგინებოდნენ, შეურაცხყოფას მაყენებდნენ, მე კი მიჩვეული ვარ ამას, მაგრამ გიორგი, ეტყობა, გაბრაზდა-მეთქი.

რას ნიშნავს, მიჩვეული ვარო, გაუკვირდა გიგას. და ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა გიგა ლორთქიფანიძემ სიმართლე თქვა, – ჩვენ არ უნდა მივეჩვიოთ შეურაცხყოფას. ერთ-ერთი თავდამსხმელი მერე „დიდი არტისტი“ გამოვიდა სტურუასთან.

დღესაც ხშირად იგინება. ამჯერად „ფეისბუკზე“ იცავს ქართველობას. გიორგის კი არასდროს დავუვიწყებ ვაჟკაცურ საქციელს და ყოველთვის მისი მადლობელი ვიქნები... – წერს გვახარია. (etanews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ოქრუაშვილი „რუსთავი 2“-სა და „მაესტროში“ წილებს ითხოვს



თავდაცვის ყოფილი მინისტრი ინგა გრიგოლის დღის ამბებში მოულოდნელ და სკანდალურ განცხადებას აკეთებს და გორის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ერთდროულად ორ ტელევიზიაში წილის ფლობაზე პრეტენზიას აცხადებს.

ირაკლი ოქრუაშვილი ამბობს, რომ მას „მაესტროს“ ფუნქციონირებაში როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური წვლილი აქვს შეტანილი და გარკვეული დროის მერე ამ პრეტენზიებს საჯაროს გახდის. ოქრუაშვილი ასევე აცხადებს, რომ წლის ბოლომდე ის ლეგალურად და დასაბუთებულად პრეტენზიას გამოთქვამს „რუსთავი 2“-ის წილებთან დაკავშირებითაც. (პირველი რადიო)

## ის, რაც მოხდა, არის ხელისუფლების პასუხისმგებლობა — ნინო ლომჯარია



– ის, რაც მოხდა არის ხელისუფლების პასუხისმგებლობა, – ეს განცხადება „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ სამართლებრივ საკითხებში კონსულტანტმა ნინო ლომჯარიამ გააკეთა.

უფლებადამცველი მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელება უკავშირდება იმ ფაქტების გამოუძიებლობას, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ხდებოდა და რომელიც უკავშირდებოდა შანტაჟსა და ფარულ მიყურადებას. (პირველი რადიო)

## „ამ ყველაფრის შეჩერების ერთადერთი გზა „არას“ თქმაა ამ სიბინძურისთვის და ხელისუფლებისთვის“

პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელებას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დავით ბაქრაძე ეხმაურება.

– ამ სიბინძურის გავრცელება ჩვენი საზოგადოების წინააღმდეგ მორალური ტერორია, რომელსაც ქართული სახელმწიფოს ზნეობრივი და პოლიტიკური საფუძვლის შერყევა შეუძლია. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ასეთმა სიბინძურემ რეგულარული სახე მიიღო. მახსენდება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადება, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის პრესკონფერენცია, ჟურნალისტ ეკა მიშველაძის განცხადება და ა.შ. ესაა მცირე ჩამონათვალი ასეთი ტიპის ფაქტებისა, რომელთაც რეაგირება არ მოჰყოლია, არ ყოფილა გამოძიებული და არავინ დასჯილა.

ამიტომ ამ ყველაფრის შეჩერების ერთადერთი გზა საზოგადოების მხრიდან ხმამაღალი „არას“ თქმაა ამ სიბინძურისთვის. „არას“ თქმა იმ ხელისუფლებისთვის, რომელიც ამ ტერორის ჩამდენთა მფარველობითაა დაკავებული, – აცხადებს ბაქრაძე. (პირველი რადიო)

## ზურაბ ოკუჯავა: ექიმების დაბალი ხელფასები, ალბათ, უფრო კლინიკის მენეჯმენტის პრობლემაა, ვიდრე სახელმწიფოსი

**ჯანდაცვის რეგიონულ ცენტრებში დასრულდა სოციალური გამოკითხვა — „რა გაწუხებთ?“. გამოიკითხა 16 ათასზე მეტი ადამიანი. ამჟამად გრძელდება ინტერნეტ-გამოკითხვა. კითხვარების შევსება ვებ-გვერდზე www.1505.ge. ხდება.**

**გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ პირველადი ჯანდაცვა ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს სამინისტროს საქმიანობაში. ასევე, პრობლემატური საკითხებია მედიკამენტების ხელმისაწვდომობა და მედიკოსთა დაბალი ანაზღაურება.**




**„რა გაწუხებთ?“ — ინიციატივას ეხმაურება კარდიოლოგი, რეანიმატოლოგი ზურაბ ოკუჯავა:**

**— მოგეხსენებათ, ჯანდაცვის სამინისტრო ატარებს გამოკითხვას „რა გაწუხებთ?“, რომლის მიზანიც მოსახლეობის პრობლემების გამოვლენაა. შედეგებს შემდგომში სამინისტრო პროგრამების თუ რეფორმების დაგეგმვისას გაითვალისწინებს. როგორ შეაფასებთ ამ ინიციატივას და ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ღიაა მოსახლეობის პრობლემებისთვის?**

– დადებითად ვაფასებ, რასაკვირველია. ან სხვაგვარად როგორ უნდა შევაფასო. კარგია, რომ სამინისტრო დაინტერესდა მოსახლეობის პრობლემებით. შესაბამისად, ნამდვილად კარგი ინიციატივაა.

**— აქციის — „რა გაწუხებთ?“ ინიციატორი, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, არის საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „გლობალ ალიანსი“, რომელიც სამინისტროს რეფორმის მომზადებაში კონსულტაციას უწევს. მიგაჩნიათ, რომ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა მნიშვნელოვანია და მათი გამოცდილების გაზიარება დაგვეხმარება სისტემის გაუმჯობესებაში?**

– ეს მნიშვნელოვანი კი არა, აუცილებელია. სასურველია, რეფორმა გავატაროთ ისე, როგორც ევროპის ქვეყნებსა თუ შეერთებულ შტატებშია, რადგან ამ ქვეყნებში ჯანდაცვა მართლაც მაღალ დონეზეა განვითარებული. ამიტომ მათგან უნდა ვისწავლოთ და მივიღოთ გამოცდილება.

**— ცნობილია, რომ უკვე გამოიკითხა დაახლოებით 16 000 ადამიანი. გამოიკვეთა სამი ძირითადი პრობლემა, რის მოგვარებასაც ისურვებდნენ მოქალაქეები. ეს პრობლემებია პირველადი ჯანდაცვა, მედიკამენტების ხელმისაწვდომობა და ექიმების ანაზღაურება. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?**

– უცნაურია, პირველად ჯანდაცვაში რა პრობლემა დაინახეს? საყოველთაო დაზღვევაში შედის ეს პუნქტი და ადეკვატურ მკურნალობას უტარებენ პაციენტებს. ყველაფერს ერთად ვერ მოიცავს ეს პროგრამა, ფინანსების საქმეა. ამ მიმართულებით ნამდვილად ვერ ვხედავ პრობლემას. მედიკამენტების ხელმისაწვდომობა გაცილებით რთული პრობლემაა. კატასტროფულად დაიწყო ფასების მატება. ელემენტარულად, წამალში, რომელიც 12 ლარი ღირდა, ახლა 20 ლარს ვიხდი. ასე რომ, ეს პრობლემა ნამდვილად დგას. რაც შეეხება მედიკოსთა ანაზღაურებას, ეს პრობლემაც აქტუალურია. არიან მაღალანაზღაურებადი ექიმებიც, მაგრამ ეს არის, ალბათ, მხოლოდ ათი პროცენტი. ხანდახან დაუჯერებელიც კია, რომ ზოგიერთ მათგანს 150-200 ლარი აქვს ხელფასი. ეს, უბრალოდ, შეურაცხმყოფელია, სხვა თუ არაფერი. თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს სახელმწიფოს ბრალი ნაკლებადაა, ალბათ, უფრო კლინიკის მენეჯმენტის პრობლემაა.

**— დაბოლოს, თქვენ, როგორც მოქალაქეს, რა გაწუხებთ და რის მოგვარებას ისურვებთ ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან?**

– ჯანდაცვის მიმართულებით პრობლემები ნამდვილად არის. ვერც კი შევადარებ წინა წლებს, მდგომარეობა აშკარად გაუმჯობესებისკენ მიდის. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ძალიან დიდ პრობლემად მიმაჩნია მედიკამენტები, რადგან ვხედავ, როგორ უჭირთ პაციენტებს მათი შეძენა. ხანდახან დანიშნული კურსის ნახევარს ყიდულობენ, ხანდახან მხოლოდ რამდენიმე აბს. ამიტომ, ეს პრობლემა ძალიან მწვავედ დგას ჩვენს წინაშე. ჯერ შორს ვართ იმ ჯანდაცვისგან, რაც ჩვენ გვინდა, მაგრამ ვფიქრობ, ნელი ნაბიჯით მაინც მივაღწევთ სასურველს.

## რუსები სტალინის საქართველოში გადმოსვენებას ითხოვენ



რუსი პოლიტიკოსები სტალინის ცხედრის სამშობლოში გადასვენებაზე ალაპარაკდნენ.

– ადამიანური და ქრისტიანული წესების გათვალისწინებით, იოსებ სტალინის ცხედარი აუცილებლად უნდა გადაასვენონ იქ, სადაც იგი დაიბადა, ანუ საქართველოში, ქალაქ გორში, – განაცხადა „ინტერფაქსთან“ საუბარში პარტია „Правое дело“-ს წევრმა ბორის ნადეჟდინმა. როგორც ირკვევა, სტალინის გადასვენების საკითხს კიდევ ბევრი მომხრე ჰყავს.

გაითვალისწინებს თუ არა ოფიციალური მოსკოვი ამ მოსაზრებას, უცნობია. თუმცა ცნობილია ის, რომ კრემლის მავზოლეუმისა და სასაფლაოს გადატანის თაობაზე საუბრები მოსკოვში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს.

ჯერ კიდევ 2012 წელს რუსეთის პრემიერი დიმიტრი მედვედევი ამბობდა, რომ სანამ სტალინის ნეშტის გადასვენების გადაწყვეტილებას მიიღებენ, ძალიან ბევრი ნიუანსის გათვალისწინება უნდა მოხდეს.

საქართველოში სტალინის სამშობლოში შესაძლო გადასვენების თაობაზე ინფორმაცია არ აქვთ. ამ საკითხს არასერიოზულს უწოდებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი სესიაშვილი. უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი თამაზ მეჭიაური ამბობს, რომ საკითხი მართლაც რომ დადგეს, ის საზოგადოების მონაწილეობის გარეშე ვერ გადაწყდება.

– პირველად მესმის და ამ პარტიასაც არ ვიცნობ. საკითხი მართლაც რომ დადგეს, ეს ისეთი თემაა, რომელსაც პიროვნულად ვერავინ გადაწყვეტს. ეს უნდა გახდეს საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი, – განაცხადა უმრავლესობის წევრმა.

იოსებ სტალინი 1956 წლის 5 მარტს გარდაიცვალა. მისი ცხედარი 8 წლის განმავლობაში კრემლის მავზოლეუმში იყო დასვენებული, თუმცა მოგვიანებით სსრკ-ს მთავრობამ მისი დაკრძლვის გადაწყვეტილება მიიღო. ამჟამად სტალინის საფლავი მოსკოვის ცენტრში, კრემლის მავზოლეუმის ეზოშია. (timepress.net)

## ნადეჟდა სავჩენკომ სასამართლოს შუა თითი უჩვენა და რუსეთს „მაიდანს“ დაჰპირდა



უკრაინელმა მფრინავმა ნადეჟდა სავჩენკომ რუსულ სასამართლოს შუა თითი უჩვენა და საბოლოო სიტყვაში თქვა, რომ მაიდანი რუსეთშიც იქნება.

– მაიდანი რუსეთში იქნება! მე მინდა, ჩემი მაგალითით ვაჩვენო, რომ რუსეთში ტოტალური რეჟიმი შეიძლება მოიგრიხოს ვერძის რქასავით. თქვენ გინდოდათ ბოლო სიტყვა? აი, ჩემი ბოლო სიტყვა! – თქვა სავჩენკომ და სასამართლოს შუა თითი უჩვენა. (medianews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რა ინფორმაციას ფლობდა ბიძინა

## რატომ დანიშნა მაშინდელმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა არსებობდა კომპრომატი, რასაც გამოიყენებდა როგორც




ნინო სამხარაძე

599 71-14-22


**კოალიცია „ქართული ოცნების“ შექმნაში აქტიურად იყო ჩართული პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი, იგი ივანიშვილის დიდი ნდობითაც სარგებლობდა. საინტერესოა, იცოდა თუ არა ბიძინა ივანიშვილმა კონკრეტულად, რა იყო იმ ჩანაწერებში, რომელიც მისი გუნდის წევრების დასაშანტაჟებლად კეთდებოდა „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის მხრიდან... რა ინფორმაციას ფლობდა ბიძინა ივანიშვილი საკუთარი გუნდის წევრებზე? თუკი მას ნანახი ჰქონდა ის ფარული ჩანაწერები, რამაც საზოგადოება შოკში ჩააგდო, რატომ არ მოახდინა მან ამის პრევენცია და რატომ დანიშნა ეს კონკრეტული პიროვნება მაღალ თანამდებობაზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია უკვე მსოფლიო მედიაში ტრიალებს, რა გარანტია ჰქონდა, რომ რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახური ამ ქალბატონს სახელმწიფოს წინააღმდეგ იარაღად არ გამოიყენებდა და არ შექმნიდა პრობლემას. არადა, ჩვენ გვახსოვს უამრავი მაგალითი, როგორ ტოვებენ და როგორ ამბობენ უარს მაღალ თანამდებობებზე პირები, ვისზეც არსებობს კომპრომატი. ასეთი მაგალითი გახლდათ ლატვიაში, როცა პრემიერ-მინისტრი გადადგა და სახელმწიფოს არ შეუქმნა იმის განცდა, რომ ვიღაც მას გამოიყენებდა ბინძური დავალების შესასრულებლად... როგორ აფასებს პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი ამ მოვლენებს და რას პასუხობს „ალიას“ კითხვებს.**

**— ბატონო გია, ყველას აწუხებს ერთი კითხვა, რატომ დაიწყო მასირებული შეტევა ალასანიას გუნდის წევრებზე მაშინ, როცა „ქართული ოცნების“, ასევე „ნაცმოძრაობის“ მოსამართლეების თუ მათი მეგობრების დისკრედიტაციის მიზნით უამრავი ფარული ჩანაწერი არსებობს, როგორც ამას ამბობენ...**

– ამ ფაქტს თუ ჩვენ პარტიულ ასპექტში განვიხილავთ, მაშინ გამოდის, რომ, ფაქტობრივად, დიაგნოზი გვაქვს დასმული, რომ ეს არის პოლიტიკური დაკვეთის ნაწილი... კი ბატონო, ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება და ყველა ვარიანტი განსახილველია. შესაძლოა, ეს გაკეთდა ხელისუფლების საზიანოდ, არ გამოვრიცხავ პირად დაპირისპირებასაც. როგორც არ უნდა იყოს საქმე, ბუნებრივია, ხელისუფლების პასუხისმგებლობა არის მაღალი... მეტიც, დიდწილად ის ადამიანები, ვინც ამ სიბინძურეში მონაწილეობდა, ეს იყო გადაღება, უკანონო თვალთვალი თუ ფარული მიყურადება, რასაც შემდგომ პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ, ამ ადამიანების სერიოზული ნაწილი ახალ ხელისუფლებაში გადმობარგდა.

**— რატომ გაუშვა „ქართულმა ოცნებამ“ შანსი, რომ ძალაუფლება ხელში აეღო და ყველა პროცესი ემართა? რატომ დასთანხმდა მძევლობას და კოჰაბიტაციას „ნაცმოძრაობასთან“? დღეს როგორ ხსნით ალასანიას, უსუფაშვილისა და ბერძენიშვილების განცხადებას, რომ მათი მთავარი ამოცანა „ნაცმოძრაობის“ გადარჩენაა, რატომ გვიკარგავენ სახელმწიფოებრიობის განცდას, რა ხდება?**

– გეთანხმებით კითხვის პათოსში, თავიდანვე უნდა გადაედგა ხელისუფლებას მკვეთრი ნაბიჯი. არ ვამბობ, ყველა ციხეში ჩაესვა, მაგრამ რეჟიმის მიმართ პოლიტიკური ვერდიქტი უნდა გამოსულიყო. შეიძლება მომხდარიყო გარკვეული ამნისტიის ფონზე, მაგრამ დანაშაულის კვალიფიცირება მანამდე უნდა მომხდარიყო და არა ისე, რომ ჯერ ამნისტია გამოაცხადო მაშინ, როცა დანაშაული არ გაქვს იდენტიფიცირებული. დღეს სწორედ ამის შედეგებს იმკის ხელისუფლება. ამ ტიპის დანაშაული რაც ჩვენ თვალწინ მოხდა, როცა ალასანიას გუნდის წევრის მიმართ გაბედეს, გადაიღეს და შემდეგ გამოუქვეყნეს პირადი ცხოვრების ამსახველი ფირი, ეს უნდა კვალიფიცირდებოდეს, როგორც მძიმე დანაშაული. 21-ე საუკუნეში შეიძლება უფრო ეფექტურად მოკლა პირად ცხოვრებაში ჩარევით და სიტყვით ადამიანი, ვიდრე იარაღით. თავის დროზე რომ პრევენცია გატარებულიყო, ჩვენ დღეს არ ვნახავდით ამ საშინელებას, რაც ხდება... საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ მას აშანტაჟებს პირადი ცხოვრების ამსახველი ფირების გამოყენებით იუსტიციის მინისტრი, ამაზე მძიმე სკანდალური ბრალდება რა შეიძლება, რომ ქვეყანაში გაისმას... ძალიან ცინიკურად მომეჩვენა იუსტიციის მინისტრის პოზიცია. დავუშვათ, ტყუილს ამბობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პოლიტიკურ დემარშს აწყობს და ხელს ადებს იუსტიციის მინისტრს, მაგრამ, როცა იუსტიციის მინისტრის აბუჩად ამგდები კომენტარები ისმის და იგივე მინისტრი სამინისტროს აწყვეტინებს ურთიერთობას საინფორმაციო სააგენტოს „აიპიენთან“ იმის გამო, რომ მათ განათავსეს ირაკლი ალასანიას გუნდის წევრის ფარული ჩანაწერი, ამ ყველაფერის ლოგიკური ბმა შეუძლებელი ხდება. კი ბატონო, იმ სააგენტომ მძიმე შეცდომა დაუშვა, მაგრამ მათ ეს შეცდომა აღიარეს. წულუკიანმა კი მათთან ურთიერთობა გაწყვიტა იმ ფონზე, როცა თვითონ არის ეჭვმიტანილი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან ანალოგიურ ქმედებაში და მისგან ამ ბრალდებაზე სერიოზული პასუხი არ ისმის... და როცა ხელისუფლება ასეთ განცხადებებს აგდებით უყურებს, ბუნებრივია, ეს ახდენს ასეთი ტიპის დანაშაულის სტიმულირებას. სხვა მაგალითსაც მოგიყვანთ, ხელისუფლებას თავის დროზე რომ უფრო მკაცრი რეაგირება მოეხდინა ფაქტზე, რომელიც ეხება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ქალბატონ დეპუტატს, თქვენ იცით, რომ ამ ფირის ერთ-ერთ რედაქციაში მიმტანი პიროვნება დაიჭირეს, ჩვენ აღარ ვიხილავდით რამდენიმე დღის წინ იმ საშინელ ვიდეოკადრებს. ახლა არის ინფორმაცია, რომ დაკავებულმა ღურწკაიამ დამკვეთიც დაასახელა. იქ რაღა არის გამოსაძიებელი? ამ კონკრეტულ ფაქტზე, როცა იდენტიფიცირებულია დამნაშავე, რა ედგა ამ საქმეს წინ, რომ ის კონკრეტული დამნაშავეები მკაცრად დაესაჯათ. ეს რომ მომხდარიყო, ბოლო ფაქტის პრევენციაც მოხდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვითარება უფრო დამძიმდება, რადგან ჩვენ შევდივართ საარჩევნო ზოლში და თუ დასაშვები გახდა საარჩევნო პროცესში კომპრომატების ომი, არ გამოვრიცხავ, რომ უმძიმესი შედეგები მივიღოთ, რადგან ჩვენ ვიცით, რომ, ფაქტობრივად, აღარ დარჩა



>>> ექსპერტი

როგორც პოლიტიკურ სივრცეში, ასევე საზოგადოებრივ წრეებში ადამიანი, ვისზეც კომპრომატი არ დევს. მით უმეტეს ფაბრიკაციის შესაძლებლობები ყოველთვის არსებობს,

**— 2012 წლის არჩევნებში აქტიურად მონაწილეობდით, კოალიცია „ქართული ოცნების“ შექმნაშიც დიდი წვლილი გაქვთ, იყავით ივანიშვილის მრჩეველი. ფირები გადაღებულია საარჩევნო ციკლში და არჩევნებამდე ივანიშვილისთვის ეს ამბავი იყო ცნობილი. მაინტერესებს, რატომ დანიშნა მაშინდელმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა მნიშვნელოვან თანამდებობაზე ალასანიას გუნდის წევრი, რომელზეც არსებობდა კომპრომატი, რასაც გამოიყენებდა როგორც „ნაცმოძრაობა“, ასევე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები?**

– ეს კადრები არ მინახავს და არც ვნახავ, მარტო ეს კი არა, არც ერთი ანალოგიური კადრი არ მინახავს... შემოთავაზებები იყო, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი. მე კონკრეტულ ინფორმაციას არ ვფლობ, რასაც მეკითხებით, ამ თემაზე, მაგრამ, თუკი ამ კადრების შესახებ ცნობილი იყო ვიღაცისთვის, მისი სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობაზე დანიშვნა საფრთხის შემცველია ქვეყნისთვის და ამაში გეთანხმებით, რადგან ყოველთვის შეიძლება ასეთი კომპრომატი გამოყენებული იყოს მესამე მხარის მიერ გარკვეული მანიპულაციებისთვის.

**— ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი**





**ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც, ამ მხრივ, პატიოსნად მოიქცა, იყო კობა დავითაშვილი, რომელიც მივიდა ივანიშვილთან და უთხრა, რომ ის ვერ გამოდგებოდა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, რადგან მას ჰქონდა ბევრი სისუსტე, რასაც ოპონენტები გამოიყენებდნენ**

იყო იმ ფირების არსებობის შესახებ, რასაც „ნაცმოძრაობა“ არჩევნების დროს მისი გუნდის წევრებზე იღებდნენ. თვალს ვერ მისწორებდნენ ჩვენი თანაგუნდელები და მე შევუთვალე, თქვენს პირად ცხოვრებაში არ ვერევი, მთავარია, თქვენს მეუღლეებთან მოაგვაროთ ურთიერთობებიო. მისი განცხადება ადასტურებს, რომ ის საქმის კურსში იყო, ვისზე რა ფირი არსებობდა. კიდევ ერთხელ გკითხავთ, რატომ წარადგინა ეს ქალბატონი უმაღლეს თანამდებობაზე?**

– ჩვენ მაშინ ვიყავით ომში, რასაც სჭირდებოდა მაქსიმალური კონსოლიდაცია იმ ადამიანებისა, რომლებიც გადმობირებას, სავარაუდოდ, ალასანია რჩებოდა — მაია ფანჯიკიძის, ალექსი პეტრიაშვილის, ნინო გოგუაძის, გია ცაგარეიშვილის იმედად. შეიძლება პარტიის დაშლის მიზნითაც იყოს ეს ამბავი გაკეთებული?**

– არ მგონია, ის იმდენად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული იყოს, რომ დღეს მისი გახლეჩა, კრიმინალური ისტორიები და ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება, ამისთვის ხდებოდეს. მართლა არ მგონია, ვიღაც ასე სერიოზულად უყურებდეს „თავისუფალი დემოკრატების“ პოლიტიკურ პერსპექტივას.

**— და მაინც, ვის უნდა აწყობდეს ეს ყველაფერი? მოსალოდნელია, რომ მათ შორის ომი გაღრმავდეს, მით უფრო გოგი თოფაძე ღიად იმუქრება: „ჩვენ პრემიერთან შევთანხმდით, შევწყვიტეთ კამათი, მაგრამ რამდენიმე მაგალითია, როცა „რესპუბლიკელები“ აგრძელებენ გამომწვევი განცხადებების კეთებას, მათ შორის, ქალბატონი მინისტრი — „ცოტასაც მოვითმენ, თავიდანვე მან გაამწვავა, ჩემი შეურაცხყოფა რომ იკადრა, რაზეც პასუხი მიიღო. პატარ-პატარა კბენებზე რეაგირებას არ ვახდენთ, მაგრამ, თუ ზღვარს გადავლენ, იმდენ რამეს გავახმოვანებთ და იმდენი მასალა შეიძლება დავდოთ პრესასა და ტელევიზიაში, ალბათ, კმაყოფილები არ დარჩებიან...“ დაიშლება კოალიცია?**

– კოალიცია თავიდანვე ეკლექტური იყო და ეს არის ფართომასშტაბიანი კონფლიქტი, რომელიც მხოლოდ „მრეწველებს“ არ გულისხმობს. წინააღმდეგობები ყოველთვის იყო და ახლა გამოაშკარავდა. ესენი არიან პოლიტიკური წარმონაქმნები, რომლებსაც დაავიწყდათ, რომ ხალხისგან უნდა მიიღონ ლეგიტიმაცია, ხალხი უნდა აძლევდეთ მანდატს, ისინი კი ცდილობენ პოლიტიკაში უკანა კარიდან შეღწევას, მათ შორის, „რესპუბლიკელებიც“...

# ივანიშვილი საკუთარი გუნდის წევრებზე?

## მნიშვნელოვან თანამდებობაზე ალასანიას გუნდის წევრი, რომელზეც „ნაცმოძრაობა“, ასევე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები?



**„ერთადერთი პოზიტივი არის ის, რომ ხალხს იმ რეჟიმის შიშის განცდა აღარ აქვს, მეტ-ნაკლებად თავისუფლად სუნთქავენ, მაგრამ თუ კვლავ დაუბრუნდათ ის განცდა, რომ კვლავ აშანტაჟებენ, უთვალთვალებენ და პირად ცხოვრებაში ერევიან, ამომრჩეველი იკითხავს — რა შეიცვალა ამ ქვეყანაში?!.“**

მზად იყვნენ რეჟიმთან ბრძოლაში შესასვლელად... ხოლო ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აღმასრულებელ ხელისუფლებაში პოსტები გადანაწილდა პარტიული კვოტების მიხედვით და ეს პოსტი ირაკლი ალასანიას გუნდს ერგო. თავად ირაკლი ალასანიას პარტიამ წარადგინა კანდიდატები ამა თუ იმ პოსტზე... თუმცა მე რომ ვყოფილიყავი გადაწყვეტილების მიმღები და ეს ამბავი მცოდნოდა, პირადად ვეტყოდი იმ პარტიას, რომ თქვენ გაქვთ სისუსტე, რაც შეიძლება ვიღაცამ ბოროტად გამოიყენოს.

**— სხვათა შორის, ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც ამ მხრივ პატიოსნად მოიქცა, იყო კობა დავითაშვილი, რომელიც მივიდა ივანიშვილთან და უთხრა, რომ ის ვერ გამოდგებოდა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, რადგან მას ჰქონდა ბევრი სისუსტე, რასაც ოპონენტები გამოიყენებდნენ... ბოლო თვეებია, მუსირებს აზრი, რომ ხელისუფლება ცდილობს ალასანიას პარტიის წევრების**

– ერთი რამ ფაქტია, რომ, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი აზიანებს ხელისუფლებას, თან გრძელვადიან პერსპექტივაში. თუ ფარული ჩანაწერები გაგრძელდა, ამომრჩეველს გაუჩნდება კითხვა, ხელისუფლებას არც ერთი მიმართულებით არ აქვს სერიოზული პოზიტივი... ერთადერთი პოზიტივი არის ის, რომ ხალხს იმ რეჟიმის შიშის განცდა აღარ აქვს, მეტ-ნაკლებად თავისუფლად სუნთქავენ, მაგრამ თუ კვლავ დაუბრუნდათ ის განცდა, რომ კვლავ აშანტაჟებენ, უთვალთვალებენ და პირად ცხოვრებაში ერევიან, ამომრჩეველი იკითხავს – რა შეიცვალა ამ ქვეყანაში?!. თუ თავისუფლად სუნთქვის პოზიტივიც გამოეცალა ამ ქვეყანას, მაშინ რაღა დარჩება? არც არაფერი და მთლიანად ნეგატივში გადადიან და ეს წინასაარჩევნოდ „ქართულ ოცნებას“ ძალიან ძვირი დაუჯდება.

**— გოგი თოფაძისა და თინა ხიდაშელის დაპირისპირება დროებით გადაიფარა, თუმცა** თავდაცვის მინისტრის პოლიტიკური განცხადებები მაღალი ხიფათის შემცველი იყო, მის განცხადებებს უსმენდნენ ოფიცრები, ჯარისკაცები. წარმოიდგინეთ, ხიდაშელს რომ მაღალი ავტორიტეტი ჰქონოდა ქართულ არმიაში, ამას შეიძლება სამხედრო გადატრიალების რისკებიც კი გაეჩინა. ჩვენდა საბედნიეროდ, თინა ხიდაშელს არ აღმოაჩნდა მაღალი ავტორიტეტი და როგორც ჩანს, ჯარმა ძალიან არასერიოზულად შეხედა მის განცხადებებს. ზოგჯერ ასეც ხდება, – მინისტრის დაბალი ავტორიტეტი სასარგებლოა ქვეყნისთვის.

**— პრემიერ-მინისტრმა გუბერნატორების მოხსნით დაიწყო საკადრო რეფორმის გატარება. ეს შეეხება მინისტრთა კაბინეტსაც?**

– ბუნებრივია, მინისტრთა კაბინეტში ცვლილებები უნდა განხორციელდეს. მიუხედავად იმისა, რომ კვირიკაშვილმა შექმნა მიზიდულობის ცენტრი, რეალურად ის არ ფლობს ძალაუფლების არანაირ ბერკეტებს. გარკვეულწილად ის არის ვირტუალური ფიგურა, რომელიც კარგად გამოიყურება, აკეთებს სწორ განცხადებებს, არ შედის კონფლიქტში. გარკვეული სიმპათიები საზოგადოებაში გააღვიძა, მაგრამ მას არ აქვს არანაირი ინსტრუმენტი, რომ ვერტიკალი დალაგდეს. მას არ ჰყავს არც ერთი თავისი დანიშნული მინისტრი, შესაბამისად, არც ერთ მინისტრს არ აქვს ის განცდა, რომ ის არის ვერტიკალური სტრუქტურის ნაწილი. მე ვფიქრობ, კვირიკაშვილმა დააგვიანა ეფექტური სამთავრობო გუნდის ჩამოყალიბება. როდესაც გაჩნდა განცდა, რომ ის რაღაც გადაადგილებებს გააკეთებდა, ამისთვის მოითხოვა ორი თვე კვირიკაშვილმა, მაგრამ დღემდე ცვლილება არ განუხორციელებია. ეს მიანიშნებს მის სისუსტეზე ძალაუფლების გაგებით. კვირიკაშვილი არ არის გადაწყვეტილების მიმღები ცენტრი.

**— დაბოლოს, ერთ-ერთი მთავარი თემა, ეს არის თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე საპროტესტო აქციები. სტუდენტები აპროტესტებენ კანცლერის პოსტზე გაფრინდაშვილის კანდიდატურას, რომელიც ეჭვმიტანილია „ნაცმოძრაობის“ დავალებების შესრულებაში. აპროტესტებენ „ოდეერებს“ და ა.შ. როგორც წესი, რევოლუცია სტუდენტების ამბოხებით იწყება ყველგან და ყოველთვის. რას უნდა ველოდოთ ამ პროცესისგან და ეს ყველაფერი რით დასრულდება? არჩევნების წინ რატომ დაიძაბა იქ ვითარება?**



ექსპერტი

– ყველა მიმართულებით პრობლემები აქვს ხელისუფლებას და ბუნებრივია, ყველა საზოგადოებრივი ჯგუფი იქნება აგრესიული ამ პერიოდში. რაც შეეხება უნივერსიტეტს, ამ ქვეყანაში გარკვეულწილად თავისუფლების სიმბოლოა. მოსალოდნელიც იყო, ეს პროცესები სათავეს აიღებდა, რაც შეეხება სტუდენტების მოთხოვნებს და მათ ტონს, „ოდეერების“ ნაწილში ამას სრულიად ვიზიარებ, არა მხოლოდ უნივერსიტეტში, „ოდეერის“ ინსტიტუტი არსად არ უნდა არსებობდეს, ეს არის საშინელი საბჭოური გადმონაშთი და ცალსახად გასაუქმებელია. სხვა საკითხია, ის ადამიანი რამდენად არის ბრალდების ადრესატი, იგი ითხოვს სტუდენტებთან შეხვედრას, რაზეც სტუდენტები თავს იკავებენ. რატომ? აი, ეს არის ჩემთვის გაუგებარი. ეს მიტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ამ პროტესტში რაღაც წესრიგში არ არის. მათ დაიწყეს პოლიტიკის თამაში – ბოიკოტი ტელევიზიას, ოპონენტთან შეხვედრაზე უარის თქმა, ეს არ არის ახალგაზრდების ნატურალური პროტესტი, ეს უკვე პოლიტიკური თამაშის რაღაც ნაწილია....

## „ღარიბაშვილის გუბერნატორები“ მიდიან — კახეთი და გურია



„პირველი რადიოსთვის“ ცნობილი ხდება, რომ მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის გუბერნატორების შემდეგ, თანამდებობას კიდევ 2 გუბერნატორი დატოვებს. საუბარია, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულზე – გია სალუქვაძეზე და კახეთში სახელმწიფო რწმუნებულზე ირაკლი შიოლაშვილზე.

თავად შიოლაშვილი ინფორმაციას არ ადასტურებს, თუმცა, როგორც სახელმწიფო კანცელარიაში პირად საუბრებში აცხადებენ, შიოლაშვილისა და სალუქვაძის წასვლა გადაწყვეტილია.

ორივე მათგანი ყოფილი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის კადრებად მოიაზრებიან. გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, თვის ბოლომდე თანამდებობა კიდევ რამდენიმე გუბერნატორმა დატოვოს, რომლებიც, ასევე, ე.წ. ღარიბაშვილის დაჯგუფებას მიეკუთვნებიან. (პირველი რადიო)

## „გაპრავება“ ბევრი გვინახავს, მაგრამ ასეთი უნიჭო, კაცო?!



„თურმე, როგორ შეიძლება „გაზპრომთან“ საუბარი, როცა რუსეთმა ჩვენი ტერიტორიები დაიკავა. მწვანილის, ღვინის გატანა შეიძლება და თუ ასე ვუდგებით, მაშინ თურქეთიდან რომ ამდენი ნაგავი შემოაქვთ, იქ არ არის ჩვენი ტერიტორიები დაკავებული? ნებისმიერი წარმატებული პროექტი, რასაც აკეთებს ჩვენი ხელისუფლება კრიტიკის ქარ-ცეცხლში ხვდება“, – გოგი თოფაძის ამ განცხადებას, რომელიც დეპუტატმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა, მისი კოლეგა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ალექსანდრე ქანთარია აფასებს.

– თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და ჩვენ ამ განცხადებას ვემიჯნებით. ასეთი განცხადებები ასეთ დროს და საერთოდ, პარტნიორ ქვეყანაზე, მიუღებელია. თოფაძეს ტექსტი სხვა მიმართულებით მიჰყავდა და ამაში სხვა აზრი იდო. დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო წამოცდენა და გამიზნულად არ უთქვამს. არ მგონია, რომ მას ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყნის წყენინება სურდა. ნამდვილად არ ჰქონდა გამიზნული აგრესიული განცხადების გაკეთება, მაგრამ შედეგი, სამწუხაროდ, ასეთი გამოვიდა, – ამბობს ალექსანდრე ქანთარია. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საწვავი ძვირდება — რამდენით მეტს გადაიხდიან მძღოლები?



უახლოეს დღეებში საწვავზე ფასების ტოტალური ზრდა მოსალოდნელი არ არის, თუმცა, შესაძლოა, ძირითადად, არაბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე, საწვავი 5 თეთრით გაძვირდეს.

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა და იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი განმარტავს, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის მატების ტენდენცია ფიქსირდება, ამიტომ თუ ვითარება არ შეიცვალა და „შავი ოქროს“ ღირებულება არ შემცირდა, ეს საქართველოში საწვავის ფასზეც აისახება.

– 1 ბარელი ბრენტის მარკის ნავთობის ფასი არის 40-დოლარიან ნიშნულზე, რაც გასული წლის 20 დეკემბრის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ჩვენთან საწვავის ფასი ორ ფაქტორზეა დამოკიდებული – ლარის კურსი და საერთაშორისო ფასები. ლართან დაკავშირებით ვითარება ოპტიმისტურია. თუ საერთაშორისო ბაზარზე მოცემულობა არ შეიცვალა და ეს ფასები დარჩა, შეიძლება ერთი კვირის შემდეგ, გარკვეულ კომპანიებს ფასების მატება მოუწიოს, – განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა.

ასევე, ის არც იმას გამორიცხავს, რომ ლარის გამყარების შემთხვევაში, საწვავზე ფასები აღარ გაიზარდოს, ან მატება მხოლოდ არაბრენდირებულ ან ისეთ კომპანიებს შეეხოს, რომლებსაც პროდუქტი ძვირად აქვს ნაყიდი. (რადიო ფორტუნა)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რატომ არ ამხელს გამოძიება ბუკა პეტრიაშვილზე თავდასხმის მოტივს?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37





გამოძიებამ „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილის დაჭრისა და ცემის ფაქტი გახსნილად გამოაცხადა. სამართალდამცველებმა ბორჯომში დააკავეს ლევან მექვაბიშვილი. გამოძიება ამტკიცებს, რომ მექვაბიშვილის სახლიდან ამოიღეს ის ჩაქუჩი, რომელიც მექვაბიშვილმა რამდენჯერმე ჩაარტყა თავში პეტრიაშვილს, ვიდრე მას მისი თანმხლები მეორე პიროვნება იარაღიდან ესროდა. გამოძიების მტკიცებით, ჩაქუჩს სისხლის კვალი ახლაც ატყვია. ეს ფაქტი კი ეჭვს ბადებს. ერთი, რომ დანაშაულის იარაღს დამნაშავენი პირველ რიგში იშორებენ, მით უფრო, ჩაქუჩს რატომ შეინახავდა მექვაბიშვილი? გამონაკლის შემთხვევაში, დამნაშავენი მხოლოდ ცეცხლსასროლ იარაღს იტოვებენ, ინახავენ და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ იარაღით სხვა დანაშაულის ჩადენა აქვთ განზრახული. პროკურატურას ამ საჭოჭმანო კითხვაზე პასუხი აქვს გასაცემი.

ლევან მექვაბიშვილის დედა, თამარ მანჯგალაძე აცხადებს, რომ მისი ბრალდებული შვილი იცნობდა ბუკა პეტრიაშვილს, რომელმაც ლევანს ადრე შეურაცხყოფა მიაყენა: „ჩემი შვილი ამბობს, რომ პირადი ანგარიშსწორება იყო. მეტს მე ვერაფერს გეტყვით. ზუსტად არაფერი ვიცი, ჩემი შვილი რაც დააკავეს, მას შემდეგ არ მინახავს. ვიცი, რომ ნაცნობობა არ აკავშირებდათ, მაგრამ პეტრიაშვილს ჩემი შვილისთვის რაღაც შეურაცხყოფა მიუყენებია. ესეც გადმოცემით ვიცი, თორემ ჩემს შვილთან არ მილაპარაკია“. ლევან მექვაბიშვილის ადვოკატი მარინა ფილაურიც აცხადებს, რომ მექვაბიშვილი და პეტრიაშვილი ადრე ერთხელ შეხვდნენ.

სამართალდამცავებმა იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავეს ლევან მექვაბიშვილის ბიძა, ლევან გუნია. ასევე, მისი მეგობარი, გელა კალანდია. რა კავშირი აქვთ მათ საბურთალოს სასაფლაოზე მომხდარ დანაშაულთან, ამის შესახებ ჯერ გამოძიება არაფერს ამბობს. თუმცა, მექვაბიშვილის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ ლევან გუნიას დაკავება მექვაბიშვილზე ზეწოლის მიზნით განხორციელდა.

თავად ბუკა პეტრიაშვილი ლევან მექვაბიშვილთან ნაცნობობის შესახებ, ჯერჯერობით. არაფერს ამბობს. თუმცა, მისმა მეუღლემ, ეკა მიშველაძემ განაცხადა, რომ ბუკა პეტრიაშვილი მექვაბიშვილს არ იცნობდა და ცხადია, ეს მან მეუღლისგან იცის. შეგახსენებთ, პეტრიაშვილს 2 კაცი დაესხა თავს სასაფლაოზე, ერთი ნიღბით და მეორე – უნიღბოდ. სწორედ ნიღბიანმა ესროლა პეტრიაშვილს, მანამდე კი, უნიღბო მექვაბიშვილმა წააქცია და ჩაქუჩიც მან ჩაარტყა რამდენჯერმე თავში. მექვაბიშვილი, გამოძიების მტკიცებით, სწორედ ეს უნიღბო თავდამსხმელია.. მოკლედ, მექვაბიშვილის მხარე აცხადებს, დაზარალებული და ბრალდებული ერთმანეთს იცნობდნენ და ადრე მცირე კონფლიქტიც ჰქონდათო, მაგრამ ამას ბუკა პეტრიაშვილი უარყოფს. არადა, ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. დანაშაული არ არსებობს მოტივაციის, მიზეზის გარეშე და არც ეს დანაშაული იქნება, ცხადია, უმოტივაციო. თუ მექვაბიშვილის ახლობლები სიმართლეს ამბობენ და ისინი ერთმანეთს იცნობდნენ, მაშინ გამოდის, რომ დანაშაული შურისძიების გამო მოხდა, მექვაბიშვილმა პეტრიაშვილზე წარსულში მისთვის მიყენებული შეურაცხყოფის გამო სცემა და მისმა თანმხლებმა დაჭრა. თუ მექვაბიშვილი და პეტრიაშვილი ერთმანეთს არ იცნობდნენ, მექვაბიშვილი უბრალო შემსრულებელია დანაშაულისა და შემკვეთი მოსაძებნია. თუმცა, მესამე ვარიანტიც არსებობს. ბუკა პეტრიაშვილთან შურისძიების ან სხვა მიზნით ანგარიშის გასწორების მიზეზი არა მექვაბიშვილს, არამედ ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობ ნიღბიან თავდამსხმელს ჰქონდა. გამოძიება დანაშაულის მოტივაციის შესახებ დუმს და ჯერ არაფერს აცხადებს.

აქ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება. მოგეხსენებათ, ბუკა პეტრიაშვილი, ვიდრე მინისტრად დანიშნავდნენ, მანამდე დეპუტატი იყო და შესაბამისად, მას თავდაცვის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღის სიცოცხლის ბოლომდე ტარების უფლება აქვს. საბურთალოს სასაფლაოზე კი, სადაც დანაშაული მოხდა, პეტრიაშვილს იარაღი არ ჰქონდა. ამ და დანაშაულის მოტივის შესახებ თავად ბუკა პეტრიაშვილთან

**მსურდა რამდენიმე კითხვის დასმა, მაგრამ მან ჩემს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა. „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა კი მითხრა, ბუკა იარაღს საერთოდ არ ატარებს, მიუხედავად იმისა, რომ ამის უფლება აქვს, მის ხელში იარაღი საერთოდ არ მინახავსო. იქვე დასძინა, მას შემთხვევის ადგილას იარაღი რომ ჰქონოდა, ამოეღო და თავდამსხმელთათვის სროლა დაეპირებინა, ცოცხალს არ დატოვებდნენო. თუმცა, ეს ცოტა საეჭვოა. ბუკა პეტრიაშვილმა და მისმა სამმა თანმხლებმა პირმა დაინახა, რომ მათი მიმართულებით ორი უცნობი მოდის, ერთი ნიღბით და ხელში იარაღით, მეორე კი უნიღბოდ და ხელში ჩაქუჩით. ეს უკვე საფრთხის სიგნალია.**

**ამ დროს ბუკა პეტრიაშვილს იარაღი რომ ჰქონოდა და თავდამსხმელთათვის დაემიზნებინა, ვეჭვობ, ჩანაფიქრის განხორციელება გაებედათ.**

**რასაკვირველია, ბუკა პეტრიაშვილის ნებაა, იარაღს ატარებს თუ არა, ვერავინ დააძალებს, რაკიღა ტარების ნება გაქვს, გინდა თუ არა, ატარეო. ისე, ახლა ეჭვი მაქვს, თუ არა აქვს იარაღი, შეიძენს მას და აღარ მოიშორებს. თუმცა, აქ ერთია მთავარი. ეკა მიშველაძე, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერები ხელისუფლებას აკრიტიკებენ, ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომია და მოძალებულ დანაშაულს ვერ უმკლავდებაო. კი, ამაში ვეთანხმები მათ, მაგრამ დეპუტატებს ხელისუფლებამ თავის დროზე ხომ იმიტომ დაუკანონა იარაღი, რომ თავი დაეცვათ? როცა გაქვს საშუალება, კანონით მონიჭებული უფლება, თავი დაიცვა, დანაშაულის პრევენცია განახორციელო, ადექი, შე დალოცვილო, იყიდე ერთი იარაღი, თუ სროლა არ იცი, ისწავლე და საკუთარი თავი მაინც დაიცავი?**

### შურისძიება

კარგი, ეს ჯერჯერობით და სავარაუდოდ, შურისძიების ნიადაგზე მომხდარი დანაშაული იყო, მაგრამ ბუკა პეტრიაშვილი დეპუტატობის გარდა, გახლდათ სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში 2012-2014 წლებში. შესაბამისად, მას წვდომა ჰქონდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არაერთ ინფორმაციასთან და შესაძლოა, სახელმწიფო საიდუმლოებასთანაც. ბუკა პეტრიაშვილი ვინმეს რომ მოეტაცა მისგან ამ ინფორმაციის მიღების მიზნით, მაშინ დაზარალებული მხოლოდ ის კი არა, სახელმწიფო გამოვიდოდა. შესაბამისად, სახელმწიფო, უპირველესად იმიტომ აძლევს დეპუტატებს იარაღის ტარების უფლებას, რომ ისინი საფრთხის შემცველი ინფორმაციის მატარებლები არიან, მათით, კაცმა არ იცის როდის, შესაძლოა, სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები დაინტერესდნენ, ან სულაც დანაშაულებრივი სინდიკატის წევრები და გატაცების თუ სხვა გზით, მათგან საჭირო ინფორმაციის გამოძალვას შეეცადონ...

# ლეო მაკკენა: „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი სამედიცინო ხარჯების 30 პროცენტით შემცირებას გვპირდება“



**ქართული კლინიკები გარკვეულ პერიოდში ევროპულ სტანდარტებს უნდა მიუახლოვდნენ. ერთ-ერთი ამბიციური რეფორმატორული პროექტის ფარგლებში სამი ძირითადი საავადმყოფოს, კერძოდ, ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოს, თბილისის ონკოლოგიური ცენტრისა და თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს სრული რეაბილიტაცია იგეგმება, ამასთანავე, პროექტი სამედიცინო ხარჯების 30 პროცენტით შემცირებას გვპირდება.**

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში საქართველოს საპარტნიორო ფონდმა ალფამედიკის კონსორციუმთან და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად გეგმის განხილვა დაიწყო. ქართული და ავსტრიული მხარეები სამედიცინო კლასტერის PPP პროექტის განხილვის მიზნით, ერთმანეთს თბილისში რამდენჯერმე შეხვდნენ.

აღნიშნული პროექტი ალფამედიკის კონსორციუმის მიერ საქართველოში ჯანდაცვის (მათ შორის პირველადი ჯანდაცვის) სერვისების გაუმჯობესების ფარგლებში მთავრობის მიერ გამოცხადებული ტენდერისთვის იქნა შემუშავებული.

ალფამედიკის კონსორციუმის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან, სამი საავადმყოფოს რეაბილიტაციის პროექტში 250 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელონ.

მინისტრის განცხადებით, მოსალოდნელია, პროექტის ჯამური ღირებულება 0,5 მილიარდ ლარს მიუახლოვდეს, რომელიც, ხელშეკრულების თანახმად, ერთობლივად დაიფარება ტენდერში გამარჯვებული კომპანიისა და საპარტნიორო ფონდის მიერ.

ამ მნიშვნელოვანი დეტალების უკან, მეტად დამაინტრიგებელი ფაქტორია – როგორ აპირებს ავსტრიული მხარე ზემოხსენებული პროექტის განხორციელებას?!

ვენაში დაფუძნებული კომპანია ფოკუსირებას PPP პროექტებზე ახდენს. უფრო შესაფერისი იქნება, ვთქვათ, რომ ეს არის ხარისხისა და ფულის თანაფარდობის პროექტი, შედეგზე ორიენტირებული შეთანხმება, რომელიც მონიტორინგს უწევს გამარჯვებული კომპანიის ვალდებულებას – მოიზიდოს ინვესტიციები და შექმნას სამი საავადმყოფოს განვითარების გეგმა. ამასთანავე, ალფამედიკის კონსორციუმმა უნდა დააპროექტოს, ააშენოს, აღადგინოს და მოახდინოს სახელმწიფო სამედიცინო კლინიკების მაღალი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, რათა ისინი მიუახლოვდნენ ევროპულ სტანდარტებს.

**ალფამედიკის სატენდერო განვითარების ხელმძღვანელი ლეო მაკკენა, რომელსაც აქვს უდიდესი გამოცდილება და ცოდნა PPP პროექტებთან მიმართებაში, ხაზს უსვამს ვალდებულებას, კერძოდ, რაც მას და ალფამედიკს საქართველოს მომავალთან დაკავშირებით აქვთ დაგეგმილი.**

**ალფამედიკის წარმომადგენელი პირდაპირ აცხადებს, რომ მას და მის კომპანიას საქართველოსთვის „ხანგრძლივი მემკვიდრეობის“ აშენება სურს.**

– გვინდა, ეს იყოს ხანგრძლივი. ალფამედიკს სურს, სტრატეგიული ურთიერთობა განავითაროს, როგორც ჯანდაცვის სამინისტროსთან, ისე საპარტნიორო ფონდთან.

როდესაც საქმე განვითარებად სამედიცინო ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეხება, აუცილებელია, ვიყოთ ერთმანეთის არჩევანის მხარდამჭერნი, – განაცხადა მან.

გამომდინარე იქიდან, რომ ალფამედიკის კონსორციუმი კომერციული ორგანიზაციაა, ცხადია, ის საკუთარი ინვესტიციის დაბრუნებაშიც არის დაინტერესებული.

როგორც ჩანს, სამედიცინო კლასტერის პროექტი საპარტნიორო ფონდთან ერთად რისკზეა წასული – პროექტის 40 პროცენტი თანაბრად უნდა დაიფაროს ალფამედიკისა და საპარტნიორო ფონდის მიერ, დანარჩენი 60 პროცენტი კი ბანკისგან სესხის აღებით იფარება.

მაკკენა დარწმუნებულია, რომ პოტენციური კრედიტორების დეფიციტის საშიშროება არ არსებობს. მას არგუმენტად რისკებთან დაკავშირებული ფართო ფინანსური და ბაზრის ანალიზი მოჰყავს, რომელიც მისმა კომპანიამ პროექტის დაწყებამდე შეიმუშავა.

– ჩვენი გადაწყვეტილება არის ფინანსურად ეფექტური. ეს არის ცივი და მძიმე ციფრები, ემოციების გარეშე. ჩვენ როგორც ბევრი ფინანსური, ისე ოპერაციული მოდელი შევქმენია. ეს არის პროგნოზი ძალიან გონივრული ვარაუდებით, რომელიც გვეუბნება, რომ მოთხოვნა სწორედ აქ არის, – განაცხადა მან და აღნიშნა, რომ მთავარია, ადამიანმა მოინდომოს, და პოტენციური პრობლემები და წინააღმდეგობები საკუთარი თავდაჯერებულობით დაამარცხოს.

ანალიზი

# ვინ იხეირა და ვინ იზარალა ფარული ჩანაწერის გამოქვეყნებით

## ვინ იქნება შემდეგი?!!


ნინო სამხარაძე
599 71-14-22




ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ „თავისუფალი დემოკრატების“ რიგებში გაწევრიანდა, ფარული ჩანაწერის სკანდალზე, რომელიც მისი პარტიის ქალბატონ წევრს ეხება, „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ემოციურ სტატუსს აქვეყნებს, რომელიც ყველაზე ბოროტ არსებაშიც კი ადამიანს გაალვიძებს: „კარგა ხანს ვიჭოჭმანე, სანამ ამას გამოვაქვეყნებდი. გოეთე ამბობდა: ამქვეყნად არ არსებობს ცოდვა, რომელსაც მე ვერ ჩავიდენდიო. ყოველ ჩვენგანს აქვს მეორე, ფარული ცხოვრება, რომლისაც რცხვენია, რომელსაც თვალს არიდებს, ან კიდევ რაღაც გამართლებებით მოსავს და ცდილობს, ნორმად შესთავაზოს სხვებს. ახლა წარმოიდგინეთ, ერთ დღესაც ვინმემ ჩვენი მთელი ეს საიდუმლო ცხოვრება წინ რომ დაგვიდოს, ჰოდა, დაგვიდებენ... ამას მოჰყვება ნიშნისმოგებით ყიჟინი, რათა ვიღაცამ ასე დაივიწყოს საკუთარი სიბნელე და ვინძლო ღმერთსაც მოაწონოს თავი. აქ მთავრდება ჩვენი ქრისტიანობა და იწყება ბარბაროსობა. მტერსაც ის უნდა, ჩვენში ქრისტიანად წოდებული ბარბაროსები გაალვიძოს. თუ მეტი არ შეგვიძლია, თავი მაინც დავანებოთ იმ ადამიანს და ვაცალოთ, თავად გაერკვეს თავის ფიქრებში. დღეს საქართველოში ასე მძიმე დღეში თითქმის არავინ მეგულება, სხვა საქმეა, ვისურვებთ თუ არა მის პოლიტიკოსობას. უადგილოც არის ამაზე საუბარი. ახლა მის ადამიანურ ბედზეა ლაპარაკი და არა, პოლიტიკურ ბედზე, არც ეს გახლავთ პოლიტიკური განცხადება. ნამდვილად არა ვარ იმდენად „პოლიტიკოსი“, რომ ახლა, პოლიტიკური განცხადებები გავაკეთო, უბრალოდ, არავის გვინდა ისეთ სამყაროში ცხოვრება, სადაც თვალს გვადევნებენ, ჩუმად გვიღებენ, რათა ეს შემდეგ პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ, სადაც ასე შეიძლება ადამიანი გაიმეტონ. იმათ მივმართავ, ვის ხელშიც მსგავსი მასალაა, მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან, ან ვისი მითითებით მოქმედებენ, მათ ხელში ბოროტი იარაღია და თავისი ნებით უნდათ გაანადგურონ, თუ სურთ, რომ ადამიანური სახე შეინარჩუნონ. ის, რაც ამ კადრებშია, კიდევ შეიძლება აიხსნას სიყვარულით, გატაცებით და ა.შ. მათ კი, არავითარი გამართლება არა აქვთ და გამავრცელებლები ყველაზე ცუდი ადამიანები არიან ვინც კი მინახავს და ან გამიგონია. ცოდვილს მონანიებით ეშველება, ამათ, არაფერი. მათ სიცოცხლეშივე შეუძლიათ ზნეობის სახელით ადამიანს ჯოჯოხეთი მოუწყონ და მთელი ქვეყნის წინაშე, მარტო დატოვონ. უნდა მაპატიოთ ეს განცხადება, მესამე დღეა, გონს ვერ მოვსულვარ...“ ფაქტობრივად, ასეთ მდგომარეობაშია საქართველოს მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილი, უცნაური დამთხვევაა, ფარესაშვილის სკანდალი აღდგომის ღამეს გაავრცელეს სოციალურ ქსელში. ალასანიას პარტიის წევრის ფარული კადრებიც შენდობის კვირაში ატვირთეს, აღდგომის მძიმე მარხვის დასაწყისში. რა ხდება ჩვენს თავს, სატანამ იმძლავრა?! რატომ, ღმერთს განვუდექით?!. არ მეგულება ქვეყანა, სადაც ადამიანებს ასეთი სისასტიკისთვის იმეტებდნენ. ასე უმოწყალოდ ჩაქოლო ადამიანის სიცოცხლე და მერე უთხრა, – წამოდექი და ამ დამლით იარეო, ეს გაუგონარი სისასტიკეა... ასეც გაივლის, მაგრამ, ვინ იქნება შემდეგი?.. ვის გააუბედურებს კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფი, ვის ხელშიც ასეთი ბინძური იარაღია. იარაღი, რომელიც გამიზნულია, სახელმწიფოებრიობის მოსაშლელად და ადამიანების გასაწირად.

**მამუკა არეშიძე ჩვენს კითხვაზე, რა პოლიტიკური ახსნა აქვს ამ ყველაფერს, რა არის ამ ბოროტების საბოლოო მიზანი? — აცხადებს:**

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვილაც მუდმივად ცდილობს, შეინარჩუნოს დუღილის მაღალი ტემპერატურა, მუდმივი სკანდალის მოწყობის გზით. როცა ასეთი რამ ხდება და სოციალურ ქსელში იტვირთება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, ისმება კითხვა, – ამის გაკეთება ვის აწყობდა?.. ოპონენტებმა ვერ მოიყვანეს ვერც ერთი ისეთი არგუმენტი, რომელიც დამარწმუნებდა, რომ ამ კადრების გავრცელება ხელისუფლებას აწყობდა. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, ხელისუფლება თავის მართლებისა და სკანდალების გარჩევის რეჟიმში ცხოვრობს. ნამდვილად არ სჭირდება ხელისუფლებას დამატებითი სკანდალი, თან ისეთი პოლიტიკური ფიგურის წინააღმდეგ, რომელიც განსაკუთრებულ ამინდს არ ქმნის ოპოზიციაში. ეს არ იყო გამიზნული კონკრეტული პერსონის წინააღმდეგ, არამედ ეს იყო სიტუაციის დასაძაბავად გამიზნული აქტი. მაგალითად, მე ვერ ვხედავ არგუმენტს, რაში შეიძლებოდა დასჭირვებოდა ამის გაკეთება ხელისუფლებას, სამაგიეროდ, ვხედავ იმას, რაში შეიძლება დასჭირვებოდა ოპოზიციას. ზუსტად იმიტომ, რომ თითი გაეშვირა ხელისუფლებისკენ და ეთქვა, რომ ეს ყველაფერი არის ხელისუფლების გაკეთებული. რაც მოხდა, ეს ამბავი რამდენიმე მიზანს ემსახურება. პირველი, მიზანი ემსახურება იმას, რომ ამ ვიდეოების შემქმნელის კვალი დაიფაროს და ლაპარაკი იყოს არა ამ ვიდეოების შემქმნელებზე, არამედ იმაზე, რომ ხელისუფლებამ ფარული ჩანაწერები გამოიყენა ოპოზიციის წინააღმდეგ დისკრედიტაციისთვის. მეორე, ეს ფარული ჩანაწერი ორიენტირებული არ არის ქართველ საზოგადოებაზე, ძირითადად ეს ორიენტირებულია დასავლეთზე. ცოტა ხანში დასავლური პოლიტიკური ელიტისგან ჩვენ მოვისმენთ ასეთ ჩამოყალიბებულ აზრს, რომ საქართველოში არის ხელისუფლება, რომელიც პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით ცდილობს ოპოზიციის დისკრედიტაციას. ეს ფრაზა აუცილებლად იქნება ანტისახელისუფლებო ბაირაღზე გაკრული. დასავლეთში იმაზე კი არ იქნება ლაპარაკი, როდის და ვის მიერ არის ეს კადრები გადაღებული, ასევე იკითხავენ, კი მაგრამ, ეს კადრები ხომ განადგურდა, ჩვენ ასე ვიცით, საიდან და როგორ მოხვდა?.. ამ კადრების განადგურება იყო შეცდომა. როცა ხდებოდა კადრების განადგურება, ხელისუფლებას უნდა ეთქვა, რომ ამ კადრების მთლიანად განადგურება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგან არსებობდა დუბლიკატები.



„პრემიერ-მინისტრის ადგილას რომ ვიყო, აუცილებლად შევყრიდი დიპლომატიურ კორპუსს და მათ ვეტყოდი, რომ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს ჩაწერილი აქვთ თქვენს კოლეგებზე ფარული კადრები... დავუკონკრეტებდი დეტალებს, ახლა კონტრშეტევაა საჭირო“






„სულ მცირე, ორი ქალაქია, ბრიუსელი და სოჭი, სადაც არიან ადამიანები, ვისაც ეს კადრები აქვთ ცნობილ ქართველებზე, როგორც პოლიტიკოსებზე, ასევე ჟურნალისტებზე“

გაგრძელება მეათე გვ.

## „ერთსქესიანთა ქორწინების მხარდამჭერები გამოიკვეთნენ“



„დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ახვლედიანის განცხადებით, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, ერთსქესიანთა ქორწინების მხარდამჭერი პარტიები გამოიკვეთნენ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. მისი თქმით, სჯობს, ყველაფერს თავისი სახელი ერქვას და საზოგადოებამაც ზუსტად იცოდეს, ვის რა პოზიცია აქვს ამ ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ თემაზე ჩვენს ქვეყანაში.

– სამწუხაროა, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ეს პარლამენტი ცვლილებებს ვერ განახორციელებს და კონსტიტუციაში ქორწინების განსაზღვრებას ქალისა და მამაკაცის ცნება ვერ დაემატება, რადგან ქართული პოლიტიკის ლიბერტალიანელები – „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“ ამ ინიციატივის მხარდაჭერას არ აპირებენ იმ მოტივით, რომ თურმე ეს საკითხი აქტუალური არაა. ერთადერთი, რაც მე-8 მოწვევის პარლამენტს შეუძლია, გააკეთოს, ესაა საკითხის ინიცირება, საჯარო განხილვის მოწყობა და კენჭისყრისთვის მომზადება, – აცხადებს გიორგი ახვლედიანი.

მისი თქმით, კენჭისყრა უკვე მომავალ პარლამენტში უნდა მოხდეს, სადაც იმედია, 114 დეპუტატის მოძებნა, რომელიც ქართული ცხოვრების წესის კონსტიტუციით დაცვის მომხრეა, არ გაჭირდება. (pia.ge)

## სანიკიძის განცხადებით, მასწავლებელთა 83 პროცენტის ჩაჭრა გამოცდებზე „არც ისე სავალალოა“



– რა თქმა უნდა, შედეგები ნამდვილად არ არის სახარბიელო, მაგრამ ამ ეტაპზე უკეთესის მოლოდინი ნამდვილად არ იყო, – ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა. სანიკიძის თქმით, მსგავსი პრობლემა წინა წლებშიც იყო და ამიტომ სახელმწიფომ შექმნა ახალი სისტემა, რომლის ფარგლებშიც ყველა მასწავლებელს თანაბრად ექნება საშუალება, გადამზადება გაიაროს.

– ეს სისტემა ამოქმედდა 2015 წლის სექტემბრიდან. პირველად სისტემის ფარგლებში 2016 წლის ზამთარში ტესტირება ჩატარდა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ტესტის ჩაბარების უფლება მასწავლებელს აქვს კიდევ სამი წლის განმავლობაში და წელიწადში ორჯერ, გადამზადების კვალდაკვალ ისინი შეძლებენ, ჩააბარონ საგნობრივი ტესტი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ჩვენ დაწვრილებით გავიარეთ შედეგები, და არის საკმაოდ დიდი რაოდენობა მასწავლებლებისა, რომლებსაც დააკლდათ ნახევარი, 1 ქულა, 2 ქულა, რომლებიც არიან პოტენციურად იგივე შემდეგ საგამოცდო სეზონზე გამოცდის ჩამბარებლები, ამიტომ მდგომარეობა სახარბიელო არ არის, მაგრამ არც ისე სავალალო მდგომარეობაში ვართ, – აღნიშნა თამარ სანიკიძემ. (ipress.ge)

## ერდოღანის მეუღლემ ჰარამხანას ცხოვრების სკოლა უწოდა



თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეპ ტაიპ ერდოღანის მეუღლემ ემინე ერდოღანმა სოციალურ ქსელებში ემოციების ქარიშხალი გამოიწვია მას შემდეგ, რაც განაცხადა, რომ დადებითად უყურებს ოსმალეთის დროს არსებულ ჰარამხანებს.

ანკარაში, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას ემინე ერდოღანმა განაცხადა, რომ ოსმალეთის იმპერიის დროის ჰარამხანებზე დადებით წარმოდგენა აქვს.

– ჰარამხანა ოსმალეთის დინასტიის წევრებისთვის სასწავლო დაწესებულება იყო, რომელიც ქალებს ცხოვრებისთვის ამზადებდა, – განაცხადა ემინე ერდოღანმა.

პირველი ლედის ამ კომენტარმა თურქეთში სოციალური ქსელების მრავალი მომხმარებლის ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. როგორც ბრიტანული The Guardian წერს, ასეთი განცხადების შემდეგ ასობით ქალი პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდა. (postalioni.com)

## მიმართა თუ არა, ლესბოსელმა წყვილმა იუსტიციის სახლს დაქორწინების თხოვნით



მმართველი გუნდის მხრიდან ოჯახის შესახებ საკონსტიტუციო ჩანაწერის გაკეთების ინიციატივის გაჟღერების შემდეგ, ერთსქესიანი ადამიანების ქორწინების თემა ისევ აქტუალური გახდა.

სოციალური ქსელის ჯგუფებში განიხილება ისტორია, რომლის თანახმადაც იუსტიციის სახლს დაქორწინების თხოვნით ლესბოსელმა წყვილმა მიმართა.

როგორც იუსტიციის სახლის მარკეტინგული კომუნიკაციების და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა განმარტა, მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა და გავრცელებული ინფორმაცია, უბრალოდ, ჭორია.

– ასეთი შემთხვევა იუსტიციის სახლში არ დაფიქსირებულა. არც ერთ ჩვენს ოპერატორს ასეთი ტიპის წყვილი არ მიუღია, მათთვის მსგავსი თხოვნით არავის მიუმართავს, – განაცხადა იუსტიციის სახლის მარკეტინგული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ანი გიგინეიშვილმა. (plus.kvira.ge)

ანალიზი

მეცხრე გვერდიდან



**„ირაკლი ალასანიას პარტიის ერთი წევრი სასიკვდილოდ გაიმეტეს, ხოლო მეორეს დისკრედიტაცია მოახდინეს და ცოცხლად დამარხეს. ახლა ძალიან სერიოზული ხელმოსაჭიდი აქვს ირაკლი ალასანიას, მას შეუძლია, ხმამაღლა ილაპარაკოს, პრაქტიკულად, გამოდის, რომ პარტიას უნადგურებენ“**

მე თქვენთან ინტერვიუში ერთხელ ვთქვი, რომ, ჩემი ინფორმაციით, არსებობდა სულ მცირე ორი ქალაქი – ბრიუსელი და სოჭი, სადაც არიან ადამიანები, ვისაც ეს კადრები აქვთ ცნობილ ქართველებზე, როგორც პოლიტიკოსებზე, ასევე ჟურნალისტებზე. კონკრეტული პიროვნებები მაშინაც დავასახელე და ახლაც შეგახსენებთ, რომ ესენი არიან მეგის ქარდავა და „მასტერა“. პოლიტიკურ წრეებში ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ეს ორი ადამიანი ამ კომპრომატებით ცდილობდა ხელისუფლებასთან ვაჭრობას. ხელისუფლების მთავარი შეცდომა ის იყო, რომ შექმნა კოაბიტაციის რეჟიმი ასეთი ტიპის ადამიანებთან, კუდ-ის ყოფილ მაღალჩინოსნებთან, ზოგიერთი მათგანი დღესაც კი ითანამშრომლებს ხელისუფლებასთან და ეს ის ადამიანები არიან, ვინც თავის დროზე ეს კადრები შექმნა, ვინც ამას ორგანიზება გაუკეთა და დღეს ძალიან მაღალი ხარისხით, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ის კადრები თითო ეგზემპლარი არ იყო, რასაკვირველია, მას დუბლიკატები ჰქონდა. ჩვენი უბედურება ის არის, რომ ამ კადრებით მანიპულირება ქართველი საზოგადოებისა და ქართული პოლიტიკური სპექტრის, წლების განმავლობაში გაგრძელდება, როგორც არ უნდა შეიცვალოს ხელისუფლებები. ვიდრე ამ კადრებში გამოსახული ადამიანები იქნებიან პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიურები, მუდმივად იქნება ამ კადრების აქეთ-იქით ფრიალი. ეს არის „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაული, რომლებიც დღეს ცდილობენ საკუთარი დანაშაულის გადაფარვას და თითის გაშვერას ხელისუფლებისკენ. ეს ყველაფერი არის შედეგი იმისა, რასაც „ნაცმოძრაობა“ აკეთებდა წლების მანძილზე. ამ ხელისუფლებას საკრიტიკო და სალანძღავი იმდენი აქვს, რომ თქვენი გაზეთის ფურცლები ამას ვერ დაიტევს, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ამ ფარული ჩანაწერების გავრცელებასთან, ისინი კავშირში არ არიან. როცა ამ კადრების შემქმნელები და გამავრცელებლები ხელს იშვერენ ხელისუფლებისკენ, სად არის სამართალი? თუნდაც, ნიკა გვარამია. კაცმა შექმნა ამაზრზენი ფილმი „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, დღეს გამოდის და მორალის გვიკითხავს, თითს მაინცდამაინც ივანიშვილისკენ იშვერს. ივანიშვილს თავისი ცოდვები ეყოფა, მაგრამ ეს ის მდგომარეობა არ არის, როცა ნიკა გვარამიას შეუძლია, ხელი ივანიშვილისკენ გაიშვიროს. რაში უნდა დასჭირვებოდა ივანიშვილს ამ ჩანაწერის გავრცელება? ეს არის გამორიცხული, როგორ შეიძლება საკუთარი ხელით ხარაკირი ჩაიტარო და ხელისუფლებას საფრთხე შეუქმნა. ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციასა და პოლიტიკურ ლიდერებს აქცენტი გადააქვთ არა ამ უსასტიკეს დამნაშავეებზე, რომლებმაც ფირები ჩაწერეს, არამედ მათზე, ვინც გაავრცელეს. ეს საქმე თავიდან ბოლომდე უნდა გამოიძიოს ხელისუფლებამ, უნდა გავიდეს მათ კვალზე, ვინც ფარულ ჩანაწერებს სისტემური ხასიათი მისცა და ვისი ხელმძღვანელობითაც ეს კეთდებოდა. ვინც ასეთი ტიპის კადრების შექმნაში მონაწილეობდა, ყველას გვარ-სახელები უნდა გამოვლინდეს, ყველას უნდა მოეთხოვოს პასუხი და თითოეული მათგანის სახელი და გვარი უნდა იყოს ცნობილი. არ შეიძლება ასეთ ადამიანებზე ხელის დაფარება და ზოგიერთი მათგანის გამოყენება სხვადასხვა მიზნებისთვის. როცა ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ვესაუბრები და ვეკითხები, რატომ იყენებენ ამ ადამიანებს, მპასუხობენ, რომ ამ მიმართულებაში ფლობენ სიტუაციას, მათ დანაშაული მოინანიეს, გვჭირდება და ვიყენებთო. ასე არ ხდება. ადამიანს, რომელსაც ასეთი სიბინძურე აქვს ჩადენილი, ის გამოუსწორებელია და თავის დანაშაულს არასდროს მოინანიებს. დამნაშავეთა გამოვლენა იქნება ერთ-ერთი პრევენცია, მაგრამ ვერც ერთი ხელისუფლება დაზღვეული ვერ იქნება, ეს კადრები შეაჩეროს.

**— თქვენ მნიშვნელოვან ფაქტორზე გაამახვილეთ ყურადღება, რომ ეს სკანდალური ფირები გათვლილია დასავლეთისთვის, რათა დაარწმუნონ, რომ ოპოზიციაზე ხელისუფლება შეტევას ახორციელებს და ისინი პოლიტიკურად იდევნებიან. რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ ისინი საკუთარ სიმართლეში დაარწმუნოს?**

– პრემიერ-მინისტრის ადგილას რომ ვიყო, აუცილებლად შევყრიდი დიპლომატიურ კორპუსს და მოვახდენდი ამის დეზავუირებას. ჩემთვის ძალიან კარგად არის ცნობილია, რომ არა მხოლოდ ქართველ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებზეა მსგავსი კადრები, არამედ ზოგიერთი ნაწილი დიპლომატიურ კორპუსზეც არის გადაღებული. პრემიერის ადგილას მათ ვეტყოდი, რომ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს ჩაწერილი აქვთ თქვენს კოლეგებზე ფარული კადრები. დავუკონკრეტებდი დეტალებს, კონტრშეტევაა საჭირო, არ შეიძლება ხელისუფლება მუდმივად იყოს თავის მართლების რეჟიმში, ეს არის დამამცირებელი. სხვათა შორის, „ნაცმოძრაობა“ თავისი ხალხის წინაშე თავს არასდროს იმართლებდა, ის თავს მხოლოდ დასავლური პოლიტიკური ელიტის წინაშე იმყოფებოდა თავის მართლების რეჟიმში და ისიც, ფარულად, ხოლო ქართველი საზოგადოების წინაშე „ნაცმოძრაობა“ იყო მუქარის რეჟიმში, ამას თავისი შედეგი მოჰყვებოდა, სხვათა შორის, და ითვლებოდა, რომ ეს იყო ძლიერი ხელისუფლება. ხოლო დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც მუდმივად თავს იმართლებს, ის აღიქმება, როგორც სუსტი ხელისუფლება. ამის დაშვება კი არ შეიძლება. თუ ხელისუფლებამ თავის მართლების რეჟიმში მუშაობა გააგრძელა, მაშინ დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერა შემცირდება. მართალია, ახალი პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში მოსვლას ნაკლებად ვვარაუდობ, მაგრამ ზოგიერთი ოპოზიციური ძალის მიმართ მხარდაჭერა მკვეთრად გაიზრდება, მათ შორის როგორც ირაკლი ალასანიას პარტიის მიმართ, ასევე „ნაციონალების“ მიმართაც.

**— „ნაცმოძრაობა“ რომ ვეღარ მოვა ხელისუფლებაში, ეს თავადაც კარგად იციან. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს არის დიდი პოლიტიკური თამაშის ნაწილი, „ნაციონალებმა“ ტორპედოდ გამოიყენონ ირაკლი ალასანიას პარტია, მოახდინონ მისი წევრების დისკრედიტაცია, შეუქმნან დაჩაგრულის იმიჯი, თითქოს ხელისუფლება პროდასავლურ პარტიას ჩაგრავს, აშანტაჟებს, მის ლიდერებს თავს ესხმის, აშანტაჟებს და პოლიტიკურად უსწორდება. თითქოს, პოლიტიკურ ველზე დაპირისპირებულია პროდასავლური ოპოზიცია და პრორუსული ხელისუფლება. ეს აჩენს დიდ შანსს, მოხდეს კოალიციური გაერთიანება პროდასავლური ძალების და დასავლეთის ხელშეწყობით ისინი აღმოჩნდნენ ხელისუფლებაში?**

– ეს ყველაფერი შესაძლებელია, ეს ჩანაწერი რომ ოპოზიციას აწყობდა, ფაქტია, ის ცდილობს ხელისუფლების შესუსტებას და დასავლელი პარტნიორებისთვის დაჩაგრულების წარმოდგენას. ვინც ეს ჩაიდინა, არ არის გამორიცხული მას აწყობდეს როგორც ქვეყნის, ისე, ხელისუფლების დასუსტება და იყოს მართული როგორც დასავლეთიდან, ისე ჩრდილოეთიდან, მაგრამ რასაც ახლა თქვენ ვვარაუდობთ, რომ შესაძლებელია ამ სკანდალების ფონზე მოხდეს პროდასავლური ბლოკის ჩამოყალიბება არჩევნების წინ, არის ლოგიკა და გეთანხმებით, შესაძლებელია ასეც მოხდეს... არ ვიცი, სპეციალურად გაკეთდა თუ უბრალოდ, დამთხვევაა, ირაკლი ალასანიას პარტიის ერთი წევრი სასიკვდილოდ გაიმეტეს, ხოლო მეორეს დისკრედიტაცია მოახდინეს და ცოცხლად დამარხეს. ახლა ძალიან სერიოზული ხელმოსაჭიდი აქვს ირაკლი ალასანიას, მას შეუძლია, ხმამაღლა ილაპარაკოს, პრაქტიკულად, გამოდის, რომ პარტიას უნადგურებენ. საქმეში ჩაუხედავი უცხოეთში მცხოვრები ადამიანის თვალში, ეს ასე მოჩანს. ამ თვალსაზრისით ალასანიას მდგომარეობა კი არ დასუსტდა, გაძლიერდა. გაითვალისწინეთ, რომ საქართველოში ადამიანებს დაჩაგრული ეცოდებათ და მათ მხარდაჭერას უცხადებენ, ამის გამოყენებასაც ვიღაც შეეცდება დასავლეთში...

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



ალასანიას პარტიის წევრის, ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი ქალბატონის პირადი ცხოვრების ინტერნეტ-სივრცეში გამოქვეყნებამ საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ზოგისთვის ეს ფაქტი მისაღები აღმოჩნდა, ზოგისთვის (უმეტესობისთვის) მიუღებელი, მაგრამ მოდით, ამ ყველაფერს შევხედოთ კანონმდებლობის კუთხით. მაგალითად, „იუთუბიზე" ვიდეოს ატვირთვის შემდეგ ძალიან მალე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გააკეთა განცხადება, რომ შესაბამის დანაყოფებთან თანამშრომლობის შედეგად, „youtube.com"-მა უკანონოდ ატვირთული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალა დაბლოკა. ამავე განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ გრძელდება მუშაობა იმის დასადგენად, ვის მიერ მოხდა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების ინტერნეტ-სივრცეში უკანონოდ ატვირთვა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოუწოდა მოქალაქეებს და მედიასაშუალებებს, არ დაუშვან აღნიშნული ვიდეომასალის ტირაჟირება. პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონოდ გავრცელების ფაქტზე საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო.

კი, ბატონო, კეთილი და პატიოსანი, ამის შემდეგ მმართველ გუნდში იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების წარმოებისა და გავრცელების წინააღმდეგ სასჯელის გამკაცრებაა საჭირო. ბუნებრივია, აქ ჩნდება კითხვა: რა გვიწერია დღეს კანონმდებლობაში, ანუ სისხლის სამართლის კოდექსში, რომელშიც ბოლო ცვლილებები 2014 წლის 2 მაისს შევიდა და 157-ე მუხლი ასეთი რედაქციით ჩამოყალიბდა?

1. პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით – ვადით სამ წლამდე.

2. პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამოყენება ან გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებული ნაწარმოების, ინტერნეტის, მათ შორის, სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ოთხ წლამდე.

მუხლი 158. 1. კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება, აგრეთვე, კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვება ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ შენახვა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორიდან ოთხ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, რომელმაც მოპოვებული, შენახული ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოებს გადასცა და ჩადენილი, მოსალოდნელი სხვა დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაცია ამ გზით მიაწოდა.

დავუშვათ, ადამიანმა უკანონო ვიდეოს ან სხვა სახის ინფორმაციის გავრცელებისთვის გამოიყენა ინტერნეტ-კაფე, აეროპორტი, ან სხვისი კუთვნილი რაიმე ფართი, ამ შემთხვევაში ისჯება თუ არა მეპატრონეც? იურისტების განმარტებით, მეპატრონე დაისჯება იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება ხელშეწყობის, ანუ თანამონაწილეობის ფაქტი. ბოლო დღეებში გაკეთდა განცხადებებიც, რომ კანონის გამკაცრებასთან ერთად გატარდება პრევენციული ზომები, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს. კი, მაგრამ რა პრევენციული ზომები უნდა გატარდეს, გარდა იმისა, რომ შეიძლება იგივე „იუთუბიზე" ატვირთული ვიდეო დაიბლოკოს? როგორც „ალიას" სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში განუცხადეს, პრევენცია იქნება სწრაფი გამოძიება და დამნაშავის დასჯა. რაც შეეხება ტექნიკურ საკითხს – ამ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ ერთი რამ: ოფიციალური სამთავრობო ორგანო (მაგალითად, უსაფრთხოების სამსახური) ოფიციალურად მიმართავს „იუთუბის" ხელმძღვანელობას, რომ ესა თუ ის მასალა არის უკანონო და ითხოვს დაბლოკვას. ყველაფერი ხდება ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. ფაქტის დაფიქსირებამდე სოციალურ ქსელებში ცენზურა არ არსებობს.

კი, ბატონო, დავუშვათ, გარე ტირაჟირება დავბლოკეთ, როგორ გავაკონტროლებთ შიდა ტირაჟირებას? რეალობა ასეთია: ბევრმა მოასწრო და აღნიშნული ვიდეო გადაწერა თავის პერსონალურ კომპიუტერში და ახლა უგზავნიან ნაცნობ-მეგობრებს. ამ შემთხვევაში ვისჯებით თუ არა და როგორ? დიახ, ვისჯებით, თუკი აღნიშნული ვიდეო გავუგზავნეთ სხვას და იმ სხვამ განაცხადა, ანუ გვიჩივლა შესაბამის ორგანოებში. აქ უკვე მოქმედებს 159-ე მუხლი: პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ჩანაწერის ან ტელეგრაფით, კომპიუტერული სისტემით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების უკანონოდ მოპოვება, გახსნა, შინაარსის გაცნობა ან შენახვა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე. აქვეა ასეთი ჩანაწერი: „ტელეგრაფით, კომპიუტერული სისტემით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების უკანონოდ გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე". დაუკვირდით სიტყვებს – „ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა", რაც ნიშნავს შიდა ტირაჟირებას, ყოველ შემთხვევაში, ვისაც აღნიშნული ვიდეო გადაწერილი გაქვთ პერსონალურ კომპიუტერში, გაფრთხილებთ, ან წაშალოთ, ან თავი შეიკავოთ ნაცნობ-მეგობრებში გაგზავნისგან, რადგან არ იცით, ვინ როდის „ჩაგიშვებთ".

დაბოლოს, აქ საგულისხმოა პოლიტიკური და მორალური მხარეც: ამ ვიდეოს „გმირი" ქალბატონი დღეს არ წარმოადგენს ისეთ მძიმეწონიან ფიგურას, რომ ხელისუფლებას დაეწყო მის წინააღმდეგ რაიმე განსაკუთრებული კამპანია და შანტაჟი. ვის სჭირდებოდა ეს ყველაფერი და ვის წინააღმდეგ? მოდით, გავიხსენოთ ერთი სიუჟეტი, რომელიც 2013 წლის 15 აპრილს გავიდა „მე-9 არხის" ეთერში:

## თუ თქვენ სკანდალური სექსვიდეო გადმოწერეთ და ინახავთ ან მეგობრებს უგზავნით, დაისჯებით!






### გაფრთხილებთ!

„ვრცელდება საქართველოდან გაუჩინარებული ყოფილი მაღალჩინოსნის, მეგის ქარდავას მუქარა, ის ციხიდან ბრალდებულ ბაჩო ახალაიას განთავისუფლებას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნებას გეგმავს. ქარდავას რომ ქვეყნიდან პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები აქვს გატანილი, ახალაიას ადვოკატიც ადასტურებს".

ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის თქმით, თურმე მეგის ქარდავა ფიქრობს, რომ ბაჩო ახალაია „წმინდანია" და დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს ციხიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქარდავა მართლა გამკეთებელია, რომ „ქართული ოცნების" მაღალჩინოსნებზე კომპრომატები გამოაქვეყნოს. მართალია, ეს სიუჟეტი რაღაცაზე მიუთითებს, მაგრამ მაინც რჩება შეკითხვები: პირველი – თუ უკვე გამოქვეყნებული ვიდეო ბაჩო ახალაიას განთავისუფლებას უკავშირდება, მეგის ქარდავას ახლა გაახსენდა, რომ მისი ძმაკაცი ციხეში ზის? აქამდე რატომ არ იმოქმედა? ამაზე მხოლოდ ერთი მყარი ვერსია ფიგურირებს, ვიღაცა გააფრთხილეს, ვიღაცებს ნიშანი მისცეს და უბრალოდ, ამით დაიწყეს. მეგის ქარდავა თუ ვინმე მსგავსი ორი კურდღლის მოკვლას ცდილობს, ერთი მხრივ, „ქართულ ოცნებას" ურტყამს, მეორე მხრივ – გარკვეულ ჯგუფს ამყოფებს პანიკაში. თანაც ეს ხდება საპარლამენტო არჩევნების წინ, რაც მესამე კურდღლის მოკვლის ტოლფასია. თუკი ყველაფერი ასეა, მაშინ დროც სწორად ყოფილა შერჩეული. რაც შეეხება მორალს, ამაზე დღეს მაინცდამაინც ყურადღებას არ ამახვილებენ. არადა, ჩვენ ევროპის ქვეყნებისა თუ ამერიკის მაგალითზე ვიცით, რომ პოლიტიკოსებს ხშირად ერთ მცირე გადაცდომასაც კი არ პატიობენ. აქ უკვე ძალას კარგავს ქადაგება: „პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია". საქმე საქმეზე რომ მიდგეს, პოლიტიკოსის პირადი ცხოვრება არ არის ხელშეუხებელი, პიროვნება, რომელიც საკუთარ ოჯახს, შვილებს ღალატობს, როგორ ფიქრობთ, ქვეყანას არ უღალატებს?

### „ბუსუსებიანი კონდომები ხომ აკრძალა პარლამენტმა? ჰოდა, კეთილი ინებონ და ახლა „ტიტლიკანა" სექსი აკრძალონ"

**ანი, 20 წლის, სტუდენტი:**

– პირად ცხოვრებას იმიტომ ჰქვია პირადი, რომ მხოლოდ და მხოლოდ შენ გეკუთვნის... ვისი რა საქმეა, ვისთან ხარ და რას აკეთებ, არ მესმის. არავის არაფერი შერჩენია და არც შერჩება. დამნაშავე კი სამაგალითოდ

#### ხალხის აზრი

უნდა დაისაჯოს კანონის უმკაცრესი ზომებით!!!

ისე, სახუმარო თემა არაა, მაგრამ ბუსუსებიანი კონდომები ხომ აკრძალა პარლამენტმა? ჰოდა, კეთილი ინებონ და ახლა „ტიტლიკანა" სექსი აკრძალონ. დაკანონდეს ქართული, მამულიშვილური სექსი, მხოლოდ ჩოხა-ახალუხში და ჩიხტიკოპით! რა იცი, რა ხდება და ვინ გიღებს.

*მაკა დეკანოსიძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## იუნა შაფათავა ყოფილ ქმარზე კომენტარს აღარ გააკეთებს — „მე თქვენს აბსურდსა და რეიტინგს ვჭირდები"



მსახიობი და პიარმენეჯერი იუნა შაფათავა სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს. იუნა ყოფილი ქმრის თემით სპეკულირებას არ აპირებს და იგივეს ჟურნალისტებსაც ურჩევს.

– გუშინ მთელი დღე ტელეფონი არ გაჩერებულა, ყველა არხთან ერთი და იგივე კომენტარი გავაკეთე. დღეს დილიდან იგივე ხდება, თუმცა მე არ გიპასუხებთ. უკვე ვთქვი, რის თქმაც საჭიროდ ჩავთვალე. თქვენ ერთობით და თან რაღაც აბსურდული თეორიების მოძიებით, გამოძიებას უშლით! მე არ ვჭირდები გამოძიებას, მე თქვენს აბსურდსა და რეიტინგს ვჭირდები, დებილი „სექს ვამპირის" და „კრიმინალის" ტაბლოიდური ისტორიისთვის. არც მე ვარ ვირჯინია ჰილლი, არც ჩემი ყოფილი ქმარია ბაგსი სიგალი. არ ვაპირებ ამ თემით სპეკულირებას და არც თქვენ გირჩევთ. დამანებეთ თავი, – წერს იუნა შაფათავა.

ცნობისთვის, მსახიობის ყოფილი ქმარი პოლიტიკოს ალექსი პეტრიაშვილის დაჭრაშია ეჭვმიტანილი. (daijesti.pia.ge)

## 17 მარტს გაირკვევა, დარჩება თუ არა აბანოთუბანი აბანოების გარეშე



შპს „ბახმარო", შპს „ჯორჯიან სპა", შპს „შაკო", შპს „ჭრელი აბანო" და შპს „ნარიყალა" თბილისის გოგირდის აბანოებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ.

განცხადებაში აღიშნულია, რომ თუ წყლის გადასახადის გადახდის წესი არ გადაიხედება, 17 მარტიდან აბანოების მუშაობა შეჩერდება.

მათი ინფორმაციით, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის მაქსიმალური ზღვარი გამოიყენა და აბანოებს დაღვრილი წყლის გატარება-გაწმენდის გადასახადი გაუათმაგა. (pia.ge)

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „რესპუბლიკური პარტია“ არის სიმსივნე კოალიციაში!



„უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე კოალიციიდან „რესპუბლიკური პარტიის“ გასვლის აუცილებლობაზე საუბრობს.

როგორც მჟავანაძე აცხადებს, კონსტიტუციაში ოჯახის განმარტების განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით „რესპუბლიკური პარტიის“ პოზიცია ქვეყნის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტის აზრს ეწინააღმდეგება:

– „რესპუბლიკური პარტია“ საუბრობს, რომ მათთვის ქორწინებასთან დაკავშირებით, საკმარისია სამოქალაქო კოდექსში არსებული ჩანაწერი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ქვეყნის ძირითადი კანონი არის კონსტიტუცია. არის საფრთხე, ვინმემ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს სარჩელი, რომ სამოქალაქო კოდექსის ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს. რესპუბლიკური პარტია არის სიმსივნე კოალიციაში, რომელიც, თუ არ მოიკვეთა, კოალიციისთვის მომაკვდინებელ შედეგს გამოიწვევს. პარტია, რომელსაც ყველა სტრატეგიული, ეროვნული ცნობიერების კუთხით განსხვავებული პოზიციები აქვს, შეუძლებელია, დარჩეს კოალიციაში. თუკი ნება იქნება, შესაძლებელია, ეს საკონსტიტუციო ცვლილება არჩევნებამდე მოესწროს, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ. (რეპორტიორი)

## ზურაბ აბაშიძე: არ გამოვრიცხავთ, წელს რუსეთთან სავიზო რეჟიმი მოიხსნას

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის თქმით, პრაღაში გრიგორი კარასინთან დაგეგმილი შეხვედრა 16 მარტს გაიმართება. აბაშიძემ განაცხადა, რომ შეხვედრაზე რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე ისაუბრებენ.

– პირველი პირების შეხვედრასთან დაკავშირებით, რაიმე სიახლე არ არის. საუბარი გვექნება სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით, არ გამოვრიცხავთ, რომ წელს სავიზო რეჟიმი მოიხსნას, ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა თქვა, საგარეო უწყებამაც გააკეთა შესაბამისი კომენტარი, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

(businesscontact.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რატომ მოხდა ალასანიას გუნდის

## კახა კუკავა: „რად უნდა ამ საქმის გამოძიებას მილიონი?!. რომელიმე რაიონის პროკურორად



**„მე თქვენ რამდენიმე წლის წინათ მოგეცით ინტერვიუ, რომ ფარული ჩანაწერები აუცილებლად გამოქვეყნდებოდა, ეს რწმენა გამიჩნდა მას შემდეგ, როცა პირდაპირ ეთერში გადაიცა, როგორ ანადგურებდა პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოებს მაშინდელი შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. ეს იყო პირდაპირი ალიბის შექმნა“**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



გასული კვირის სკანდალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ადამიანები ცხოველებზე საშიშები არიან. ეს არის ბოროტება, რითაც არა ერთ ადამიანს, არამედ ამ ადამიანის ოჯახის წევრებს, ნათესავებს უსწორდები და სამუდამოდ უსვამ წერტილს მისი, როგორც პიროვნების არსებობას. ერთ-ერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ქალბატონის პირადი ცხოვრების ფარულმა ჩანაწერმა ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოებაში გააჩინა შიში, დაუცველობის შეგრძნება და სახელმწიფოს ცნება წალეკა, ჩვენ სახელმწიფოში არ ვცხოვრობთ, ამას სახელმწიფო არ ჰქვია. თავმოყვარე ხელისუფლების პირობებში ვერავინ ვერ უნდა ბედავდეს მსგავსი ჩანაწერის გამოქვეყნებაზე ფიქრსაც კი, არამცთუ მის განხორციელებას. მაგრამ ხელისუფლება რომ თავმოყვარე არ არის, ამაში მაშინ დაგვარწმუნეს, როცა იმ ბოროტ ძალასთან კოჰაბიტაციაზე დაიწყო საუბარი, რასაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია, რომელიც წლების მანძილზე დაკავებული იყო ადამიანების თვალთვალით, შანტაჟით და ამ ყველაფერს მოწმობს ის ე.წ. კასრების საქმე და ათასობით ფაილი, რომელიც „ოცნების“ ხელისუფლებამ აღმოაჩინა. დაგვანახეს, თითქოს კადრები გაანადგურეს და ეს იყო დანაშაული, რადგან მათ გაანადგურეს მტკიცებულებები, რომელიც სინამდვილეში უნდა გამხდარიყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი იმ შემკვეთებზე, ვინც ამ სიბინძურეს უკვეთდა და ამაში ფულს იხდიდა. ამ ხელისუფლებამ ჩვენ დილემის წინაშე დაგვაყენა და უფრო მეტი განცდებისა და შიშის საფუძველი შეგვიქმნა. თუკი თქვენ ვერ იცავთ საკუთარ თანაგუნდელებს, თუკი თქვენი თანაგუნდელების პორნოსკანდალები ხელიდან ხელში გადადის და ამას ვერ აჩერებთ, შემდეგ კი უკვე ღიად „იუთუბიზე“ იტვირთება ერთი ცნობილი ქალბატონის პირადი ცხოვრების ამსახველი პიკანტური სცენები, თქვენ როგორ დაიცავთ ჩვენს უფლებებს?!. „ნაციონალურმა“ რეჟიმმა დაგეგმა, აწამა, გადაიღო, დააშანტაჟა და ახლა, თქვენი ხელისუფლების პირობებში ამ ყველაფრის დემონსტრაციული ჩვენება ხდება. დასავლეთში ამ ამბავს მძიმე გაგრძელება მოჰყვება, აღარავინ დასვამს კითხვას, როდის მოხდა ამ ჩანაწერის გაკეთება. დასავლური მედია, უბრალოდ, დაწერს, რომ „ოცნების“ ხელისუფლება ყველაზე ბინძური მეთოდებით უსწორდება პროდასავლური პარტიის ლიდერებს. რამდენიმე დღის შუალედში ირაკლი ალასანიას პარტიიდან ორი მსხვერპლი, ეს უკვე ძალიან ბევრია. ჯერ იყო და ალექსი პეტრიაშვილი სასიკვდილოდ სცემეს, დაჭრეს და ძლივს გადაარჩინეს, ახლა კი, ამ პარტიის ქალბატონ წევრს უსასტიკესად გაუსწორდნენ. თუ ვინმე იკითხავს, რა არის სიკვდილზე მეტი, როგორია, დარჩე მარტო სამყაროს პირისპირ და გერქვას „ცოცხალი მიცვალებული“, როგორ შეიძლება ადამიანი სუნთქავდეს, დადიოდეს და მას ერქვას გვამი, ეს არის კლასიკური ნიმუში იმისა, რაც ახლა ამ კონკრეტული პოლიტიკოსის მისამართით მოხდა. ამაზრზენია ნიკა გვარამიას ემოციური პასკვილი, მას შემდეგ, რაც „იუთუბიზე“ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გამოქვეყნდა და ბიძინა ივანიშვილს მიმართა: „რა მეგის ქარდავა, შენ ხარ ამ ქვეყნის ყველა დროის, ყველაზე დიდი ურჩხული და ბოროტმოქმედი. შენს ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს და ასეც იქნება, მძულხარ და ყველაფერ ცუდს გპირდები და გისურვებ, შე, ბინძურო მანიაკო....“ როგორც ხედავთ, ადამიანის ბოროტებასა და უტიფრობასაც არა აქვს საზღვარი და ნიკა გვარამიას შევახსენებთ, რომ ის იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი ურჩხული, ბოროტმოქმედი, ამ სიბინძურის რეჟისორი, პროდიუსერი... ყველას გვახსოვს ფილმი „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, ასევე, სხვა ჩანაწერები, სადაც მაშინდელი პროკურორი ნიკა გვარამია ისევე კლავდა პოლიტიკოსებს, როგორც დღეს „მოკლეს“ ალასანიას გუნდის წევრი და ის „ტყვია“, რომელიც ამ პიროვნებას მოხვდა, თქვენი იარაღიდანაა, ბატონო ნიკა, გასროლილი. თქვენ ხართ იმ ბინძური მანიაკების სექტიდან, რომელიც დღეს ბედავს და ძალაუფლების მოპოვებისთვის უთავმოყვარეოდ იბრძვის. ვიდრე ამ ქვეყანაში არ აღდგება სამართლიანობა და ვიდრე არ ჩამოათრევთ მიხეილ სააკაშვილს, მეგის ქარდავას, დავით ლორთქიფანიძეს და ყველა იმ დანარჩენს, ვინც ამ კამპანიას გეგმავდა და ახორციელებდა, ვიდრე არ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე ამ ახალი გარემოების გამო, ვიდრე ციხეში გამომწყვდეულ ივანე მერაბიშვილს, ბაჩანა ახალაიას, გიგი უგულავას არ შეაერთებთ სიცრუის დეტექტორზე და არ აალაპარაკებთ, ვინ უკვეთდა ამ სიბინძურეს, რატომ ხდებოდა სისტემურად ადამიანების წამება, დაშინება, დაშანტაჟება და არ გამოიძიებთ საწყისს, ბოლო ყოველთვის ასეთი ბინძური იქნება და ასეთი ბინძური მანიაკები ყოველთვის წაგიკითხავენ მორალს, დაგაშანტაჟებენ, მორალურად მოგკლავენ...

ამ საქმის გამოძიება არ იქნება იოლი, მაგრამ ეს უკვე სახელმწიფოებრივად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი უნდა გააკეთოს პრემიერ-მინისტრმა, ძალოვანმა სტრუქტურებმა, რათა დასვან წერტილი და ამას არ მიეცეს შეუქცევადი ხასიათი, ყველა წითელი ხაზი გადალახულია. ჩვენ თვალწინ იკარგება სახელმწიფოებრიობის განცდა, ხელისუფლება დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ხელისუფლება ან დაემშვიდობება ძალაუფლებას, ან გადაარჩენს სახელმწიფოსაც და საკუთარ თავსაც. სხვათა შორის, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ერთ-ერთი პირველი პოლიტიკოსი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინათ აანონსებდა მოსალოდნელ რეალობას და აცხადებდა, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად დაიწყებოდა იმ სკანდალური მასალების სოციალურ ქსელში ატვირთვა, რაც პოლიტიკოსების დისკრედიტაციას მოახდენდა. ის, რომ არაერთი ფარული ჩანაწერი დევს არაერთ გავლენიან პოლიტიკოსზე, ამაზე ხმამაღლა საუბარს უკვე არავინ ერიდება. რამდენიმე კვირის წინ კიდევაც დააპატიმრეს პიროვნება, გვარად ღურწკაია, რომელმაც სცადა „ქართული ოცნებიდან“ ერთ-ერთი ქალბატონის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ტირაჟირება, თუმცა გამოძიება არ გვეუბნება, ვინ იყო ამის შემკვეთი. სამწუხაროდ, საზოგადოებამ მაშინ ეს მნიშვნელოვანი ამბავი გადაყლაპა, ვიდრე ცხვირწინ არ აგვაფარეს ეს შემზარავი კადრები. ისმის კითხვა, რატომ უნდა დასჭირვებოდა ხელისუფლებას ამ აბსოლუტურად განეიტრალებულ ადამიანზე სექსკომპრომატის გამოქვეყნება, რომელიც დღეს არაფერს არ წარმოადგენს და მას პოლიტიკური ამინდის შექმნა არ შეუძლია. ასე რომ, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანს აჩენს ეს საქმე.

**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ჩვენს შეკითხვაზე, რატომ მოხდა ალასანიას გუნდის წევრებზე ამხელა დარტყმა, პასუხობს:**

– ეს შეკითხვა მეც გამიჩნდა, შეიძლება არც იყო შემთხვევითი, როცა ალასანიას გუნდის წევრების მიმართ მოხდა ამხელა დარტყმა. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხელისუფლების მიერაა ჩადენილი, პირადად ივანიშვილის სანქცირებით, იმიტომ, რომ ვინც იცნობს ხელისუფლების ანატომიას, როგორც წინა, ასევე ამ ხელისუფლების, ასეთი ტიპის სანქციას პირადად იძლევა ქვეყნის პირველი პირი. დამოუკიდებლად სხვა ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა.

**— რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ეს არის ამ ხელისუფლების გაკეთებული და არა „ნაცმოძრაობის“, რომელიც იღებდა, უთვალთვალებდა, აშანტაჟებდა ყველა ოპონენტს და მათ შორის საკუთარი გუნდის წევრებს და ისინი ფლობენ ფარულ ჩანაწერებს.**

### ხალხის აზრი

**ეკა, 34 წლის, უმუშევარი:**

– ეს ყველაფერი ჩვენი მთავრობის ბრალია, რადგან ყველამ კარგად ვიცით, ვინ იყო ასეთი სიბინძურეების ავტორი. ასე რომ აპარპაშეს, დამნაშავეები არ დასაჯეს და უაზრო კოჰაბიტაცია მოგვახვიეს თავს, აი, მოიმკეს კიდეც შედეგი, ყველაზე მეტად კი ამ კადრებით, გარდა იმისა, რომ მორალურად და ფსიქოლოგიურად დაზიანდა ადამიანი, ზარალდება თავად ხელისუფლება. „ნაციონალები“ ოპოზიციონერებთან ბრძოლის თავისებურ ხერხებს ახლა ხელისუფლებას აბრალებენ. „ოცნება“ კი უკვე მერამდენედ უსუსურ პოზიციაში ვარდება. მე არც ამჯერად მაქვს იმედი, რომ დამნაშავე დაისჯება. ისე ძაან პარადოქსია, ფილმს კრძალავენ, პორნოგრაფიააო, და იმაზე მიდის ძიება, რეალობაში კი უარესი ცოცხალი კადრები ვრცელდება, საშინელებაა, თუ სადმე კიდევ შემორჩა მსგავსი კადრები, აუცილებლად უნდა განადგურდეს, მაგრამ ფაქტია „ნაციონალებს“ ძალიან ბევრი ასეთი კადრი კარგად ექნებათ გადანახული.

#### „არ მაქვს იმედი, რომ დამნაშავე დაისჯება“

*მაკა დეკანოსიძე*

– თეორიულად დავუშვათ, რომ ეს „ნაციონალების“ გაკეთებულია, წარმოიდგინეთ, რა მოხდება და უკვე მერამდენედ, ისევ დაიწყება მათი ოფისების შელეწვა, დარბევა და მათი განადგურება, მაგრამ ვინც ეს კადრები ატვირთა, მას სრული გარანტია ჰქონდა, რომ ეს დანაშაული არ იქნებოდა გამოძიებული, ჩვენ უახლოეს დღეებში ვნახავთ, რომ ეს დანაშაული არ იქნება გამოძიებული, ისევე, როგორც არ იქნა გამოძიებული სამი წლის წინათ გავრცელებული კადრები, ისევე როგორც „ნაცმოძრაობის“ დროს არანაირი გამოძიება არ უკან დგას ხელისუფლება.

**— კი მაგრამ, რაში დასჭირდა ხელისუფლებას ხარაკირის ჩატარება, საკუთარი თავის დისკრედიტაცია? ჩვენ ვკარგავთ სახელმწიფოებრიობის განცდას, საზოგადოებას უჩნდება შეგრძნება, რომ ის არის დაუცველი.**

– საკუთარ კითხვას თავადვე გაეცით პასუხი, ზუსტად იმიტომ სჭირდება ხელისუფლებას, შექმნას ასეთი გარემო, რომ ხალხი ჰყავდეს შიშის ქვეშ. ყველა ხელისუფლებას აქვს ადამიანზე ზეწოლის თავისებური ტექნოლოგია. შევარდნაძის დროს ქუჩაში პირდაპირ ყაჩაღობა იყო, ძლება დააჯერო, რომ მორჩა კინო, ამით დასრულდა ფარული ჩანაწერების თემა, მაგრამ ნებისმიერი ადამიანი იკითხავს, – კი მაგრამ, ამის ასლები აღარ არსებობს?!. 500 ლარად შეგიძლია 100 ათასი ასლი დაამზადო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებამ გაანადგურა ჩანაწერები და მე ვფიქრობ, ეს იყო დანაშაული, რადგან მათ უარი თქვეს მტკიცებულებებზე. ეს იყო ალიბის შექმნა, რომ ჩვენ გავანადგურეთ პირადი ჩანაწერები, მაგრამ თუ ამის შემდეგ რამე გამოქვეყნდება, ეს იქნება „ნაცმოძრაობის“ მიერ გაკეთებული. იმ წუთიდან დარწმუკი კეკლუცობდა სოციალურ ქსელში, როცა პოლიტიკაში მოდიხარ, სუფთა უნდა იყოო, მაგრამ ყველას რაღაც სუსტი მხარე გვაქვს, ელემენტარულად კუჭში რომ გადიხარ და ის გამოგიქვეყნონ, არც ეგ იქნება სასიამოვნო. ხელისუფლებამ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს გაუგზავნა მესიჯი, რომ ყველაზე გვაქვს კომპრომატი და თუ არ მოკეტავთ, თქვენც იგივე მდგომარეობაში აღმოგაჩენთო. ჩვენ არ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, „ოცნება“ არ არის სახელმწიფო ხელისუფლება, ეს არის ოლიგარქიული რეჟიმი. მთელი ლათინური ამერი-

### ნაც-ჯოკები

როცა ამბობთ, რომ ეს კადრები ხელისუფლებას უკან მოუბრუნდება, გააჩნია როდის, მე არ მინახავს 100-ათასკაციანი საპროტესტო აქცია ამის გამო, მაშინ, როცა სოციალურ ქსელში ვიშვიშებდნენ, აპროტესტებდნენ, მაგრამ რეალურად აქციაზე მისული თუნდაც 50 ათასი კაცი არ მინახავს. სახალხო პროტესტი იქნება, მაგრამ გააჩნია, როდის... ეს პროტესტი იქნება და ივანიშვილსაც იქ გაისტუმრებს ხალხი, სადაც გაისტუმრეს სააკაშვილი. 9 წელი „იგულა-

# წევრებზე ამხელა დარტყმა

## დამნიშნონ ორი კვირა, არც პრემია მინდა მაგათი და არც დანამატი და ამ საქმეს გამოვიძიებ“

**რატომ უნდა დასჭირვებოდა ხელისუფლებას ამ აბსოლუტურად განეიტრალებულ ადამიანზე სექსკომპრომატის გამოქვეყნება, რომელიც დღეს არაფერს არ წარმოადგენს და მას პოლიტიკური ამინდის შექმნა არ შეუძლია.**





ჩატარებულა იმ კადრებზე, რაც მაშინ ვრცელდებოდა, ასევე, რეალური გამოძიება ამ კადრების გავრცელებაზე არ ჩატარებულა. მაშინაც ამტკიცებდა მთავრობა, – ჩვენ რა შუაში ვართ, „იუთუბიზე“ დაიდოო. თქვენ გახსოვთ გამყრელიძე-გაჩეჩილაძის ფარული შეხვედრის კადრები კახა თარგამაძესთან... 7 ნოემბრის დროს გოგა ხაინდრავას, კოკო გამსახურდიას, შალვა ნათელაშვილის ფარული ჩანაწერები და ამაზე ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა არ აიღო.

**— ასევე, გვახსოვს მაშინდელი პროკურორის ნიკა გვარამიას ფილმი „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, რომელიც პოლიტიკოსებს მორალურად კლავდა და გვიმტკიცებდა, რომ ისინი სამშობლოს მოღალატე აგენტები არიან. ეს ნიკა გვარამია დღეს ისეთი აღშფოთებულია, თითქოს, ჭიანჭველაც კი არ მოუკლავს...**

– რა თქმა უნდა, ყველაფერი ძალიან კარგად გვახსოვს და ამით იმის თქმა მინდა, რომ ყოველთვის ასეთ კადრებს ავრცელებს ხელისუფლება, სხვას არა აქვს ამის ტექნიკური შესაძლებლობა, რადგან ხელისუფლებას ყოველთვის შეუძლია ძალიან მარტივად, ვინც ამას გაბედავს, თითებში ჩაარტყას. დღევანდელი ხელისუფლება ასეთი ფარული ჩანაწერების მიმართ არის ლოიალური, ვხედავთ, არანაირი გამოძიება არ ტარდება, ასევე იქცეოდა სააკაშვილის ხელისუფლება და ეს მიანიშნებს, რომ ამ ჩანაწერების გავრცელების მიტინგებს ხვრეტდნენ. როცა შევარდნაძე მოიძულეს ადამიანებმა, მიშა მოიყვანეს და ამბობდნენ, მიშას შევარდნაძეს როგორ ადარებთ, ეს სხვა ტიპის პოლიტიკური ლიდერიაო... რაც შევარდნაძის დროს ხდებოდა, მიშას დროს არ იყო, სამაგიეროდ, მან ადამიანებზე ზეწოლის ისეთი მექანიზმი მოიგონა, რომელიც შევარდნაძეს არც კი დაესიზმრებოდა. ციხეებში ადამიანებს აუპატიურებდნენ, ქონებას ართმევდნენ, აშანტაჟებდნენ, საძინებლებში უვარდებოდნენ და ფარულად უღებდნენ... როცა მიშა მოიშორა საზოგადოებამ, ამბობდნენ, – მოსმენები მიშას დროს იყო, ამ ხელისუფლებას „ნაციონალებს“ როგორ შევადარებთო?!. მინდა გითხრათ, რომ ბიძინა ივანიშვილი, ეს არის იგივე ბოროტება, ოღონდ ის ახლებურად უტევს ადამიანებს და ეს ადამიანები არიან დაუცველები. რა თქმა უნდა, ახლა აღარ აპატიმრებენ, საპროცესო გარიგების შედეგად ქონებას არ ართმევენ, მაგრამ ეს ინდუსტრიაა, რომელიც მოქმედებს საქართველოში... მე თქვენ რამდენიმე წლის წინათ მოგეცით ინტერვიუ, რომ ფარული ჩანაწერები აუცილებლად გამოქვეყნდებოდა, ეს რწმენა გამიჩნდა მას შემდეგ, როცა პირდაპირ ეთერში გადაიცა, როგორ ანადგურებდა პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოებს მაშინდელი შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. ეს იყო პირდაპირი ალიბის შექმნა. პატარა ბავშვს შეინებული ვიყავი, რომ დაიწყებოდა არჩევნების წინ მასობრივი გავრცელება ამ კადრების.

**— რატომ მაინცდამაინც ირაკლი ალასანიას პარტიის წევრი და არა მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე პაპუაშვილი, რომელმაც ერთი კვირის წინ დააანონსა, რომ თითქოს მას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ფარული ჩანაწერებით აშანტაჟებდა.**

– ეს არის მომაკვდინებელი იარაღი, რომელიც, ჩემი აზრით, არის ჯგუფური მკვლელობა. ამ პიროვნებას, ვისზეც გავრცელდა კადრები, „მოუკლეს“ ქმარი, შვილები, დედა და უახლოესი სანათესაო „დაუჭრეს“. ასეთი „იარაღით“ კლავენ არა უშუალოდ სამიზნეს, არამედ აწყობენ საჩვენებელ მკვლელობას, ეს არის მაფიოზების ხელწერა, დაშინების მიზნით, თუ არ გაჩერდები, შენზეც გამოვაქვეყნებთო. ვისზეც ახლა გავრცელდა კადრები, ის პიროვნება არავითარ პოლიტიკურ საფრთხეს არ წარმოადგენს, უბრალოდ, მის შემთხვევაში საჩვენებელი გასროლა მოაწყვეს. შეიძლება იგივე პაპუაშვილსაც უპასუხეს ამით, – შენ თუ გგონია, რომ კადრები არ გვაქვს შენი პირადი ცხოვრების ამსახველი და ამაზე არ წავალთ, აი, ფაქტი!.. ეს არის უკვე რეალური მუქარა ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვისზეც კომპრომატი არსებობს. ეს იყო გზავნილი პრაქტიკულად ყველა პოლიტიკოსის მიმართ, ზოგიერთი კა, აზია, აფრიკა ცნობილია ოლიგარქიული რეჟიმით, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, მისი ამოცანაა, იყოს ფინანსური წარმონაქმნი. დაახლოებით, ასეთ მოდელთან გვაქვს საქმე. აი, რაც დღეს ხდება, ამას სჯობდა, საბჭოთა კავშირი, რომელიც უფლებების სრულ პაკეტს არ უზრუნველყოფდა, მაგრამ, რასაც უზრუნველყოფდა, იმაში მაინც ვიყავით აბსოლუტურად დარწმუნებული. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ რაღაც ჯუნგლებში, სადაც ზუსტად არაფერი არ არის გარანტირებული.

**— ფარულ ჩანაწერებს შეეწირა „ნაციონალური მოძრაობა“, იგივე შეცდომას რატომ დაუშვებს „ოცნების“ ხელისუფლება? სად არის ლოგიკა, როცა ამტკიცებთ, რომ ხელისუფლება ავრცელებს პირადი ცხოვრების ამსახველ ჩანაწერებს?**

– სხვათა შორის, ჩემზე გამოცდილ პოლიტიკოსებთან მქონდა ამაზე საუბარი, დავსვი კითხვა, – ნუთუ ასეთი დებილები არიან, რომ საკუთარი ხელით ითხრიან სამარეს? გაეცინათ და მიპასუხეს, – რა გიკვირთ, ყველა ხელისუფლება საკუთარი ხელით იმხობს თავს, ეს ჩვენ გვაბოლებენ, თითქოს, ამერიკამ ან რუსეთმა დაამხო ესა თუ ის ხელისუფლება, თორემ რეალურად, თვითინიციატორები არიან, მათი ხელისუფლება რომ დაემხო. თვითგანადგურების ინსტინქტი უკლებლივ საქართველოს ყველა ხელისუფლებას ამოძრავებს. თქვენ ვა“ სააკაშვილმა, შევარდნაძემ 11 წელი „იგულავა“... ივანიშვილი ფიქრობს, რომ ორი ვადა მასაც მოუწევს „გულაობა“, სანამ გასდის, მანამდე აკეთებს ყველაფერს.

**— პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი აცხადებს, რომ სახელმწიფო მზად არის, გადაიხადოს მილიონი, ვინც ამ საქმის გამოძიებაში დაეხმარება და დამნაშავემდე გაიყვანს. არადა, ეს კაცი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან გვიმტკიცებდა, რომ მათი მთავარი ამოცანაა, გადაარჩინონ „ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო ალასანია მოგვიწოდებდა, რომ „ნაციონალებს“ დანაშაული მივუტევოთ... სად არის რეალობა, სად იტყუებიან ეს პოლიტიკოსები და სად ამბობენ სიმართლეს. ეს მილიონები გადაეხადათ იმ ადამიანების ჩამოსაყვანად, ქვეყნიდან რომ არიან გაქცეულები და თან აქვთ კომპრომატები.**

– რად უნდა ამ საქმის გამოძიებას მილიონი?!. რომელიმე რაიონის პროკურორად დამნიშნონ ორი კვირა, არც პრემია მინდა მაგათი და არც დანამატი და ამ საქმეს გამოვიძიებ. ეს არ არის რთული გამოსაძიებელი საქმე. „ნაცებს“ თავისი ცოდვა ეყოფათ, მე მათ ხელს ვერ და არ დავაფარებ, კადრების 95% მინიმუმ მათი დამზადებულია. ვინც ეს დაამზადა და უკვეთდა, სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოთ, მაგრამ მათი დანაშაული არანაირად არ ამსუბუქებს „ოცნების“ დანაშაულს, რომლებმაც გავრცელების კუთხით „ნაციონალებს“ გაუსწრო. და საერთოდ, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ რეჟიმი არ გასამართლდა!

### მაგდა პაპიძის დედა მოკლული სიძის დედას უპირისპირდება




მაგდა პაპიძის დედა ლია შამუგია მაგდას დედამთილის, ლილი მინდიკაურის ინტერვიუს სოციალურ ქსელში ეხმაურება და მას სიცრუის ტირაჟირებაში ადანაშაულებს.

– ლილი, იმედია, კითხულობ ჩემს სიტყვებს (ვსარგებლობ ჩემი შვილის „ფეისბუკით“), არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო ყველა შენს ინტერვიუს, სადაც უტიფრად ეხები ჩემს ოჯახს და გავიწყდება, სამწუხაროდ, ან განგებ ივიწყებ ჩემს დამოკიდებულებას ჩემი შვილიშვილების მიმართ! რა ნამუსით ლაპარაკობ ამხელა სიცრუეს მაშინ, როდესაც ძალიან კარგად იცი, როგორი ბებია ვიყავი თორნიკეს მიმართ და როგორი დედა ვარ დღემდე.

მგონი, ვხვდები, ამ ყველაფერს შენ რატომაც ლაპარაკობ ჩემი ოჯახის წინააღმდეგ. ამიტომ, მაგდას და ლანას დედა, თორნიკეს და ლიზის ბებო გიწვევ, სახალხოდ გაიმეორო ყველა ის სიტყვა, რაც გამოიყენე ინტერვიუებში ჩემი ოჯახის წინააღმდეგ!!! გაეცი ჩემს ყველა კითხვას პასუხი, არ გაინტერესებს, რას შეგეკითხები??



ყველა შენს ნალაპარაკებზე პასუხს გამცემ!!! შენს გულში ჩაიხედე, ლილი და ისე გაიმართლე თავი. რა ნამუსით ლაპარაკობ ამხელა სიცრუეს ჩემს ოჯახზე!! მგონი, გათავისებული არ გაქვს, რამხელა ტრაგედიასთან გვაქვს საქმე, ტყუილებისთვის გცხელა, სირცხვილი, ლილი, შენ, თუმცა მეტს რას უნდა მოველოდე ქალისგან, რომელსაც პირველივე სამძიმრის დღეს, ერთი ცრემლი არ ჩამოგიგდია, გაოგნებული გიყურებდი და ვერ ვხსნიდი შენს ასეთ საქციელს!

შორიდან, მაგრამ ყველაფერს ვადევნებ თვალს და ზუსტად შენმა ინტერვიუებმა ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი დასვა მომხდართან მიმართებაში! ამიტომ, სრული პასუხისმგებლობით გადავწყვიტე, ხალხის წინაშე გაიმეორო და პასუხი გამცე ყველა იმ შეურაცხყოფაზე, რაც პირადად მე და ჩემს ოჯახს მიგვაყენე!!! უკვე ძალიან კარგად ვხვდები ყველაფერს და გიპირისპირდები ნებისმიერ დროს!

შენ ძალიან კარგად იცი, როგორი გაზრდილი მყავს შვილები და შვილიშვილები!!! სიტყვა „ნაბოდვარი“ შენგან ხშირად გამიგია და ქუჩური ტერმინოლოგიით არ დავიწყებ შენს ინტერვიუებზე გამოკიდებას, მე თავმოყვარეობა მაქვს!! ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი კითხვა მაქვს პირადად შენთან მომხდარი ტრაგედიის ღამესთან დაკავშირებით!! ლია შამუგია, – წერს მაგდა პაპიძის დედა.

შეგახსენებთ, რომ მაგდა პაპიძის დედამთილმა, ლილი მინდიკაურმა ერთ-ერთ ტოქ-შოუში მკვლელობის ღამეზე ისაუბრა და პაპიძეების ურთიერთობა გაიხსენა. ლილი მინდიკაურის თქმით, დედა-შვილებს შორის არაჯანსაღი ურთიერთობა იყო და ამის მოწმენი მეზობლებიც არიან. (pia.ge)

# აშშ საქართველოში სატანკო და საჰაერო სადესანტო ასეულს შემოიყვანს



ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მეთაურის ევროპაში, გენერალ-ლეიტენანტის ბენ ჰოჯესის განცხადებით, მაისში აშშ საქართველოში სამხედრო წვრთნებს განახორციელებს.

ამის შესახებ გენერალი DEFENCENEWS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.

– მაისში ჩვენ საქართველოში განვახორციელებთ წვრთნებს – NOBLE PARTNER-ს, რომელშიც მონაწილეობა გასულ წელსაც მივიღეთ. ეს საქართველოს თავდაცვის ეროვნული წვრთნაა. ამისთვის, შავი ზღვის გავლით საქართველოში სატანკო და საჰაერო სადესანტო ასეული შემოვა. ეს ბიჭები საქართველოს ბატალიონის მეთაურს დაექვემდებარებიან, – აცხადებს ბენ ჰოჯესი. (mpress.ge)

# გიორგი ღვინიაშვილი: გოგა ხაჩიძის კომენტარებს სერიოზულად ვერ აღვიქვამ



– გოგა ხაჩიძის კომენტარებს სერიოზულად ვერ აღვიქვამ, – ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი ღვინიაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრის გოგა ხაჩიძის განცხადებები პარტიაში პრობლემების არსებობასთან დაკავშირებით სინამდვილეს არ შეესაბამება. ღვინიაშვილის თქმით, ასევე არასწორია ინფორმაცია, თითქოს „ნაციონალური მოძრაობა“ დაშლის პირას მყოფი პარტია იყოს.

– არანაირი დაშლა არ ემუქრება „ნაციონალურ მოძრაობას“ და პარტიაში ყველა პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. არათუ იშლება, პარტია ძლიერდება და ახალი სახეები ემატება. ვინ უნდა გავიყვანოთ პარლამენტში და რამდენი კაცი შევა პარტიიდან საკანონმდებლო ორგანოში, ამას არჩევნები აჩვენებს და არა ხაჩიძის განცხადებები, – აღნიშნა ღვინიაშვილმა.

კითხვაზე, რა შანსები აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ მომავალ არჩევნებში, ღვინიაშვილი ამბობს, რომ ყოფილი მმართველი პარტია მომავალ პარლამენტში უმრავლესობით შევა.

– მე ამის დიდი იმედი მაქვს და გოგა ხაჩიძე რას ამბობს, ამას სერიოზულად არ მივიჩნევ, – განაცხადა ღვინიაშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# აბა, რა ვქნათ? არ ვილაპარაკოთ პოლიტიკოსების მორალზე? ეს მედასავლეთეები მხოლოდ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე რომ ღაღადებენ, მაღალი რანგის ჩინოვნიკის ოჯახური ღალატი მოსულა?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37





## ვინ იყო სკანდალურ ვიდეოში გადაღებული მამაკაცი?!



12 მარტს ალასანიას პარტიის წევრი პოლიტიკოსი ქალბატონის პირადი ცხოვრების ფარული ვიდეოს გავრცელებას ლამის მეორედ მოსვლა მოჰყვა. თქმა არ უნდა, ამ ვიდეოს გამავრცელებლებმა ის ქალბატონი ცოცხლად დამარხეს, შესაძლოა, სასიკვდილოდაც გაიმეტეს. მოკლედ, ამქვეყნიური ჯოჯოხეთი რომ ჰქვია, ზუსტად ის მოუწყვეს. ცხადია, მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ სასტიკად დაგმო ვიდეოს გავრცელება, დამნაშავეების – გამავრცელებლის სასტიკად დასჯას ითხოვს ყველა. კი, ბატონო, დასაგმობი საქციელია, თუმცა, ამის იქით ჩვენი საზოგადოება არ წასულა, ჩვენი პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები, ექსპერტები რატომღაც იმ უმნიშვნელოვანეს კითხვებს თავს არიდებენ, რომელიც ამ ვიდეოს გავრცელებამ გააჩინა, რომელთაც აქ დავსვამ და ვუპასუხებ.

ეს ვიდეო, სავარაუდოდ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ არის გადაღებული. ეს ქალბატონი კი, როგორც თავად ირაკლი ალასანიამ დაადასტურა, მათი პარტიის ერთ-ერთი ლიდერია. ჩვენ არ ვწერთ მის გვარ-სახელს, ვიცავთ ნორმებს, თუმცა, რუსულ და სხვა უცხოურ პრესაში ამ ქალბატონის სახელსა და გვარს ასახელებენ, მის ყოფილ თანამდებობასაც ამბობენ და სურათსაც აქვეყნებენ... ეს ისე, ინფორმაციისთვის... მკითხველმა უთუოდ არ იცის და ვიტყვი, რომ, სავარაუდოდ, როგორც კულუარებში ვრცელდება ინფორმაცია, ქალბატონს სექსი იმჟამინდელი პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან ჰქონდა, რომელსაც ასევე ოჯახი ჰყავდა. ამბობენ, რომ ცოტა მოგვიანებით, ის ცოლს დასცილდა... თუმცა მაღალჩინოსან ქალბატონს თავისი ოჯახი არ დაუნგრევია... თუ იმ ვერსიას ვენდობით, რომ ეს არჩევნებამდე გაკეთებული ჩანაწერია, თავად ქალბატონს ამ ვიდეოს გადაღების დროს, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წამყვანი პოსტი ეკავა. ამ დროს, მიხეილ სააკაშვილის გუნდსა და „ქართულ ოცნებას“ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული. იმ პერიოდში ყველა ერთხმად თანხმდებოდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება არამცთუ ოპონენტებს, არამედ საკუთარი გუნდის წევრების ლოგინში ძვრებოდა და ყველაფერს იღებდა. ალბათ, ამ ქალბატონს, რომელსაც ასაკიც მომწიფებული ჰქონდა და პოლიტიკაშიც გამოცდილი იყო, ეს რისკები უნდა გაეთვალისწინებინა. როგორც ჩანს, ამაზე მას მაშინ არ უფიქრია... ეს კი, მის ოჯახს რომ თავი დავანებოთ (ეს ნამდვილად მხოლოდ ოჯახში გასარჩევი თემაა და როგორც ამბობენ, იქნებადა ქმარმა აპატია, თქვენ რა გეწვითო), სულ მცირე, იმ პოლიტიკური გუნდის ღალატი იყო, რომელსაც იმ დროს წარმოადგენდა. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ, რომ ეს არ იყო რიგითი ქალბატონი, რომლის ღალატი თუ რომანი მხოლოდ ოჯახის პრობლემა იქნებოდა... ვიდეოს გავრცელების პირველ დღეს შოკში ჩავარდნილი ხალხი მხოლოდ იმას ამბობდა, რომ ეს ყველაზე უღირსი საქციელია, რაც კი შეიძლება ვინმეს გაუკეთო. რა თქმა უნდა, ეს ასეა. თუმცა, შემდეგ დღეებში ემოციები გაიფილტრა და უკვე ცნობილი სახეები, მათ შორის, ჩვენც, ჟურნალისტები

**ლოგიკურ კითხვებს ვსვამთ. ამ ქალბატონს ქმარი და შვილები ჰყავს და არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, მაღალ პოსტზე კარგა ხანს მუშაობდა. მან ქმარს უღალატა, შვილებს უღალატა, თანაგუნდელებს უღალატა, ოჯახის სიწმინდე შეურაცხყო, ფეხებზე დაიკიდა და მე, რიგით ამომრჩეველსა და მოქალაქეს, და სამშობლოს ვითომ რატომ არ გვიღალატებს? ვენდო? რატომ უნდა ვენდო? მოღალატეს ვერ ვენდობი! ერთი, რომ მოღალატე ნებითაც გიღალატებს და მეორეც, ნებით თუ არა და ძალით, იმ სასტუმროში გადაღებული სექსვიდეოთი დააშანტაჟებენ და აღალატინებენ.**

არ დაგვავიწყდეს, იმ ქალზე ვლაპარაკობთ, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულ დარგს ხელმძღვანელობდა. აქვე ვიკითხავ, ვინმეს აქვს გარანტია, რომ ეს ვიდეო რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოთი დაინტერესებული სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს არ მიჰყიდა იმ ხალხმა, ვის ხელშიც ის იყო? არანაირი გარანტია არ არის. ჰოდა, აბსოლუტურად შეიძლება ვერსიად განხილვა, რომ ეს ქალბატონი, ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის სპეცსამსახურის შანტაჟის ქვეშ იმყოფებოდა და ამ ქვეყნების სასარგებლოდ და საქართველოს საზიანოდ, ბევრი გადაწყვეტილება მიიღო. რატომ არ შეიძლება, ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდეს ეს შეგრძნება, რომ მან ამ შანტაჟის გამო დიდი პოლიტიკური და ფინანსური ზარალი მიაყენა ქვეყანას.

**ახლა ამაზე ასე ღიად საუბარი შეიძლება ამ სიტყვების ავტორისა და გაზეთის „ჩაქოლვის“ მიზეზიც კი გახდეს... ალბათ, ჟურნალისტების დასაფრთხობად და იმის გამო, რომ ეს ვერსიები და კითხვები არ დაიწეროს, გაჩნდა მოწოდებები, რომ ვიყოთ ფრთხილად და ერთსულოვნად, რადგან შემდეგ ფარულ ჩანაწერებს ჟურნალისტებზეც გამოაქვეყნებენ. აქ ძალიან მარტივადაა საქმე, თუ, სიტყვაზე, მე ცოლს ვუღალატე და ეს ჩემი მკითხველისთვის მიუღებელია, არ წაიკითხავს ჩემს სტატიას და ამით დამსჯის. აი, პოლიტიკოსს როგორ უნდა გამოვუცხადოთ უნდობლობა ამორალობისთვის? დეპუტატს ვერ გამოიწვევ ვადაზე ადრე და ჩვენს ქვეყანაში არც მინისტრს ხსნიან ამის გამო...**

აბა, რა ვქნათ? არ ვილაპარაკოთ პოლიტიკოსების მორალზე? ეს მედასავლეთეები მხოლოდ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე რომ ღაღადებენ, მაღალი რანგის ჩინოვნიკის ოჯახური ღალატი მოსულა? „ღალატი არ „პრავდება“ – მოსწრებულად აღნიშნა ამ დღეებში და ამ თემაზე საკუთარ „ფეისბუკპოსტში“ ცოტნე გამსახურდიამ. ეს ამბავი ევროპაში ან ამერიკაში რომ მომხდარიყო, ეჭვი არ მეპარება, მთავარი განსასჯელი თემა პოლიტიკოსი ქალბატონის მიერ ოჯახის ღალატი იქნებოდა, შემდეგ მის მიერ ქვეყნისთვის მიყენებული პოტენციური ზარალი და აი, მერე – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. თუმცა, ამ უკანასკნელზე დიდადაც არ შეიწუხებდნენ თავს, რადგან, სადაც პოლიტიკოსის მიერ ოჯახური ღალატის ფაქტია, იქ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე ლაპარაკი თითქმის უსაგნოა.

მოკლედ, ეს დღეები ტელევიზიით, სხვა მედიასაშუალებებით მთავარი განსასჯელი ის არის, რომ ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, მასში ცხვირის ჩაყოფის უფლება მედიასაც კი არ აქვს, მიუხედავად იმისა, ვის შეეხება ეს. პოლიტიკოსიც რომ იყოს, ამ ქვეყნის ბედი რომ იყოს მის ხელში, თუ პირად ცხოვრებაში „ჩაიჭრა“ და ამის შესახებ ინფორმაცია გვექნება, ჟურნალისტებმა თურმე ხმა არ უნდა ამოვიღოთ! თუ მაინცდამაინც გავბედეთ რამის თქმა, მაშინ უტყუარი მტკიცებულება უნდა გვეჭიროს ხელში და დავუშვათ, თუნდაც რამდენიმე კონფიდენციალურ წყაროს არ უნდა დავეყრდნოთ, ვიდეო და აუდიომტკიცებულებებს ითხოვენ! ანუ მე, ჟურნალისტს, კანონდარღვევისკენ მიბიძგებენ, რომ ჩავუსაფრდე ვინმეს და სურათები ან ვიდეო გადავუღო! არჩევანს არ გვიტოვებენ, ერთ შემთხვევაშიც გვსჯიან და მეორეშიც. დასახელდა რამდენიმე მაგალითიც ქართველი პოლიტიკოსების პირადი ცხოვრებიდან, რომელიც, თურმე, მედიას არ უნდა გაეხმაურებინა. ამას კი დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები კვერს უკრავენ, ყველა ერთად და ერთსულოვნად. ამ ხალხს მინდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდი და „ალიაში“, „კვირის ქრონიკასა“ და სხვა მედიასაშუალებებში დაბეჭდილი ინფორმაციები გავახსენო. ჩვენ ვწერდით, რომ მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში, აუზზე, სექსსკანდალი მოაწყო და ისეთი ამბავი ატყდა, რომ ადამიანებს ამ გაიწიგამოიწიეში ფეხებიც მოტყდათ, რომ ერთ-ერთ თავის ფავორიტს ძუძუ მოაკვნიტა, მერე სხვა მედიამ დააკონკრეტა, ეს ქალი სოფო ნიჟარაძე იყოო. პირადად მე ვწერდი, რომ მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ თავის გუბერნატორს ცოლი გაუჟიმა, ასევე, მე ვწერდი სააკაშვილის მიერ საკუთარ იახტაზე მოწყობილი ორგიების შესახებ, ვწერდით, რომ მიშამ გერმანიიდან ვნებიანი „დოქტორ დოტი“ სამკურნალოდ კი არა, საჟიმაოდ ჩამოიყვანა, ალანა გაგლოევასა და სააკაშვილის სასიყვარულო თემა ხომ ყველამ გადაღეჭა.

## მორჩილი

ისიც იწერებოდა, რომ ალანა გაგლოევა სააკაშვილისგან ფეხმძიმედ იყო და მიშა შიდა ქართლის გუბერნატორ მიხეილ ქარელს აიძულებდა, ცოლად შეერთო. მინიშნებებით, მაგრამ მაინც ვწერდით დეპუტატ ნაზი არონიას არცთუ სახარბიელო წარსულის შესახებ. ეს ყველაფერი არ იყო პირადი ცხოვრება ამ ადამიანებისა? მაშინ რატომ არ აღშფოთდა არც ერთხელ ჩვენი საზოგადოება? მეტადრე დღევანდელი ხელისუფალნი და იმჟამინდელი ოპოზიციონერები და რაღა დღეს გადაიჭრეს ვენები? იმიტომ, რომ მაშინ ეს ყველაფერი მათ წისქვილზე ასხამდა წყალს, სააკაშვილისა და მისი გუნდის თითოეული წევრის მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია გულზე მალამოდ ედებოდათ. დღეს კი თავად არიან ხელისუფლებაში და ეშინიათ, რომ მათ მიქარულზე არ დავწეროთ. ეს ორმაგი სტანდარტიც აქედან მოდის. არადა,

**პრესის ფუნქცია სწორედ ისაა, რომ პოლიტიკოსების ცხოვრების შავი ლაქები დაანახოს მკითხველს, ანუ პოტენციურ ამომრჩეველს. შემდეგ კი მისი გადასაწყვეტი იქნება, მისცეს თუ არა ასეთ პოლიტიკოსს ნდობის მანდატი.**

ყველაზე ცუდი, რაც კი შეიძლება საარჩევნო ყუთთან მისულს დაემართოს, ის არის, რომ რეალური ინფორმაცია არ ჰქონდეს იმ პოლიტიკოსზე, ვისაც ირჩევს! ამ ტყუილების გამოცაა, რომ ამ ქვეყანას არ დაადგა საშველი და ვერასოდეს ვერ ვირჩევთ ადამიანს თუ ჯგუფს, რომელზეც სრული ინფორმაცია და შესაბამისად, ნდობა გვექნება. მე, როგორც ერთმა რიგითმა ამომრჩეველმა, უნდა ვიცოდე ის, თუნდაც პრეზიდენტობის კანდიდატი ჯანმრთელია თუ არა, მერე ჩემი გადასაწყვეტია, რას ვიზამ არჩევნებისას. მე, ამომრჩეველმა, უნდა ვიცოდე, პოლიტიკოსის პირადი ცხოვრებაც და მერე ჩემი გადასაწყვეტია, ვენდობი თუ არა მას... თუმცა, საუბედუროდ, ეს ხელისუფლება ამ ორმაგი სტანდარტებით ცდილობს, ეს ფუნქციაც წაგვართვას და ისევ ტყუილებით გაყიდეს ფონს...

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# რა თქვა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც რამდენიმე დღის წინ გავრცელებული სკანდალური ვიდეოჩანაწერი აჩვენეს?



**ვრცელდება კულუარული ინფორმაცია, რომ უახლოეს ხანში სოციალური ქსელების მეშვეობით საზოგადოება იხილავს მეორე, უფრო „მძაფრ“ ვიდეოს და ამას მოჰყვება რამდენიმე მინისტრის გადადგომა. როგორც ინკოგნიტო წყარო უყვება „ალიას“, მორიგი ვიდეო ერთ-ერთი მოქმედი მაღალჩინოსნის „სექსუალურ აქტივობას“ ეხება**



**სანამ ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობას დატოვებდა, ავი ენები უკვე აქტიურად ლაპარაკობდნენ კულუარებში, რომ მასაც შეუგზავნეს ერთი მეტად სექსუალური გარეგნობის ქალბატონი.**

პარადოქსია, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ყოფილი თანამდებობის პირის პირადი ცხოვრების ვიდეო გამოქვეყნდა, გიგა ბოკერიას მეუღლემ ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი პრესკონფერენციის ფრაგმენტი ამოაგდო და ქვეყანას ამცნო: აი, ყველაფერი ასე იწყებოდა, ჩაწყობილი კითხვებით. ახლავე შეგახსენებთ, რაშია საქმე – 2013 წელია, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მორიგ პრესკონფერენციას მართავს. მე მას ვუსვამ ასეთ შეკითხვას: ბატონო ბიძინა, გავიგეთ, რომ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ბოლო დროს ხშირად დადის ხან დუბაიში, ხან საფრანგეთში, ხან კიდევ დიდ ბრიტანეთში. ის ორიოდე კვირის წინაც ყოფილა საფრანგეთში გიგი უგულავას ცოლთან, ლელა კილაძესთან და მის დაქალთან ერთად. თქვენ მთავრობის სხდომაზე გაბრაზებულხართ და გითქვამთ, ირაკლი, ჩემს დაუკითხავად რომ დადიხარ, მე არაფერი არ უნდა ვიცოდე? რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე, ასეთი საუბარი მართლაც იყო მთავრობის სხდომაზე? სხვათა შორის, როცა ამ შეკითხვას ვსვამდი, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ზოგადი პასუხით შემოიფარგლებოდა და იტყოდა, რომ ჟურნალისტები სიტუაციას ვამუქებთ, რაღაც ჭორებს ვიგონებთ და ასე შემდეგ, მაგრამ მოხდა სრულიად საპირისპირო რამ – ივანიშვილმა აღიარა, რომ მთავრობის სხდომაზე მართლაც უსაყვედურა ირაკლი ალასანიას, შემდეგ კი თემა ასე განავრცო:

„ჯერ ახალგაზრდაა კიდევ ირაკლი, რაღაც შეეშალა... რაც შეეხება საფრანგეთსა და მეუღლეებს, ძალიან პირადია, მე პირადულში არ შევდივარ, სხვათა შორის, პრეცედენტები მოხდა არჩევნების დროს და იქ ვილაცებს რაღაც ფილმები გადაუღეს გუნდიდან, ძალიან გაწბილებულნი იყვნენ, როგორ დავენახოთო? მე ისინი დავარწმუნე, რომ ეს ჩემი საქმე არაა, თქვენ თქვენს მეუღლეებს დაელაპარაკეთ. მე პირადულში არ შევდივარ ზედმეტად, თუმცა მე ოჯახთან ჩემი დამოკიდებულება მაქვს და ეს ჩემთვის სხვა რამეს წარმოადგენს, მაგრამ საქართველოში ეს ხერხდება, ჩემი ზოგიერთი ახლობელიც ღალატობს თავის მეუღლეს, პრინციპში... ძალიან პირადულია, ირაკლი არ მყავს მხედველობაში, მე ეს არ ვიცი, ასეთ ჭორებზე არ ვაკეთებ რეაქციას, ვისთან მგზავრობდა და როგორ მგზავრობდა“.

დიახ, ასეთი აღიარება მოულოდნელი იყო არა მხოლოდ ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის და საზოგადოებისთვის, არამედ თვით ირაკლი ალასანიასთვის, მისი გუნდისთვის და ოჯახისთვისაც. ამას მოჰყვა არაერთი უხერხული კომენტარი და ფაქტობრივად, ივანიშვილსა და ალასანიას შორის უკიდურესად დაიძაბა კიდეც ურთიერთობა. დაუკვირდით, ივანიშვილი ჯერ კიდევ 2013 წელს ამბობს, რომ მისი გუნდის წევრებს ფილმები გადაუღეს, მერე ისინი მასთან მივიდნენ, მეუღლეებთან შუამდგომლობა სთხოვეს და შესაბამისი პასუხიც მიიღეს, – წადით, კაცო, თქვენს მეუღლეებს თვითონ დაელაპარაკეთ, ასეთ პირადულ საკითხებში როგორ ჩავერიოო? როგორც კულუარებში ამბობენ, მაშინ ივანიშვილს რამდენიმე ფირიც აჩვენეს და ძალიან გაღიზიანდა. ერთ-ერთი კი სწორედ ის ვიდეო იყო, რომელიც ახლა გავრცელდა. ასევე, იყო უხერხული ვიდეოები სხვა ქალბატონებთან თუ ვაჟბატონებთან დაკავშირებით, მაგრამ ივანიშვილმა მაინც გაატარა, სიტუაციის დაძაბვა არ გამოდიოდა, არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა.

გავიდა სამი წელიწადი, ცოტა მეტი, მოახლოვდა მორიგი არჩევნები, ისევ გამოჩნდა ის ფირები, ამჯერად ვის ხელშია, რამდენის ხელშია და ვინ როდის გამოიყენებს, არავინ იცის. უკვე ვრცელდება კულუარული ინფორმაცია, რომ უახლოეს ხანში სოციალური ქსელების მეშვეობით საზოგადოება იხილავს მეორე, უფრო „მძაფრ“ ვიდეოს და ამას მოჰყვება რამდენიმე მინისტრის გადადგომა. როგორც ინკოგნიტო წყარო უყვება „ალიას“, მორიგი ვიდეო ერთ-ერთი მოქმედი მაღალჩინოსნის სექსუალურ აქტივობას ეხება და უფრო მძაფრია, ვიდრე აქამდე გამოქვეყნებული. იგივე წყაროს ინფორმაციით, ხელისუფლებაში 2012 წლის შემდეგაც დარჩა ძალა, რომელმაც ძველი ჩვეულება არ მოიშალა და ისევ განაგრძო კომპრომატების კეთება ახლა უკვე მოქმედ ჩინოვნიკებზე. სხვათა შორის, სანამ ირაკლი

## სკანდალური ვიდეო

ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობას დატოვებდა, ავი ენები უკვე აქტიურად ლაპარაკობდნენ კულუარებში, რომ მასაც შეუგზავნეს ერთი მეტად სექსუალური გარეგნობის ქალბატონი, უნდოდათ, ირაკლი როგორმე „შეეცდინათ“ და კომპრომატი გადაეღოთ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ღარიბაშვილმა დროულად „მოწვა“, რომ რაღაცას უჩალიჩებდნენ.

ასეა თუ ისე, ვიდეოს გავრცელებასთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. ზოგს მიაჩნია, რომ ამის გამოძიება იგივეა, იმის გამოძიება დაიწყო, ვინ ესროლა იღლიაში ვახტანგ გორგასალს ისარი, ზოგი კიდევ ფიქრობს, რომ პროფესიონალები ამ საქმეს თავს იოლად გაართმევენ. თუმცა აქ უკვე ფსიქოლოგიური მომენტია, რაც მოქმედ ჩინოვნიკებზე დამანგრევლად უნდა მოქმედებდეს – ვინც არ უნდა დააკავონ და დასაჯონ, კომპრომატები მაინც დახარისხებულია მავანთა „საწყობებში“ და დღის სინათლეს „ელოდება“. სერიალები რომ კიდევ იქნება საპარლამენტო არჩევნებამდე, ამას ყველა გრძნობს, მაგრამ ბრალი მაყურებელს!

რაც შეეხება ჩერგოლეიშვილის ბრალდებას შეთანხმებული შეკითხვების თაობაზე, ვეთანხმები, მე ხომ ყოველ საღამოს დავდიოდი ბიძინა ივანიშვილთან სოლოლაკში და სცენარებს ერთად ვწერდით? ახლაც დავდივარ ხოლმე, ოღონდ დღეგამოშვებით, ხან კვირაში ორჯერ....

## ხალხის აზრი

**„გავრცელებასთან ერთად ფაქტიც რომ დაიგმოს, ხომ უკეთესი იქნება? უზნეობა ყველგან უზნეობაა“**

**გიორგი, საჯარო მოხელე, 42 წლის:**

– მე ვიდეო არ მინახავს და ღიაც რომ იყოს, მაინც არ ვნახავ, მაგრამ გავრცელებასთან ერთად ფაქტიც რომ დაიგმოს, ხომ უკეთესი იქნება? უზნეობა ყველგან უზნეობაა.

მე არ ვიცი, რა იყო იმ ვიდეოზე, მაგრამ ფაქტია, რაღაც ამაზრზენი იყო, რომლის ნახვაც დაუშვებელია ნორმალური კაცისთვის (ხაზს ვუსვამ – კაცისთვის). რაც აუცილებლად უნდა დაიგმოს, გინდ გართობისთვის იყოს და გინდ სიამოვნებისთვის. პოლიტიკოსი უნდა იყოს ზნეობის ეტალონი, რაც რთულია, როგორც ჩანს.

*მაკა დეკანოსიძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „გვაქვს ძალიან მყარი საფუძველი, ისტორია, ტრადიციები, მაგრამ მხოლოდ ამით ფონს ვეღარ გავალთ“



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ევროპასთან კიდევ უფრო დაახლოების საკითხში.

პარლამენტის თავმჯდომარემ ზოგადი განათლების კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველო ერთვება არა მხოლოდ ევროპულ, არამედ მსოფლიო კონკურენციაში და განათლების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

უსუფაშვილის თქმით, თუმცა ეს ნიშნავს იმას, რომ ქართველები მსოფლიო კონკურენციაში ერთვებიან.

– ჩვენ მივიღეთ ძალიან სასიხარულო ინფორმაცია ევროპის დედაქალაქიდან. ვიზალიბერალიზაციის მიმართულებით, კიდევ ერთი ნაბიჯი გვაქვს წინ გადადგმული. სულ, რამდენიმე თვეში, ჩვენს მოქალაქეებს მართლაც თავისუფლად შეეძლებათ ევროპულ სივრცეში გადაადგილება. ეს არის ყველაზე უფრო ნათელი მაგალითი, ევროპული ოჯახის წევრობის, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვერთვებით არა მხოლოდ ევროპულ, არამედ მსოფლიო კონკურენციაში. უნდა ვიყოთ კონკურენტუნარიანი, ძლიერი. ჩვენ გვაქვს ძალიან მყარი საფუძველი, ჩვენი ისტორია, კულტურა, ტრადიციები, მაგრამ მხოლოდ ამით ფონს ვეღარ გავალთ. უნდა ვიყოთ განათლებული, მომზადებული ყველა სფეროში. თუ საიდანმე გველის პრობლემა ქართველებს, სწორედ აქედან და არა სხვა რაიმე მოვლენიდან, – განაცხადა უსუფაშვილმა. (pia.ge)

## საქართველოს ორ რეგიონში გუბერნატორებმა თანამდებობები დატოვეს



თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით მთავრობას მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ნუგზარ ყიფიანმა და შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა მიმართეს.

– საკადრო ცვლილებები, ამ ეტაპზე, საქართველოს ორ რეგიონში ხორციელდება. თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით მთავრობას მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ნუგზარ ყიფიანმა და შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა მიმართეს. შესაბამისად, მთავრობის სხდომაზე ორივე განცხადება დაკმაყოფილდა. პრემიერ-მინისტრი გაწეული სამსახურისთვის ნუგზარ ყიფიანსა და ზურაბ რუსიშვილს მადლობას უხდის. მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობას გოჩა ზეიკიძე დაიკავებს, ხოლო შიდა ქართლში გუბერნატორის მოვალეობას ზურაბ რუსიშვილის მოადგილე შეასრულებს. (pia.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია- კვირის მედია-



**ჰამლეტ ჭიპაშვილი**, პოლიტოლოგი:
„ალექსი პეტრიაშვილი არის პოლიტიკური არარაობა. არარაობაა ამ ე.წ. დიპლომატების პარტია, თავის არარაობა თავმჯდომარის, ალასანიას მეთაურობით, რადგან ვერ გაიგებთ, ვის ემსახურება, ბოლოს და ბოლოს: თავის დროზე მუშაობდა „კაგებეში“, მერე შეუძვრა „ცეერუს“, მერე იყო სააკაშვილის წყალობით საქართველოს წარმომადგენელი გაეროში“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**არჩილ კაიკაციშვილი**, ახალგაზრდა ადვოკატების“ თავმჯდომარე:
„პაპუაშვილს სინდისის ქენჯნა უნდა ჰქონდეს და ბოდიშს იხდიდეს. რეალურად არავის არ სჭირდება გიორგი პაპუაშვილი, უბრალოდ, რამდენიმე თვეში ვადა გასდის, ცდილობს, წამებულის სახით წავიდეს სასამართლოდან“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**კახა კუკავა**, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:
„მას შემდეგ, როცა გაირკვა, რომ ივანიშვილი არ აპირებს თავისი ფულის დახარჯვას სოციალური ვალდებულებების შესრულებაზე, ეკონომიკაზე, როგორ უნდა დაუმტკიცონ ამომრჩევლებს, რატომ მოატყუა ივანიშვილმა ხალხი და შავზე როგორ თქვან, რომ თეთრია?“

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია--ქრონიკა კვირის



**კონსტანტინე გამსახურდია**, პარტია „თავისუფლების“ ლიდერი:
„ისეთი შეგრძნება მაქვს, დაგვცინის ვიღაც დედაარლნიანი. ქვეყანა უნიჭოდ გადაღებულ ქართულ პორნოდ აქციეს. აქტივრთავენ ქართულ ან უკრაინულ საიტზე რაიმე საზიზღრობას და არის ერთი გარჩევა და ვაი-უშველებელი“.

# ვალერი ხაბურძანია: „დავით უსუფაშვილი რომ იძახის, მილიონი უნდა დავაწესოთ

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**რა სავალალო შეცდომა დაუშვა ახალმა ხელისუფლებამ 2012 წლის შემდეგ, რამაც ბინძურ ჭაობში ჩაგვითრია და იქიდან ვეღარ ამოვდივართ? რატომ არ დაისაჯა 22 ათასი ფაილის დამამზადებელი ჯგუფი მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით და რატომ წაუყენეს ამ ჯგუფის ლიდერებს სულელური ბრალდებები, როცა შესაძლებელი იყო, მოვლენები გაცილებით სერიოზულად წარმართულიყო და სამართლიანობაც, ასე თუ ისე, აღდგენილიყო? სად არიან დღეს მთავარი დამნაშავეები და რატომ დაწინაურდა ზოგიერთი მათგანი ისევ ხელისუფლების წიაღში? ამაზე „ალიას“ საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი, ვალერი ხაბურძანია ესაუბრება:**

– აშკარად ვხედავ, რომ „ნაციონალებმა“ მოხსნეს თავი იმ კასრებს, სადაც ფირები აქვთ გადამალული და ხელისუფლებამ ვერ მიაგნო. მიზანს მიაღწიეს, საბოლოო ჯამში, ყველაფერი მაინც ხელისუფლებას ჰბრალდება. თითქმის ყველა, პოლიტიკოსი თუ არაპოლიტიკოსი მთავრობას სთხოვს პასუხს, რათა გაარკვიოს, ვინ ატვირთა ვიდეო. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ არავინ არ ითხოვს იმ ადამიანების დასჯას, ვინც ეს გადაიღო, ვინც ეს დაუკვეთა. დღეს ვანო მერაბიშვილი ციხეში არ ზის ამ სისტემის შექმნისთვის, მიხეილ სააკაშვილს ბრალი არ აქვს წაყენებული ამისთვის, არც ადეიშვილს და სხვათა შორის, არც ტექნიკური შემსრულებლები დაუსჯია ვინმეს. მე ბევრჯერ ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სად არის ზურაბ კოტარია, რომელიც ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს იყო ოპერატიულ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი?

**— როგორც გავარკვიეთ, კოტარია ამჟამად „დელტა-კომის“ შვილობილი კომპანიის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ეს ის კომპანია გახლავთ, რომელიც ინტერნეტქსელებს ამონტაჟებს საქართველოს რეგიონებში, შექმნილია 2012 წელს.**

– მთლად უარესი, მაგარ ხაზზე დაუსვამთ. რას აკეთებს, სად არის დღეს ამირან მესხელი, რომელიც იყო ამ ყველაფრის შემოქმედი?

**— როგორც ამბობენ, ამირან მესხელი ბელორუსში გაიქცა და იქ მოკლეს.**

– კი, ბატონო, ეგ ჯერ არ არის დადასტურებული. მე მაინტერესებს, რატომ მუშაობენ ისევ ძალოვან სტრუქტურებში შემსრულებლები? „ნაციონალებს“ ჰქონდათ ძალიან „კარგი“ კანონები, რომლებიც იქით უნდა შეებრუნებინათ. როგორც ვიცი, ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილებიდან არავინ არ არის გაშვებული. ერთადერთი, ის პატარა ბიჭი გამოააშკარავეს, რომელსაც უკავშირდებოდა ე.წ. მოსასმენი ვირუსი და ამაზეც მოგვიანებით გაჩუმდნენ. ეს ვირუსი ახლაც აქტიურად გამოიყენება, ამის გაქრობაზე უნდა ეზრუნათ ინტერნეტპროვაიდერებს, მაგრამ ასე არ მოხდა. თავის დროზე ეს ვირუსი შექმნეს ამერიკელებმა, მერე ვანო მერაბიშვილის თხოვნით მისცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსი ჰაკერების საწინააღმდეგოდ, მაგრამ „ნაცებმა“ რაშიც გამოიყენეს, ვნახეთ. კიდევ ერთი პრობლემა: ჩვენთან შემოიღეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელიც წელიწადში ფინანსდება 2 მილიონ 100 ათასი ლარით. იქ ზის პატარა გოგო, თამარ ქალდანი, რომელიც ადრე მუშაობდა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“, სოროსის ფონდში და ასე შემდეგ. ამ ქალდანმა გააკეთა განცხადება, არა მხოლოდ ის უნდა გამოიძიოთ, ვინ ატვირთა ვიდეო, არამედ უნდა დაადგინოთ ავთენტურობაცო. კი, მაგრამ როგორ უნდა დაადგინონ ავთენტურობა? ესე იგი, უნდა დაუძახონ ქალბატონს, ვისზეც ეჭვია... ასევე, იმ ვაჟბატონს, გამოკითხონ, როდის იყო, რანაირად იყო, სად იყო და ასე შემდეგ?! ეს ყველაფერი გაცილებით ადრე უნდა გაეკეთებინათ არალეგალურად და დამნაშავეები მიეცათ პასუხისგებაში. შემსრულებლები აუცილებლად დაასახელებდნენ დამკვეთებს, ანუ ზემდგომებს. სხვათა შორის, ფარული გადაღებებით თავდაცვის სამინისტროც იყო დაკავებული და სამინისტროში დღესაც არის ეს ტექნიკა. ამის შესახებ არავინ არ საუბრობს.

**— ირმა ინაშვილი ამტკიცებს, რომ თინა ხიდაშელი დღესაც ახორციელებს მოსმენებს.**

– მე არ გამოვრიცხავ, ტექნიკა დარჩენილია თავდაცვის სამინისტროში. სამინისტროს რაღაც დაზვერვის ფუნქცია უნდა ჰქონდეს, მაგრამ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების დაზვერვაზე არ უნდა მუშაობდეს. მაგალითად, ამერიკაში სადაზვერვო ორგანოებს ამ ტიპის საქმიანობა სასტიკად ეკრძალებათ. ამას უნდა აკეთებდეს შიდა უსაფრთხოების სამსახური, ანუ კონტრდაზვერვა. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტრო,

ცნობისთვის

როგორც კრიმინალთან მებრძოლი ორგანო. თუ შემსრულებლებს ბრალს წაუყენებდნენ, ისინი ვანო მერაბიშვილსაც დაასახელებდნენ, ბაჩო ახალაიასაც და მიხეილ სააკაშვილსაც.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება მართლა დაშანტაჟებულია მსგავსი ვიდეოებით?**

– რა თქმა უნდა, დაშანტაჟებულია... ეს ყველაფერი იმთავითვე უნდა გახსნილიყო, თუ საჯარო სამსახურში და პოლიტიკაში მიდიხარ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. ვინც იცოდა, რომ მასზე რაღაც კომპრომატი არსებობდა, გამოსულიყო და ეთქვა. აგერ, დღეს ჰომოსექსუალობის აღიარებას ვაჟკაცობად თვლიან, ჩვეულებრივი სექსის აღიარება რა პრობლემაა?

**— რას ამბობთ, ეს ქალბატონი უნდა გამოსულიყო და ყველაფერი ნებით დაეფქვა? მერე ოჯახი, გარემო?**

გაგრძელება ოცდამეხუთე გვ.



„ქალდანმა გააკეთა განცხადება, არა მხოლოდ ის უნდა გამოიძიოთ, ვინ ატვირთა ვიდეო, არამედ უნდა დაადგინოთ ავთენტურობაცო. კი, მაგრამ როგორ უნდა დაადგინონ ავთენტურობა? ესე იგი, უნდა დაუძახონ ქალბატონს, ვისზეც ეჭვია... ასევე, იმ ვაჟბატონს, გამოკითხონ, როდის იყო, რანაირად იყო, სად იყო და ასე შემდეგ?!“



„ფარული გადაღებებით თავდაცვის სამინისტროც იყო დაკავებული და სამინისტროში დღესაც არის ეს ტექნიკა“

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. დიეგო არმანდო ...
2. სოფელი გორის რაიონში
3. ტურ ჰიერ-დელის ტიპი
4. ბ/ფ „... და მოედანი"
5. ამფიბია
6. ვულკანი ჰავაიზე
7. გადაშე-ნებული ფრინველი
8. ბიბლიური მთა
9. თბილისის ძველი უბანი
10. კალის საბურთვი ჯოხი
11. მდინარე იტალიაში
12. ციხე-სიმაგრე თბილისში
13. რეგ-ჟისორი ალფონსო ...
90-დღიანი ვადის გადაცილების შემთხვევაში, ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად. ასეთი პირი გაძევებული იქნება ქვეყნიდან და აეკრძალება ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც უკვე იმყოფებიან არალეგალურად ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე, უვიზო მიმოსვლის რეჟიმით ვერ ისარგებლებენ და მათზე არავითარი განსაკუთრებული წესი არ გავრცელდება. ასეთი პირების არალეგალურად ყოფნის აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი გაძევებულ იქნებიან ქვეყნიდან და აეკრძალებათ შენგენის ტერიტორიაზე შესვლა უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მიუხედავად, – განმარტავენ საგარეო საქმეთა სამინისტროში. (ambebi.ge)

# როგორ ჩაწერეს ფარული ვიდეო განათავსეს ინტერნეტში შეიძლება ვერც მიაკვლიონ დამნაშავეს ?

## რას უყვება „ალიას“ შსს-ს ფარული ვიდეო და აუდიო სამმართველოს უფროსი

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**თანამედროვე ტექნოლოგიებმა უკვე მიაღწია იმ დონეს, რომ პირადი ცხოვრების დაცვაზე საუბარი სასაცილო გახდა. სწორედ ამ ტექნოლოგიებს ემსხვერპლა ჩვენში ძალიან ბევრი და, ალბათ, მომავალშიც ემსხვერპლება. ვაღიაროთ, საქართველოში ადამიანების წინააღმდეგ ბინძური მეთოდებით ბრძოლას და შანტაჟით მოთვინიერებას საფუძველი მაინც მიხეილ სააკაშვილმა ჩაუყარა, ხოლო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ლამის „ჰოლივუდის“ დონეზე განავითარა. ამ დღეებში გავრცელებულმა ვიდეომ, სადაც ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი ქალისა და სავარაუდოდ, ასევე მაღალჩინოსანი მამაკაცის სექსუალური ცხოვრებაა ასახული, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ძალიან მყრალ სიტუაციაში ვცხოვრობთ და ყველა დაუცველი ვართ. ტექნიკური თვალსაზრისით, რა გამოსავალი არსებობს და რა ხერხებით უნდა იმოქმედოს გამოძიებამ, რომ სკანდალური ვიდეოჩანაწერის გამავრცელებელი იპოვოს და დასაჯოს? ამაზე „ალიას“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის ფარული ვიდეო და აუდიო სამმართველოს ყოფილი უფროსი, ბესო ხითარიშვილი ესაუბრება:**




**„აქ ორი მომენტია, მსგავსი კომპრომატი ან უნდა დადო იმისთვის, რომ ხელისუფლება დაადანაშაულო, ან კიდევ იმისთვის, რომ ზოგიერთი მაღალჩინოსანი გააფრთხილო, თუ არ იქნები მორჩილი, შენს ცხოვრებას დავუსვამთ წერტილს. ამ შემთხვევაში ცდილობენ, ორი კურდღელი დაიჭირონ, ორივე ვერსიას ავითარებენ“**





**„ხშირად ფირებს ისე ამონტაჟებდნენ, ისე ქმნიდნენ კომპრომატს, ვერც კი მიხვდებოდი, რა უბედურება დატრიალდა შენს თავზე. ვიმეორებ, მსგავსი ვიდეო ძალიან ბევრია და მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ყველა გააფრთხილეს, თუ ჩვენს ნებას არ დაჰყვებით, თუ ჭკუით არ იქნებით, კიდევ გამოვაქვეყნებთო“**

– ნებისმიერ პიროვნებას, ვინც ვიდეოფაილს ტვირთავს, აქვს მისამართი, ანუ საიდანაც ტვირთავს, ეს ფიქსირდება. კარგი სპეციალისტი იოლად ადგენს, რომელმა ინტერნეტმომხმარებელმა ჩაიდინა დანაშაული. შეიძლება ინტერნეტკაფეში შევიდეს ვიღაცა და იქიდან ატვირთოს, სხვისი კომპიუტერი გამოიყენოს, მაგრამ რომელი ინტერნეტპროვაიდერიდან მოხდა, ესეც ფიქსირდება, ყველა პროვაიდერს თავისი პირადობის ნომერი აქვს. ამის მიხედვით შესაძლებელია დადგენა, რომელი ადგილიდან, ანუ რომელი ქალაქიდან მოხდა ატვირთვა. სპეციალისტები იმასაც კი ადგენენ, კონკრეტულად რომელი კომპიუტერი გამოიყენეს. არა მგონია, ეს ისეთი არიფის გაკეთებული იყოს, რომ ამისთვის პირადი კომპიუტერი და შესაბამისად, პირადი ნომერი გამოეყენებინა. როგორც წესი, ამ დროს უფრო ინტერნეტკაფეებს იყენებენ.

**— იქნებ ვიღაცამ ატვირთა და პირადი კომპიუტერი გაანადგურა?**

– კოორდინატებს მაინც დაადგენენ. თუ გამოძიება საფუძვლიანად დაინტერესდება, ადგილს დაადგენს, თუ ინტერნეტკაფე გამოიყენა ვინმემ, მაშინ იქ აუცილებლად იქნება ვიდეოკამერები და ჩანაწერების ნახვა გახდება საჭირო. ესე იგი, როდის არის ატვირთული, ეს ფიქსირდება, დღეც, საათიც და წუთიც. ინტერნეტკაფეში ვინ შევიდა დროის იმ კონკრეტულ მონაკვეთში, ეგეც მარტივად დადგინდება. თუ ეს გაკეთებულია სხვა ქვეყნიდან, მაშინ ცოტა გართულდება. ამ შემთხვევაში შესაბამისმა სამსახურმა უნდა მიმართოს იმ ქვეყანას შუამდგომლობით და ერთობლივად დაიწყოს გამოძიება. აქ უკვე ამუშავდება ხელშეკრულებები, რაც დადებული გვაქვს სხვა სახელმწიფოებთან. ამას არეგულირებს საერთაშორისო კონვენციებიც. მოკლედ, თუ სურვილი იქნება, გამოძიება ყოველთვის მიაგნებს მას, ვინც ეს გააკეთა. ვიდეო, რაც გავრცელდა, გადაღებულია 2012 წლის არჩევნებამდე. სწორედ მაშინ იყო გადაღებებისა და კომპრომატების მოპოვების ბუმი „ნაციონალების“ მხრიდან. იმ პერიოდში „ქართული ოცნების“ ოფისიდან გადიოდა უამრავი ინფორმაცია აუდიო თუ ვიდეოჩანაწერების სახით. მანდ რემონტი გაკეთდა ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის დროს, შიგნით რა შედიოდა და ვინ შედიოდა, არავინ იცის. დღეს გადაღებისა თუ ჩაწერის იმდენი საშუალება არსებობს, ტექნოლოგიები ისე დაიხვეწა, ადამიანს რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი – მით უმეტეს, თუ ცნობილი სახე ხარ და პოლიტიკაში მოღვაწეობ, საკუთარი თავი მაქსიმალურად უნდა გააკონტროლო. თუ ადამიანს საფუძვლიანად ჩაუჯდებიან, ნებისმიერ დროს გადაუღებენ. ამ ვიდეოში კამერა არ მოძრაობს, აშკარად ჩანს, რომ წინასწარაა დამონტაჟებული. აქედან დასკვნა: ვიღაცებს წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია, ანუ ეს არ იყო პირველი შემთხვევა და გამოიყენეს სიტუაცია. ნუ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ მეორე პიროვნება, ანუ მამაკაცი, რომელიც ამ სცენაში მონაწილეობს, იყოს ან სპეცსამსახურის თანამშრომელი, ან კიდევ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა. გამოძიება უნდა დაინტერესდეს ამ პიროვნებითაც, შეიძლება ასე უფრო იოლად გავიდნენ კვალზე.

**— ბესო, ამბობენ, რომ მსგავსი კომპრომატები ძალიან ბევრ მაღალჩინოსანზე არსებობს.**

– საერთოდ, 2008 წლამდე მიყურადება და გადაღებები კი იყო, მაგრამ პიროვნებებზე ნადირობა დაიწყო ამის შემდეგ. რა კომპრომატებიც არსებობს, ძირითადად გაკეთებულია 2010-2011 წლებში და 2012-ის ზაფხულში. ამ პერიოდში ყველა ბინძური მეთოდი იყო მიღებული, სააკაშვილის რეჟიმი ცდილობდა, კომპრომატები მოეპოვებინა ყველაზე და ყველაფერზე, რათა სიტუაცია ეკონტროლებინა. ძალიან ბევრი ადამიანი გადაიღეს, ზოგს შეგნებულად უკეთებდნენ, ზოგის შემთხვევაში მომენტს არ უშვებდნენ ხელიდან იმ იმედით, რომ მომავალში გამოადგებოდათ. მეტიც, ხშირად ფირებს ისე ამონტაჟებდნენ, ისე ქმნიდნენ კომპრომატს, ვერც კი მიხვდებოდი, რა უბედურება დატრიალდა შენს თავზე. ვიმეორებ, მსგავსი ვიდეო ძალიან ბევრია და მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ყველა გააფრთხილეს, თუ ჩვენს ნებას არ დაჰყვებით, თუ ჭკუით არ იქნებით, კიდევ გამოვაქვეყნებთო. აქ ორი მომენტია, მსგავსი კომპრომატი ან უნდა დადო იმისთვის, რომ ხე-

გაგრძელება

ლისუფლება დაადანაშაულო, ან კიდევ იმისთვის, რომ ზოგიერთი მაღალჩინოსანი გააფრთხილო, თუ არ იქნები მორჩილი, შენს ცხოვრებას დავუსვამთ წერტილს. ამ შემთხვევაში ცდილობენ, ორი კურდღელი დაიჭირონ, ორივე ვერსიას ავითარებენ. რეალურად შევხედოთ პოლიტიკურ სიტუაციას, დღეს ირაკლი ალასანიას პარტია ნამდვილად არ არის „ქართული ოცნებისთვის“ ისეთი მოწინააღმდეგე, რომ ამ უკანასკნელს ასეთი ბინძური ხერხებით ბრძოლა სჭირდებოდეს. არც ის ქალბატონია ისეთი რეიტინგული, რომ ვინმემ ხელისუფლებაში თავი გაიგიჟოს. მე ვფიქრობ, სხვა ძალა ცდილობს, ალასანიას გუნდი მორჩილებაში ამყოფოს. დაუკვირდით, როგორ იქცევა „რუსთავი 2“-ის შეფი, ნიკა გვარამია, რომელიც აშკარად მხარეა. ეს ადამიანი ლაპარაკობს ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე. მეც ბევრი რამე ვიცი, ბევრ რამეზე მაქვს ეჭვი, მაგრამ მტკიცებულების გარეშე ვერ ვილაპარაკებ. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია პროკურატურაზე, რამდენად ოსტატურად წარმართავს გამოძიებას. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს ვიდეო უცხოეთის რომელიმე ქვეყნიდან აიტვირთა და ამას ცოტა დრო დასჭირდება. თუ საქართველოში მოხდა, მაშინ გამოძიება უფრო იოლი იქნება.

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# რა საფრთხე და რისკები არსებობს ე.წ. სმს-სესხების გამოტანის შემთხვევაში?










**რა უნდა იცოდეს ბანკის პოტენციურმა კლიენტმა ბანკთან სასესხო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ? როდიდან წარმოეშობა კლიენტს ბანკთან სასესხო ვალდებულებები და რა საბანკო მაქინაციებს მიმართავენ ზოგიერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და როგორ ავარიდოთ ამ მაქინაციას თავი? რა საფრთხე და რისკები არსებობს ე.წ. სმს-ს სესხების გამოტანის შემთხვევაში? ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებს ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ თანადამფუძნებელი, მარიკა არევაძე უპასუხებს.**

— **მარიკა, რა შემთხვევაში ითვლება საბანკო სესხი უკვე დამტკიცებულად?**

– პირი, რომელსაც სესხის აღება სურს, მიდის საკრედიტო დაწესებულებაში, აკეთებს განაცხადს. განაცხადი ავტომატურად არ ნიშნავს ბანკთან თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმებას. თუ განაცხადის ტექსტშივე არ არის მითითებული, რომ სესხი დამტკიცებისთანავე დაიწყებს ვალდებულების წარმოშობას. შესაბამისად, ბანკთან/საკრედიტო დაწესებულებასთან ვალდებულებები წარმოიშვება გამსესხებელსა და მსესხებელს შორის შესაბამისი (სესხის) ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან. მაგალითისთვის, უფრო მარტივად რომ ავხსნათ, ასე გეტყვით. მივდივართ ბანკში/საკრედიტო დაწესებულებაში სესხის მიღების მიზნით, შევავსეთ განაცხადი, დაგვიმტკიცდა სესხი, მაგრამ მის მიღებამდე გადავწყვიტეთ, რომ აღარ გვსურს სესხის აღება. ასეთ შემთხვევაში, თუკი სესხის მისაღებად შევსებულ განაცხადში არ წერია რაიმე ისეთი პირობა, რომლითაც წარმოიშვება სესხით უპირობოდ სარგებლობის ვალდებულება – მაშინ ეს ვალდებულება სესხის დამტკიცებისთანავე არ წარმოგვეშობა. ბანკებში, სტანდარტულად პროცესი ასე მიმდინარეობს – სესხის დამტკიცების შემდეგ ბანკის წარმომადგენელი/კრედიტ-ოფიცერი ხვდება მსესხებელს, აფორმებს მასთან ხელშეკრულებას და ამის შემდეგ, ბანკი კრედიტს რიცხავს მსესხებლის/კლიენტის ანგარიშზე. აი, სწორედ ამის შემდეგ იწყება კლიენტის მიერ ბანკის მიმართ ვალდებულების წარმოშობა.

— **ამ დროს რომ გადავიფიქრო თანხის გამოტანა, დავუშვათ, ბოლო მომენტში ვიშოვე საჭირო თანხა და აღარ მჭირდება კრედიტი, მაქვს უფლება, უარი ვთქვა კრედიტზე და უკან დავაბრუნო?**

– არა, ამ მომენტისთვის ამის გაკეთება უკვე გვიანია, ბანკის წინაშე ვალდებულებას ველარ გაექცევით. საუკეთესო გამოსავალი ის იქნება, რომ ანგარიშზე არსებული თანხით წინსწრებით გადაიხადოთ კრედიტი, ანუ დაფაროთ მთელი თანხა, 1 თვის პროცენტი და წინსწრებით დაფარვისთვის განსაზღვრული პირგასამტეხლო, რომელიც ხელშეკრულებაში აუცილებლად მითითებული იქნება. სხვა შემთხვევაში, ანგარიშზე თანხა რომც დატოვოთ იმ იმედით, რომ სესხით არ სარგებლობთ – დაუშვებთ შეცდომას. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ბანკი/საკრედიტო დაწესებულება გრაფიკის მიხედვით დაიწყებს ანგარიშზე არსებული თანხიდან ძირი თანხისა და შესაბამისი პროცენტის ჩამოჭრას და გარკვეული დროის მერე, როდესაც ანგარიშზე არსებული თანხა სრულად გაიხარჯება ავტომატური ჩამოჭრებით – სესხი გადავა დავალიანებაში, თქვენ კი ვალდებულება ჩაგეთვლებათ დარღვეულად და თქვენ მიმართ უკვე დაიწყება პირგასამტეხლოების დარიცხვა, რამაც შეიძლება გაუგონრად დიდი მოთხოვნის უფლება გაუჩინოს ბანკს / საკრედიტო დაწესებულებას თქვენ მიმართ.

— **მსმენია ისეთი შემთხვევების შესახებაც, როცა პირს საბანკო დაწესებულებასთან ხელშეკრულება ჯერ არ აქვს გაფორმებული, სესხს უმტკიცებენ, ანგარიშზე თანხას ურიცხავენ და ამის შემდეგ უფორმებენ ხელშეკრულებას მათთვის სასურველი პირობებით. ასე ვთქვათ, თაღლითობენ და გაუცნობიერებელ კლიენტებს ატყუებენ. ამას უფრო მიკროსაფინანსო ორგანიზაციები აკეთებენ. ასეთ შემთხვევაში რა უნდა ქნას კლიენტმა, თუ მას აღარ უნდა ამ სესხის გამოტანა და გადაიფიქრა მისით სარგებლობა?**

– ვიმეორებ, ბანკთან თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე მსესხებელს არანაირი ვალდებულება არ აკისრია მათ წინაშე, თუკი მათ მიერვე ხელმოწერილ განაცხადში ასეთი ვალდებულების შესახებ არ არის ჩანაწერი. თუ აღნიშნული ვალდებულების რეალურად არ არსებობის მიუხედავად გამსესხებელი მოტყუებით ცდილობს მსესხებელთან ხელშეკრულების გაფორმებას, რომ მსესხებელს წარმოუშვას სასესხო ვალდებულებები, მაშინ მსესხებელმა უნდა მიმართოს გამსესხებელს წერილობით და განუმარტოს, რომ მას არ სურს კრედიტით სარგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ თანხა უკვე დაუსვეს ანგარიშზე და მოითხოვოს ამ თანხის უკან წაღება. იმ პირობების არსებობის შემთხვევაში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე გამსესხებელი დაწესებულება ვალდებულია, კლიენტის ეს მოთხოვნა შეასრულოს. თუ ასე არ მოიქცევა საკრედიტო დაწესებულება (ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) კლიენტს მაინც მოსთხოვს ხელშეკრულების გაფორმებას და შესაბამისად, ვალდებულებების შესრულებას, მაშინ ასეთი პირი დამიკავშირდეს და შევეცდები, ყველანაირად დავეხმარო სიმართლის დადგენასა და უფლების დაცვაში.

— **შესაძლოა, სწორედ კლიენტთა გამოუცდელობით სარგებლობენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მათი მითითებით განაცხადში იწერება სასესხო ვალდებულებები და ამიტომაც არის შემთხვევები, რომ ზოგიერთებს უმტკიცებენ სესხს და ხელშეკრულების გაფორმებამდე ეუბნებიან, რომ ის უკვე ანგარიშვალდებულია ბანკის წინაშე, მერე კი კაბალურ პირობებს ახვევენ თავზე.**

– ასეთ შემთხვევაში პოტენციურ კლიენტებს მხოლოდ შემიძლია ვურჩიო, რომ საბანკო/საკრედიტო დაწესებულების თანამშრომლის ზეპირსიტყვიერ ინფორმაციას არ ენდოს და ნებისმიერი დოკუმენტის ხელმოწერამდე, იქნება ეს განაცხადი თუ ხელშეკრულება, ყურადღებით გაეცნოს მას. ვიდრე განაცხადს შეავსებენ, გაიგონ, რა არის სასესხო პირობები. ეს მაინც უნდა იცოდნენ, როცა ბანკიდან სესხი გამოაქვთ. ერთ მნიშვნელოვან საკითხზეც შევაჩერებ თქვენი გაზეთის მკითხველის ყურადღებას. ამ ბოლო დროს მეტად პოპულარული გახდა სმს-სესხები. მომხმარებელს ბანკიდან თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან მისდის ტელეფონის ნომერზე სმს-ი და მასში წერია, რომ დაუმტკიცდა კონკრეტული რაოდენობის სესხი. თუმცა, ამ სესხის პირობებზე ამ სმს-ში არაფერია ნათქვამი. პიროვნებამ არ იცის, რამდენპროცენტიანია ეს სესხი, გამოტანის შემთხვევაში როდიდან უნდა დაიწყოს გადახდა, რამდენი პროცენტია პირგასამტეხლო ვადაგადაცილების შემთხვევაში, რა რაოდენობის თანხა უნდა დააბრუნოს უკან იმის სანაცვლოდ, რაც დაუმტკიცდა და რასაც ბანკი აძლევს და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები. ამის გარკვევას ბევრი არ ცდილობს და გამოაქვს ეს სმს-სესხი ბანკომატიდან. ისე, რომ ბანკში საერთოდ არ

### [illegible] მოგიყვებით

მიდის ამ ყველაფრის გასარკვევად. ბანკი კი, თავის მხრივ, ამგვარი რისკების შესახებ იმავე სმს-ით არ აწვდის პიროვნებას ინფორმაციას. მერე აღმოჩნდება, რომ ამ სმს-სესხის პროცენტი ძალიან მაღალია, შესაბამისად, ბევრი გამოდის უკან დასაბრუნებელი თანხა, ასევე, მაღალია პირგასამტეხლოები და ჯარიმები. მოკლედ, უკვე ბანკის კლიენტად ქცეული კონკრეტული პიროვნება კაბალური პირობების ტყვე ხდება და ვალდებულია, ეს პირობები შეასრულოს. ჩემთან მოსულან ადამიანები, რომელთაც ეს 300-ლარიანი სმს სესხი 1000 და 3000 ლარი გახდომიათ, რადგან ვერ შეუსრულებიათ ბანკების მოთხოვნები.

— **ანუ ბანკი ვალდებულია, სმს-სესხის შეთავაზებას, სასესხო პირობებიც ზედ მიაყოლოს და ერთ სმს-ში პოტენციურ კლიენტებს ყველა დეტალი განუმარტოს?**

– ამ შემთხვევაში ბანკი ვალდებული არ არის, ეს გააკეთოს და საქმეც ამაშია. ბანკი მხოლოდ სესხს სთავაზობს პიროვნებას და თუ მან ფული გამოიტანა ბანკომატიდან, უკვე კლიენტსა და ბანკს შორის, გამოდის, რომ ზეპირი ხელშეკრულება არსებობს, რომელსაც მხოლოდ ერთი მხარე იცნობს – ბანკი.

— **გამოდის, რომ ეროვნულმა ბანკმა უნდა დაავალდებულოს კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომ სმს-სესხებს თან ინსტრუქციებიც მიაყოლონ და პიროვნებას დეტალური ინფორმაცია მისცენ იმ სესხის შესახებ, რომელსაც უმტკიცებენ.**

– კი, ეს რეგულაცია აუცილებლად დასაწესებელია. ვისაც სმს-შეტყობინებას გაუგზავნის საბანკო დაწესებულება, მან ასევე, სმს-ის ან სხვა რაიმე გასაგები საშუალებით დეტალურად უნდა იცოდეს უკვე დამტკიცებული სესხის პირობები. თუმცა, რადგან ეს ვალდებულება საბანკო დაწესებულებებს არ გააჩნიათ, ვისაც სმს-სესხს დაუმტკიცებენ, ვიდრე ბანკომატიდან გამოიტანს, აუცილებლად უნდა მივიდეს ბანკში და გაარკვიოს, რა პირობებით აძლევენ ამ სესხს. ამით თავს აარიდებენ საბანკო მახეს.

## „მძიმე დანაშაულის ჩამდენი პატიმარი მირჩევნია უპასუხისმგებლო პოლიტიკოსს!!!!“

### ხალხის აზრი

**ინგა ბერიკაშვილი, უფლებადამცველი:**

– ყველა თითს ამ სააგენტოებზე რომ იშვერთ, ამორალური ე.წ. ჟურნალისტები რომ მორალს უკითხავთ, მსოფლიოს რომ ანახეთ პატიმრების წამებისა და შეურაცხმყოფელი კადრები და ყველა სააგენტო რომ ელვის სისწრაფით ავრცელებდით ამ ადამიანების ამაზრზენ კადრებს, მაშინ რატომ არ აღშფოთდით? თუ ის „უბრალო“ პატიმარი იყო და მაგიტომ?

მე კიდევ, როგორც უფლებადამცველი, ხმამაღლა გეტყვით, რომ მძიმე დანაშაულის ჩამდენი პატიმარი მირჩევნია უპასუხისმგებლო პოლიტიკოსს!!!!

*მაკა დეკანოსიძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა აზერბაიჯანია



საქსტატის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წელს 1351 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6 პროცენტით აღემატება 2014 წლის წინასწარ შედეგებს და 23 პროცენტით ნაკლებია ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებზე.

საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა აზერბაიჯანია. 2015 წელს აზერბაიჯანიდან შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, წინასწარი მონაცემებით, 542 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდზე თითქმის 200 მილიონი დოლარით გაზრდილი მაჩვენებელია. მეორე ადგილზეა გაერთიანებული სამეფო. საანგარიშო პერიოდში, გაერთიანებული სამეფოდან საქართველოში, 198 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. სამეულშია ნიდერლანდებიც, საიდანაც 111 მილიონის ინვესტიცია განხორციელდა. საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი კომპანიების ხუთეულშია ლუქსემბურგიც და თურქეთიც. ასევე ათეულში შედიან, თურქეთ, რუსეთი, ჩინეთი და ამერიკა.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2015 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 63 პროცენტი შეადგინა. აზერბაიჯანის წილი მთლიან ინვესტიციებში 40 პროცენტია, გაერთიანებული სამეფოსი 15 პროცენტი, ხოლო ნიდერლანდების – 8 პროცენტი.

რაც შეეხება ინვესტიციების გადანაწილებას სექტორების მიხედვით, სამი უმსხვილესი სექტორის წილმა 2015 წელს 68 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 594 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 44 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობა 191 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – დამამუშავებელი მრეწველობა 129 მლნ აშშ დოლარით. (businesscontact.ge)

## „აღარაფერი მიკვირს მას შემდეგ, რაც ყველა ოთახში სტალინის სურათის დაკიდება მოითხოვა“



გოგი თოფაძის მიერ თურქეთთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას თავდაცვის მინისტრი გამოეხმაურა. თინა ხიდაშელის თქმით, თოფაძის განცხადებები მისთვის სიურპრიზი არ არის:

– არ ვაფასებ მის განცხადებებს, არც ერთი განცხადება ჩემთვის სიურპრიზი აღარ არის და აღარაფერი არ მიკვრის მას შემდეგ, რაც ყველა ოთახში სტალინის სურათის დაკიდება მოითხოვა. მისი განცხადებები ჩემთვის საინტერესო აღარ არის, – განაცხადა თინა ხიდაშელმა. (პირველი რადიო)

## „კლინიკების მხრიდან მცდელობებია, რომ გეგმური შემთხვევები გადაიყვანონ გადაუდებლად“



ჯანდაცვის მინისტრი კლინიკებზე კონტროლის შესაძლო გამკაცრებასთან დაკავშირებით საუბრობს და განმარტავს, რომ კონტროლის მექანიზმი და მონიტორინგი უკვე 2013 წლიდან ხორციელდება, თუმცა იდეალური სისტემა არ არსებობს.

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, კლინიკების მხრიდან არის მცდელობები, რომ გეგმური შემთხვევები გადაიყვანონ გადაუდებლად, ვინაიდან ანაზღაურების სისტემა სხვადასხვაა.

– რადგან ანაზღაურების სისტემა სხვადასხვაა, გადაუდებელი მკურნალობა 100 პროცენტით ფინანსდება, ხოლო გეგმური – 70 ან 80 პროცენტით, არის ხოლმე მცდელობები კლინიკების მხრიდან, რომ მათ გეგმური შემთხვევები გადაუდებლად გადაიყვანონ. ასეთი შემთხვევები ცნობილი ფენომენია. ამისთვის ჩადებულია დაცვისთვის სამმაგი ეშელონი, თუმცა იდეალური სისტემა არ არსებობს.

რაც შეეხება კონტროლის მექანიზმის გამკაცრებას. 36-ე დადგენილებაში ამ 3 წლის განმავლობაში რამდენიმე ათეული ცვლილება შევიდა და თითოეული მათგანი მიმართული იყო იმისკენ, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული არამიზნობრივი ხარჯები. სამწუხაროდ, ხშირი შემთხვევებია, შეიძლება ასეულობით, როცა პაციენტის მკურნალობის დოკუმენტაციას არასწორად გვაწვდიან და ამ დოკუმენტაციაზე თანხას არ ვრიცხავთ, საუბარია დაახლოებით მოწოდებული დოკუმენტაციის 5 პროცენტზე, – განმარტა მინისტრმა. (პირველი რადიო)

## საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთი მასშტაბურ სამხედრო წვრთნებს იწყებს



ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთი მასშტაბურ წვრთნებს იწყებს. წვრთნებში 1 500-მდე სამხედრო და სპეციალური ერთეული ტექნიკაა ჩართული რუსული მედიის ცნობით, კავშირგაბმულობის ჯარების სამეთაურო-საშტაბო სწავლება ოლქის 35 პოლიგონზე, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმში, სომხეთსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაიწყო. წვრთნები 12 მარტამდე გაგრძელდება. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ამათ რა მოწიეს ასეთი?“

„არ გათხოვდე! გათხოვება ქმრის მსახურებაა!“

„კაცს რა უნდა საჭესთან“ „კაცი ვიცი მე „კუხნაში“

ლაურა აბრამია
591 97-67-09

ფემინიზმი

ამ დღეებში ფილარმონიასთან ფემინისტური აქცია მოეწყო, მათი მთავარი ლოზუნგი იყო: „არ გათხოვდე! გათხოვება ქმრის მსახურებაა!“ ხალხმა მართლა ვერ გაიგო ამ გამოსვლის და მათ მიერ გამოფენილი მოწოდებების არსი... დღის კულმინაცია კი გახდა „ლეიბორისტული პარტიის“ ახალგაზრდა ფრთის წარმომადგენელ გოგონათა პარტიის ბანერთან პლაკატებით ხელში გადაღებული ფოტოები: „კაცი ვიცი მე „კუხნაში“, „ყველა ქერა კაცი შტერია“, „კაცი სუსტი არსებაა“, „ღვინო, დუდუკი, კაცები“, „კაცს რა უნდა საჭესთან“ „არავაჟიშვილზე არ გავთხოვდები“... „დედა რა იყო ეეეეს“ – სწორედ ასეთი რეაქცია მოჰყვა ამ ფაქტსაც და ამის გარშემო ვნებათაღელვა არ ცხრება ახლაც კერძო საუბრებსა თუ სოციალურ ქსელში. ასე მაგალითად: „ამათ რა მოწიეს ასეთი?“ „ვაი ამათ დედებს, ჰგონიათ რომ შვილები გაზარდეს“, „რათა, შვილო, რათა“, „აუფ, ამათ არც დედა ჰყავთ, არც მამა და საერთოდ ქვეყანას დედა აღარ ჰყავს!“ „ლეიბორისტებმა“ ხელი მოისვან, ამათ მაგრა შიგა აქვთ, რას ერჩიან ამ გამოთაყვანებულ ბავშვებს“ და ა.შ...

**ჟურნალისტი ბაჩურ სვანიძე „ალიასთან“ საუბარში „ლეიბორისტების“ ამ ე.წ. ფემინისტურ გამოსვლას შემდეგნაირად ხსნის:**

– ეს მართლა არ ვიცი, რა იყო, სრული შოკი დამემართა, სიურპრიზიც კი იყო. მართალია, ცოტა კომიკურია ეს ყველაფერი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნდა გავატაროთ. ახლა გამოშტერებული ფემინისტების მეტი რა მინახავს, მაგრამ „ლეიბორისტული პარტიის“ ბანერების ფონზე გადაღებული ნამეტანი იყო... შალვა ნათელაშვილს რომ ჰკითხო, გამოდის და ქართველობას აწვება, რა იყო ეს, ალბათ, გრანტების სუნი ეცათ „ლეიბორისტებს“, სხვა რა? უდებილესი პლაკატები დააჭერინეს ამ პატარა გოგოებს, საერთოდ ბოლო ათ წელზე მეტია, შალვა ნათელაშვილი ცოტა უცნაურად იქცევა, გიჟივით გამოდის აქა-იქ, არაადეკვატურია აშკარად, სიბერე დაემართა, თუ რა არის, ვერ გეტყვით, გოგონას რომ უჭირავს პლაკატი „ღვინო, დუდუკი, კაცები“, ეს რა არის საერთოდ, ომარ ხაიამის ცნობილი აბზაცია ეს და სხვა დატვირთვის მატარებელია, რომელმაც თავისი დადებითობით დროს გაუძლო, ვინ დებილს მოუვიდა თავში ამის ასე გადაკეთება. მოდით, ცოტა უხეშად ვიტყვი, სხვანაირად ვერ შევაფასებ ამას, დაეწერა ამ გოგოს პირდაპირ ტელეფონის ნომერი მაშინ და ნახავდა კაცების ცვენას, კაცები? რა პრობლემაა, ქალს, გოგოს ერთი თვალის აჟუჟუნება სჭირდება, რომ რიგი დაიყენოს, ასე არ არის? მოკლედ, კომიკური სიტუაცია კი შეიქმნა, როგორც თავშივე ვთქვი, მაგრამ არც ისე სასაცილოა ეს ყველაფერი. საინტერესოა, რა მიზანი ჰქონდათ ლეიბორისტებს და დიდი ფული რომ დგას ამ დებილიზმის დასამკვიდრებლად საქართველოში, ორი აზრი არაა, ესაა, ალბათ, მათი დაინტერესებაც, მეტი რით უნდა აიხსნას....

**ჩვენ „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს გიორგი გუგავას ვთხოვეთ საკითხის გარშემო კომენტარის გაკეთება. და როგორც მოსალოდნელი იყო, ცოტა გაწიწმატებული პასუხები გაგვცა. იმისთვის, რომ მკითხველმა სწორად გამოიტანოს დასკვნა, ამ სატელეფონო საუბარს უცვლელად შემოგთავაზებთ.**

**— ბატონო გიორგი, გავრცელდა „ლეიბორისტული პარტიის“ ახალგაზრდა ფრთის, ცოტა არ იყოს, გაუგებრად აღსაქმელი მოწოდებები, პარტიის ბანერის ფონზე გადაღებული, რა იყო ეს, რა დატვირთვა ჰქონდა?**

– დიახ, ეს იყო ჩვენი პარტიის ახალგაზრდული ფრთის მიერ ინიცირებული და განხორციელებული სარკასტული დატვირთვის, შეიძლება ითქვას, პერფორმანსი, იმ სტერეოტიპების წინააღმდეგ მიმართული, რაც არსებობს საზოგადოებაში ქალთა უფლებების დარღვევებთან მიმართებაში, დატვირთვა ჰქონდა მხოლოდ ასეთი და მეტი არაფერი.

**— მაშინ ასე გეტყვით, საზოგადოებამ ისე აღიქვა, რომ ეს არ იყო სწორი მიმართულება. მათი ნაწილი თვლის, რომ შეიძლება მოზარდების ცნობიერებაში სხვანაირად შეაღწიოს ამ მოწოდებებმა, მაგალითად, „ღვინო, დუდუკი, კაცები“ ანუ კაცების უმრავლესობის ცხოვრების კრედო თუ თავაშვებულობაა, ქალებმაც ასე უნდა ჩავთვალოთ?**

– თქვენ ასე გაიგეთ ეს? ეს არ იყო მოწოდება, მაშინ აღქმის პრობლემა ჰქონია, ვინც ეს ასე აღიქვა. ხომ არსებობს სტერეოტიპი კაცებში, გამოთქმის სახით: „ღვინო, დუდუკი, ქალები“, ამ სტერეოტიპის დასაცინად იყო ეს მიმართული და მეტი არაფერი, ეს იმ ადამიანის პრობლემაა, ვინც ეს პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო... იმას აღქმის უნარი არ ჰქონია, რა დატვირთვა ჰქონდა ამას. თუ ეს ვინმემ პირდაპირ ლოზუნგად და მოწოდებად აღიქვა, ინტელექტუალური შესაძლებლობების პრობლემა ჰქონია. ეს იყო ახალგაზრდების მიერ მოფიქრებული, მათ მიერ გაპროტესტებული ქალების მიმართ იმ არცთუ საღი დამოკიდებულებების წინააღმდეგ.

**— არაპირდაპირ თუ პირდაპირ აღქმაზე არ არის აქ საუბარი, თქვენი ე.წ. პერფორმანსი მიება ზუსტად იმ დღეს ფილარმონიასთან გამართულ ფემინისტურ აქციას, რომლის მთავარი მოწოდება იყო ასეთი: „არ გათხოვდე, გათხოვება ქმრის მსახურებაა“ და საზოგადოებამ სწორედ ამის გაგრძელებად აღიქვა ეს...**

– ვინ გამოვიდა? არაფერი არაფერს არ მიება, ვინ რა ლოზუნგით გამოდიოდა, არ ვიცით, ათასი ვინმეა და ათასი აზრები აწუხებთ, ჩვენ რა შუაში ვართ აქ?!

**— კი, ბატონო, და იმ უარყოფითი რეაქციის გასაბათილებლად, რაც თქვენ მიერ წარმოდგენილ ე.წ. პერფორმანსს მოჰყვა, უფრო გასაგებად ხომ არ აუხსნიდით მკითხველს?**

– გეტყვით, ასოციაციები და ერთმანეთთან დაკავშირება საიდან მოვიდა, ჩვენს საზოგადოებაში არის ხომ გარკვეული სტერეოტიპები, რომლებიც ყავლგასულია, დრომოჭმულია და არცთუ ისე სასიამოვნოა ხომ, დაახლოებით ამ სტერეოტიპების დასაცინად, ვიმეორებ დასაცინად, სარკასტულ სტილში იყო წარმოდგენილი ეს. ადვილი გასაგები უნდა ყოფილიყო და მეტი არანაირი დატვირთვა არ ჰქონია, დამიჯერეთ.

**— ბატონო გიორგი ასევე გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ აი, „ლეიბორისტული პარტია“ იმიტომ აკეთებს ამას, რომ გრანტების სუნი იგრძნო, რადგან იციან, რომ ამ ყველაფრის სამართავად დიდი ფული იდება, როგორ უპასუხებთ ამას?**

– ახლა რამდენი ავადმყოფი იქნება საზოგადოებაში და ვის რა ასოციაციები უჩნდება გრანტზე და ა.შ. ამას მე ვერ ვუპასუხებ, და როგორც ჩანს, თქვენც ამას ხელს უწყობთ, ამაზე რა უნდა გიპასუხოთ. დრომოჭმულს დავცინეთ, რა არის აქ გაუგებარი. რაც შინაგანად აქვს ვინმეს, იმის ცნობიერების, იმის კულტუროლოგიის შესაძლებლობების პრობლემაა... მეტი როგორ ავხსნა, თქვენ მოგწონთ ეს სტერეოტიპები, რაც დამკვიდრებულია? არა, თქვენ პირადად მოგწონთ?

**— კი, მე გავიგე, რომ თქვენ დასცინეთ ამ ყველაფერს, მაგრამ საზოგადოება რომ გააღიზიანა ამ სარკაზმმა, ფაქტია და ამ წინასაარჩევნოდ თქვენი პარტიის იმიჯზე უარყოფითად რომ იმოქმედოს ამან?**

– რა დაინახეს ამაში ასეთი, რამდენი შავი აზრი და ბოროტი აზრი გაუელვებს ვინმეს თავში, ჩვენ ვერ ავყვებით ამას. ვიღაცას რა ავადმყოფური აზრები აწუხებს, საერთოდ არ მაინტერესებს, ვიღაცას უნდა პოლიტიკური ქულები დაიწეროს იმით, რომ ამ ჩვენს ჩვეულებრივ აქციას გამოაბას ამბები, ყალბი პოზიციებით რომ ცდილობენ ამას...











ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# რისთვის ამზადებს ბიძინა ივანიშვილი „სტუკაჩ“ ირაკლი ოქრუაშვილს?





**არადა, სააკაშვილის ხელისუფლებიდან თუ რომელიმე მინისტრმა გაიგდო ფეხქვეშ კანონი, თუ რომელიმე მინისტრმა დაიწყო ხალხის აბუჩად აგდება, მათთვის ქონების უკანონოდ წართმევა, დაშანტაჟება და ათასი უბედურება, პირველი ირაკლი ოქრუაშვილი იყო**

**„ალიამ“ გაარკვია, რომ გორის საკრებულოში იურისტის ვაკანტური თანამდებობაა, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილი, პროფესიით იურისტი, იქ რატომღაც არ ინიშნება, მას საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლის პოსტი და 3 შვილის დედის უმუშევრად დატოვება სურს, რომელთაგან ერთი არასრულწლოვანია**

ირაკლი ოქრუაშვილი გორის საკრებულოს თავმჯდომარის, ილია მეტრეველის მრჩევლის მოვალეობის დროებით შემსრულებლად(!!!) ინიშნება. გესმით, მრჩევლადაც კი არა, მრჩევლის მოვალეობის დროებით შემსრულებლად, ეს კი ფორმალურად იმიტომ, რომ ოქრუაშვილს სახელმწიფო მოხელის გამოცდები არ აქვს ჩაბარებული. 3 თვე უგამოცდოდ შეუძლია მრჩევლის ეს მოვალეობა შეასრულოს ოქრუაშვილმა, მაგრამ შემდეგ სამოხელეო გამოცდების ჩაბარება მოუწევს. თავდაპირველად ეს რომ გავიგე, ხუმრობა მეგონა, რას ვიფიქრებდი, თუ ირაკლი ოქრუაშვილი ისე დაიმდაბლებდა თავს, რომ გორის საკრებულოს მრჩევლის მოვალეობის დროებით შემსრულებლის პოსტს დასჯერდებოდა? მოკლედ, შეგახსენებთ მის ბეგრაუნდს. ჩვენ ვლაპარაკობთ ადამიანზე, რომელიც 2003-2006 წლებში საქართველოში მეორე კაცი იყო გავლენით, მას „ყველაფრის მინისტრს“ ეძახდნენ, რადგან ყველა მინისტრი მართლა მას ემორჩილებოდა. ამ პერიოდში იყო შიდა ქართლის გუბერნატორი, გენერალური პროკურორი, შს მინისტრი და ყველაზე დიდხანს, თავდაცვის მინისტრი. ბოლოს მასა და სააკაშვილს შორის შავმა კატამ გაირბინა და 2006 წლის თებერვალში თავდაცვის მინისტრობიდან ეკონომიკის მინისტრობამდე ჩამოაქვეითეს. მოკლედ, ტანკში იჯდა და „ჟიგულში“ გადასვეს. გაბრაზებულმა ოქრუაშვილმა, ეს როგორ მაკადრეთო, ერთ კვირაში ეკონომიკის მინისტრობა მიატოვა და მალევე, სააკაშვილის გუნდიც.

ირაკლი ოქრუაშვილი ამის შემდეგ ოპოზიციაში გადავიდა, 2007 წლიდან ბადრი პატარკაციშვილის თანამებრძოლი გახდა და ერთად ებრძოდნენ სააკაშვილს. აქაც დიდი ამბიციები ჰქონდა ოქრუაშვილს. გავრცელებული ინფორმაციით, პატარკაციშვილთან მას პირობა ჰქონდა დადებული, რომ, თუ ის გახდებოდა ქვეყნის პრეზიდენტი, ოქრუაშვილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იქნებოდა, ანუ მესამე პირი თანამდებობით, მაგრამ გავლენით კვლავ მეორე კაცი ქვეყანაში. ეს ბრძოლა რით დასრულდა, ყველას კარგად მოგვეხსენება, ირაკლი ოქრუაშვილი დაიჭირა სააკაშვილმა, ციხეში ჩასვა, მისგან სასურველი ჩვენება მიიღო და იმდენად კმაყოფილი დარჩა, ციხიდანაც გაუშვა და გერმანიაში მიმავალი, თბილისის აეროპორტში მისმა სპეცსამსახურებმა გააცილეს. გერმანიიდან ოქრუაშვილი საფრანგეთში გადავიდა და იქ მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი. ამბობენ, რომ ოქრუაშვილმა მაშინ არაერთი თანაგუნდელი „ჩაუშვა“ და ასე მალე იმიტომ დააღწია თავი ციხეს და უცხოეთშიც ამიტომ გაუშვეს და თან ბარაქიანად გააცილეს კიდეც. საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაბრუნდა და პირველი, რაც გააკეთა, სააკაშვილისა და მისი დამნაშავე თანაგუნდელების წინააღმდეგ ჩვენებები მისცა პროკურატურას. ალბათ, ტაში უნდა დავუკრათ, მაგრამ ამ ჩვენებების წყალობით არის, რომ სააკაშვილის მთავარ საყრდენს, მედიისა და საზოგადოების მიერ ათას დანაშაულში მხილებულ ირაკლი ოქრუაშვილს დღემდე პასუხს არავინ სთხოვს. არადა, მის სახელს მრავალი ბოროტება უკავშირდება, პროკურატურაში არაერთი საჩივარია მის წინააღმდეგ შეტანილი, მაგრამ ეტყობა, „ქართული ოცნება“ იმდენად მადლიერია მისი, ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერებზე იმდენი და იმდენად მნიშვნელოვანი კომპრომატი გადასცა, რომ ხელშეუხებელი გახდა. არადა, სააკაშვილის ხელისუფლებიდან თუ რომელიმე მინისტრმა გაიგდო ფეხქვეშ კანონი, თუ რომელიმე მინისტრმა დაიწყო ხალხის აბუჩად აგდება, მათთვის ქონების უკანონოდ წართმევა, დაშანტაჟება და ათასი უბედურება, პირველი ირაკლი ოქრუაშვილი იყო.

მოკლედ, როგორც ამბობენ, სხვათა „ჩაშვებით“ ორჯერ ნახა სარგებელი ოქრუაშვილმა. ჯერ სააკაშვილის საპყრობილეს დააღწია თავი, შემდეგ კი, მის მიერ წაყენებული ბრალი მოუხსნა „ქართულმა ოცნებამ“ და უკვე მოგახსენეთ, ეს ქვეყნის ამომგდები კაცი, ხელშეუხებელი გახდა.

**ახლა დავუბრუნდეთ ირაკლი ოქრუაშვილის ახალ პოსტზე დანიშვნას. გორის საკრებულოს თავმჯდომარე, ოქრუაშვილის „ქართული პარტიის“ წევრი ილია მეტრეველი მას ვაკანტურ თანამდებობაზე კი არ ნიშნავს, არამედ ადგილს უთავისუფლებს — სრულიად უმიზეზოდ ათავისუფლებს საკუთარ თანაშემწეს, 3 შვილის დედას, ნათია ომაძეს. „ალია“ ნათია ომაძეს დაუკავშირდა.**

**— ნათია, როგორც ვიცი, ილია მეტრეველმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მოგთხოვა და უარი უთხარი.**

– ილია მეტრეველმა სამჯერ დამიბარა და მომთხოვა, განცხადება დამეწერა საკუთარი ნებით სამსახურიდან წასვლის თაობაზე და სამჯერვე უარი ვუთხარი. ბოლო უარი, ასე ვთქვათ, სრულიად კატეგორიული იყო. ვთხოვე, რომ ამის შესახებ ჩემთვის აღარაფერი ეთქვა, განცხადებას მაინც არ დავწერ და შეგიძლიათ, ადგეთ და გამათავისუფლოთ-მეთქი. სიმართლე გითხრათ, თავიდან არ ვიცოდი, რატომ უნდოდა ჩემი სამსახურიდან წასვლა. ბოლოს მითხრა, შენს ადგილას ირაკლი ოქრუაშვილი მინდა დავნიშნოო.

**— რამდენადაც ვიცი, შენ სამოხელეო გამოცდები გაქვს ჩაბარებული და არც შენი მოხსნა შეუძლია ეგრე იოლად, რაღაც განსაკუთრებული საფუძველი უნდა ჰქონდეს, რომ გაგათავისუფლოს.**

– კი, სახელმწიფო მოხელის გამოცდები შარშან ჩავაბარე, კონკურსის წესით დავინიშნე ამ თანამდებობაზე, 35 ქულა იყო ბარიერი და 48 ქულა ავიღე. ილია მეტრეველი თუ მოიყვანს საფუძვლიან არგუმენტს ჩემი სამსახურიდან გასათავისუფლებლად, კი, აქვს უფლება, გამათავისუფლოს, მაგრამ მას ამგვარი საფუძვლის მოყვანა გაუჭირდება, რადგან ჩემი განთავისუფლების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ რაიმე გადაცდომას ჩავიდენ. ამგვარი გადაცდომა კი არ მქონია, დღემდე პირნათლად ვასრულებ ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას.

**— ეჭვი მეპარება, ირაკლი ოქრუაშვილი ვინმემ შეაჩეროს და ილია მეტრეველი იმას გააკეთებს, რასაც მისი პარტიის ლიდერი უბრძანებს, შესაბამისად, გაგიშვებენ სამსახურიდან ყურით მოთრეული საბაბით. ასეთ შემთხვევაში რას აპირებ?**

– სასამართლოში გავაგრძელებ დავას და საკუთარი უფლებების დაცვას, რადგან წინასწარ ვიცი, ჩემი განთავისუფლება უკანონო იქნება.

**სხვათა შორის, „ალიამ“ გაარკვია, რომ გორის საკრებულოში იურისტის ვაკანტური თანამდებობაა, მაგრამ ირაკლი ოქრუაშვილი, პროფესიით იურისტი, იქ რატომღაც არ ინიშნება, მას საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლის პოსტი და 3 შვილის დედის უმუშევრად დატოვება სურს, რომელთაგან ერთი არასრულწლოვანია. თავად ოქრუაშვილი აცხადებს, რომ მასზე კომპეტენტურ მრჩეველს ილია მეტრეველი ვერ იშოვის არათუ გორში, მთელი საქართველოს მასშტაბით, მეტრეველიც კვერს უკრავს, — უკეთეს მრჩეველს ვერ მოვნახავო.**

და მაინც, რად უნდა ოქრუაშვილს ეს ე.წ. თანამდებობა? პასუხი ძალიან ბანალურია. ირაკლი ოქრუაშვილს საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლის მოვალეობის შემსრულებელი კი ერქმევა, მაგრამ რეალურად, ის იქნება საკრებულოს უმრავლესობის განმკარგავი, ილია მეტრეველი და უმრავლესობა კი მისი ნების აღმსრულებლები. ირაკლი ოქრუაშვილისთვის, სავარაუდოდ, ეს, გორის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლის მოვალეობის დიდად არაფრისმთქმელი პოსტი, დიდ პოლიტიკაში ხელახლა დაბრუნებისთვის კარი უნდა იყოს – აქედან შემოვა. გორის საკრებულოსა და შესაბამისად, გორის აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი მისთვის დიდი არაფერია, ეს საეტაპო მიზანი შეიძლება იყოს მისთვის. გორში ამბობენ, რომ ოქრუაშვილს შორსმიმავალი გეგმები აქვს და ამ გეგმების განხორციელებაში მას „ქართული ოცნება“ და პირადად ბიძინა ივანიშვილი ეხმარება! ოქრუაშვილი საპარლამენტო არჩევნებამდე შეეცდება საკუთარი თავის რეაბილიტაციას გორში და ამაში იქაური პოლიტიკოსები დაეხმარებიან, არჩევნებისას კი, გორის მაჟორიტარი კანდიდატი იქნება „ქართული პარტიიდან“. ბიძინა ივანიშვილი კი მას გორში „ქართული ოცნების“ ისეთ სუსტ კონკურენტს დაუყენებს, რომელსაც ოქრუაშვილი დაამარცხებს, პარლამენტში კი „ქართულ ოცნების“ მხარდამჭერი იქნება. მოკლედ, ოქრუაშვილს დეპუტატობა უნდა და მთელი ეს თამაში ამის გამო წამოიწყო, მის ამბიციებს ეწირება ნათია ომაძეც და მომავალში კიდევ ბევრი შეიძლება შეიწიროს. პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ოქრუაშვილი რომ არავის ინდობს, ეს ხელისუფლებაში ყოფნის მანძილზე არაერთხელ დაამტკიცა.

ირაკლი ოქრუაშვილისგან ბევრ სკანდალურ სიურპრიზს უნდა ველოდოთ, რადგან ის საკმაო ხანს ხელისუფლების ძალიან გავლენიანი პირი იყო. შეიძლება ითქვას, ამ სკანდალების გადმოლაგება უკვე დაიწყო. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, 11 მარტს, ინგა გრიგოლის „დღის ამბებში“ მოულოდნელი და სკანდალური განცხადება გააკეთა. გორის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ერთდროულად ორ ტელევიზიაში წილის ფლობაზე პრეტენზიას აცხადებს. ირაკლი ოქრუაშვილი ამბობს, რომ მას „მაესტროს“ ფუნქციონირებაში როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური წვლილი აქვს შეტანილი და გარკვეული დროის მერე ამ პრეტენზიებს საჯაროს გახდის. ოქრუაშვილი, ასევე, აცხადებს, რომ წლის ბოლომდე ის ლეგალურად და დასაბუთებულად გამოთქვამს პრეტენზიას „რუსთავი 2“-ის წილებთან დაკავშირებითაც. კონკრეტულად რას გულისხმობს ოქრუაშვილი, ამას ჯერ არ აკონკრეტებს...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## წულუკიანი უცხოეთში არალეგალურად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს რჩევებს აძლევს



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი საქართველოს მოქალაქეებს ურჩევს, უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში კანონიერად შევიდნენ.

თეა წულუკიანის თქმით, პირველი ნაბიჯი, რაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გადადგან, არის ის, რომ დაარეგულირონ სიტუაცია და თუ შესაძლებელია, იქ ყოფნა დააკანონონ.

– ყველას შეგხვედრიათ ჩვენი მოქალაქე, რომელიც არალეგალურად ცხოვრობს ევროკავშირის ქვეყანაში და ყოფილა ისეთი ტრაგიკული სიტუაციებიც, როდესაც იმის შიშით, რომ, თუ საქართველოში დაბრუნდება, უკან ველარ შევა ევროკავშირის მოცემულ ქვეყანაში, საკუთარი ოჯახის წევრის გასვენებაშიც კი არ ჩამოსულა. პირველი ნაბიჯი, ალბათ, იქნებოდა ის, რომ მათ იმ ქვეყანაში, სადაც არიან, სასწრაფოდ გადადგან ნაბიჯები იმისთვის, რომ თავიანთი სიტუაციის რეგულარიზაცია, ან დაკანონება მოახდინონ, თუ ეს შესაძლებელია. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ როცა დადგება უვიზო მიმოსვლის დღე, შეეცადონ, რომ ახალ პირობებში, ევროკავშირის ქვეყანაში კანონიერად შევიდნენ. პრობლემა ის არის, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში შესვლა იქ ცხოვრებას არ ნიშნავს – ეს არის უვიზო მიმოსვლა, რაც ნიშნავს მისვლას და მერე უკან მოსვლას. ყველაზე მეტ სარგებელს ახალგაზრდა თაობა მიიღებს. ძალიან მიხარია, რომ ჩვენ, ქართველებს, მოგვეცემა საშუალება, ევროკავშირს ბევრი რამ შევძინოთ და მათგანაც ბევრი რამ ვისწავლოთ, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ ევროკომისიამ, საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივა წარადგინა.

ინიციატივაში ნათქვამია, რომ საქართველომ რეფორმების თვალსაზრისით, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა ამოცანა შეასრულა და ამიტომ, აკმაყოფილებს ყველა შესაბამის კრიტერიუმს, რათა მისი მოქალაქეები სავიზო მოთხოვნებისგან განთავისუფლდნენ.

საკანონმდებლო ინიციატივა ძალაში შესვლამდე ევროპარლამენტმა და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ. (pia.ge)

## ბაჩო კიკაბიძე: „მეცხრე არხის“ აპარატურაც ტელეკომპანია „იმედის“ საკუთრებაშია



„მაესტრო 24“-ის დირექტორის, ბაჩო კიკაბიძის ინფორმაციით, „მეცხრე არხის“ შენობა, რომელშიც შესაძლოა, ტელეკომპანია „მაესტრო“ განთავსდეს, „იმედის“ ბალანსზეა. მისივე განმარტებით, „იმედის“ ბალანსზეა ტელეკომპანიის აპარატურაც.

– ლევან გაჩეჩილაძეს განუცხადებია, რომ ახალი ტელევიზია „მეცხრე არხის“ შენობაში განთავსდება. ეგ შენობა „მეცხრე არხის“ კი არა, „იმედის“ არის. ნუ გვერიდება, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ „იმედი“ არის ყველაფრის თავში. ასევე, „მეცხრე არხის“ აპარატურაც არის ტელეკომპანია „იმედის“ საკუთრებაში, – განაცხადა ბაჩო კიკაბიძემ.

რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, მისი მენეჯმენტი ადასტურებს, რომ „მეცხრე არხის“ ყოფილი შენობა „იმედის“ საკუთრებაშია, თუმცა მენეჯმენტის განცხადებით, ამ ეტაპზე, რაიმე ტიპის მოლაპარაკება, რომ ეს შენობა იჯარით გადაეცეს ლევან გაჩეჩილაძეს, არ მიმდინარეობს. (kvira.ge)

## უვიზო რეჟიმი მხოლოდ დიდ ბრიტანეთთან და ირლანდიასთან არ იმოქმედებს



მას შემდეგ, რაც ევროკავშირის საბჭო და ევროპარლამენტი აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივას დაამტკიცებენ, ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლით 180 დღის განმავლობაში მაქსიმალური, 90 დღის ვადით ისარგებლებენ.

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას.

წევრი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;

კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია;

გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის 2 წევრი ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და ირლანდია, რომლებთანაც სავიზო რეჟიმი შენარჩუნდება. (bpn.ge)



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# რა მიიღეს ძმებმა გაჩეჩილაძეებმა „მაესტროსთვის“ ბრძოლით?





**კოზირები ორივე მხარეს აქვს და ვინ როგორ გამოიყენებს, ეს მათ მარიფათზეა დამოკიდებული**

ტელეკომპანია „მაესტროს“ გარშემო მოვლენები ისევ სკანდალურად ვითარდება. საქმე იქითკენ მიდის, შესაძლოა, ერთის ნაცვლად, ორი „მაესტრო“ მივიღოთ.

საჯარო რეესტრმა „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელის (წილის 55%), გია გაჩეჩილაძის ძმა ლევან გაჩეჩილაძე „მაესტროს“ გენერალურ დირექტორად დაარეგისტრირა. შეგახსენებთ, რომ საჯარო რეესტრმა თავდაპირველად ამ მოთხოვნაზე უარი უთხრა ლევან გაჩეჩილაძეს. არხის იმჟამინდელი გენდირექტორი ბაია გადაბაძე აცხადებდა, ლევან გაჩეჩილაძე თვითმარქვია და უკანონო დირექტორიაო და შენობაშიც არ უშვებდა, დაცვაც კი გააძლიერა, თითქოს ლევან გაჩეჩილაძე ტანკით შევარდებოდა ტელევიზიაში. ამის შემდეგ ბაია გადაბაძეს სხვა გზა აღარ დარჩენოდა და ლევან გაჩეჩილაძე კანონიერად შევიდა „მაესტროს“ ოფისში და არხის თანამშრომლებსაც შეხვდა. ტელეკომპანიის შენობა „მაესტროს“ მეწილის, მაკა ასათიანის საკუთრებაა და მისი განცხადებით, ის არ დაუშვებდა, რომ ლევან გაჩეჩილაძის ტელეკომპანიას მისი შენობიდან ემაუწყებლა. თუმცა, არც ეს იყო პრობლემა. ძმები აცხადებდნენ, რომ სხვა შენობას მოძებნიდნენ და „მაესტრო“ იქ გადავიდოდა. ამ ტელეკომპანიამ უკვე იმდენი ოფისი გამოიცვალა, არც ეს გაუკვირდებოდა ვინმეს. ბოლოს ოფისიც მოძებნეს, „მე-9 არხის“ ყოფილი შენობა, რომელიც თურმე ბიძინა ივანიშვილს აღარ ეკუთვნის, ამჟამად „იმედის“ საკუთრებაა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და შეიძლება ითქვას, „მაესტროსთვის“ საეტაპო ბრძოლა გაჩეჩილაძეებმა, ანუ იგივე ტელეკომპანია „იმედმა“, ანუ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა მოიგეს. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. მართალია, გია გაჩეჩილაძე „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტს („მაესტროს“ დამფუძნებლის „სტუდია „მაესტროს“ წილის 55%-ს) ფლობს. ლოგიკურად, ის უნდა ფლობდეს „მაესტროს“ სახელწოდებასაც და ლოგოსაც, სწორედ ამისთვის იბრძოდნენ ისინი. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მათმა ბრძოლამ, შესაძლოა, ამაოდ ჩაიაროს და მათი გამარჯვებაც დროებითი და ეფემერული გამოდგეს.

2007 წელს, „მაესტროს“ იმჟამინდელმა გენერალურმა დირექტორმა, ილია(ბაჩო) კიკაბიძემ დააფუძნა შპს „ტელეკომპანია „მაესტრო“. ამავე დროს, ბაჩო კიკაბიძემ, ამავე შპს-ს სახელზე „საქპატენტში“ დაარეგისტრირა „მაესტროს“ ლოგო და ტელეკომპანიის სახელწოდება, შესაბამისად, „მაესტრო“. მოკლედ, ტელეკომპანიის სახელწოდებაც და ლოგოც ბაჩო კიკაბიძეს ეკუთვნის. ძმებ გაჩეჩილაძეებს იმედი ჰქონდათ, რომ სასამართლოს გზით დაათმობინებდნენ ბაჩო კიკაბიძეს ლოგოსა და სახელწოდებას. ამის იმედი იმიტომ ჰქონდათ, რომ, როცა ბაჩო კიკაბიძემ „საქპატენტში“ საკუთარი შპს-ს სახელზე დაარეგისტრირა ლოგო და სახელწოდება ტელეკომპანია „მაესტროსი“, მან არხის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ლევან გაჩეჩილაძეს არაფერი ჰკითხა. მოკლედ, ლევან გაჩეჩილაძე ირწმუნება, ბაჩო კიკაბიძემ, როგორც პარტნიორმა, მომატყუა და ჩემს ზურგს უკან, ჩვენი საერთო არხის ლოგო და სახელწოდება დაისაკუთრაო. რამდენად მორალური იყო ბაჩო კიკაბიძის საქციელი, ამაზე შეიძლება ვიდაოთ, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ეს არ აინტერესებს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, „მაესტროს“ ლოგოსა და სახელწოდების კანონიერი მფლობელი სწორედ ბაჩო კიკაბიძეა და გია გაჩეჩილაძეს მათი გამოყენების უფლება აეკრძალა. მოკლედ, გაჩეჩილაძეებმა რა მიიღეს? „მაესტრო“ ოფისის, ლოგოსა და სახელწოდების გარეშე. ოფისს ეშველება და აი, ბოლო ორს კი – არაფერი. თუ „მაესტროს“ სახელწოდებითა და ლოგოთი არ იმაუწყებლებ, მაშინ „მაესტრო“ აღარ ხარ. გამოდის, გაჩეჩილაძეებმა ტყუილად იბრძოლეს და ხელში არც არაფერი შერჩათ. ლევან გაჩეჩილაძე დღეს იმ ტელეკომპანიის დირექტორია, რომელსაც არც ლოგო აქვს და არც სახელწოდება, შესაბამისად, გია გაჩეჩილაძე „სტუდია „მაესტროში“ ფლობს საკონტროლო პაკეტს, რომელიც „მაესტროს“ ლოგოსა და სახელწოდებას ვერ გამოიყენებს. ვერ გეტყვით, ეს წინასწარ გათვლილი გეგმა იყო თუ არა, მაგრამ გაჩეჩილაძეებს რომ ეფექტური ილეთი ჩაუტარათ ბაჩო კიკაბიძემ, ფაქტია.

ამის შემდეგ მაკა ასათიანმა განაცხადა, რომ ბაჩო კიკაბიძეს უთმობს ოფისს. გამოდის, რომ „მაესტრო“ ისევ იმ ოფისიდან იმაუწყებლებს, საიდანაც მაუწყებლობდა და შესაბამისად, ძველი სახელითა და ლოგოთი. ლევან და გია გაჩეჩილაძეები აცხადებდნენ, რომ „მაესტროს“ დასაფინანსებლად სერიოზული ინვესტიციების განხორციელებას აპირებდნენ, მაგრამ ახლა ამ ფულს „მაესტროში“ ვეღარ ჩადებენ. ბაჩო კიკაბიძის მთავარი პრობლემა ახლა ის არის, საიდან მოიტანოს „მაესტროს“ დასაფინანსებელი თანხა, როგორ შეინახოს ამხელა ტელევიზია. თუმცა, არც ეს არის პრობლემა. მას შეუძლია „ტელეკომპანია „მაესტროს“ წილი, საკონტროლო პაკეტი მაკა ასათიანს მიჰყიდოს და არხს მეპატრონედ ისევ ძველი მფლობელი დაუბრუნდება, წილი ძველებურად მაკა ასათიანის სახელზე იქნება გაფორმებული და არხს მისი მეუღლე, კოტე გოგელია დააფინანსებს. მოკლედ, ბევრი არაფერი შეიცვლება, ფაქტობრივად, ყველაფერი ძველებურად დარჩება და „მაესტრო“ ძველებურად განაგრძობს ფუნქციონირებას.

კი, მაგრამ „მაესტროს“ სამაუწყებლო სიხშირე და საერთო მაუწყებლობის ლიცენზია? მათ ხომ „მაესტროს“ ძველი დამფუძნებლები ფლობენ, კერძოდ, შპს „სტუდია „მაესტრო“ და ბაჩო კიკაბიძეს ამ შპს-ს საკონტროლო პაკეტის მფლობელი გია გაჩეჩილაძე არ დაუთმობს. როგორ უნდა იმაუწყებლოს, პირობითად, ბაჩო კიკაბიძის „მაესტრომ“? – ამ კითხვებს სამართლიანად დასვამს მავანი, მაგრამ პასუხიც მზად მაქვს. ბაჩო კიკაბიძემ 2 წლის წინათ დააფუძნა „ტვ-11“, რომელსაც საერთო მაუწყებლობის ლიცენზიაც აქვს და სადღეისოდ, ამ არხზე ახლა „მაესტროს“ ლოგოა განთავსებული. მოკლედ, რაზედაც ვსაუბრობდი, ის სარეზერვო ვარიანტი ბაჩო კიკაბიძეს უკვე მზად აქვს, მას შეუძლია, 2 დღეში ახალი სიხშირით გავიდეს ეთერში. მოკლედ, ამ კაცს ყველაფერი მზად აქვს ეთერში გასასვლელად. სხვისი არ ვიცი, მე კი ჯერ ისეთი თადარიგიანი კაცი, ბაჩო კიკაბიძე რომ არის, არც მინახავს და არც გამიგია. თუ ეს გეგმა განხორციელდა, მაშინ გამოდის, რომ ტელეკომპანიის გარეშე დარჩება არა მხოლოდ ლევან გაჩეჩილაძე, არამედ „მაესტროს“ სხვა დამფუძნებლებიც – მამუკა ღლონტი(15%) და ეკა აკობია(5%). აქვე 25%-ს მაკა ასათიანიც ფლობს, მაგრამ მას ბევრი არაფერი არ უნდა ჰქონდეს დასაკარგი, რადგან თუ ბაჩო კიკაბიძისგან შპს „ტელეკომპანია „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტი იყიდა და ფაქტობრივად, არხის მფლობელი დარჩა, ტელევიზიის გარეშე დარჩენილი შპს-ს 25% არაფრად უღირს. მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ „მაესტრო“ გაკოტრების პირასაა და ფინანსურად ის მაკა ასათიანისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. შესაბამისად, ეს 25% გინდა ჰქონია და გინდა – არა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მოვლენები, შესაძლოა, სწორედ ამგვარად განვითარდეს, მაკა ასათიანი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას ბაჩო კიკაბიძესთან და ახალ არხს ის დააფინანსებს საკონტროლო პაკეტის სანაცვლოდ.

თუმცა, გია გაჩეჩილაძე, ანუ პატარკაციშვილები, მიუხედავად იმისა, რომ მოვლენები მათთვის ფატალურად შეიძლება განვითარდეს, დანებებას არ აპირებენ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მათ ასეთ შემთხვევაში, 2 გეგმა აქვთ. ერთის მიხედვით, ისინიც აწარმოებენ ბაჩო კიკაბიძესთან მოლაპარაკებას და მას, შესაძლოა, „მაესტროს“ ლოგოსა და სახელწოდების დათმობის სანაცვლოდ, სერიოზული თანხა შესთავაზონ. ამბობენ, რომ მოლაპარაკებას გია გაჩეჩილაძე აწარმოებს. თუ ბაჩო კიკაბიძემ ლოგო და სახელწოდება დათმო, მაშინ პატარკაციშვილების მიზანი



მიღწეული იქნება, „მაესტრო“ მათ ხელში გადავა და მაკა ასათიანი, ანუ კოტე გოგელია თამაშგარე მდგომარეობაში დარჩება. მათთვის, ლოგიკურად, ეს პირველი ვარიანტი უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს, რადგან „სტუდია „მაესტროს“ 30%-იანი წილის საფასურად, გია გაჩეჩილაძეს, პატარკაციშვილების ოჯახის ბიზნესის განმკარგავის, ირაკლი რუხაძის 2.5 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი და ამას ცოტაც წაამატონ და საქმე ბოლომდე მიიყვანონ, ეს უჯობთ.

მეორე გეგმის მიხედვით კი, თუ სხვა არაფერი გამოუვიდათ, გია გაჩეჩილაძე ეთერში ახალი ლოგოთი და ახალი სახელწოდებით გავა, ანუ ახალ ტელევიზიას დააფუძნებს. თუმცა, მთლად ახალიც არ იქნება, რადგან მას „მაესტრო-2“ ერქმევა. გარდა იმისა, რომ 2 იქნება თუ 3, ამ არხსაც მაინც „მაესტრო“ ერქმევა, გია გაჩეჩილაძის გეგმით, მან არხიდან უნდა წამოიყვანოს ცნობადი სახეები, წამყვანი ჟურნალისტები. თუ ეს შეძლო, მაშინ მოგებული გია გაჩეჩილაძე გამოდის, რადგან ტელეკომპანია მაინც კონკრეტულ ჟურნალისტებთან ასოცირდება, თან მას „მაესტრო-2“ ერქმევა და ახალ ლოგოსაც როგორმე მიეჩვევა ხალხი. თუ ამ გეგმით წავიდნენ პატარკაციშვილები, ალბათ, საწადელსაც მიაღწევენ, რადგან მათ კოტე გოგელიაზე ბევრად მეტი ფინანსები აქვთ და ჟურნალისტების გადმობირება, ნაწილის მაინც, არ გაუჭირდებათ. ბოლოს და ბოლოს, „მაესტრო“ გაკოტრებამდე კოტე გოგელიამ მიიყვანა და არა მე და ამ არხის ჟურნალისტები და თანამშრომლების დიდი ნაწილი „იმედელი“ კოლეგების მატერიალურ მდგომარეობას დღემდე შენატრიან. მოკლედ, მეორე გეგმითაც გამოდის, რომ მაკა ასათიანიც და ბაჩო კიკაბიძეც წაგებულნი დარჩებიან და რეალური, ოდნავ სახეცვლილი „მაესტროს“ მფლობელი გია გაჩეჩილაძე იქნება.

ჯერჯერობით, ასეა საქმე და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. კოზირები ორივე მხარეს აქვს და ვინ როგორ გამოიყენებს, ეს მათ მარიფათზეა დამოკიდებული.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ომარ ნიშნიანიძე: „რაც შეეხება თავად „რესპუბლიკელებს", ეს პარტია ის აღარაა, რაც იყო 2012 წელს. საკმაოდ მოძლიერდნენ. გარდა ამისა, ძალიან ორგანიზებული პარტიაა"

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



მმართველ კოალიციაში პოლიტიკურ სუბიექტებს შორის დაწყებული დაპირისპირება ჯერჯერობით არ ამოწურულა, რაც ცალკეული პოლიტიკოსებისა თუ ფრაქციის წევრების განცხადებებიდანაც ჩანს. თუმცა ხმაურიანი პოლიტიკური კვირა სრულიად გადაფარა პირადი ცხოვრების ამსახველმა გავრცელებულმა ფარულმა ჩანაწერმა, რომელმაც საზოგადოება უკვე მერამდენედ ჩააგდო შოკში.

**„ალია" ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრს, პარლამენტარ ომარ ნიშნიანიძესთან საუბარს ამ თემით იწყებს:**



– ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა და ეს დასაგმობია. რა თქმა უნდა, გარკვეულწილად პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება, მაგრამ არამარტო ხელისუფლებას, ამ შემთხვევაში. აღნიშნულ კადრებს იღებდნენ სწორედ იმ ხელისუფლების დროს, რომელიც საყოველთაო მოსმენებით, თვალთვალითა და მსგავსი საძაგლობებით გამოირჩეოდა. ჩვენმა ხელისუფლებამ მიიღო ამ კადრების განადგურების გადაწყვეტილება, მაგრამ არავინ იყო დარწმუნებული და დაზღვეული, რომ ასლები არ არსებობდა, ან გადამღებთან, ან სხვა ვინმესთან, ადამიანების იმ ჯგუფთან, რომელიც დაინტერესებულია, ხელი გაიშვიროს ხელისუფლებისკენ და აი, შედეგიც მივიღეთ. ვერავითარ შემთხვევაში ნორმალური აზროვნების ადამიანი, ვერ დაიჯერებს, რომ ამ კადრების გამოქვეყნება „ქართული ოცნების" ინტერესში შედიოდა. ამიტომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს დამნაშავის დასადგენად, რადგან ეს მართლაც არის დარტყმა სახელმწიფოზე. ძალოვანმა სტრუქტურებმა შესაძლებელზე მეტიც კი უნდა გააკეთონ, თუ საჭიროა უცხოელი სპეციალისტებიც მოიწვიონ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, ვინ არის ამ კადრების გამავრცელებელი და ვინ – შემკვეთი.

**— პირველივე ბრალდება „ნაციონალურმა მოძრაობამ" ხელისუფლების მისამართით გააკეთა, რომ თითქოს ოპონენტებთან ბრძოლის ამ ხერხებს მიმართავთ „ოცნებაში", თქვენი საუბრიდან კი აშკარაა ბრალდება მათი მისამართით. მათ რისთვის აწყობდათ ამ კადრების გავრცელება?**

– ამაში ეჭვიც არ მეპარება, ჩვენ რა, მართლა მაზოხისტები ხომ არ ვართ? როცა ასეთი რამ ხდება, ნებისმიერი ადამიანი ხელს გაიშვერს ხელისუფლებისკენ, ამიტომაც ჩვენ ჩვენს თავს ხომ არ გავუკეთებდით? ეს გამორიცხულია, გიჟები უნდა ვიყოთ... ამიტომაც, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ეს გააკეთა ისეთმა ძალამ, რომელსაც სურს, კიდევ ერთხელ რაღაცნაირად სახელი გაუტეხოს ხელისუფლებას. ჩვენ ბოლო მოვუღეთ თვალთვალს, მოსმენებს, პირად ცხოვრებაში შევარდნებს და ეს ეპოქა დავასრულეთ, მაგრამ ვერ ვუმკლავდებით ჯერჯერობით, იმ ძველ, 9-წლიანი რეჟიმის მიერ დატოვებულ უბედურებას, რომელიც მათ დაატეხეს მოსახლეობას და სწორედ ამ შედეგს ვიმკით ახლა.

**— გასაგებია... კოალიციის ამბებზე გადავიდეთ, მაშინ როცა ხელისუფლებაში მოსვლის მეოთხე წლისთავზე, ქვეყანაში ისევ სავალალო სიტუაციაა, უმუშევრობაა, სოციალურ ფონი კიდევ უფრო მძიმე, ხალხის მიერ არჩეულ მმართველ კოალიციას აქვს ამდენი დრო შიდადაპირისპირებასა და გარჩევებზე დახარჯოს რესურსი? თქვენც, სხვათა შორის, ირონიულად იკითხეთ, „რესპუბლიკელებზე" კიდევ კოალიციაში არიანო? რაშია საქმე, არ გინდათ, რომ კოალიციაში იყოს ეს პოლიტიკური პარტია?**

– არა, მე არ მითქვამს, რომ არ იყვნენ, განვმარტავ მაშინ, რაშია საქმე, როდესაც ჟურნალისტმა გაიხსენა ლევან ბერძენიშვილის შედარება ქუთაისის „ტორპედოს" და მადრიდის „რეალის", ანუ „ქართულ ოცნებასა" და „რესპუბლიკელებს" შორის კლასობრივ განსხვავებაზე მიუთითებდა ეს ხომ? როდესაც კოლეგებს ასეთი რამ წამოსცდებათ, მაშინ მე შევახსენებ მათ გამოთქმას, რომელიც იხმარა ქალბატონმა მინისტრმა ხიდაშელმა გოგი თოფაძის მიმართ და ამ კონტექსტში ვთქვი სწორედ, „რესპუბლიკელები" კვლავ არიან კოალიციის წევრები-თქო? კარგ მთქმელს კარგი გამგები უნდა. რაც შეეხება თავად „რესპუბლიკელებს", ეს პარტია ის აღარაა, რაც იყო 2012 წელს. საკმაოდ მოძლიერდნენ. გარდა ამისა, ძალიან ორგანიზებული პარტიაა, დიდი გამოცდილება აქვთ და ძალიან ბევრ რამეში წაადგება კოალიციას მათი რესურსი. მაგრამ ის, რომ ჩვენი შეხედულებები გარკვეულ საკითხებში განსხვავდება, ეს არის ჩვეულებრივი რამ. მე არ მითქვამს, რომ ისინი კოალიციაში არ უნდა იყვნენ, თუმცა, თუ რომელიმე სუბიექტს გაუჩნდება ზომაზე მეტი მადა, რომ მათ მეტი ეკუთვნით კოალიციურ სიაში ადგილები, მაშინ ლოგიკურიც იქნება, ვცადოთ, როგორც ბატონმა თამაზ მეჭიაურმა აღნიშნა, ცალ-ცალკე ბედი ამ არჩევნებში.

**— პრემიერმა, სხვათა შორის, უკვე ღიად თქვა, რომ კოალიციის მთავარი სუბიექტი, პარტია „ქართული ოცნება" აღარ იქნება იმ სახით წარმოდგენილი სიებში და პროფესიონალ კადრებზე გააკეთა აქცენტი. დღევანდელი უმრავლესობიდან, როგორ ფიქრობთ, ბევრი აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს? შესაძლოა, უმრავლესობა ვეღარ ვიხილავთ მომავალ საარჩევნო სიასა თუ მაჟორიტარ კანდიდატად?**

– მოდით, ჯერ განვმარტოთ, პროფესიონალიზმში რა იგულისხმება, პროფესიონალიზმში თუ იგულისხმება ის, რომ კანონები უნდა ვწეროთ, ეს საშინელი შეცდომა იქნება. ქვეყანაში ძალიან ბევრი კარგი იურისტია, რომელთა სახელები ჩვენ არ ვიცით. ვთქვათ, ახლა ჩვენ ისინი ჩავსვათ სიაში ან მაჟორიტარებად დავაყენოთ, ასეთ შემთხვევაში ჩვენ 5%-ზე მეტს ვერ ავიღებთ, ესაა ჩვენი სურვილი?

თავის დროზე გავაკეთეთ არჩევანი ცნობად პიროვნებებზე, გარდა მათი ცნობადობისა, რეჟიმს დაუპირისპირეს ამ ადამიანებმა სიცოცხლე, ოჯახი, სანათესაო და ყოველგვარი კეთილდღეობა იდო სასწორზე. რაც შეეხება მომავალ პარლამენტს, თუ მხოლოდ პროფესიონალებზე გავაკეთებთ აქცენტს, წავაგებთ არჩევნებს. ამიტომ ვფიქრობ, უნდა იყოს დაბალანსებული სია.

**— გასაგებია, მაგრამ ქვეყანას სიკეთეს მოუტანს ისეთი პარლამენტარი, ვისაც „იბაირდი" ბორდელი ჰგონია? რაღაც დონეს ხომ მაინც უნდა აკმაყოფილებდეს საკანონმდებლო ორგანოს წევრი? ასევე, საინტერესოა, თქვენს თავს თუ ხედავთ მომავალ პარლამენტში?**

– რა თქმა უნდა, აუცილებელია, იცოდეს „იბაირდიც" და მეტიც, მაგრამ ნელ-ნელა ვიხვეწებით, ვსწავლობთ. ჩემს თავზეც რომ ვთქვა, თავიდან უფრო მიჭირდა, არც აქტიური არ ვიყავი, მაგრამ ახლა პოლიტიკური დებატების თუ გამოსვლებისას გაცილებით თავისუფალი ვარ, გავიზარდე... ახლაც არიან პარლამენტში ადამიანები, რომლებიც 25 წელია ტრიბუნიდან არ ჩამოსულან, ეს პრაქტიკა არ მომწონს. თუმცა 2 მოწვევა მაინც უნდა მიეცეს პარლამენტარს საშუალება, რომ ქვეყანას მეტი სარგებელი მოუტანოს, არ დაგიმალავთ და მეც, რა თქმა უნდა, მსურს, ვიყო მომავალ პარლამენტში.

**— ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატადაც ხომ არ გიხილავთ, ბატონო ომარ?**

– ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა, თუ ჩათვლიან საჭიროდ, რომ გამოვადგები ჩემს ხალხს, მე წინააღმდეგი არ ვარ და სიამოვნებით დავთანხმდებოდი, თუმცა ამაზე საუბარი არაა ჯერჯერობით და კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

**— ბატონო ომარ, ბოლოს საკონსტიტუციო ცვლილებებზე მინდა გკითხოთ, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვის ერთგვარ პრევენციას გულისხმობს, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს თემა ცოტათი ხელოვნურადაც კი გაბუქდა და ხალხს გაცილებით მძიმე სოციალური პრობლემა აქვს, ვიდრე ერთსქესიანთა ქორწინებაა, ამ საკითხზე თვეობით მსჯელობა, პოლიტსაბჭოს დროს და სხდომის დათმობა აუცილებელია? ოპონენტებისთვის კანონშიც საკმარისია ჩანაწერი და არ მიიჩნევენ აუცილებლობად კონსტიტუციით გამყარებას, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა...**

– არ ვფიქრობ, რომ ეს უმნიშვნელო თემაა, საზოგადოებას აწუხებს ეს საკითხი, ჟურნალისტებიც ბევრს გვეკითხებით ამაზე და ამიტომაა ამ დოზით საუბარი თემაზე. რაც შეეხება აუცილებლობას, კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს თუ არა ეს განმარტება, ვფიქრობ, რომ ეს აუცილებლად უნდა მოხდეს, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ კიდევ „ნაციონალები" აკონტროლებენ. არ ვართ დაზღვეული, რომ ვინმე კიდევ არ შეიტანს მოთხოვნას და საკონსტიტუციო არ გააუქმებს კანონის იმ ნორმას, სადაც წერია, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა. თავისუფლად შეუძლიათ ამის გაკეთება, სანამ მათ ხელშია სასამართლო, ამიტომ აუცილებელია დროულად ჩაიწეროს ერთხელ და სამუდამოდ, გარკვევით ეს კონსტიტუციაში, რათა ვეღარავინ შეძლოს ამ საკითხით მანიპულირება.

## სკოლის მასწავლებელთა 83-მა პროცენტმა პროფესიული გამოცდის მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა



სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობამ მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა ვერც ამჯერად მოახერხა.

პედაგოგთა ბოლო საგნობრივი გამოცდა მიმდინარე წლის იანვარში ჩატარდა, სადაც სულ 10 552 პრაქტიკოსი პედაგოგი დარეგისტრირდა, მათგან ტესტირება 6 477-მა გაიარა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, რომელიც 60 პროცენტით განისაზღვრებოდა, 1 101-მა გადალახა. ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 17 პროცენტმა.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, ყველაზე სავალალო შედეგი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს აქვთ. კერძოდ, გამოცდაზე მისული 1 167 პედაგოგიდან კომპეტენციის დადასტურება მხოლოდ 94-მა პედაგოგმა, ანუ დაახლოებით 8 პროცენტმა შეძლო.

381-დან მხოლოდ 26-მა, ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 7-პროცენტმა ჩააბარა მათემატიკის გამოცდა, რაც შეეხება ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას, 317-დან ზღვარის გადალახვა მხოლოდ 15 პროცენტმა მოახერხა.

საერთო რაოდენობის 9 პროცენტმა გადალახა ზღვარი ბუნებისმეტყველებაში. 19 პროცენტმა ფიზიკაში და თითქმის 17 პროცენტმა ქიმიაში.

რაც შეეხება უცხო ენის გამოცდას, ინგლისური ენის გამოცდაზე სულ 458 პედაგოგი გავიდა, საიდანაც ზღვარის გადალახვა 83-მა შეძლო, 29-დან 10-მა დაამტკიცა თავისი კომპეტენცია გერმანულ ენაში, რაც შეეხება რუსულს, ამ შემთხვევაში ზღვარის გადალახვა გამოცდაზე გასული საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა შეძლო.

უნდა ითქვას, რომ ჩატარებული 19 საგნობრივი გამოცდიდან რუსული ენის 55-პროცენტიანი შედეგი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

იგივე ტენდენცია იყო წინა გამოცდაზეც. რუსული ენის 336 მასწავლებლიდან 162-მა ჩააბარა გამოცდა 2015 წლის ივლისში ჩატარებული გამოცდის დროსაც. ყველაზე ტრაგიკული შედეგი წინა ჯერზეც დაწყებითი კლასის პედაგოგებმა აჩვენეს, რომლის მიხედვითაც გამოცდაზე მისული 2 281 პედაგოგიდან კომპეტენციის დადასტურება მხოლოდ 90-მა, ანუ 3,9 პროცენტმა შეძლო.

მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროფესიული განვითარების სქემის განხორციელების პროცესში მოქმედ მასწავლებლებს იგივე გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა კიდევ ხუთჯერ მიეცემათ. (businesscontact.ge)

## „მაესტრო“ „მე-9 არხის“ შენობაში განთავსდება — მხარეებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია



ტელეკომპანია „მაესტრო“ „მე-9 არხის“ შენობაში განთავსდება. მხარეებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია.

ლევან გაჩეჩილაძე მიმდინარე კვირაში უკვე დაიწყებს ტექნიკური საკითხების მოგვარებას, რასაც, სავარაუდოდ, 2 თვე დასჭირდება.

აღნიშნული ინფორმაცია „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან გაჩეჩილაძემ არც დაადასტურა და არც უარყო.

– არ მცალია ახლა და ვერ გიპასუხებთ. არ ვიცი, როდის მეცლება. ბოლო დროს ისე იქცევით ჟურნალისტები, რომ ან არ უნდა გიპასუხოთ, ან ასე გიპასუხოთ, – განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

ამასთანავე, როგორც გაჩეჩილაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ტელეკომპანიის განთავსებასთან დაკავშირებით განიხილება ყველა შენობა, მათ შორის, „მეცხრე არხი“.

– ბევრი დეტალი აქვს განთავსებას – ვინ სად დაჯდება, როგორ დაჯდება, მუშაობის პროცესი, ტექნოლოგიური აღჭურვა როგორ იქნება, – განაცხადა „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა. (pia.ge)

## ნადეჟდა სავჩენკოს პეტრო პოროშენკომ ძალოვანი მინისტრის პოსტი შესთავაზა



უკრაინელი მფრინავის ნადეჟდა სავჩენკოს ადვოკატის განცხადებით, პრეზიდენტი პოროშენკო უკრაინელ გმირს მთავრობის განახლებულ შემადგენლობაში მინისტრის თანამდებობის დაკავებას სთავაზობს.

როგორც სავჩენკოს ადვოკატმა მარკ ფეიგინმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ გაავრცელა, პრეზიდენტ პოროშენკოს მიერ მიწერილ წერილში საუბარია მინისტრის პოსტის შეთავაზებაზე ძალოვან ბლოკში.

ადვოკატი იმედოვნებს, რომ უკრაინის ლიდერის განცხადება ხელს შეუწყობს მისი დაცვის ქვეშ მყოფი სავჩენკოს განთავისუფლებას.

შეგახსენებთ, რომ პეტრო პოროშენკოს თხოვნის შემდეგ, უკრაინის ეროვნულმა გმირმა ნადეჟდა სავჩენკომ მშრალი შიმშილობა შეწყვიტა.

უკრაინელ მფრინავს 2 რუსი ჟურნალისტის მკვლელობას და რუსეთის საზღვრის უკანონო გადაკვეთას ედავებიან.

პროკურატურა ნადეჟდა სავჩენკოსთვის 23-წლიან პატიმრობას ითხოვს.

სასამართლო განაჩენს 21 მარტს გამოიტანს. (pia.ge)



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# რას აპირებს თსუ-ს რექტორი?

## ლადო პაპავა: „უნივერსიტეტში „ოდეერი“ არსებობს! მაგრამ ეს არ არის ბატონი გაფრინდაშვილი!“





„კანცლერის თემამ უკვე გადაიწია მეორე პლანზე და ახლა შეტევა მიდის ჩემზე“

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისევ დაძაბული სიტუაციაა — სტუდენტები, რომლებიც კანცლერად გიორგი გაფრინდაშვილის არჩევას აპროტესტებენ, კვლავ რჩებიან შენობაში. როგორც უნივერსიტეტის რექტორი, ლადო პაპავა ამბობს „ალიასთან“ საუბარში, კულუარულად მუშაობენ ჯგუფები, რათა ის თანამდებობას ჩამოაშორონ:**

მაღაროელებმა. ამიტომ ვამბობ, არსებობს შანსი, რომ მოვლენები გასცდეს უნივერსიტეტის ფარგლებს.

**— თქვენ ხედავთ იმის ნიშნებს, რომ გარკვეულ ძალებს უნდათ, ჩამოგაშორონ ამ თანამდებობას და მოიყვანონ ისეთი ვინმე, ვისაც უფრო იოლად მართავენ?**

– თეორიულად არაფერი არ არის გამორიცხული. ჯერჯერობით სიტუაცია მთლად ასე გამოკვეთილი არ არის, დაიწყონ ხელების ფათური და განახორციელონ ზეწოლა.

**— ბოლოს და ბოლოს, უნივერსიტეტში არის თუ არა „ოდეერი“?**

– კანონმდებლობის მიხედვით, არ არსებობს, მაგრამ, როდესაც ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე სტუდენტთა დიდი ნაწილი ლაპარაკობს, ასევე, ლაპარაკობს პროფესორების საკმაოდ დიდი ნაწილი, ბუნებრივია, საქმე გამწვავდა. როდესაც სტუდენტებმა ამის შესახებ კითხვა ადმინისტრაციაში, არის კანცლერის თანაშემწე და კარგადაა ინფორმირებული ყველა საკითხზე. ამავე დროს არის თავმდაბალი ადამიანი. თუმცა, როდესაც აკადემიურ საბჭოზე იყო შერჩევა, მის კანდიდატურას მხარი ვერ დავუჭირე, მხარი დაუჭირა ცხრა წევრმა, საჭირო იყო რვა ხმა. შემდეგ გაფრინდაშვილთან დაკავშირებით გაჩნდა კითხვები. რაც შეეხება სამართლებრივ კუთხეს, ჩვენ ყველამ უნდა დავიცვათ უდანაშაულობის ლით, თითქოს ყველა სტუდენტი გაფრინდაშვილის მოწინაალმდეგეა, ეს არის ერთი ნაწილი.

**— თქვენ კი განაცხადეთ, არ გადავდგებიო, მაგრამ ხომ არ მივა საქმე იქამდე, რომ გაიძულონ? სხვათა შორის, პერიოდულად გარკვეული ჯგუფები ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს გადადგომაც გინდათ.**

– ჩემამდეც მოვიდა ხმები, რომ თითქოს ვიღაცები აპირებენ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას. რექტორის

– საბოლოო ჯამში, იქმნება სიტუაცია, როცა ყველაფერი მიმართულია უნივერსიტეტის რექტორის წინააღმდეგ. რაც ახლა ხდება, საუნივერსიტეტო სივრცისთვის ნამდვილად არ არის კარგი და ბუნებრივია, უკვე დარტყმები გადადის რექტორზე. გაფრინდაშვილის თემამ უკვე გადაიწია მეორე პლანზე და ახლა შეტევა მიდის ჩემზე.

**— ანუ ფიქრობთ, რომ ეს თქვენს წინააღმდეგ დაწყებული კამპანიაა?**

– შეიძლება მთლად ასე არ იყო ჩაფიქრებული, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამან ასეთი სახე მიიღო.

**— პროცესები გარედან იმართება? არ შეიძლება, ამაზე არ გეფიქრათ, რა ძალები მოქმედებენ?**

– მე ნამდვილად არ მინდა ვიფიქრო, რომ სტუდენტები ვინმესგან მართულები არიან. სტუდენტები არიან მაქსიმალისტები და ბუნებრივია, ამ ასაკში ასეც უნდა იყოს, მაგრამ ის, რომ სტუდენტებს ვიღაცა მართავს, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. შექმნილი ვითარება შეიძლება მავანმა და მავანმა უნივერსიტეტის საწინააღმდეგოდ გამოიყენოს.

**— კონკრეტულად „მავანთა“ მიზანი რა შეიძლება იყოს?**

– მიზანი არის საერთო არეულობის შექმნა უნივერსიტეტში და შემდეგ მოვლენების გადატანა ქვეყნის მასშტაბით. როგორც ხედავთ, სტუდენტებს უკვე სოლიდარობა გამოუცხადეს სხვა ძალებმაც – რკინიგზელებმა, მაგრამ გარკვეული ჭორები ჩემამდეც მოდის. თუმცა ამაზე საუბარი ჩემი მხრიდან არ იქნება მართებული.

**— თუმცა ამას ჭორები კი არა, კულუარული ინფორმაცია უფრო ჰქვია, რაც ხშირად მართლდება ხოლმე. ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს თქვენ განაცხადეთ, უნივერსიტეტში წესრიგის დაცვაზე პასუხს მე არ ვაგებო.**

– არა, ასეთი რამ ნამდვილად არ მითქვამს, რას ჰქვია, წესრიგის დაცვაზე პასუხს არ ვაგებ? უბრალოდ, არის კომპეტენცია განსაზღვრული რექტორისთვის, აკადემიური საბჭოსთვის, წარმომადგენლობითი საბჭოსთვის, ადმინისტრაციისთვის, რომელსაც ხელმძღვანელობს კანცლერი და ასე შემდეგ. საერთოდ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელი არის რექტორი და მე რეალობას ვერ გავექცევი.

**— ორი-სამი დღის წინ უნივერსიტეტში გამოჩნდა „რესპუბლიკელი“ დავით ბერძენიშვილი, რომელიც ჩამოჯდა სტუდენტებთან და გამოუცხადა სოლიდარობა. ერთ-ერთმა ქალბატონმა თქვენი ადმინისტრაციიდან სამართლიანად დაიფრინა იქიდან... უნივერსიტეტში ასევე იყო მოსული განათლების მინისტრი, თამარ სანიკიძე, „ოდეერებთან“ დაკავშირებით გააკეთა განცხადება, საქმე პროკურატურამ უნდა გამოიძიოსო და თქვენ ამას გაუგებრობა უწოდეთ.**

– მე ნებისმიერი გამოძიებისთვის მზად ვარ, თუკი დაიწყება, მაგრამ არ მინდა, ისე გამოვიდეს, ვიღაცებმა უნივერსიტეტის შიდა საქმეებში დამისვეს, ვუპასუხე, რომ იგივე ინფორმაცია მაქვს, რაც მათ.

**— სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აცხადებს, რომ უნივერსიტეტში ე.წ. „ოდეერი“ არ არსებობს. ეს გიორგი გაფრინდაშვილი ვინ არის?**

– გაფრინდაშვილის დაკავშირდება „ოდეერთან“ და უსაფრთხოებასთან მართებული არ იქნება, ყოველ შემთხვევაში, მე არანაირი დოკუმენტი არ გამაჩნია.

**— ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ უნივერსიტეტში „ოდეერი“ არსებობს, მაგრამ ვინ, ამის შესახებ არ იცით?**

– სახელი და გვარი ყველამ იცის, მაგრამ ეს არ არის ბატონი გაფრინდაშვილი, რომელიც იყო ჩვენი სტუდენტი, გაიარა სამივე საფეხური, არის უნივერსიტეტის პროფესორი, რამდენიმე თვის წინ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკაში. მუშაობს პრეზუმფცია.

**— თქვენ რატომ არ დაუჭირეთ მხარი, თუკი ასეთი კარგი წარმოდგენა გაქვთ ამ ადამიანზე?**

– როდესაც ადამიანი მიდის მაღალი დონის საჯარო თანამდებობაზე, იქ არ უნდა ჩნდებოდეს არანაირი კითხვები, რაც შემდგომში გამოიწვევს კონფრონტაციასა და განხეთქილებას. სწორედ ამიტომ არ მივეცი ხმა, რომ ეს განხეთქილება ამეცილებინა თავიდან.

**— თითქოს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გაფრინდაშვილმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, ეს სიმართლეა?**

– არა. მე ვიცი, რომ მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა განცხადება გააკეთა და მას თხოვნით მიმართა, კანდიდატურა მოხსენიო, გაფრინდაშვილმა დააყენა საკითხი, რომ ის შეხვდება თავის მხარდამჭერებს აკადემიურ საბჭოში და ერთად გადაწყვეტენ, როგორ მოიქცევა. ნუ ჩავთვიმპიჩმენტის პროცესი შეუძლია დაიწყოს აკადემიური საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთმა მესამედმა. ჯერჯერობით მსგავსი არაფერი დაწყებულა, მაგრამ ხმები მოდის. დღეს სიტუაცია არის ასეთი: უნივერსიტეტს არ ჰყავს კანცლერი, კანდიდატურასთან დაკავშირებით არის პრობლემები. ამ შემთხვევაში რექტორის მხრიდან რაიმე გაუთვალისწინებელი ნაბიჯი დაუშვებელია. შეიძლება ზოგიერთს ძალიან გაუხარდეს ჩემი გადადგომა, მაგრამ ამას არ გავაკეთებ. მე ვაცნობიერებ პასუხისმგებლობას და ვაცხადებ: გადადგომას არ ვაპირებ.

**— აკადემიურ საბჭოში რა ხალხია, მთლიანად შიდასაუნივერსიტეტო შემადგენლობაა?**

– კი, ყველა ფაკულტეტიდან არის ორი წარმომადგენელი. ჩვენ დღეს გვაქვს შვიდი ფაკულტეტი.

## ხალხის ხმა

### „ქალი, რომ ხარ და პოლიტიკოსი, თან იცი, რა დონის მოსმენები და თვალთვალი იყო, წინდახედულად არ უნდა მოიქცე?“

**ნინო, 53 წლის, ბუღალტერი:**

– ამ ქვეყანაში კიდევ თუ ვინმეს რამე უკვირს? ისე, არავის პირადი ცხოვრების გამომზეურების მომხრე არ ვარ, მაგრამ ახლა რომ ატყდა ვაი-უშველებელი, ახლა რომ გაახსენდათ ქმარ-შვილი, ოჯახი, მაშინ გახსენებოდათ ოჯახის, წინაპრებისა და ქმარ-შვილის ღირსება, სანამ ლოგინთან მივიდოდნენ და საყვარლობანას თამაშს დაიწყებდნენ, არ შეიძლებოდა? ახლა რაღა აკვნესებთ? ჯერ კიდევ დაუსჯელები არიან ამ კადრების ავტორები და ესაა ყველაზე დიდი დანაშაული, თუმცა ქალი რომ ხარ და პოლიტიკოსი, თან იცი, რა დონის მოსმენები და თვალთვალი იყო, წინდახედულად არ უნდა მოიქცე? მისცა მიზეზი და „ნაციონალებსაც“ მეტი რა უნდოდათ.

სააგენტოების მხრიდან გავრცელებაც არასწორი ქცევა იყო ნამდვილად, მაგრამ სხვებიც ნაკლებს არ აქვეყნებენ. ბევრი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი მახსოვს, რომელიც სამეგრელოს კადრების გამოქვეყნებას ითხოვდა და რა, ეს ნაკლები დარღვევა იქნებოდა?

*მაკა დეკანოსიძე*

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33

Პროფილი

# ვინ არიან „ქართული ძალის" წევრები და რის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ?

**ცოტა ხნის წინ თბილისის მეტროს ვაგონებში „ქართული ძალის" სტიკერები გამოჩნდა, რამდენიმე დღის წინ კი „ფეისბუკზე" გავრცელდა ვიდეო-მიმართვა, სადაც სამხედრო ფორმებსა და ნაწილობრივ სახედაფარული ახალგაზრდა ბიჭები, ქართული დროშის ფონზე, განცხადებებს აკეთებდნენ და საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდნენ, დაეცვათ ქართული ტრადიციები, მენტალიტეტი, ერის კულტურული და ისტორიული ფასეულობები და ამ მიზნით გაერთიანებულები, ერთად დამდგარიყვნენ ყველაფერ იმის წინააღმდეგ, რაც ქართულ ღირებულებებს საფრთხეს შეუქმნიდა და უქმნის. ამჯერად აღმოვაჩინე, რომ აღნიშნული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ჩემს „ფეისბუკის" მეგობრებს შორის იყო და მასთან ინტერვიუს ჩაწერა გადავწყვიტე.**









**ჩვენი რესპონდენტია „ქართული ძალის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, 24 წლის ნიკოლოზ ბურნაძე:**

**— პირველ რიგში, მითხარი, საიდან გაჩნდა აღნიშნული ორგანიზაციის შემქნის იდეა და რატომ?**

– ოჯახში ბავშვობიდან ჩამინერგეს ეროვნული სულისკვეთება, დეიდაც და ბებიაც ფილოლოგი მყავს და მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ფაზა გავიარე, „თინეიჯერულ" წლებში ჩემი საფიქრალი ყოველთვის საქართველო და ქართველი ბავშვების მომავალი იყო. 17 წლიდან გავხდი აქტიური მოქალაქე და დავიწყე ნაციონალისტური იდეოლოგიის შესწავლა. დავდიოდი თბილისის ქუჩებში და ვხედავდი ყველანაირი სუბკულტურის წარმომადგენლებს, ვუყურებდი ტელევიზორს და ვხედავდი, როგორ გვიქადაგებდა ყველა იდეოლოგიის ხალხი, მაგრამ ეროვნულობა და ნაციონალიზმი უფრო სასაცილო თემა იყო უმეტესობისთვის. გავიდა რამდენიმე წელი და წამოვიდა ახალი თაობა, 15-16 წლის ბიჭები და გოგონები, რომლებსაც სამშობლოსთვის უძგერთ გული. მე და ჩემმა რამდენიმე თანამებრძოლმა გადავწყვიტეთ, ჩამოგვეყალიბებინა ორგანიზაცია, რომელიც ითავებდა საქართველოში ნაციონალისტური ტალღის აგორებას. 2015 წლის 20 ივლისს ჩავატარეთ თბილისში პირველი ნაციონალისტური ფოლკ-ფესტივალი, სადაც 50-მდე მხარდამჭერი მოვიდა, გვქონდა ქართული და უცხოური ფოლკ-მუსიკა, ტრადიციული კერძები, ლუდი და ქალაქურ კრივში შეჯიბრი. ამ დღეს შეიქმნა „ქართული ძალა".

**— შენ ხარ „ქართული ძალის" დამფუძნებელი? და რამდენი ადამიანი ირიცხება ახლა აღნიშნულ ორგანიზაციაში? როგორ ხდება მათი მიღება და ასაკობრივი ცენზი როგორია?**

– დიახ, მე ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ. ამ ეტაპზე, დაახლოებით, 200 მხარდამჭერი გვყავს, ძირითადი ბირთვი 50 აქტივისტისგან შედგება, რომლებიც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობენ სხვადასხვა პროექტებზე. ბევრი მათგანი მუშაობს, ზოგი აბიტურიენტია, ყოფილა შემთხვევები, რომ სამსახურში შექმნიათ პრობლემები „ქართულ ძალაში" აქტივისტობის გამო, მაგრამ ეს ახალგაზრდები მთელი გულით არიან ჩაფლული საქმეში და ძნელია ამის გაჩერება. ასაკობრივი ცენზი რეალურად არ გვაქვს, საშუალოდ, 15-24 წლამდე არიან, მაგრამ ბევრი საშუალო ასაკის მხარდამჭერიც გვყავს. გოგოები გვყავს, მათაც ვილებთ და საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხებიც აქვთ ჩაბარებული. განსაკუთრებით ბოლო დროს გამოთქვამს ბევრი ჩვენთან გაწევრიანების სურვილს და ამას საკმაოდ სიფრთხილით ვუდგებით. უკვე იყო რამდენიმე მცდელობა, რომ ქართული ნაციონალიზმის სახელი გაესვარათ, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ.

**— როგორც ვიცი, საქართველოში არ იმყოფები და სად ცხოვრობ ამჟამად, რას საქმიანობ? ჩამოსვლას თუ აპირებ?**

– როგორც იცით, ბოლო 25 წელია, ქართველები ლუკმაპურის საშოვნად უცხოეთში მიდიან. ჩემი ოჯახი, მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, ამერიკაში წავიდა წლების წინათ. ჩემი ამერიკაში ყოფნა დროებითია და როცა საქართველოს დავჭირდები, მაშინვე ჩამოვალ. სხვათა შორის, მთელი ზაფხული საქართველოში გავატარე, ასევე ჩამოვედი ზამთარში და ახლო მომავალშიც ჩამოვდივარ, მყავს ქართველი საცოლე, რომელიც მელოდება და მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. 4 წელი ვსწავლობდი კონექტიკუტის უნივერსიტეტში, ფიზიოლოგიისა და ნევროფიზიოლოგიის განხრით. ამჯერად ვმუშაობ და ვაპირებ სამხედრო საქმის შესწავლას. ემიგრანტობამ ბევრი რამე მასწავლა, პირველ რიგში კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა საქართველო და ქართველები, ვისწავლე შრომის ფასი და მრავალი სხვა რამ.

**— გასაგებია. თქვენი ერთ-ერთი ვიდეოს გავრცელებას, სადაც ნიღბიანი და ქართულდროშიანი ახალგაზრდები სპეციალურ მიმართვას კითხულობენ, ძალიან მძაფრი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრმა გამოთქვა აზრი, რომ „ქართული ძალის" უკან რუსეთი დგას, მიმართვის ტექსტიც კი რუსული „სკინჰედების" ტექსტს შეადარეს — მათი ანალოგია, უბრალოდ, გადმოაქართულეს და რუსეთის მაგივრად საქართველო ჩასვესო. რას იტყვით ამაზე? ვინ გაფინანსებთ, რა ფინანსური რესურსები გაქვთ?**

– ჩვენ 25 თებერვალს გავავრცელეთ ვიდეომიმართვა, სადაც პატივს მივაგებთ ქართული წინააღმდეგობის გმირებს კოტე აფხაზს, გიორგი მაზნიაშვილს, მარო მაყაშვილს და ბრძოლის ველზე დაცემულ იუნკრებს. მიმართვა ჩავწერეთ იმ ადგილას, სადაც ბოლშევიკებმა 1923 წლის აჯანყების ოფიცრები დახვრიტეს. მანამდე პარლამენტის წინ გვქონდა დემონსტრაციები რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, 27 სექტემბერს გმირთა მოედანზე სოხუმის დაცემის დღეს პატივი მივაგეთ აფხაზეთში დაღუპულ გმირებს, სადაც 50 აქტივისტზე მეტი ვიყავით. ვიდეოს გავრცელების შემდეგ, რამდენიმე პრორუსმა ამერიკის ფაშისტები გვიწოდა, მემარცხენე ლიბერალებმა კი – რუსეთისგან დაფინანსებული „სკინჰედები", რაც არ გამკვირვებია, რადგან დღეს აქტიურად ცდილობენ საზოგადოებაში სხვადასხვა „ფობიები" დანერგონ. თუ ეროვნულ-ნაციონალისტურ ფასეულობებს იცავ, ეგრევე რუსეთის მონად მოგნათლავენ, ხოლო როცა კი იტყვი, რომ არ გინდა, დამპყრობელს დაემონო და დამორჩილდე, მაშინ უკვე ამერიკისგან დაფინანსებული ფაშისტი ხარ.

**საზოგადოების ნაწილს უჭირს იმის დაჯერება, რომ საქართველოში გამოჩნდა მემარჯვენე მოძრაობა, რომელიც რეალურად დაიცავს იმ ეროვნულ ფასეულობებს, რომლებსაც დღეს ბევრი პარტია იყენებს ფარად, მაგრამ სინამდვილეში სხვადასხვა ქვეყნის ფულით მოსყიდული არაკაცები არიან. დაფინანსებას რაც შეეხება, ჩვენ, როგორც გითხარით, ყოველგვარი ფინანსური ანაზღაურების გარეშე ვაკეთებთ ამ საქმეს, როცა რამე დაგვჭირდება, აქტივისტები 2-3 ლარს ავაგროვებთ ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვქონდა შემოთავაზებები, მაგრამ ყველას გასაგებად მინდა ვთქვა: „ქართულ ძალას" ვერც ერთი პოლიტიკური პარტია, ვერც ერთი ორგანიზაცია ან დაინტერესებული პირი ვერ „ჩაისვამს ჯიბეში", „ქართული ძალა" არასოდეს გაატარებს არც ერთი სახელისუფლო ან ოპოზიციური პარტიის ინტერესებს!**

**— რაც ამ წუთას მახსენდება, თქვენს სიმბოლიკებზე ე.წ. ფერადი „ლგბტ"-დროშა, მარიხუანა არის გადახაზული. შეგიძლიათ, მითხრათ, რა არის „ქართული ძალის" მიზანი, რის წინააღმდეგ გამოდის კონკრეტულად? რას იცავთ და რა მეთოდებით აპირებთ მოღვაწეობას? ერთი შეხედვით, შეიძლება ცოტა აგრესიაც ვივარაუდოთ, ვიდეოში ნიღბიანები ჩანან, მიმართვაც მკაცრია, იყვნენ ისეთები, ვინც აღნიშნული ვიდეო „აისისის" ვიდეოებსაც კი შეადარა.**

– დიახ, ჩვენ გვაქვს ოფიციალურ გვერდზე სურათი, რომელზეც გადახაზულია „ლგბტ" ცისარტყელა, რუსეთის დროშა, სიგარეტი/ნარკოტიკები და ასევე, გადახაზულია ნამგალი და ურო. ქართველი ნაციონალისტების „ფეისბუკებში" რამდენიც არ უნდა იძრომიალონ, ვერაფერს იპოვიან. „ქართული ძალის" ნებისმიერი მოქმედება იქნება კანონის ფარგლებში.

**— რა სამომავლო აქტივობებს გეგმავთ უახლოეს მომავალში და რას ეტყოდით ადამიანებს, რომლებიც თქვენს წინააღმდეგ გამოდიან და პირიქით, რომლებიც მხარს გიჭერენ?**

– გვაქვს რამდენიმე პროექტი, რის მეშვეობითაც უკეთესად შევისწავლით საქართველოს ისტორიას, ეკონომიკას, პოლიტიკურ მეცნიერებებს. უახლოეს მომავალში ვაპირებთ ვიდეოლექციების გავრცელებას, რომლებსაც კომპეტენტური პირები წაიკითხავენ. ასევე, გვაქვს სპორტული პროექტები, ორგანიზაციის ყველა წევრი აქტიურად ვარჯიშობს და ვაპირებთ, დავიწყოთ ახალგაზრდების ჯანმრთელი ცხოვრების წესით დაინტერესება. ასევე, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ ისეთ თემებზე რეაგირებას, რაც პირდაპირ ეხება საქართველოს წმინდა ქართულ მიწას და ქართველი ბავშვების მომავალს. ვინც ჩვენ წინააღმდეგ გამოდის, ან კომუნისტი ფანატიკოსები არიან, ან რადიკალი ლიბერალები, მაგრამ არის ხალხი, ვინც არ იცის ჩვენ შესახებ და დაინტერესებულია ჩვენი საქმიანობით.

**ძმებო და დებო! ნუ დაუჯერებთ იმ ხალხს, ვინც ჩვენს ქვეყანას ჭამს, გპარავთ და გზღუდავთ უკვე მერამდენე წელია. ცოტა ხანი გამორთეთ „პროფილი" და „ნანუკას შოუ", დაუჯექით თქვენს შვილებს, თქვენ ძმებსა და დებს, მეგობრებს და იფიქრეთ იმაზე, რომ ჩვენს თავს ჩვენ თვითონვე უნდა ვუშველოთ. იფიქრეთ იმაზე, როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ დღეს, როგორი ქვეყანა გვექნება ხვალ და გვინდა თუ არა ასეთ ქვეყანაში შვილების გაზრდა? ნუ მიეცემით იმ პესიმიზმს, რასაც უკვე ათწლეულებია გვინერგავენ... შემოგვიერთდით ბრძოლაში და შემოუერთდით 26 მაისის ქართული ძალის ნაციონალისტურ მარშს!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თეა წულუკიანი: ერთსქესიანი პირების დაქორწინებას ვერც ევროპა, ვერც დასავლეთი და ვერც ასოცირების ხელშეკრულება ვერ დაგვავალდებულებს



– მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ და ვიზიარებ აზრს, რომ ოჯახი და ქორწინება არის ერთობა ქალსა და მამაკაცს შორის და ვფიქრობ, რომ ეს უნდა ჩაიწეროს საქართველოს კონსტიტუციაში, – ეს განცხადება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გააკეთა და დაამატა, რომ საქართველოს ვერავინ დაავალდებულებს, რომ დავაქორწინოთ ერთსქესიანი პირები.

– ჩვენ უნდა გვესმოდეს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ, რომ ვერც ევროპა, ვერც დასავლეთი, ვერც ასოცირების ხელშეკრულება, ვერც რომელიმე საერთაშორისო სასამართლო, ვერ დაგვავალდებულებს, რომ დავაქორწინოთ ერთსქესიანი პირები. საერთაშორისო ვალდებულება არ გვაქვს და ვერ გვექნება. სტრასბურგის სასამართლოც კი ამბობს, რომ ეს ისეთი თემებია, რომელიც საზოგადოების შიგნით უნდა გადაწყდეს ყველა ქვეყანაში. დღეს ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ერთსქესიანი პირები უნდა ქორწინდებოდნენ. მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ და ამ აზრს ვიზიარებ, რომ ოჯახი და ქორწინება არის ერთობა ქალსა და მამაკაცს შორის და ვფიქრობ, რომ ეს უნდა ჩაიწეროს საქართველოს კონსტიტუციაში, რადგან სამოქალაქო კოდექსის ის ფორმა, რომლითაც იუსტიციის სახლებში წყვილებს ვაქორწინებთ, კიდევ უფრო გამყარდეს. გამყარდეს იმ ქვეყანაში, რომელიც დგას ამ ტრადიციულ ღირებულებებზე. შესაბამისად, ამ ინიციატივას და პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებას მხარს ვუჭერ და ჩემს როლს შევასრულებ იმისთვის, რომ ეს იქცეს კანონად, – განაცხადა თეა წულუკიანმა. (guardian.ge)

## ქუთაისში უცნობმა მამაკაცმა იეჰოვას მოწმეებს სტენდი დაუმტვრია და ბუკლეტები დაუხია

ქუთაისში ე.წ. სტეკლოტარას დასახლებაში უცნობმა მამაკაცმა იეჰოვას მოწმეებს მოძრავი სტენდი დაუმტვრია.

როგორც იეჰოვას მოწმეების იურისტი მანუჩარ ციმინტია ამბობს, მამაკაცმა 2 ქალს, რომლებიც მოძრავ სტენდთან მუშაობდნენ, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც მიიმალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე მოკვლევა მიმდინარეობს. (rustavi2.com)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



**ორიოდე დღის წინ, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტობუსების ერთ-ერთ გაჩერებასთან, გასაყიდად გამზადებული ნერგები შევნიშნე. გონებაში მაშინვე ფილმი „ნერგები“ ამომიტივტივდა და ძალიან მომინდა იმ ადამიანის გაცნობა, ვინც მას ყიდდა... ბევრი არც მიფიქრია, ვინ უნდა ყოფილიყო ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი: ეს გახლავთ ჯიმშერ ბერძენიშვილი — ადამიანი, რომელიც ქუჩაში ნერგებს ყიდის:**

ბა გასული. ახლა თუ დამაჯარიმეს, უკვე 150 ლარს გამომიწერენ, მაგრამ მაინც ვუმაგრდები და მაინცა ვყიდი (იღიმის).

**— ნერგების გასაყიდი ფასი როგორია? მინიმუმი და მაქსიმუმი რომ მითხრათ.**

– გააჩნია. ეს ჩემი ბაღის ნერგებია და ფასსაც მე ვადგენ. ლარადაც გავყიდი ერთ ნერგს, რადგან ჩემია, ნაყიდი არ მაქვს და სანამ გახმება, ჯობია დავაიაფო. სამ ლარზე ძვირად მაინც არ ვყიდი, მაგრამ ყველაზე ძვირი მაინც კაკლის ნერგია. კარგი ნამყენი შინდებიც მაქვს, სამწლიანი, გი რომ დარგო, ისევ ისეთი გამოდის, ჩვეულებრივი ხე იზრდება. ამიტომ მათი გაყიდვა არ მიჭირს.

**— რამდენი წელია, რაც ამ ადგილას ვაჭრობთ?**

– ერთი ათი წელი კი არის, მეტი თუ არა... თანდათან რთულდება ცხოვრება, უფრო უარესობისკენ მიდის. ადრე უფრო კარგად იყიდებოდა, ფულიცა ჰქონდა ხალხს, კაცო. ახლა ყიდვაც უჭირთ და გაყიდვაც. წელან ერთმა ბიჭმა მითხრა, კაკალი მინდაო, ათ ლარში ვყიდი ერთ ძირს და რვა ლარში მოგცემ-მეთქი. კი, ვიხდიო, მაგრამ ათ ლარს ვაკეთებ დღეწილკანში. ბიჭი სოფელში მყავს, მუხრანში მუშაობს ერთ-ერთ ვულკანიზაციაში და ცოტ-ცოტას ისიც შოულობს.

**— ბავშვობაში რა გინდოდათ გამოსულიყავით?**

– (იღიმის) მე რა მინდოდა... შოფერიცა ვარ. მამაჩემმა წამომიყვანა ქალაქში, მეტრო „ოქტომბერთან“ 32-ე პროფტექნიკუმი იყო და იქ ვისწავლე. ძალად მიმიყვანა, სკოლა არც დამიმთავრებია, რვა კლასიდან გამოვედი სოფელში და აქ წამომიყვანა, – არა, შვილო, რამე ხელობა უნდა გასწავლო, რომ ოჯახი შეინახოო. მე

### »» პროფესია

მამა აღარა მყავს და ხელობა ხომ ვიცი? საკუთარი მანქანა მყავდა, მაგრამ ბიჭის მეგობარმა დამიმტვრია... არც მიფიქრია მანქანაზე მუშაობა.

**— აქ სად რჩებით ხოლმე?**

– ოთახი მაქვს აღებული და ზამთარში სოფელში ჯდომასა და არაფრის კეთებას, აქ მოვდივარ და ვმუშაობ, ორ კაპიკს ვილებ. ჩემი გოგო თემქაზე კი ცხოვრობს, ჩემთან იარეო, კი მეუბნება ხოლმე, მაგრამ აქ მაწყობს, აქვეა. თან გზაში ადამიანი ხომ იღლება? ადი-ჩამოდი.

# „თანდათან რთულდება ცხოვრება, უფრო უარესობისკენ მიდის... ადრე უფრო კარგად იყიდებოდა, ფულიცა ჰქონდა ხალხს, კაცო... ახლა ყიდვაც უჭირთ და გაყიდვაც“



**„წელან თხილი გავატანე ათი ძირი 20 ლარში, მაგრამ ოთხი ცალი ზედმეტი მივეცი, კლიენტი იყო და...“**

**— ბატონო ჯიმშერ, რატომ გადაწყვიტეთ ნერგების გაყიდვა?**

– ახლა სეზონია, იყიდება კიდეც, უნდათ. ყველანაირი ხილია – მსხალი, ვაშლი, ატამი, ვაზი... ახლა თუ არ დარგე, აბა, მერე როგორ იქნება? თუკი ადამიანს ბაღი აქვს, ახლა უნდა დარგოს.

**— საიდან ხართ თქვენ?**

– მცხეთის რაიონიდან, სოფელ ქსოვრისიდან. ორ-სამ დღეში ერთხელ მივდივარ ხოლმე, ჩემი ბაღი მაქვს და მომაქვს ნერგები. ხილითაც ვვაჭრობ ხოლმე, სეზონურად. ზამთარში ციტრუსებზე ვვაჭრობ, ახალ წლებზე ნაძვით, ნაძვის ტოტებით; ზაფხულში უკვე სეზონურ ხილზე გადავდივარ. ახლა აღდგომა მოდის და წინა დღეებში ენდრო, კვერცხი მექნება გასაყიდად.

**— სულ ამ ადგილას დგახართ ხოლმე?**

– კი, აქ ვარ. გაჩერებასთან ახლოსაა, არავინ გაწუხებს, თან გზის კუთხეშია, თან გადასახადიც არაფერი მაქვს. ზიხარ შენთვის წყნარად.

**— პატრული ხომ არ გიშლით აქ დგომას?**

– მიშლიდა და ახლა დროებით აღარ მიშლის, რა ვიცი. დაჯარიმებულიც ვარ 100 ლარით და გადავიხადე. თან ჩამომართვეს რითაც ვვაჭრობდი, ხილი მქონდა მაშინ. არავის არაფერს ვუშლიდი, აქ კუთხეში ვიდექი, მაგრამ გარევაჭრობა არ შეიძლებაო და დამაჯარიმეს.

**— როდის დაგაჯარიმეს?**

– ერთი წელი არც არის, რაც 100 ლარით დამაჯარიმეს, 4-5 თვე იქნემსხმოიარე ვაზებიც – ახლა დარგავ თუ არა, ყურძენს მალე მოისხამს, არც წამალი უნდა და არაფერი, ოჯახში ნატურალური ყურძენი გექნება.

**— თქვენს სოფელში რას საქმიანობთ?**

– დურგალი ვარ, კარ-ფანჯარას ვაკეთებ, არაბულ სტილში საწოლებსაც ვაკეთებ... აი, ჩემს სოფელში 50 კაცს მაინც აქვს ჩემი გაკეთებული საწოლი. ზოგადად, სხვა „ვეშსაც“ ვაკეთებ. პროფესიით ვარ დურგალი, 31-ე ქარხანაში „სტანოკებზეც“ ვმუშაობდი მეორე ცეხში, სხვა ცეხები „სამალიოტის“ ნაწილებს აკეთებდნენ. ძეგვშიც ვმუშაობდი ქარხანაში, იქ გემის ნაწილებს აკეთებდნენ, ახლა სადღა არის, დაიკეტა ქარხანა.

**— საშუალოდ, რამდენი ლარი გრჩებათ დღეში ნერგების გაყიდვიდან?**

– საერთოდ, საშუალოდ ორი-სამი თუმანი, თუ მუშაობა არის. ხან არის, ერთ დღეში 60 ლარისას გავყიდი. წელან თხილი გავატანე ათი ძირი 20 ლარში, მაგრამ ოთხი ცალი ზედმეტი მივეცი, კლიენტი იყო და...

**— ეს ნერგები თქვენი ბაღისაა და არ გიჭირთ ხოლმე, რომ ყიდით? თქვენი მოვლილი იქნება, ნალოლიავები და ვინ როგორ მოუვლის, ამაზე არ ფიქრობთ ხოლმე?**

– იცით, როგორ არის? ქლიავი, ტყემალი ავიღოთ მაგალითად: მათი ხის ქვეშ კურკა რომ ვარდება, იხეთქავს, იზრდება და იმას ვიღებ, რომ არ გაფუჭდეს და ვყიდი, მე არ ვამყნობ ამასა. თან ხეს შეუშლის. ეს ნერში, საჭმლის ფულიც ხომ მინდა დამრჩესო. მე ვუთხარი – მაშინ ცოტა დამიტოვე წინასწარ, შეგინახავ ამ კაკალს ორი-სამი დღით-მეთქი. ერთ სამ დღეში გამოგივლი, თუ მოვაქუჩეო, პურის ფულს ცალკე გადავდებო და ვიყიდიო. ერთ ლარს კიდე დაგიკლებ, შეღავათში შემოვალ-თქო, ვუთხარი და ვნახოთ, აბა, თუ მოახერხებს მოსვლას... უჭირს ხალხსა...

**— თქვენს ოჯახზე რას მეტყვით?**

– ერთი დასაქორწინებელი ბიჭი და ორი გათხოვილი გოგო მყავს, ერთი თემქაზეა გათხოვილი, მეორე მაინც სოფელში ვიყავი მიჩვეული და არ ვოცნებობდი ქალაქში წამოსვლაზე, მაგრამ წამოვედი და პროფტექნიკუმი დავამთავრე. მერე იქიდან 31-ე ქარხანაში გამაგზავნეს. ვაკეში საშოფროც იყო ადრე, ხელფასი 360 მანეთი მქონდა 31-ე ქარხანაში, თან საშოფროზე ვსწავლობდი სამი თვე და ქარხანა სწავლის 100 პროცენტს მიხდიდა, ხელფასს სრულად ვიღებდი. მესამე კლასის „პრავაც“ ავიღე და სამხედროში წავედი, ორი წელიწადი უნგრეთში ვმსახურობდი. ჩამოვედი და მას მერე თავს ვინახავ. არაფერს რომ არ აკეთებდე, ჯდომითაც იღლები ადამიანი და მე უკვე ასაკში ვარ, წასვლა-წამოსვლებშიც ვიღლები. ხოდა, ვარ აქა.

**— რას ეტყოდით ჩვენს მკითხველს?**

– ყველას დავლოცავ, ნებისმიერი ეროვნების ადამიანს და კარგად ყოფნას ვუსურვებ. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ სადაურია? მთავარია, კარგი ადამიანი იყოს, მე დედა ოსი მყავდა. მთავარია, საქართველოსთვის კარგი უნდოდეს და ყველას შემოვევლე, ვინც არ უნდა იყვეს.

### »» ხალხის აზრი

**მირიანი, 38 წლის, ხელოვანი:**

– სულაც არ გამიკვირდება, ეს „ოცნების“ გაკეთებული რომ იყოს. არაერთხელ უსაუბრია თავად ივანიშვილს სხვის პირად ცხოვრებაზე, ეტყობა, საკმაოდ ჩახედულია და უყვარს ხელების ფათური მსგავს რამეებში. თან, ალბათ, ოპოზიციაში წასული ძალა ამით დასაჯა, იმიჯი შეულახა, ძალიან ღიად და დაუფარავად აკრიტიკებდა თავის დროზე საკუთარი გუნდის წევრის პირად ცხოვრებას.

ახლა რომ გამოდიან მორალის დამცველები და განიკითხავენ საქციელს, არავისი საქმე არაა, საძინებელში ვინ რას აკეთებს და ვინ ვის უღალატებს. ყველამ საკუთარ ოჯახს მიხედოს. საშინელ ქვეყანაში ვცხოვრობთ, არავინ არაფრისგან არაა დაზღვეული. უბრალოდ, ამაზრზენია ამ მეთოდით პოლიტიკური კონკურენტის ჩამოშორების მცდელობა და განადგურება, ვინც და რა მიზნებითაც არ უნდა აკეთებდეს ამას, დაუშვებელია და ძალიან მკაცრად უნდა დაისაჯოს გამავრცელებელი. იმაზე აღარ ვსაუბრობ, რა მანკიერი პრაქტიკა იყო, ვინც ამ ჩანაწერებს აკეთებდა. ციხეში გადაღებული კადრების შემდეგ კი საერთოდ არაფერი მიკვირს, თან ციხის კადრების გამოყენებით ხელისუფლებაში მოსულ ადამიანებს, მგონია, რომ ასეთი პირადი ცხოვრების კადრების გასაჯაროებაც შეუძლიათ.

**„ციხის კადრების გამოყენებით ხელისუფლებაში მოსულ ადამიანებს, მგონია, რომ ასეთი პირადი ცხოვრების კადრების გასაჯაროებაც შეუძლიათ“**

*მაკა დეკანოსიძე*

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



იცით, მე უკვე ძალიან მეშინია... დიახ, ძალიან მეშინია, რომ ერთ დღესაც არ გავგიჟდე... იქნებ უკვე გავგიჟდი და ვერ ვგრძნობ? აბა, ჩემს გარშემო ყველა გაგიჟდა და მხოლოდ მე დავრჩი თეთრი ყვავივით? არა, ჭკუიდან რომ გადავსულიყავი, სხვების არანორმალურობას ველარ შევამჩნევდი... თუმცა ხშირად ის მაიმედებს, რომ ტრაგიკული მომენტებიც კი ჩვენში იუმორის დონეზეა ასული. აგერ, საქართველოში ერთი ჯგუფი იძახის, სანამ მთავრობაში იმ ეროვნულ ძალებს არ დავაბრუნებთ, რომლებიც 1990-იან წლებში მოღვაწეობდნენ, მანამ არაფერი გვეშველებაო... როლანდ ახალაია უკვე ქმნის ახალ ეროვნულ მოძრაობას, კობა ხაბაზი აპირებს საქართველოს განთავისუფლებას – ვისგან, თვითონაც არ იცის. ჩემი მეგობარი ეკა მირცხულავა თვლის, რომ მისი ცხოვრება იმ ფილმს წააგავს, გაგრძელება რომ არ აქვს. თუმცა ელოდა სხვა დასასრულს, კეთილს და ლამაზს. „ნაციონალი" კარინა გრიგორიანი „ფეისბუკით" მიმეგობრდეერთპიროვნული მონოპოლიის პირობებში! ამას დავანებოთ თავი... დასაწყისში გითხარით, აქ ყველა გაგიჟდა-მეთქი – გეუბნებით, აქ პოეტებიც კი უცნაურ შეკითხვებს სვამენ (ავტორი ზაზა კოშკაძე):

**„საქართველო, მე შენს სიყვარულს თავი**
**შევწირე და ახლა პახმელიაზე ვარ.**
**საქართველო, ხინკალი ხუთი კაპიკი,**
**ხბოს მწვადი — ათი შაური, 1989 წლის 9 აპრილი.**
**საქართველო, მე ჩიპიანი პასპორტი მაქვს.**
**საქართველო, როდის შეწყვეტ მომიტინგეთა ხოცვას?**
**ტრაკში გაიკეთე შენი ტანკი „ლაზიკა".**
**საქართველო, ნუღარ მაღვიძებ დილაობით,**
**ეს მე მაწუხებს.**
**23 წლის ასაკში ჭკუიდან შემშალე და**
**მას მერე ლექსებს ვწერ.**
**როდის გაბრწყინდება იბერია?**
**როდის გაიხდის რიგითი ზონდერი ფორმას და**
**მიცეკვებს სტრიპტიზს?**
**როდემდე უნდა იწვე საფლავში თვალებდაჭყეტილი?**
**როდის ელირსები მილიონ ლიბერალს?**
**შენ მართლა ტრაგიკული ხარ თუ ეს შენი**
**ერთგვარი ხუმრობაა?**
**ვცდილობ, საღად შევხედო ყველაფერს.**
**მე არ ვაპირებ, უარი ვთქვა საკუთარ**
**„მკრეხელურ" აზრებზე.**
**საქართველო, შეწყვიტე ჩემზე ზეწოლა,**
**მე შენზე ასჯერ ჭკვიანი ვარ და უკეთ ვიცი, რას ვწერ"!**

საქართველო, როცა შენივე შვილები ასეთ შეკითხვებს გისვამენ, წესით, დაბნეული უნდა იყო და ხარ კიდეც. აჰა, ტრაკში გაიკეთე შენი ტანკი „ლაზიკაო", გეუბნებიან და არც ტყუიან. იცი, რატომ? რა გეტანკება, როცა ჯერ თოხი გჭირდება და ისიც კი თურქეთიდან შემოგაქვს? სულ გაიძახი, იბერია გაბრწყინდებაო და ამ დროს აღარაფერი გრჩება გასაბრწყინებელი. აი, ამიტომ მეშინია, რომ არ გავგიჟდე, ჩვენ ხუმრობაში, იუმორში, სულ სიცილ-ხითხითში ვკარგავთ ყველაფერს, რის დაკარგვაც შეიძლება. არა, ჩვენ ხომ ჩვენი გაგვჭირვებია და ამ დროს გარედანაც კარგად გვიჩუჩხუნებენ, გარეთაც კაი გვარიანად აჟუილებენ... მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა თქვა, იმ განვითარებად ქვეყნებში, სადაც „ლგბტ" ადამიანები საფრთხ-

## ჩვენ, პოეტები საქართველოსი!



ფასებს უკიდიაო, უთხრეს მეხანძრეებს.

ქართველები გამოსავალს ყოველთვის ვპოულობთ, მაგრამ შედეგს ვერ ვცვლით. გადის ცოტა დრო და ისევ შიში გვიპყრობს (ავტორი კუკა რაზიკაშვილი):

**„მეშინია, არ მოვკვდე! მეშინია, არ გავგიჟდე!**
**— ეს ორი მთავარია!**
**მეშინია, სამუშაო არ დავკარგო, რომელიც**
**ჯერ არ მიშოვნია! მეშინია, ძილი არ**
**გამიტყდეს! აი, უკვე გამიტყდა!**
**არ მეშინია მზის, მაგრამ მეშინია,**
**ერთ მშვენიერ დღეს რომ აღარ ამოვიდეს?!**



# „5 მარტს დაიბადა დავით უსუფაშვილი და გარდაიცვალა სტალინი. აი, თურმე რატომ არ უყვარს გოგი თოფაძეს „რესპუბლიკელები"... ფაქტობრივად, საუკუნის საქმე გავხსენი"

**„...მეშინია ეკა ბესელიას ახლოდან ნახვის, ვაითუ ისეთი ლამაზი არ გამოდგეს, როგორიც შორიდანაა?! მეშინია გუბაზ სანიკიძის, დევია და რომ შემჭამოს?! მეშინია თბილისში მქროლავი ავტოების, უნდა გამოვტყდე: მათი მღვდლებზე მეტადაც კი მეშინია!!!"**

ბა და უკვე იქამდეც კი „დაეშვა", როცა მის „კუმირ" სააკაშვილს საჯაროდ ვაკრიტიკებ, ხმას აღარ იღებს, დუმს და ხანდახან მილაიქებს კიდეც. მერაბ შათირიშვილი აცხადებს: წარმოიდგინეთ და, ამ ბოლო დროს გოგი თოფაძე მომწონს, ხომ მაქვს ამის უფლებაო? რა თქმა უნდა, აქვს, დემოკრატიაა და ამიტომ, შეუძლია ლუდი „ყაზბეგიც" მოსწონდეს.

შალვა თოიძეს უმაგრესი აღმოჩენა გაუკეთებია: „5 მარტს დაიბადა დავით უსუფაშვილი და გარდაიცვალა სტალინი. აი, თურმე რატომ არ უყვარს გოგი თოფაძეს „რესპუბლიკელები"... ფაქტობრივად, საუკუნის საქმე გავხსენი".

პაატა შარაშენიძეს „ნაციონალების" აქციაზე ერთი ძველი ანეკდოტი გახსენებია: „ჭიჭიკია დადის საღორიის ტყეში და ზარს რეკავს. ეკითხებიან, რას აკეთებო? ლომებს ვაფრთხობო. რა უნდა, ბუჯო, ლომებს საღორიაშიო? რომ ვაფრთხობ, მიტო არ არიანო".

თამარ ჩერგოლეიშვილი აცხადებს, ჩვენ გავიმარჯვეთ და ამ გამარჯვებას ერთი კაცის ხელმოწერაღა აკლიაო. ვინ არის ეს ერთი კაცი, არ აკონკრეტებს, ან სააკაშვილს გულისხმობს, ან კიდევ მაკკეინს. პრინციპში, მე ორივე მკიდია. დავით ბაქრაძე იძახის, „გაზპრომი" შევაშინეთ და უკან ამიტომაც დაიხიაო. არადა, „სოკართან" ხელშეკრულება აქციამდე გაფორმდა. ლანჩხუთის ყოფილი გამგებელი, კახა ასკურავა ცდილობს, გამანათლოს და მიმტკიცებს, რომ არა „გაზპრომს" და არა კოლაბორაციონალიზმს, ეს არავისი ექსკლუზივი არ უნდა იყოს, ეს ჩვენი შვილების უკეთესი მომავლისთვისაა აუცილებელი! არადა, მთავრობა ამტკიცებს, რომ აღარ მოდის ეს დედამოტ...ნული „გაზპრომი"! ძალიანაც ცუდი, თუ აღარ მოდის, ისევ ვრჩებით აზერბაიჯანის



**რატომაა შენი წიგნები სავსე ცრემლებითა და პარანოიით?**
**საქართველო, როდის გავხდებით ეკონომიკური სინგაპური?**
**მე უკვე გული მერევა შენს იდიოტურ მოთხოვნებზე.**
**როდის დაგვირიგებენ „პოპულში" გუდის ყველს და**
**ჯონჯოლის მწნილს პატრიარქის სიყვარულისთვის?**
**მომავალი ხომ შენია, ბოლოს და ბოლოს?**
**საქართველო, შენი ნარცისიზმი მეტისმეტია ჩემთვის.**
**შენი შემყურე წმინდანობაზე ვოცნებობ.**
**უნდა არსებობდეს გამოსავალი ამ ჩიხიდან.**
**საქართველო, სულხან-საბა და ფალიაშვილი**
**კათოლიკეები იყვნენ და ეს ტრაგედიაა?**

ის ქვეშ არიან, პროექტებს არ დავაფინანსებთო. ჯიმ იონგ კიმმა ეს განცხადება საერთაშორისო კონფერენციაზე გააკეთა. უგანდის დაფინანსება უკვე შეწყვიტეს. ალბათ, შემდეგი საქართველო იქნება. ყოველ შემთხვევაში, აქ ისეთი ამბები დატრიალდება და „ნაციონალები" ისეთ „დანოსებს" გაგზავნიან მსოფლიო ბანკში, ადგილი აუცილებლად ექნება გაურკვევლობას....

ამ დღეებში რამდენიმე წლის წინანდელი ნიუსი ხელახლა გავრცელდა და რადგან დღესაც აქტუალურია, აიტაცეს. უცნობმა პირმა მაღაზიაში მაღალი ფასების გამო, ნუცუბიძის ქუჩაზე სახანძრო ბრიგადა გამოიძახა. ვილაცამ დარეკა და განაცხადა, რომ მაღაზიას ცეცხლი ეკიდა. შეტყობინება ხუმრობა აღმოჩნდა. ადგილზე გასულ სახანძრო ბრიგადებს ხანძარი არ დახვდათ. მაღაზიას კი არა, ცეცხლი

**მეშინია ოპოზიციის მიტინგის, ჯერ ერთი,**
**მიწისქვეშებს სულააყროლებენ, მეორეც,**
**შემთხვევით რომ იქ გავიარო და შემატყონ,**
**მათსავით არ ვფიქრობ, ხომ მომკლავენ!!!**
**მეშინია ხელისუფლების, სულ თვალწინ მიდგას:**
**მთავრობის სხდომაზე მასამართლებენ,**
**პრეზიდენტი წაიკითხავს საბრალდებო დასკვნას**
**და მომისჯის სამუდამო ცხოვრებას საქართველოში!**
**მეშინია ეკა ბესელიას ახლოდან ნახვის, ვაითუ**
**ისეთი ლამაზი არ გამოდგეს, როგორიც შორიდანაა?!**
**მეშინია გუბაზ სანიკიძის, დევია და რომ შემჭამოს?!**
**მეშინია თბილისში მქროლავი ავტოების,**
**უნდა გამოვტყდე: მათი მღვდლებზე მეტადაც**
**კი მეშინია!!!**
**და საერთოდაც, ყველაფრის მეშინია, მეშინია**
**„ტაბულასი", მეშინია „ლიბერალის"...**

დიახ, ჩვენ ზოგჯერ ყველაფრისა გვეშინია, მხოლოდ „ტაბულასი" კი არა, თამარა ჩერგოლეიშვილისაც. არა, ვიცით, რომ ვერაფერს დაგვაკლებს, მაგრამ ისე პრაწავს ხოლმე თვალებს, გვაფრთხობს. ერთადერთი, ვისაც ამ ქვეყანაში არაფრისა ეშინია, ეს ნუგზარ წიკლაურია, რომელიც ყველას დიდ მადლობას უხდის აქციაში მონაწილეობისთვის – „არა გაზპრომს":

„საამაყო და შთამბეჭდავი იყო ათასობით პატრიოტის ხილვა თბილისის ქუჩებში. ბრძოლა გრძელდება და გამარჯვებით დასრულდება 2016 წლის ოქტომბრის არჩევნებზე"!

რა ვიცი, რა ვიცი, ხომ გითხარით დასაწყისში, ყველა გაგიჟდა-მეთქი?!

## 14-20 მარტი ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული** – საჩუქრები და ყურადღების გამოჩენა აუცილებლად გაამყარებს გრძნობებს და ურთიერთობების დალაგებაშიც დაგეხმარებათ. რაც მეტ დროს დაუთმობთ საყვარელ ადამიანს, მით ძლიერი იქნება სასურველი ეფექტი. ურთიერთობებს აგდგებით ნუ მიუდგებით, რადგან სწორედ ახლა გეძლევათ შანსი, მომავალ ბედნიერებას ძალიან მყარი საძირკველი ჩაუყაროთ.

**სამსახური** – შემოსავლის გაზრდისთვის საკმაოდ დიდი შრომის გაღება მოგიწევთ, თუმცა მთავარია, რომ სასურველ შედეგს მიიღებთ.

**სასიკეთო დღეები:** 16, 20 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 მარტი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული** – ურთიერთობების კარგად გააზრების დრო დაგიდგათ. თქვენზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. შეგიძლიათ სასურველი შედეგის, გრძნობებზე პასუხის მიღება, თუმცა იცოდეთ, რომ ვალდებულებებიც გაიზრდება. ყველაზე მთავარია, ზამთრის ძილისგან გამოთავისუფლდეთ. ახლა მართლაც თქვენზეა დამოკიდებული ინიციატივები და მზაობა, აიღოთ პასუხისმგებლობა. თუ სერიოზულ ურთიერთობებს დაიწყებთ, ამის დრო ზუსტად ახლაა.

**სამსახური** – თქვენს შრომისუნარიანობასა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული.

**სასიკეთო დღეები:** 14 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 მარტი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული** – პარტნიორთან ურთიერთობაში შესაძლოა, გაუგებრობა და საიდუმლოებები გაჩნდეს. მოსალოდნელია „კეთილისმსურველთა" გააქტიურება და თქვენს პირად საქმეებში ცხვირის ჩაყოფის მცდელობა, რის გამოც სერიოზული სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ. ზოგადად, არცთუ ისე კარგი პერიოდია რომანტიკული თავგადასავლებისთვის. გარდა ამისა, კარგს იზამთ, თუ პარტნიორის პირადულს გადაჭარბებული ინტერესით არ დააკვირდებით.

**სამსახური** – ყველაფერი მუხრუჭდება, პერსპექტივები არცთუ ისე ნათელია, თუმცა ამაში თქვენ არ ხართ დამნაშავე.

**სასიკეთო დღეები:** 18 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 17 მარტი.

# ანომალია



მაია იასეშვილი

599 94-64-58



**პარაფსიქოლოგი ნათელა ლობჟანიძე გვირჩევს, რისი ცოდნა და გათვალისწინება გვმართებს იმისთვის, რომ ჩვენს საცხოვრებელ სახლში ნეგატიური ენერგიები არ დაილექოს და არ გამძაფრდეს, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ამ სახლში მცხოვრებ ადამიანებზე.**

## „ასე მოიქეცით წელიწადში ოთხჯერ, ანუ წლის ოთხივე დროში, და ნახავთ, რომ თქვენთან იღბალი, ბარაქა და წარმატება მალე მოვა"

**„იყო დრო, როცა მსგავსი რაღაცების არც მე მჯეროდა და სისულელედ მეჩვენებოდა"**

– არის დღეები, როცა სახლში შემოსული ნეგატიური ენერგია საშიში ხდება და ავის მომასწავებელ ძალას იძენს. ამ პერიოდში ამ სახლში მცხოვრები ადამიანები თავს გრძნობენ სუსტად, შრომის უნარი ქვეითდება და სასიცოცხლო ენერგია მკვეთრად მცირდება. ნებისმიერი საქმე წინსვლის ნაცვლად ფერხდება და ჭიანურდება. ასეთ დროს ადამიანმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ნეგატიურ დღეებს და ეზოთერული წესების გათვალისწინებით იმოქმედოს. ასეთი პერიოდებია სავსემთვარეობიდან მე-3, მე-4 და მე-5 დღე, ასევე, ყოველი თვის პირველი და ბოლო კვირის დღეები. ამ დღეებს მაგიური დატვირთვა აქვს, რაც იმას ითვალისწინებს, რომ აქტიურდება ნეგატიური ენერგიები, რის ზემოქმედების შედეგადაც ადამიანები ითრგუნებიან, ეძალებათ შიში, მძაფრდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, თავს შეუძლოდ გრძნობენ, მძაფრდება პესიმისტური გუნება-განწყობა, ფიქრის დროს უარყოფითი ენერგია მიმართულებას იძენს და გამორიცხული არ არის, რომ ასეთმა მოქმედებამ ადამიანის მომავალზე ისეთი ცუდი გავლენა მოახდინოს, რომ დიდხანს იცხოვროს უნუგეშოდ და სასოწარკვეთამდე მივიდეს.

**— რა ქმნის მსგავს ენერგიებს და როგორ აისახება ეს ადამიანთა ბედიღბალზე?**

– ეს ნეგატიური ენერგიები გარედან შემოდის სახლში იმ ადამიანების წყალობით, ვინც ჩვენს მიმართ არ არის კეთილგანწყობილი, გაბოროტებულია. ძველად სოფლებში შემოსასვლელებში დალაგებულ ხის ტოტებს ნახავდით, ისინი მხოლოდ ესთეტიკურ ფუნქციას არ ასრულებდნენ, ისინი ანეიტრალებდნენ ნეგატიურ ენერგიას. არსებობს მცენარეები, რომელთაც აქვს კურნების უნარი ნეგატიური აზრებისა და ფიქრების დასაძლევად. მათ შესწევთ ძალა, რომ საცხოვრებელი სახლის ნეგატიური ზონებიდან, ნეგატიური ენერგიები გააქრონ. ეს მცენარეები ნეგატიურ ენერგიას შთანთქავს, ამიტომ სახლის იმ ადგილებში, სადაც ქუჩიდან მოსული სტუმრები იკრიბებიან, დადეთ მუხის ან ვერხვის პატარა ტოტები, რაც შთანთქავს უარყოფით ენერგიას და წარმატებების მოზიდვაში დაგეხმარებათ. ასევე, სასურველია, სახლში აყვავებული აკაციის ან ცაცხვის ტოტები გქონდეთ ლარნაკში, ეს ჩვენს საცხოვრებელ სახლებში შეაფერხებს დემონური ძალების მოზიდვას. პარაფსიქოლოგიაში არსებობს წესი, რომელიც ებრძვის ცუდს და იზიდავს სიკეთეს, ახლა გაგიმხელთ ერთ მარტივ მეთოდს, რომელიც მეტად ეფექტურია უარყოფითი ენერგიის განეიტრალებისა და წარმატებების მოსაზიდად. აიღეთ ერთი მუჭა ხორბალი და ერთი მუჭა ბრინჯი, კარგად აურიეთ ერთმანეთში, დაყარეთ თეთრ ქსოვილზე და გადაახვიეთ, დაიდეთ საწოლში ზეწრის ქვეშ ისე, რომ ზურგით ეხებოდეთ ხორბალსა და ბრინჯს. ეს ნარევი ყოველდღე ხელში უნდა გადაყარ-გადმოყაროთ და შესასვლელში დადეთ ლანგარზე, დანარჩენი გაახვიეთ თეთრ ხელსახოცში და საწოლში ჩაიდეთ. ლანგარზე დაყრილი ეს მარცვლები ააქტიურებს ბარაქისა და ბედის მოზიდვას, ნეგატიურ ენერგიებს კი ასუსტებს და აქრობს. ამ ნარევს ყოველდღე დაასხით ცოტა წყალი, როცა სულ ამოიწურება ხორბლისა და ბრინჯის მარაგი მიტკალში, ლანგარი, რომელზეც ის ყრია, ყოველდღე შემოატარეთ ოთახებში და შესასვლელში დადეთ, ასე მოიქეცით წელიწადში ოთხჯერ, ანუ წლის ოთხივე დროში და ნახავთ, რომ თქვენთან იღბალი, ბარაქა და წარმატება მალე მოვა. ეს მეთოდი უმარტივესია და თუ არ დაგეზარებათ მისი შესრულება, ნახავთ, რომ პირად ცხოვრებასა და კარიერაში წარმატებების კასკადი დაიწყება და თქვენს საცხოვრებელს ნეგატიური ძალებისგან დაიცავს. ეზოთერულ ცნობიერებაში ხორბალი არის სიმბოლიკა – ნაყოფიერების, სიმშვიდისა და წარმატების, ბრინჯი კი სიმდიდრისა და მატერიალური დოვლათის სიმბოლოა. არსებობს წესები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელთა დაცვაც მარტივია, უზიანო და ძალიან ადვილად შეიძლება წარმატებების მოზიდვა და იღბლიანობის დამკვიდრება. ასევე, მნიშვნელოვანია ფერთა გამა, თუ რა ფერის ტანსაცმელი და აქსესუარი გვაქვს და რა მასალის სამოსი გვაცვია, ყურადღება მიაქციეთ ბუნებრივი მასალისგან დამზადებულ ტანსაცმელს... აქსესუარები სასურველია, იყოს ბუნებრივი მასალისგან დამზადებული – ტყავის, ბეწვის. დააკვირდით თქვენს მდგომარეობას, აქცენტი გააკეთეთ ინტუიციაზე, რა ტანსაცმელიც კარგად დასცადეთ, რომელიც იღბლიან დღეს გაკავშირებთ, ეცადეთ, იმ საქმეზე წასვლის წინ ჩაიცვათ, რისი მიღწევაც ძალიან გინდათ. მაგალითად, გამოცდას, სამსახურში გასაუბრებას, ან შეხვედრას, რომლისგანაც წარმატებას ელოდებით და სასიყვარულო კავშირებსაც. ყურადსაღებია ფერთა გამის გათვალისწინებაც, ცნობილია, რომ მუქი ტანსაცმელი ადამიანს ცუდ ხასიათზე აყენებს, ამიტომაც აუცილებლად შეაშველეთ მხიარული აქსესუარები და სამკაულები, შარფები, ტანსაცმლის ფერზე რეაგირებს გარემო და გარშემომყოფები. შეიძლება თქვენი ჩაცმის მაღალი კულტურით წარმატების ნახევრის მოპოვება. იყო დრო, როცა მსგავსი რაღაცების არც მე მჯეროდა და სისულელედ მეჩვენებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემი ბედი და ცხოვრება პარაფსიქოლოგიას დავუკავშირე, ვიცი, ეს ყველაფერი ცრურწმენა კი არა, იმ საიდუმლო ცოდნის ნაწილია, რასაც პარაფსიქოლოგია და ეზოთერული ცნობიერება ჰქვია. თუ ყურადღებით მიჰყვებით მსგავს რჩევებს, მჯერა, თქვენს ცხოვრებაში აღარ დადგება უიღბლობის დღეები, თანაც ადვილი შესასრულებელია და არც მატერიალურ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული. თუ სიმშვიდე და ბედნიერება გინდათ ნუ დაიზარებთ და დამიჯერეთ.







## 14-20 მარტი ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული** – ცვლილებებისა და გრძნობების განახლების მხრივ ძლიერი მოთხოვნილება გაგიჩნდებათ. მშვენიერი დროა ახალი ნაცნობობისა და ზოგადად, ცხოვრების ახალი პერიოდის წამოწყებისთვის. კარგი იქნება, თუ ძველს დაივიწყებთ, მოგონებებს დაემშვიდობებით. თუ ურთიერთობებმა ჩიხში შეგიყვანათ, ერთმანეთისგან დროებით დაისვენეთ. შეეცადეთ, ოჯახში ურთიერთობები უფრო მრავალფეროვანი გახადოთ, თორემ სულ მალე ყველაფერი მოგწყინდებათ.

**სამსახური** – საკუთარი თავის რეალიზებისთვის ახალი შესაძლებლობები გაგიჩნდებათ. არ გაუშვათ შანსი ხელიდან.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 მარტი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული** – პარტნიორთან ურთიერთობაში დაძაბულობა გაჩნდება, ერთმანეთის გაგება საკმაოდ გაგიჭირდებათ. ოჯახშიც სიტუაცია შეიძლება დაიძაბოს. მოგიწევთ, საკმაოდ რთული ურთიერთობებიდან გამოძრომა. არცთუ იოლი პერიოდი დგება, რომელსაც მაქსიმალურად ღირსეულად უნდა დაუხვდეთ. პარტნიორს ნურაფერს მოსთხოვთ, ყველაფერი დროს მიანდეთ, რადგან სულ მალე სიტუაცია ისევ სასიკეთოდ შეიცვლება.

**სამსახური** – ხელმძღვანელობისგან წამოსული პრეტენზიები საკმაოდ უსიამოვნო სიტუაციაში ჩაგაყენებთ.

**სასიკეთო დღეები:** 17, 18, 19 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** არ გექნებათ.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული** – შესანიშნავი კვირაა ქორწილებისთვის, რომანტიკული შეხვედრებისთვის, თაფლობის თვისთვის. დადგა დრო შორეული მოგზაურობისთვის და ურთიერთობების აღდგენისთვის. საკმაოდ დიდი წარმატება და პოპულარობა გელით. მოგზაურობა ულამაზეს რომანტიკულ თავგადასავლებს გპირდებათ, თუმცა თავს სამშობლოშიც მშვენივრად იგრძნობთ. გახსოვდეთ, საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობებში მოწონების სიმაღლეზე ხართ, თქვენით ყველა მოხიბლულია.

**სამსახური** – გაქვთ შანსი, დაწინაურდეთ და ეს კვირა ამისთვის მაქსიმალურად გამოიყენეთ.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 15 მარტი.

კვირის ჰოროსკოპი...

## 14–20 მარტი ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული** – ურთიერთობებში გაჩენილ კრიზისს ბოლო მოეღება. დგება დრო ბედნიერი ცვლილებებისთვის. გაუფრთხილდით იმ ურთიერთობებს, რომელიც გაქვთ, ხოლო ყველა ცვლილება მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება. თუ უეცრად პარტნიორთან გაუგებრობამ იჩინა თავი, საუკეთესო გამოსავალი პრობლემის მოსაგვარებლად ინტიმური სიახლოვეა. ვინც სამოგზაუროდ წავა, ელის სასიამოვნო შეხვედრები საწინააღმდეგო სქესთან, რასაც არ უნდა დაუფრთხეს.

**სამსახური** – არც ისე მარტივი პერიოდია. მოგიწევთ საკმაოდ რთული და სარისკო გადაწყვეტილებების მიღება.

**სასიკეთო დღეები:** 15, 17 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 18 მარტი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული** – მიმდინარე კვირა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ბრძოლისა და წინააღმდეგობების პერიოდი. გელით პარტნიორთან ურთიერთობების გარკვევა და კომპრომისის გამონახვის აუცილებლობა. შეეცადეთ, ყური დაუგდოთ მის მოსაზრებას და წვრილმანების გამო გულს ნუ ატკენთ. შესაძლოა, პარტნიორის აზრი იმაზე მართებულიც იყოს, ვიდრე გგონიათ. ამდენად, ძალიან დიდი მოთმინება და წინდახედულობა გმართებთ.

**სამსახური** – რაც არ უნდა მოხდეს, მიღებული გადაწყვეტილება არ შეცვალოთ.

**სასიკეთო დღეები:** 14, 16 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 მარტი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული** – არცთუ ისე რომანტიკული პერიოდია. პრობლემების ტვირთი მოდუნებისა და ჰარმონიულ ურთიერთობებზე ზრუნვის საშუალებას არ მოგცემთ. საჭიროა, დროებით დამორჩილებული ადამიანის როლი მოირგოთ და სიტუაციის დრამატიზება არ მოახდინოთ. უახლოეს მომავალში პარტნიორს თქვენი დახმარება, გვერდში დგომა დასჭირდება, ან შესაძლოა, მოვლაც კი ავადმყოფობისა და ტრავმების გამო.

**სამსახური** – მუშაობას აღიქვამთ როგორც ურთულეს ვალდებულებას. უახლოეს მომავალში, სამწუხაროდ, სიტუაცია არ შეიცვლება.

**სასიკეთო დღეები:** 18 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 20 მარტი.





მაია იასეშვილი
599 94-64-58

# რა უწინასწარმეტყველა ბორჯომში მკითხავმა მაკა ბურდულს?

**„გავიკეთე ოპერაცია და წინა დღეებში დამესიზმრა მსახიობ გოგა გველესიანის დედა, რომელმაც მითხრა, ყველაფერი კარგად ჩაივლის, ნუ გეშინიაო. როცა გოგას აღვუწერე, როგორ ტანსაცმელში დამესიზმრა დედამისი, გაოცდა, რადგან ზუსტად იმ ტანსაცმლით დაუკრძალავთ“**

**ჩვენი რუბრიკის სტუმარს, კინორეჟისორ მაკა ბურდულს მისი შემოქმედებით უცხოეთში უფრო იცნობენ, ვიდრე საქართველოში, მაგრამ იგი სამშობლოს ნელ-ნელა ხელახლა უშინაურდება. მაკა ბურდული სხვადასხვა რაკურსით ყოფილა ჩვენი გაზეთის სტუმარი და ჩვენს რუბრიკაშიც დაბეჭდილა, მაგრამ ძირითადად ეზოთერული და მისტიკური თავგადასავლებით. დღეს კი მის შეხედულებებს გაგიზიარებთ იდუმალებით მოცულ სამყაროზე.**



– როგორც ყველა ადამიანს, მეც ბავშვობიდანვე დავინტერესდი მისტიკით, იდუმალებით მოცული სამყაროთი, სიკვდილსიცოცხლის ფენომენით, ბედისწერით. ძალიან მსიამოვნებდა მოხუცი ბებიებისგან დაუჯერებელი ამბების მოყოლა, სწორედ ჩემი გურული ბებიასგან ვიცი, რომ შემთხვევით ამქვეყნად არაფერი ხდება და წინასწარ არის განსაზღვრული ყველაფერი. ეს ყველაფერი, თითქოს ბავშვობიდან ჩამაგონეს, მაგრამ, როცა ფიქრის სამყარო დადის და ეძებს შორეულ ლაბირინთებს, იგივე აზრის ვრჩები, ჩვენს ნება-სურვილზე ბევრი რამ არ არის დამოკიდებული და უფლის მადლობელი უნდა ვიყოთ ყოველივე იმისთვის, რაც გვაქვს. მეოცნებე ბავშვი ვიყავი და არ დარჩენილა ოცნება, რომელიც არ ამსრულებია, მადლობელი ვარ უფლის ყველა წყალობის გამო და როგორც ბებიაჩემი იტყოდა, მჯერა, რომ იმ დროს „ალალმა ჩამოიფრინა“, როცა ამა თუ იმ სურვილის ახდენაზე ვოცნებობდი. პირველ რიგში, მადლობა მეთქმის იღბალთან იმის გამო, რომ ჩემი მშობლების შვილად გავჩნდი, არა იმიტომ, რომ პოპულარული და ცნობილი ადამიანები არიან, არამედ იმიტომ, რომ პირველ რიგში ისინი მორწმუნეები არიან და მათგან მაქვს აღებული მაგალითი, როგორ უნდა ვიცხოვრო და რას უნდა ვემსახურო. ჩვეულებრივ ოჯახში დავიბადე, მე-7 კლასში ვიყავი, როცა მამაჩემი კინოში გამოჩნდა და არც პრეტენზია ჰქონია მსახიობობაზე, იყო მოცეკვავე, მაგრამ, როგორც ჩანს, ბედისწერა უფრო დიდი მასშტაბებისთვის ამზადებდა და ახლა მამა კინომსახიობია. დედა კი პროფესიონალი მსახიობია და მამა ხუმრობს, რომ ცოლის დიპლომს იყენებს. სანამ გავჩნდი, მამაჩემი ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობდა და კინოსამყაროსთან არანაირი სიახლოვე არ ჰქონია, მაგრამ რაკი მან ბედი სამომავლოდ კინოს დაუკავშირა, ჩემი ბედისწერაც მამის გზას გაჰყვა.

**— ზოდიაქოს ნიშნით ვინ ხართ და არის თუ არა ასტროლოგია თქვენი ცხოვრების სახელმძღვანელო?**

– ზოდიაქოთი ლომი ვარ, მიხეილ ცაგარელმა შემიდგინა პირადი ჰოროსკოპი და მითხრა, რომ ჩემი კარმული მისიაა აქტიური მოძრაობა ხელოვნების სამსახურში. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლე პროფესიით თეატრმცოდნე იყო, კატეგორიული წინააღმდეგი იყო ჩემი რეჟისორული საქმიანობის და მეუბნებოდა, მე არ ვიქნები ამქვეყნად, შენ რომ რაიმეს გადაღებას დააპირებო. ღმერთმა კარგად ამყოფოს და მეუღლესთან თანაცხოვრებას ხელოვნებაში ბობოქარი და მოუსვენარი ცხოვრება ვარჩიე... როცა ქმარს დავშორდი, პირველი, რაც გავაკეთე, ჩემი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სადილი“ გადავიღე, რომელმაც მოიარა კინოფესტივალები და პირველივე ფესტივალზე გაიმარჯვა. რაკი თქვენი რუბრიკა ეზოთერულ საკითხებს ეხება, არ დაგიმალავთ, რომ პირველივე ფილმი შევქმენი სიზმრიდან მიღებული შთაბეჭდილებებით, არც იმას დაგიმალავთ, რომ ჩემი ფილმების უმრავლესობა კინოკადრებად მაქვს ნანახი სიზმარში. დიდი „სიზმარა“ ვინმე ვარ, სასთუმალთან მიდევს კალამი და რვეული, როგორც კი საინტერესო სურათს ვნახავ, მაშინვე ვიწერ და მერე ეს ჩანაწერები ჩემდაუნებურად მოიკალათებს ჩემგან შექმნილ ფილმებში. ეს სენი მარტო მე არ მჭირს. ეტყობა, ჩვენი ცნობიერიც და ქვეცნობიერიც მთლიანად არის დაკავებული საქმით, რომლის გაკეთებაც გინდა და ძილშიც მოდის გარკვეული ინფორმაცია, რომელსაც ვიყენებ ფილმის კადრებად და სიუჟეტებად. ასევე, დამსიზმრებიან ის პერსონაჟები, რომლებიც უნდა გახდნენ ჩემი ფილმის გმირები და სიზმარშივე დამირქმევია მათთვის სახელი. ასე რომ, ძილის დროსაც დაკავებულია ჩემი გონება საყვარელი საქმით.

**— ციფრული მაგიის თუ გჯერათ?**

– თქვენი გაზეთის წინა ნომერში წავიკითხე ინტერვიუ მომღერალ თამრიკო ჭოხონელიძესთან, სადაც ეწერა, რომ მისი შვილები ერთ დღეს არიან დაბადებულები. იგივე მოხდა ჩვენს ოჯახშიც, როცა ჩემი ძმა ლადო ერთი წლის გახდა, იმ დღეს დავიბადე მე. არ მგონია, რომ ეს უბრალო დამთხვევა იყო, ხშირია შემთხვევა, როცა და-ძმა, მამა-შვილი ან დედა-შვილი ერთ დღეს არიან დაბადებულები. გამომდინარე აქედან, ჩემი და ჩემი ძმის დაბადების დღე ბედნიერი თარიღია.

**— თუ შეგიძლიათ, გაიხსენოთ ისეთი შემთხვევა, რასაც სასწაულთა ქრონიკაში განიხილავთ?**

– საერთოდ, რის მიმართაც რწმენით განეწყობი და შენს ქვეცნობიერს დააჯერებ, რომ ის მოხდება, სასწაული არ დააყოვნებს, იმდენად მინდოდა „გრინ კარტას“ მოგება, რომ მოვიგე.

**— თუ გჯერათ ჯადოს, გათვალვის, ენერგოზემოქმედების მსხვერპლის?**

– ვთვლი, რომ იღბლიანი ვარ და ავის მოსურნეთა მჩხიბავური საქმიანობა ვერაფერს დამაკლებს, თუმცაღა ერთ დღეს ვიპოვე ჩემი შვილის ჩოხაში ჩადებული მყრალი ქონის ნაჭერი, რომელზეც იყო ჩვარი დახვეული, წითელი ცხენის ძუასავით თმა და შავი ძაფები. მივხვდი, რომ ავისმოსურნეთა ნახელავი იყო და დავწვი. იმ პერიოდში გავშორდი ქმარს, შეიძლება უარესი მელოდა და მხოლოდ ამით დამთავრდა ჯადოს ზემოქმედება.

**— წინასწარმეტყველთან თუ ყოფილხართ და აგცხადებიათ თუ არა მისი ნათქვამი?**

– ბორჯომის პარკში მოვიდა ერთი მარჩიელი და თავისით დამიწყო ლაპარაკი, მითხრა, ათი წლის შემდეგ გათხოვდებიო. იმ პერიოდში ბევრს მოვწონდი და დამაჯერებლობა აკლდა მის ნათქვამს, ისიც მითხრა, ერთი შვილი გეყოლებაო. მართლაც, ამ ამბიდან 10 წლის შემდეგ, 27 წლის წლის ასაკში გავთხოვდი. სხვათა შორის, განქორწინებაც მიწინასწარმეტყველა და ესეც ამიხდა. მითხრა, როცა ნახევარ საუკუნეს გადასცდები მეორედ მაშინ გათხოვდები, მდიდარი იქნები, შენი ხელით შექმნი ამ სიმდიდრეს, უცხოელზე გათხოვდებიო. მართლაც მყავს მდიდარი, ინგლისელი თაყვანისმცემელი და არ გამოვრიცხავ, ახლო მომავალში ცხოვრების თანამგზავრად ავირჩიო.




**— ხართ თუ არა ცრუმორწმუნე?**

– ბებია მყავდა დარია ბერიძე, რომელმაც ბავშვობიდანვე ჩამაგონა ცრურწმენები – საღამომდე არ უნდა დამეტოვებინა სარეცხი გარეთ, არ უნდა გადაერბინა კატას, არ უნდა დამეფანტა მარილი, საღამოს არ უნდა დამებრუნებინა ვალი... მსგავსი ამბები დღემდე მომდევს, იმდენად მაქვს მისი ქადაგებები გამჯდარი, რომ ვიცი ცრურწმენაა, მაგრამ ზედმიწევნით ვითვალისწინებ, ვაითუ არა არის ცრურწმენა (იცინის).

**— გარდაცვლილებთან თუ გაქვთ მისტიკური კავშირი?**

– უამრავ გარდაცვლილთან მაქვს მისტიკური კავშირი, მოდის იქიდან დარიგება, რჩევა, ინფორმაცია. ჩემი მეგობრები მეუბნებიან, ჩვენი მიცვალებულები ჩვენ არ გვესიზმრებიან, შენგან რა უნდათო? ორი თვის წინ გავიკეთე ოპერაცია და წინა დღეებში დამესიზმრა მსახიობ გოგა გველესიანის დედა, რომელმაც მითხრა, ყველაფერი კარგად ჩაივლის, ნუ გეშინიაო. როცა გოგას აღვუწერე, როგორ ტანსაცმელში დამესიზმრა დედამისი, გაოცდა, რადგან ზუსტად იმ ტანსაცმლით დაუკრძალავთ, რომელშიც გამომეცხადა. მისი დაკრძალვის დროს კი საქართველოში არ ვყოფილვარ.

**— როგორი ინტუიცია აქვს კინორეჟისორ ქალბატონს?**

– საერთოდ, ლომის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებს კარგი ინტუიცია გვაქვს, არ მიჯერებენ, როცა ვამბობ, რომ ვხედავ ადამიანის აურის ფერებს, არასდროს ვცდები ადამიანთა ამოცნობაში, ნიჭიერ ადამიანს ხმის ამოუღებლადაც ვცნობ მისი აურით, ოქროსფერი აურა აქვს უბოროტო ნიჭიერ ადამიანებს, შინაგანად ვარსკვლავი ენთებათ და ასხივებენ. დიდ სიამოვნებას მანიჭებს სიყვარულის გაცემა, რაც ბუმერანგის პრინციპით უკან მიბრუნდება და ეს არის ჩემი ყველა წარმატების მთავარი და ძირითადი საიდუმლო.

## 14–20 მარტი ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული** – შეგიძლიათ, მიაღწიოთ და მიიღოთ ის, რაზეც დიდი ხანია, ოცნებობდით. სიყვარულის დრო დაგიდგათ! გამოიყენეთ მომენტი გულების დაპყრობისთვის და დაკარგული ჰარმონიის აღდგენისთვის. შესანიშნავი პერიოდია ნაცნობობისთვის, უკვე არსებული ურთიერთობის გამტკიცებისთვის. არ თქვათ უარი პაემნებზე, რომანტიკულ შეხვედრებზე.

**სამსახური** – შემოქმედებითი პროფესიების მქონე ადამიანებს დიდი წარმატება ელით.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 14 მარტი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული** – სამწუხაროდ, ჰარმონიაზე საუბარი ამ კვირაში უადგილოა. გაგანერვიულებთ მშობლების ჯანმრთელობის მდგომარეობა. ოჯახის პრობლემები და უფროსი თაობის გავლენა წონასწორობას დაგაკარგვინებთ. კარგს იზამთ, თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის დროს გამონახავთ და მასთან მშვიდ გარემოში განმარტოვდებით. მოემზადეთ, რომ დროის უმეტესი ნაწილი ოჯახს დასჭირდება.

**სამსახური** – ბიზნესისთვის არც ისე კარგი დროა. შეეცადეთ, სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება ცოტა ხნით გადაავადოთ.

**სასიკეთო დღეები:** 17, 19 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** არ გექნებათ.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული** – ყველა ჩქარობს, ყველა მოძრაობაშია. გიჭირთ სერიოზული ურთიერთობების გაბმა: საქმეები გიშლით ხელს. ამის მიუხედავად, აქვს აზრი, სერიოზულად დაფიქრდეთ ურთიერთობების გაგრძელებაზე. გაქვთ შანსი, ცხოვრების ახალი ფურცლის წერა დაიწყოთ. ხანმოკლე მოგზაურობა მოგცემთ შანსს, გაიცნოთ საინტერესო ადამიანები.

**სამსახური** – მივლინებები, მიმოწერა და მოლაპარაკებები – დიდი ალბათობით, ასეთი გექნებათ მიმდინარე კვირა.

**სასიკეთო დღეები:** 16, 18 მარტი; **არახელსაყრელი დღეები:** 19 მარტი.



– ძვირფასო, საჩუქარი თუ მიყიდე დაბადების დღისთვის?

– რა თქმა უნდა?!

– მერე რას ფიქრობ, მომეწონება?

– ნუ, თუ არ მოგეწონება მე მომეცი, რამდენი ხანია ვოცნებობ სათევზაო ინვენტარზე.

*****

– გუშინ დაბადების დღე მქონდა და ჩემმა დაქალმა შორენამ დაუვიწყარი სექსი მაჩუქა.

– ისე, არაორდინარული გოგოა ეგ შენი შორენა, ყველას დაბადების დღეებზე ერთსა და იმავე საჩუქარს ჩუქნის.

*****

– კოტე, შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს.

– კარგით დაიწყე.

– და მერე ვინ გითხრა, რომ ორიდან ერთი კარგი ამბავია?

*****



– აი, ბატონო, კბილების მკურნალობა დავამთავრეთ. 2 საათი საკვებს ნუ მიიღებთ.

– ექიმო, თქვენ იმდენი გადამახდევინეთ, 2 საათი კი არა, ერთი თვე მომიწევს შიმშილობა.

*****

ფსიქიატრიულში კომისია პაციენტებს აკვირდება:

– აბა, ანზორ რამდენი იქნება 4-ს გამოვაკლოთ 2?

– 17.

– არაა სწორი. აბა, თენგიზ, შენ რას გვეტყვი, 4-ს გამოვაკლოთ 2 რამდენია?

– ხუთშაბათი.

– არაა სწორი! კოტე, შენ რას ფიქრობ, რამდენი იქნება?

– 2!

– ყოჩაღ, როგორ გამოითვალე?

– ელემენტარულად – 17-ს გამოვაკელი ხუთშაბათი და მივიღე 2!!!

*****



– არმენ, მითხარი, მაკიაჟის გარეშე ჩემი გეშინია?

– სუსანჯან, მაკიაჟითაც რომ ხარ, მაშინაც კი მეშინია შენი!

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბავშვმა პოლიცია გამოიძახა... ჩაცმაში დამეხმარეთო



რის გამო შეიძლება დაურეკო პოლიციას – ყაჩაღობის, ქურდობის, შეურაცხყოფის, მკვლელობის, ათასი მიზეზი არსებობს, რომ პოლიციის დახმარება ითხოვო, მაგრამ ორი წლის ბავშვს ზემოჩამოთვლილი პრობლემები არ შეხებია, ამიტომ რაც აწუხებდა, დახმარებაც იმის გამო ითხოვა.

აშშ-ში, სამხრეთ კაროლინის შტატის პოლიციაში უჩვეულო ზარი შევიდა, როგორც მოგვიანებით პოლიციელი მარტა ლონესი ამბობდა, კი მივხვდით, რომ აშკარად ბავშვის ხმა იყო, მაგრამ სულ რომ ძაღლი გვიძახებდეს, პოლიცია შემთხვევის ადგილზე მაინც უნდა მივიდესო. ჰოდა, მივიდა კიდეც. სახლში შესული პოლიციელების შესახვედრად კი 2 წლის გოგონა გამოტანტალდა, რომელსაც ცალ ფეხზე შარვალი ჩაეცვა, მეორეს ჩაცმა ველარ მოახერხა და დასახმარებლად პოლიციას დაურეკა.

კეთილი პოლიციელები, რა თქმა უნდა, დაეხმარნენ გაჭირვებაში მყოფ პატარას და ბონუსად მოფერებაც დაუმატეს. სახლში დაბრუნებული დედა კი შვილის მოხერხებულობით განცვიფრებული და ამაყი იყო.

„რამდენიმე დღის წინ ვასწავლეთ პოლიციის ნომერი, მაგრამ არ მეგონა, თუ მოახერხებდა, პირდაპირ გაოგნებული ვარ“.

ალსანიშნავია, რომ პატარა შინ მარტო არ იყო, მაგრამ ოჯახის წევრს რატომღაც პოლიციის დახმარება ამჯობინა.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## უსახლკარო ადამიანი ფულის თხოვნის ნაცვლად რეზიუმეს არიგებდა და სამსახურს ეძებდა



კალიფორნიის შტატის ქალაქ საკრამენტოში უსახლკარო ადამიანმა ხელგაწვდილი დგომისა და მოწყალების თხოვნის ნაცვლად გადაწყვიტა, ქუჩაში დამდგარიყო და საკუთარი რეზიუმე გამვლელებისთვის დაერიგებინა

52 წლის ფრედერიკ კალისონის დაჟინებამ შედეგი გამოიღო და მაიკლ მარტინის დახმარებით სამსახური იპოვა. მაიკლი მარკეტიდან გამოდიოდა, როცა ხელში საკუთარი რეზიუმეთი ქუჩაში მდგარი ფრედერიკი დაინახა. ფრედერიკი ყოფილი მზარეულია და ვაშინგტონიდან იმის გამო წამოვიდა, რომ საკრამენტოში სამაშველო არმიის სამსახურში მზარეულად მუშაობის დაწყებას აპირებდა, მაგრამ არ გაუმართლა, უსამსახუროდ და უთავშესაფროდ დარჩა.

მაიკლმა ყურადღებით წაიკითხა რეზიუმე და თავისი ყოფილი სამსახურის, პიცერიის მეპატრონეს გადასცა. ცოტა ხნის შემდეგ ფრედერიკს დაუკავშირდნენ და სამსახური შესთავაზეს.

„ფრედერიკი ინტერვიუს წინა ღამით მეცადინეობდა და რესტორნის მთელი მენიუ ზეპირად დაიმახსოვრა. მიხარია, რომ მისი დახმარება შევძელი, ნამდვილად იმსახურებს“, – განაცხადა მაიკლ მარტინმა.

**etotupo.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## მინესოტაში პირველი წყლის ბარი გაიხსნა



მინესოტის შტატში ინოვაციური ბარი გაიხსნა, სადაც სტუმრებს ადგილობრივ, ონკანის წყალს სთავაზობენ. ბარის მეპატრონე ამ ხერხით ცდილობს, რომ წყლის ხარისხის პრობლემებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე გაზარდოს.

„ჩვენ ვეპატიჟებით ადამიანებს, რათა იკონტაქტონ ერთმანეთთან, ასევე, სხვა სტუმრებთან და წყლის რესურსების შესახებ თავიანთი ცოდნა გაგვიზიარონ“.

ბარი შემდეგი დევიზით მუშაობს – „წყალი – ეს არის ყველაფერი, რაც გვაქვს“.

ბარის მეპატრონეს იმედი აქვს, რომ მსგავსი ხერხით მოახერხებს და შეცვლის გაბატონებულ წარმოდგენას, რომ თითქოს, მინესოტა და სხა შტატები წყლის პრობლემისგან თავისუფალია.

**anekdot-dnya.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ღმერთის დაცინვის ცნობილი ფაქტები და შედეგები





ჯონ ლენონმა საკუთარი წარმატების პიკზე (1966 წელს) ამერიკული ჟურნალისადმი მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

„ქრისტიანობა მალე დასრულდება; ის, უბრალოდ, გაქრება. ამაზე კამათიც კი არ მსურს. დარწმუნებული ვარ ამაში. იესო იყო, მაგრამ მისი იდეები ძალზე მარტივი იყო. დღეს ჩვენ უფრო ცნობილები ვართ, ვიდრე ის“! მას შემდეგ, რაც მან თქვა, რომ „ბითლზი“ უფრო ცნობილი იყო, ვიდრე იესო ქრისტე, ის ტრაგიკულად დაიღუპა. ერთმა ფსიქოპატმა მას ექვსჯერ დამიზნებით ესროლა. ალსანიშნავია, მკვლელმა ეს ჩაიდინა იმისთვის, რომ ჯონ ლენონისთვის ჩამოერთმია პოპულარობა და სახელი გაეთქვა თვითონ, როგორც ცნობილი მომღერლის მკვლელს.

მერილინ მონროს შოუს პრეზენტაციას ევანგელისტი ბილი გრეიმი დაესწრო. მან უთხრა მსახიობს, ღმერთის სულმა გამომგზავნა შენთან საქადაგებლადო. მერილინ მონრომ მქადაგებელს მოუსმინა და უპასუხა:

„მე არ მჭირდება შენი იესო!“ ერთი კვირის შემდეგ მერილინ მონრო მკვდარი იპოვეს საკუთარ საცხოვრებელ სახლში.

ბრაზილიელი პოლიტიკოსი ტანკრედო დი ამეიდო ნევესმა საკუთარი საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს საქვეყნოდ განაცხადა: „თუ მე 500 000 ხმას მივიღებ საკუთარი პარტიიდან, მაშინ თვით ღმერთიც კი ვერ ჩამომაშორებს პრეზიდენტობასო“! რა თქმა უნდა, მან მოაგროვა ეს ხმები, მაგრამ მოულოდნელად ავად გახდა და პრეზიდენტად გახდომამდე ერთი დღით ადრე გარდაიცვალა.

ბრაზილიელი კომპოზიტორმა, მომღერალმა და პოეტმა რიო-დე-ჟანეიროში გამართული კონცერტის დროს მოწია სიგარეტი, ხმაურით გამოუშვა ბოლი ჰაერში და დამცინავად წარმოთქვა: „ღმერთო, ეს შენ“! ის მალევე, 32 წლის ასაკში შიდსით გარდაიცვალა.

ტიტანიკის შემქმნელმა ინჟინერმა სამუშაოების დასრულების შემდეგ რეპორტიორების შეკითხვაზე, რაოდენ უსაფრთხო იქნებოდა მის ჯადოსნურ გემზე მგზავრობა, ირონიით უპასუხა:

„ახლა ღმერთსაც კი არ შეუძლია მისი ჩაძირვა“. ალბათ, ყველამ იცის, რა ბედი ეწია „ჩაუძირავ“ ტიტანიკს.

2005 წელს ბრაზილიის ქალაქ კამპინასში მთვრალი მეგობრების ჯგუფმა გადაწყვიტა, გასართობად წაეყვანათ კიდევ ერთი მეგობარი გოგონა, რომელსაც სახლში გაუარეს. ამ გოგონას დედამ დიდი მღელვარებით მიაცილა შვილი მანქანამდე და თრთოლვით უთხრა: „ჩემო გოგო, ღმერთი იყოს შენთან და მისმა მადლმა დაგიფაროს“! ამაზე შვილმა თავხედურად უპასუხა:

„ჩვენს მანქანაში მისთვის ადგილი უკვე აღარ არის, მაგრამ მას შეუძლია, შეძვრეს საბარგულში და ისე წამოგვყვეს“. რამდენიმე საათის შემდეგ დედას შეატყობინეს, რომ მანქანა საშინელ ავტოკატასტროფაში მოხვდა და ყველა დაიღუპა! თვით ავტომობილი ისე დაზიანდა, რომ მისი ამოცნობაც კი ჭირდა. პოლიციამ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ავტომანქანა თითქმის სრულად არის განადგურებული, ისე, რომ მარკის ამოცნობაც კი შეუძლებელია, საბარგული უვნებელი დარჩაო. ეს ყოველგვარ საღ აზრს ეწინააღმდეგებოდა. როგორი იყო საყოველთაო გაოცება, როცა საბარგული იოლად გახსნეს და მასში აღმოაჩინეს კვერცხების ერთი შეკვრა, რომელთაგან არც ერთი არც გატეხილი და არც გაბზარული არ იყო.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## დედებო, ნუ გადაყრით ბავშვის მოცვლილ კბილებს – მეცნიერების საოცარი აღმოჩენა



არ არის აუცილებელი, ბავშვის მოცვლილი კბილები მონეტის სანაცვლოდ კბილის ფერიას გაატანოთ.

მეცნიერებმა საოცარ აღმოჩენას მიაგნეს – სარძევე კბილები ღირებული გენეტიკური მასალაა, რომელსაც შეუძლია, სხვადასხვა სერიოზულ დაავადებებს გაუმკლავდეს.

როგორც მეცნიერები განმარტავენ, ბავშვის სარძევე კბილი ღეროვან უჯრედს შეიცავს, რომელსაც ნეირონების, ძვლებისა და ხრტილების, ასევე, გულის კუნთების ზოგიერთი უჯრედის რეგენერაცია შეუძლია. თანამედროვე მედიცინა საშუალებას იძლევა, უჯრედის გამოყენებით ავადმყოფობის შემთხვევაში დაზიანებული ორგანოების აღდგენა მოხდეს.

ბოლო სამეცნიერო აღმოჩენები ადასტურებს, სარძევე კბილის ღეროვანი უჯრედით შესაძლებელია ლეიკემიის, მრავლობითი მიელომასა და ჰოჯკინის დაავადების (ლიმფური ქსოვილის ავთვისებიანი დაავადება) განკურნება. ადრე ამ დაავადებებს მხოლოდ ძვლის ტვინის ან სხვა ქსოვილის გადანერგვით მკურნალობდნენ.

რომ შევინარჩუნოთ ღეროვანი უჯრედები, სარძევე კბილი ამოღებისთანავე 48 საათის განმავლობაში უნდა გაიყინოს.

აშშ-ში და სხვა ქვეყნებში არსებობს გენეტიკური ბანკები, სადაც ჭიპლარსა და ღეროვან უჯრედებს ინახავენ, ახალი ტექნოლოგიების დახმარებით კი ბავშვის ჯანმრთელობის უსაფრთხოება დაცული იქნება.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...



## კოშმარული სიზმრებისგან გადაგარჩენთ... ჩაი

იაპონელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ადამიანები, რომლებიც ჩაის ყოველდღიურად სვამენ, განსაკუთრებით კი ძილის წინ, კოშმარულ სიზმრებს 50 პროცენტით იშვიათად ნახულობენ, ვიდრე ისინი, ვინც ამ სასმელთან მწყრალად ყოფილა.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ჩაიში შემავალი ტანინის ამინომჟავა სტრესის მოხსნის შესაძლებლობას იძლევა და თავის ტვინის უარყოფით ელექტრონულ აქტიურობასაც ამცირებს.

გარდა ამისა, იაპონელი სწავლულები განმარტავენ, რომ ძლიერისგან განსხვავებით, მშვენიერ სქესს ფსიქიკის გაცილებით სუსტი სტრუქტურა აქვს და შესაბამისად, კოშმარული სიზმრები მათ 80 პროცენტით ხშირად ტანჯავთ. ამდენად, განსაკუთრებით სასარგებლო ჩაის მიღება სწორედ ქალებისთვის გახლავთ.

რადგან ჩაის სასარგებლო თვისებებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, აქვე ამერიკელი მეცნიერების ახალ აღმოჩენაზეც მოგახსენებთ, რომლის თანახმადაც ცნობილი ხდება, რომ ჩაი მატეს მიღებას გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების განვითარების შეფერხება შეუძლია, რადგან ის ორგანიზმში ანტიოქსიდანტების გამომუშავების გაზრდას განაპირობებს.

*gazeta.ua*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დაუჯერებელი ისტორია ქალზე, რომელმაც ხეზე იმშობიარა




ეს ისტორია 2000 წელს, მოზამბიკში წყალდიდობის დროს მოხდა. ქალს სოფია ერქვა და იგი ორსულობის მეცხრე თვეში იმყოფებოდა. წყალდიდობა კი მოულოდნელად დაიწყო და თავის დახსნა მხოლოდ ხეზე აძრომით იყო შესაძლებელი. სოფია ასეც მოიქცა. თუ როგორ მოახერხა ეს ყოველივე ცხრა თვის ორსულმა ქალბატონმა, დღემდე უცნობია. ხეზე სოფიამ სამი დღე დაყო. ხეს კი წყალი აწყდებოდა. ქალბატონმა აღნიშნული დღეები შიშსა და შიმშილში გაატარა. წყალს შეეძლო, ნებისმიერ დროს ხისთვის მიწა გამოეშალა და სოფიას გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ მსგავსმა სიტუაციამ განაპირობა მშობიარობის დაწყება.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ქალბატონმა წარმატებით იმშობიარა. მას ვაჟი შეეძინა. ქალბატონი აუტანელ ტკივილებს მარტოობასა და ექსტრემალურ სიტუაციაში გაუმკლავდა. მან საკუთარი შვილის სიცოცხლის გადარჩენაც მოახერხა. ეს ისტორია შეგვიძლია, სასწაულსაც კი მივაწეროთ.

*jeje.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩინელი დედა ბავშვს დღე-ღამეში 16 საათით მეცადინეობას აიძულებს



ჩინეთის ქალაქ ჩუნცინში დედა შვილს აიძულებს, 24 საათის განმავლობაში, 16 საათი, დასვენების გარეშე იმეცადინოს. აღზრდის მსგავსი ფორმა სპარტელებსაც შეშურდებოდათ.

ყველაზე საოცარი ის არის, რომ დედა ამაში განსაკუთრებულად მკაცრს ვერაფერს ხედავს, მეტიც, თურმე მამამისიც აღზრდის ასეთ მეთოდს იყენებდა და ფიქრობს, რომ გამართლებულია.

9 წლის ბავშვი სკოლიდან დაბრუნების შემდეგ საშინაო დავალებებს აკეთებს, კალიგრაფიაში იწაფება, ცურვაზე დადის და მათემატიკაში მეცადინეობს. იმისთვის, რომ ყველაფერი ეს მოასწროს, ყოველ დილით 5 საათზე დგება და 6 საათიდან უკვე დამატებით სამეცადინოებს ასრულებს. ბავშვს მხოლოდ საღამოს 10 საათზე აძლევენ დასაძინებლად წასვლის უფლებას.

აღზრდის უჩვეულო მეთოდის მქონე დედა კი ამბობს:

„თუ უნდა, რომ მომავალში მარტივი ცხოვრება უზრუნველყოს, ამისთვის ზრუნვა ახლავე უნდა დაიწყოს“.

დედის თქმით, თითოეულ პუნქტს თავისი დატვირთვა აქვს. მაგალითად, პიანინოზე დაკვრა, ბიჭს არტისტულ ნიჭს გამოუმუშავებს, რაც მომავალში მეორე ნახევრის პოვნაში დაეხმარება. მათემატიკა ლოგიკური აზროვნების უნარს განუვითარებს.

ქალი არ ფიქრობს, რომ ბავშვს მეტისმეტად მკაცრად ეპყრობა, პირიქით, მისი აზრით, მსგავსი აღზრდა მომავალში სასიკეთოდ წაადგება.

აუცილებლად წაადგება, თუ ბავშვი იმდენად არ გადაიღალა, რომ ზრდასრულობის ასაკს მიაღწიოს, ან იმდენად არ დაკომპლექსდა, რომ საერთოდ რომელიმე უნარის გამოყენება შეძლოს.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## გაზიანი სასმელები არითმიასაც იწვევსო



კიდევ რამდენი კვლევა უნდა ჩატარდეს, რომ ენერგეტიკულ და გაზიან სასმელებზე უარი საბოლოოდ ვთქვათ? აგერ ამერიკელმა მეცნიერებმა აღნიშნულ სასმელებს ახალი წუნი უპოვეს და ამბობენ, რომ მათი მიღება წნევაზე მოქმედებს და არითმიას იწვევს.

მეცნიერებმა ექსპერიმენტების მთელი სერია ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ ნებისმიერი სახის გაზიანი სასმელი გულის რიტმზე ცუდ ზეგავლენას ახდენს. თურმე, ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს, მიუხედავად იმისა, რომ დღეში სულ ორ ქილა გაზიან სასმელს აძლევდნენ, მიღების შემდეგ არტერიული წნევის მაღალი მაჩვენებელი აღენიშნებოდა.

მეცნიერები უფრო ჯანმრთელ ალტერნატივას გვთავაზობენ, მაგალითად, წყალს.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## მაღაზია გამყიდველისა და დაცვის გარეშე



არაჩვეულებრივი სადღეღამისო მაღაზია შვედეთის პატარა ქალაქ ვეკენში გაიხსნა. სუპერმარკეტს არც გამყიდველი ჰყავს, არც მოლარე და არც დაცვა. ხოლო ქურდებისგან მაღაზიას მხოლოდ 6 სათვალთვალო კამერა იცავს.

მაღაზიაში რომ მოხვდეთ და რაიმე იყიდოთ, საკმარისია, თქვენს მობილურში ჩატვირთოთ აპლიკაცია და დარეგისტრირდეთ.

პროგრამა Ит სპეციალისტმა რობერტ ელიასონმა შექმნა. როდესაც თქვენთვის სასურველ პროდუქტებს შეარჩევთ საკმარისია, თქვენი მობილურის კამერით დაასკანეროთ. პროდუქტების სია მყიდველის პირად კაბინეტში აისახება, ხოლო გადასახადის ანგარიში მიმდინარე თვის ბოლოს ბანკიდან მოგივათ.

ორთვიანი მუშაობის მანძილზე მაღაზიას არავითარი პრობლემა არ შეჰქმნია. ამასთანავე, ფასები სხვა სუპერმარკეტებთან შედარებით გაცილებით იაფია, რადგან მეპატრონეს მაღაზიის შენახვა უფრო იაფი უჯდება.

*intermedia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ზიკას ვირუსი ტვინის ქსოვილს კლავს — მეცნიერების სკანდალური დასკვნა



სპეციალისტებმა ზიკას ვირუსსა და მიკროცეფალიას შორის კავშირი მეცნიერულად დაამტკიცეს.

ლაბორატორიული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ვირუსი განვითარებად ტვინის ქსოვილს კლავს.

მეცნიერების ვარაუდით, სწორედ ეს იწვევს ახალშობილებში მიკროცეფალიას.

მხოლოდ ბრაზილიაში ამ დაავადებით 4800-ზე მეტი ბავშვი დაიბადა. კვლევებმა აჩვენა, რომ ზიკას ვირუსით ქსოვილის ნიმუშების 90 პროცენტის დაინფიცირება 2 საათში მოხდა, რის შემდეგაც მათი თითქმის მესამედი განადგურდა, დანარჩენების ზრდა კი შეფერხდა.

*exclusivenews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## არ იღელვოთ ჯანმრთელობაზე და თავს უკეთ იგრძნობთ

როგორც წესი, მთელ სხეულს ტვინი მართავს. თუ თავს დავაჯერებთ, რომ ჩვენი ავადმყოფობა საგანგაშო არ არის და მალე გამოვჯანმრთელდებით, ასეც მოხდება.

ამას შვეიცარიელი და ბრიტანელი მეცნიერებიც ადასტურებენ. მათი თქმით, ჯანმრთელობისთვის განწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც უფრო ნაკლებად ვიღელვებთ იმაზე, რომ თავს რაღაც კარგად ვერ ვგრძნობთ, მით უფრო მალე გამოვჯანმრთელდებით.

სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ საკუთარ ჯანმრთელობაზე კონცენტრირება საუკეთესო გამოსავალი არ არის. შეგვიძლია, ექიმთანაც მივიდეთ და წამლებიც მივიღოთ, მაგრამ გამუდმებით ჩვენს რეცეპტსა და დაავადებაზე საუბარი კარგ შედეგს არ მოგვიტანს. პირიქით, ექიმებისგან თავისუფალ დროს, უკეთესიც იქნება, თუ თეთრ ხალათზე საერთოდ არც ვიფიქრებთ.

ხალხი, რომელიც არ წუწუნებს და საკუთარ ჯანმრთელობაზე გამუდმებით არ ღელავს უკეთ გრძნობს თავს და უფრო დიდხანსაც ცხოვრობს, თანაც, ასაკში შესულებს ტვინიც უკეთ უმუშავებთ.

*myjane.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99



– კოტეს გაუმარჯოს. იმშობიარა შენმა მეუღლემ?

– კი, გუშინ.

– მომილოცავს. ბიჭია თუ გოგო?

– ტყუპებია.

– კარგია და ვის ჰგვანან?

– ერთმანეთს!

*****

სტუდენტების ქორწილია.

– პატარძალი რატომ არ ჭამს არაფერს?

– ფული არ დაუდია და იმიტომ.

*****

– თვალზე რა მოგივიდა?

– საყვარელი ქალისთვის ვიჩხუბე.

– ბევრნი იყვნენ ის ავაზაკები?

– არა ორნი – ჩემი ცოლი და სიდედრი.

*****



– შორენა, დედიკო, 5 კოვზი შაქარი ჩაიყარე, რაშია საქმე, შეყვარებული ხარ?

– არა, საიდან მოიტანე? უბრალოდ, ტკბილი მიყვარს.

– მერე დედიკო ბორშში შაქარს რა უნდა, რამ გამოგაშტერა?

*****

– მიხო, მარილი გაგვთავებია და მიდი ჩვენს მეზობელ მაყვალას სთხოვე.

10 წუთის შემდეგ მიხო მოვიდა.

– ჰაა, რა ქნა, მოგცა?

– კი.

– მერე მარილი სად არის?

*****

– აშოტ, ანბანი იცი?

– როგორ არა.

– აბა, მითხარი, რამდენი ასოა?

– ა. ნ. ბ. ა. ნ. ი. ექვსია ტო...

*****



– კოტე, მოგწონვარ?

– კი.

– ძალიაან?

– კიი!!!

– მაინც რა უფრო მოგწონს?

– რა მომწონს და ლუდი და თევზი – ვგიჟდები პირდაპირ!

***მოამზადა დავით ახობაძემ***

***დავით ახობაძის ნახატი***

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


## კარტოფილ ფრის სასარგებლოს გახდიან



მიუხედავად იმისა, რომ კარტოფილი ფრის სიყვარულიც ერთ-ერთ ყველაზე მავნე ჩვევად უკვე დიდი ხანია, აღიარებულია, უამრავი ადამიანი მასზე უარს მაინც არ ამბობს.

ჰოდა, ყველას გავახარებთ და ვეტყვით, რომ შესაძლოა, სულ მალე მედიკოსებმა ფრისთან მიმართებაში შეხედულებებს გადახედონ.

ცნობილი ხდება, რომ ნორვეგიაში შემუშავებულია ტექნოლოგია, რომელიც კარტოფილ ფრის სასარგებლო პროდუქტად გადააქცევს.

საუბარია იმაზე, რომ სპეციალისტები კარტოფილს აკრილამიდის გარეშე დატოვებენ, ნივთიერების, რომელიც ცნობილი ტოქსინი და კანცეროგენია.

ეს რომ გაეკეთებინათ, იდეის ავტორებმა მჟავარძის ბაქტერიები გამოიყენეს, რომელსაც შეუძლია, დიდი რაოდენობით ზეთში შემწვარ კარტოფილს შაქარი გამოაშოროს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მჟავარძის ბაქტერიების შესწავლა 20 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც მათი დადებითი თვისებები გამოვლინდა, კვების მრეწველობაში „კარგი ბაქტერიების“ ფართოდ გამოყენებაც დაიწყო. კერძოდ, შესაძლებელი გახდა პროდუქტების არა მხოლოდ საშიში ბაქტერიებისგან დაცვა, არამედ ვარგისიანობის ვადის გახანგრძლივება, გემური და ასევე, მკვებავი თვისებების გაუმჯობესება. ახლა უკვე ასეთ გავლენას თავის თავზე კარტოფილი ფრიც გამოცდის.

*medkarta.com*

## ინტერნეტი თავის ტვინში სერიოზულ ცვლილებებს იწვევსო



საკმაოდ არასახარბიელო დასკვნა გამოიტანეს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა ადამიანების იმ კატეგორიისთვის, რომლის სამუშაოს ძირითადი ნაწილის შესრულება კომპიუტერზე, უფრო ზუსტად კი – ინტერნეტზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ალბათ, არ აღფრთოვანდებიან არც ახალგაზრდები, რომლებიც თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ინტერნეტში ძრომიალს უთმობენ.

თურმე. ე.წ. „სერფინგი“, ანუ ინტერნეტში რამდენიმე საიტის ერთდროულად დათვალიერება და ვირტუალური რესურსების სწრაფი ცვლა ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ძალიან ზედაპირულს ხდის.

– საიტების სწრაფი და მუდმივი დათვალიერების თვისებას ადამიანის თავის ტვინი იქამდე მიჰყავს, რომ უკარგავს სისტემურ და ღრმა აზროვნების უნარს, – ამტკიცებს წამყვანი ამერიკელი ფსიქოლოგი ნიკოლას კარი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ კავშირს ინტერნეტსა და ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობებს შორის. მაგალითად, ამერიკული ავიამშენებელი კომპანია „ბოინგის“ ხელმძღვანელობამ შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის მიზანია ახალგაზრდა ინჟინრების ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება ინტერნეტის გარეშე.

*regnum.ru*

## აღმოჩენილია კავშირი კატების ინფექციებსა და ქალების სუიციდებს შორის



თუკი ოდესმე შეგიდარებიათ ქალი და კატა ერთმანეთისთვის, ალბათ, აშკარა კავშირის გამო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რეალურად კავშირი მათ შორის ძალიან საშინელია.

45 ათას ქალზე ჩატარებული დაკვირვების შედეგად, ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ქალები, რომლებიც კატებს უვლიან, ხშირად ინფიცირდებიან ტოქსოპლაზმოზით.

აღნიშნული ვირუსი იწვევს ფსიქიკურ აშლილობებს და მსხვერპლს თვითმკვლელობის აზრსაც აწვეთებს.

სტატისტიკის თანახმად, ქალების კატეგორიას, რომელსაც ტოქსოპლაზმოზი ჰქონდა, სუიციდის მცდელობები მთელი 53 პროცენტით ხშირად ფიქსირდება.

გარდა ამისა, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ, რაც უფრო მძიმდება ვირუსით დაავადებული ადამიანის მდგომარეობა, თვითმკვლელობის მცდელობების შესაბამისად, 2-ჯერ მატულობს.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ აღნიშნული ვირუსი შეიძლება ადამიანს კატის ფეკალიებთან კონტაქტის შემდეგ შეეყაროს. ამდენად, ჰიგიენის ნორმების დაცვას დაგვეთანხმებით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*today.kz*


გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 435 553

რედაქტორი მანანა გიორგაძე



## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

555 125 770; 596 777 773


## ნასვამობისთვის ჩამორთმეული მართვის მოწმობის დაბრუნება რესტორანში აღნიშნა და...



და მართვის მოწმობა საჭესთან ისევ არაფხიზელ მდგომარეობაში დაჯდომის გამო ჩამოერთვა.

როგორც ირკვევა, ამერიკული ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოში ადგილობრივი დიასახლისი, 58 წლის ერინ ჯეიმსი მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, სანამ ქალი საჭესთან დაჯდებოდა, რესტორანში მართვის მოწმობის დაბრუნებას აღნიშნავდა, რომელიც... მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო ჰქონდა ჩამორთმეული.

ერინ ჯონსი სულ რამდენიმე დღის წინ, ღამის 2 საათზე დააპატიმრეს. საგზაო პოლიციის თანამშრომელმა შენიშნა, რომ მძღოლმა სიჩქარეს გადააჭარბა და რასაკვირველია, გაჩერება მოსთხოვა.

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მძღოლი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

მოგვიანებით ერინ ჯეიმსმა აღიარა, რომ რესტორანში მართვის მოწმობის დაბრუნება აღნიშნა, რომელიც 2012 წლის დასაწყისში იმავე დარღვევის გამო ჩამოერთვა.

– ეს ქალი იმ მძღოლების რიგს განეკუთვნება, რომლებსაც ავტომობილის საჭესთან დაჯდომის უფლება საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ, – განაცხადა ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელმა ტომ ვაიტცელმა, რომელიც მოითხოვს, ერინ ჯეიმსს მართვის მოწმობა სამუდამოდ ჩამოერთვას.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*etotupo.ru*



– მამიკო, დედიკო რატომ მოიყვანე?

ქმარი ცოლს მიუტრიალდა და:

– ხომ გესმის, საკუთარ ბავშვსაც კი უკვირს, რატომ მოგიყვანე ცოლად.

*****

– h1n1 გრიპის საწინააღმდეგოდ აუცილებლად უნდა აიცრა.

– რატო?

– აი, მე ავიცერი, ჩემი მეზობელი რაფიკა არ აიცრა, მე ცოცხალი ვარ, რაფიკა კიდე მოკვდა.

– გრიპით?

– არა, კაცო, დენმა დაარტყა.

*****

გურული გოგოს „კერავს“:

– წავიდეთ ამეღამ, შიშვლებმა ვიბანაოთ ზღვაში.

– კი, მარა მე რომ ცურვა არ ვიცი?

– ნუ ვიბანავებთ მერე, რავა, აუცილებელია თუ?

*****

– კოტიკო, შვილო, დაიმახსოვრე, ჭკვიანი ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს, მარტო იდიოტია თავის თავში დარწმუნებული.

– დარწმუნებული ხარ მამიკო?

– აბსოლუტურად!

*****



უფროსი ხელქვეითებს საყვედურობს:

– რამდენჯერ უნდა ვთქვა, მუშაობის დროს სიგარეტს ნუ ეწევით!

– კარგი, რა, ზახარიჩ, ვინ მუშაობს მერე?

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*


სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



გაზეთი „ყოველკვირეული ალია“

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**



ISSN 2346-8424

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 3.30